# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 16 ნოემბერი 2000 №222 (1244) | ფასი 50 თეთრი

## ფედერაციას ასე ჰგონია: მალტაზე ინგლისზე წინ

ქართველ მწვრთნელთა განათლება ბოსკამპის მოწაფე გეგუჩაძეს ანდეს

## ვიმეგობროთ! ასე უფრო იოლია სიკვდილი

მსაჯები ფიზიკურად და მწვრთნელ-ფეხბურთელებთან სამეგობროდ ემზადებიან

## ამდენი ფეხბურთი სასიკვდილოა



რატომ ითამაშა რონალდომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში

## დარჩენილები ჩამოდიან



მუხრან გოგიამ ბავშვობის ოცნება აისრულა: აბორიგენები ნახა



REUTERS

ბრაზილია — კოლუმბია 1:0. მასპინძელმა ჟუნინიო პაულისტამ მეტოქე მცველს გადაუარა

# ბურთი იქა, ბნელი აქა

მაკედონიაში ნისლი იყო და თამაში ჩაიშალა, თუმცა ჩვენმა მეტოქე უნგრეთმა გოლის გატანა მაინც მოასწრო;

ტურინში წვიმდა და ინგლისელები უფრო უტევდნენ, თუმცა ჯენარო გატუზომ ერთი ისეთი დაჰკრა, მარტო ამისთვის ღირდა ამ მატჩის ჩატარება;

ბრაზილიაში ჩხუბი და დავიდარაბა იყო, თუმცა პოლიციამ მსაჯი დაიცვა, როკე ჟუნიორმა კი მეორე წამატებულ წუთზე გამარჯვება მასპინძლებს არგუნა;

სევილიაში ფრანკ დე ბურმა ჰოლანდიის რეკორდი დაამყარა, თუმცა მარტო ეს არ იკმარა და ეროვნულ გუნდში 85-ე თამაში 85-ე წუთზე გატანილი გადამწყვეტი გოლით აღნიშნა...

თბილისში კი არც წვიმა იყო და არც ნისლი, თუმცა იყო ცოტა ჩხუბი, ცოტა დავიდარაბა და წუთში 85-ჯერ იმათი ხსენება, ვინც სხვებთან ერთად ჩვენც დაგვაბნელა.

იხილეთ მეორე გვერდი

# საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება

## ყოჩები დათვებს ბუნაგში მიუხდნენ და ჩემპიონობა დაათმობინეს

დათვი პირველი იყო, დათვი რის დათვია, პირველობა ნებით დათმოს, მაგრამ... დაათმობინეს.

გუშინ ბათუმში, საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში თბილისის სტუ-„ყოჩებმა" ჩემპიონ „დათვებს" 13:8 მოუგეს და ფინალში გააღწიეს. ქართულ სარაგბო თემს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ერთი პრეტენდენტი უკვე ცნობილია — სტუ-„ყოჩები". ვინ იქნება მისი მოცილე, ამას მეორე ნახევარფინალური მატჩი „ლოკომოტივი-1"— ასკ გაარკვევს.

ნახევარფინალი
ბათუმი. ანგისა
15 ნოემბერი

**დათვები — სტუ-ყოჩები**
**8:13 (3:3)**

**დათვები:** ნინიძე, გურეშიძე, პაპავა, ზ. ლიპარტელიანი (აბაშიძე, ბერიძე), რეხვიაშვილი, გოგისვანიძე, სვანიძე, ფხაკაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ტყაბლაძე, ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე

ლ — გოგისვანიძე, 1 ა — ნ. ძაგნიძე

**ყოჩები:** ფირიაშვილი (თედორაძე), კიკუაშვილი, ჩიქავა (გუშარაშვილი), ხურცილავა, ჭელიძე, ურუშაძე, ცხვედიანი, კ. კობახიძე, გიორხელიძე, კაჭარავა, იმნაძე, ჯანელიძე, ბარძიმიშვილი, ს. ლიპარტელიანი, კ. მხეიძე

ლ — ბარძიმიშვილი, 1გ — კობახიძე, 2ს — კობახიძე

**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი

**მეთვალყურე:** მ. ბურძგლა



„დათვებისა" და სტუ-„ყოჩების" შეხვედრა მუდამ ფიცხელი და უშეღავათოა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

### II ჯგუფი

**კვიპროსი 5:0 ანდორა**

1:0, 2:0 ოკასი (10, 18), 3:0 აგათოკლეუსი (43), 4:0 ხრისტოდოლუ (73), 5:0 სპოლიარიჩი (90З)
6 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |

### VI ჯგუფი

**სან მარინო 0:1 ლატვია**

0:1 ელისეევსი (9)
სან მარინო: გასპერონი, ჯენარი, მარანი, ვალენტინი, მატეონი, ბაჩოკე, მუკიოლი, ძონძონი (სელვა 84), მონტანა (დე ლუიჯი78), მანძაროლი (ბუგლი 74), კელვა
ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, ლაიზანსი, ბლაგონადეჟდინსი, ტროიკისი, ბლეიდელისი, პახარსი, რუბინსი (ვერპაკოვსკისი 66), ელისეევსი (ივანოვსი 84)
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვაკეთი)
გაძევება: ბლეიდელისი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა

### X ტური

**ბრაზილია 1:0 კოლუმბია**

1:0 როკე ჟუნიორი (90)
ბრაზილია: როჟერიო, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, ვამპეტა (ჟუნინიო პერმანბუკანო 71), რივალდო, ჟუნინიო პაულისტა, ფრანცა (ადრიანო 79), ედმუნდო (მარკეში 67)
კოლუმბია: კალერო, მარტინესი, დინასი, იეპესი, ბედოია, ბოლანო, სერნა, ვივეროსი, არისტისაბალი, ანხელი (ბონილია 67), კასტილიო
გაძევება: კასტილიო (86)
50 000 მაყურებელი

**ბოლივია 0:0 ურუგვაი**

ბოლივია: სორია, ო. სანჩესი, სანდი, ხ. პასი (ვაკა 81), რიბეირო, კალუსტრო, რ. გარსია, ე. სანჩესი, კოლკე, მენაჩო, სუარესი (ლ. პასი 66)
ურუგვაი: კარინი, ვარელა, ლემბო, სორონდო, როდრიგესი, პ. გარსია, რომერო, კოელიო (კალეხასი 64), რეგუერო, მაგალანეში (დარიო სილვა 56), ფრანკო (სედრესი 76)
გაძევება: რ. გარსია (85)
20 000 მაყურებელი

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# კონკაკაფი

### D ჯგუფი

**სენტ ვისენტი 0:7 ჰონდურასი**

0:1, 0:2 რამირესი (26, 31), 0:3 ველასკესი (46), 0:4 კ. სანტა მარია (52), 0:5 ლ. სანტა მარია (77), 0:6 კაბალიერო (85), 0:7 ბენგოჩე (89)
1 000 მაყურებელი

### E ჯგუფი

**ბარბადოსი 0:4 აშშ**

0:1 მატისი (63), 0:2 ე. სტიუარტი (73), 0:3 კობი ჯონსი (77), 0:4 რაზოვი (90)
4 000 მაყურებელი

**გვატემალა 2:1 კოსტა რიკა**

1:0 რუისი (53), 1:1 ფონსეკა (71), 2:1 რუისი (87)
12 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 3 | 2 | 1 | 14:3 | 11 |
| კოსტა რიკა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| გვატემალა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბარბადოსი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:20 | 3 |

UNDER-21 Championship

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### VII ჯგუფი

**ბოსნია 0:1 საფრანგეთი**

0:1 მალბრანკი (54З)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ისრაელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ბოსნია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

## ამხანაგური მატჩი
## ახალგაზრდული ნაკრებები

**იტალია — ინგლისი**

*მატჩი მე-12 წუთზე ნისლის გამო შეწყდა.*
იტალია: ჯ. როსი, ფერარი, ოლივი, ტროისე, ბელინი, კამპედელი, კორენტი, დონატი, პირლო, ბონაცოლი, ჯილარდინო
მწვრთნელი: კლაუდიო ჯენტილე
ინგლისი: ვიავერი, გრიფინი, ეშლი კოული, აპსონი, კინგი, ჰარგრივსი, გრინინგი, კარიკი, ჩედვიკი, ვასელი, დანი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)
3 000 მაყურებელი

## ამხანაგური მატჩები. 14-15 ნოემბერი

**იტალია 1:0 ინგლისი**

1:0 გატუზო (58)
იტალია: ბუფონი, კანავარო, ნესტა (ადანი 67), მალდინი (ბერტოტო 75), დი ლივიო (დ. ძენონი 52), ალბერტინი (დი ბიაჯო 52), გატუზო, კოკო, ფიორე, დელვეკიო (ს. ინძაგი 61), ფ. ინძაგი (დელ პიერო 73)
ინგლისი: ჯეიმსი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, საუთგეიტი, პარლოუ (ანდერტონი 78), ბათი (კარაგერი 26), ბექჰემი, დაიერი (ფაულერი 83), ბერი (ს. ჯონსონი 73), ჰესკი (ფილიპსი 73), ბარმბი
მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)
22 714 მაყურებელი

**ესპანეთი 1:2 ჰოლანდია**

1:0 იერო (66), 1:1 ჰასელბაინკი (73), 1:2 დე ბური (85)
ესპანეთი: კასილიასი, პუიოლი (მანუელ პაბლო 55), აბელარდო, იერო, სერხი, ხავი, ბარახა (გუტი 46), მენდიეტა (ფარინოსი 46), ლუის ენრიკე (პაკო ხემესი 77), რაული (მუნიტისი 46), ურსაისი (კატანია 46)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ფ. დე ბური, ჰოფლანდი (პაუვე 46), ბოგარდი (მელხიოტი 72), კოკუ (ვან ბომელი 46), ბოსველტი, დავიდსი, კლუივერტი (მაკაი 46), ბრუგინკი (ზეედორფი 60), ჰასელბაინკი
გაძევება: იერო (74), ჰასელბაინკი (74)
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
50 000 მაყურებელი

**თურქეთი 0:4 საფრანგეთი**

0:1 ტრეზეგე (15), 0:2 ვილტორდი (22), 0:3 მიკუ (44), 0:4 რობერი (74)
თურქეთი: რუშთუ (ომერი 46), ბიულენთი, ოგიუნი, ფათიჰ აკიელი, ემრე (ერგუნი 63), აჰმეთი, ოკანი (ტამერი 79), სუათი (ტაიფური 46), ფათიჰ თეკე (უმითი 46), იზეტი (მეჰმეთი 37), ჰაქან უნსალი
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (სანიოლი 79), ლებეფი, დესაი, კანდელა, ვიეირა (მაკელელე 31), პეტი (ჯეტუ 69), ვილტორდი (რობერი 57), ზიდანი (დეუ 63), მიკუ, ტრეზეგე (მარლე 82)
მსაჯი: გეორგიოს ბოროვილოსი (საბერძნეთი)
9 000 მაყურებელი

**ირლანდია 3:0 ფინეთი**

1:0 ფინანი (14), 2:0 კილბეინი (85), 3:0 სტონტონი (90)
ირლანდია: გივენი, გ. კელი (მაკატირი 46), ჰარტი (სტონტონი 46), დანი, ბრინი, ჰოლანდი, ფინანი, კინსელა, ფოლი (კარსლი 46), რობი კინი (კონოლი 90), კილბეინი
ფინეთი: ნიასკელაინენი, ნილუნდი, საარინენი, პასანენი (ნურმელა 78), ტიჰინენი, ტაინიო (კუივასტო 65), იოჰანსენი (გრონლუნდი 46), რიიჰილაჰტი, ფორსელი (კუკი 46), ლიტმანენი, კოლკა
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)
22 368 მაყურებელი

**ალბანეთი 3:0 მალტა**

1:0 ვატა (45), 2:0, 3:0 ბოგდანი (70, 90)
ალბანეთი: სტრაკოშა, მუკა (ჰასი 46), ჩიპი, ჯუმბა, რ. ვატა (ფაკაი 46), შკელა, ა. ჰაჯი, ბუში (ბოგდანი 65), კოლა (ფორტუზი 79), ფ. ვატა (ლალა 46), ტარე
მალტა: მუსკატი, კარაბოტი, ჩეტკუტი, გიგლიო, ბრიანი, ლუკე (ტეუმა 46), ბუზუტილი, ჟილბერტი, ჰოლანდი, ნვოკო (ვესელჯი 46), ზარა
გაძევება: ტარე (37)
2 000 მაყურებელი

**ესტონეთი 1:0 ყირგიზეთი**

1:0 ანისტე (55)
ესტონეთი: პოომი, ალასი, სტეპანოვი, პიიროია, როომბა (სავიაუკი 46), ანისტე, ვიკმიაე (შვეცი 87), რეიმი, ზელინსკი, კოსემეცი, იურისონი (ჰაავისტუ 65)
ყირგიზეთი: პრიადკინი (ჯალილოვი 46), სალო, ჯუმაკეევი, ამინი, რიბაკოვი, ჩერტკოვი (პრიანიშნიკოვი 55), ვ. ბერეზოვსკი (იშენბაევი 65), ს. ივანოვი, კუდრენკო, კოვალენკო, ჯამშიდოვი
მსაჯი: ოლეგ ტიმოფეევი (ესტონეთი)
1 500 მაყურებელი

**რუმინეთი 2:1 იუგოსლავია**

1:0 სერბანი (3), 1:1 მიხაილოვიჩი (87), 2:1 ბარკაუანი (90)
რუმინეთი: ლობონტი, კონტრა (დუმიტრუ 64), ჩობოტარიუ, ფილიპესკუ, გალკა (პროდანი 67), იენჩი, კოდრია (სტოიკა 78), სერბანი (კ. მუნტიანუ 65), ნიკულაე (ნიკულესკუ 82), მუტუ (ბარკაუანი 52), როსუ
იუგოსლავია: კოციჩი (ლუკიჩი 84), მირკოვიჩი (ბუნიევჩევიჩი 81), სტეფანოვიჩი, ჯორჯევიჩი (ობრადოვიჩი 84), საკიჩი (ცირკოვიჩი 64), ლაზეტიჩი (დულიაი 84), დრულოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი (კეჟმანი 59), დ. სტანკოვიჩი (ილიჩი 50), მიხაილოვიჩი (დრულიჩი 90)
მსაჯი: მუსტაფა ქულჩუ (თურქეთი)
5 000 მაყურებელი

**დანია 2:1 გერმანია**

1:0, 2:0 რომედალი (56, 66), 2:1 შოლი (81)
დანია: სორენსენი, ჰაინცე (ნ. იენსენი 65), ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰელვეგი, იორგენსენი (მიქაელსენი 79), ტოფტინგი, გრავესენი, რომედალი (ბ. ნილსენი 87), ტომასონი (კ. იენსენი 46), სანდი (ნიგაარდი 46)
გერმანია: კანი, ჰაინრიხი (ბოდე 46), ჰერჩი, ნოვოტნი, რამელო, ლინკე (ვოში 69), ჰამანი, ციგე (ფ. ბაუმანი 46), შოლი, ბირჰოფი (იანკერი 74), ციკლერი (ნოივილი 81)
მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
17 664 მაყურებელი

**შოტლანდია 0:2 ავსტრალია**

0:1 ემერტონი (12), 0:2 ზდრილიჩი (66)
შოტლანდია: გოულდი, ვეირი (მ. ელიოტი 46), ბოიდი, დეილი, ონილი (კ. ჰენდრი 57), ფერგიუსონი, დოდსი, ბარლი (დიკოვი 63), კამერონი (მაკკანი 46), ჰათჩისონი, მატეო
ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი, მერფი, ოკონი, პოპოვიჩი, სკოკო (ვერმანი 74), ტიატო (ი. ბარნსი 67), ლაზარიდისი, ზდრილიჩი (ზანე 90), ემერტონი, აგოსტინო (სტერიოვსკი 46)
მსაჯი: პასკალ გარიბიანი (საფრანგეთი)
30 985 მაყურებელი

**მაკედონია 0:1 უნგრეთი**

0:1 ფეჰერი (6)
*პირველი ტაიმის შემდეგ ნისლის გამო შეწყდა.*
მაკედონია: იოვჩევი, გ. სტავრევსკი, იოვანოვსკი, ლაზარევსკი, გერასიმოვსკი, ვესელინოვსკი, ბეკირი, ტ. სტავრევსკი, შაინოვსკი, შეკირი, კრსტევი
უნგრეთი: ტაფარი, შ. კორსოში, იუჰარი, შალომონი, შებოკი, პეტო, ნ. ფეჰერი, მირიუტა, ს. ჰორვატი, ლისტეში, პეტერი
4 000 მაყურებელი

**პორტუგალია 2:1 ისრაელი**

1:0 ფიგუ (48), 2:0 ჟორჟე კოშტა (61), 2:1 ბენაიონი (85)
პორტუგალია: კიმი (ჟორჟე სილვა 89), ჟორჟე კოშტა (მეირა 63), დიმაში, სეკრეტარიუ (პაულუ კაბრალი 81), ფერნანდუ კოუტუ, დელფიმი, ფიგუ, ბინუ (ჟოაუ პინტუ 32), პაულეტა (ჟოაუ ტომასი 73), რუი კოშტა (ჰელდერი 77), სერჟიუ კონსეისაუ
ისრაელი: დავიდოვიჩი (ელიმელეხი 76), ბენ-დაიანი, ტალქარი, ბენადო, გერშონი, კეისი, ტალი (ნიმნი 62), აბუქსისი, ბენაიონი, ბერკოვიჩი (ბადირი 81), მიზრახი (კატანი 73)
მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)
15 000 მაყურებელი

**ტუნისი 1:1 შვეიცარია**

0:1 კანტალუპი (20), 1:1 ბუაზიზი (68)
ტუნისი: ელ უარი, ჰ. ტრაბელსი, ბადრა, ს. ტრაბელსი, მარზუკი (გოდბენი 46), გაბსი (ჯაბალაჰი 46), ბუაზიზი, კანზარი (ლარუსი 46), კლეიტონი, ჯაზირი (სელამი 70), მადები (მელიტი 90)
შვეიცარია: შტილი, ზელვეგერი (მაცარელი 89), ენჩოსი, ცვისიგი, ფურნიე (როტენბიუჰლერი 62), კანტალუპი, ვოგელი (როტა 62), სელესტინი, კომიზეტი, სესა (მუფი 68), ჰ. იაკინი
მსაჯი: ჯამალედინ ბენჩანა (ალჟირი)
3 000 მაყურებელი

**ალჟირი 1:2 ბულგარეთი**

0:1 მ. პეტროვი (38), 1:1 მადუი (50), 1:2 იოვოვი (70)
ალჟირი: მეზარი, მეფტაჰი, მენირი, მადუი, სლატნი, ბელმადი, აჯაუ, ბენარბია, ტასფაუ, ჯიჰრი, ბურალი
ბულგარეთი: ზდრავკოვი (ივანკოვი 46), პაჟინი, მარკოვი, ი. პეტკოვი, კირილოვი (ტომაში 78), კიშიშევი (პეევი 46), იოვოვი (ტოდოროვი 72), იანჩევი, მ. ხრისტოვი (ს. პეტროვი 58), ივანოვი, მ. პეტროვი
გაძევება: მადუი (90)
15 000 მაყურებელი

**საბერძნეთი 0:2 სლოვაკეთი**

0:1 შ. ნემეტი (18), 0:2 პ. ნემეტი (72)
15 000 მაყურებელი

**პოლონეთი 1:0 ისლანდია**

1:0 ფრანკოვსკი (61З)
5 000 მაყურებელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია — კოლუმბია 1:0. თუ ბრაზილიელებს დავუჯერებთ, კაფუმ (№2) ნაკრებში მეასედ ითამაშა



ესპანეთი — ჰოლანდია 1:2. რაული დავიდსს (სათვალით) გამოჰკიდებია



REUTERS

იტალია — ინგლისი 1:0. ჯენარო გატუზომ (№8) ისეთი დაჰკრა, დელვეკიო (№11), კანავარო (№5), მალდინი და ნესტაც (№6) გააოცა



ირლანდია — ფინეთი 3:0. გარი კელი (№2) და ფინელი იონას კოლკა

# ზესტაფონში მსაჯს ესროლეს...



გოგი დემეტრაძის არყოფნამ სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომას სიმწვავე მოაკლო

**გუშინდელი** სადისციპლინო კომიტეტის სხდომა თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა კი დააფასა, მაგრამ კომიტეტის მუშაობას არ დასწრებია გოგი დემეტრაძე, შესაბამისად სხდომა უღიმღამოდ, მოსაწყენად წარიმართა და სარეკორდოდ მცირე დროში — 35 წუთში დასრულდა. თუმცა, ისიც სათქმელია, გასარჩევ-გადასაწყვეტი ბევრიც არ ჰქონიათ დისციპლინარებს.

ქუთაისში ზედიზედ მეორედ არ ჩატარდა მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია, ამასთან დაკავშირებით გუშინდელ სხდომაზე „ტორპედოს“ მენეჯერი ვლადიმერ გუცაევი იხმეს. მან დისციპლინარებს თხოვნით მიმართა, საქმე ისე გავაკეთოთ, რომ მთავარი მწვრთნელის ნაცვლად გუნდის წარმომადგენელმა იაროს პრესკონფერენციებზეო.

დებულებას ვერ დავარღვევთ, ამის თაობაზე ალმასკომს მიმართეთ წინადადებითო, უპასუხეს გუცაევს. თუმცა სადისციპლინო კომიტეტმა „ტორპედოს“ მენეჯერის ერთი თხოვნა მაინც გაითვალისწინა, გუცაევმა, უკეთესი იქნება, თუ მატჩის ბოლოს სტადიონზე დიქტორი შეახსენებს მწვრთნელებს პრესკონფერენციის თაობაზეო.

ეს იდეა სადისციპლინო კომიტეტის ჭკუაში დაუჯდა და შესაბამისი თხოვნით სფფ-ს სახელზე წერილიც გაამზადა, „ტორპედოს“ კი დებულების დარღვევისთვის, ბუნებრივია, სასჯელი არ ასცდა. გუნდი მთლიანობაში 300 ლარით დაჯარიმდა.

11 ნოემბერს თსუ-მ „ბათუმს“ უმასპინძლა. მატჩის ინსპექტორის, გურამ გვანცელაძის თქმით, საფინალო სასტვენის შემდეგ მსაჯებს თსუელი სოსო ერაძე წამოსწევია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია შავოსნებისთვის. მსაჯები უგინებია თსუ-ს ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელ მირიან ცხვარაძეს და მავან პიროვნებასაც (მისი ვინაობა ვერ დაადგინეს), მომხდარის გამო დისციპლინარებმა თსუ-ს ხელმძღვანელობას საყვედური გამოუცხადეს, ერაძე კი 150 ლარით დააჯარიმეს. ეს ფეხბურთელი ავტომატურად სამ მატჩსაც გამოტოვებს.

11 ნოემბერს გაიმართა „სიონი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩიც. იმ შეხვედრის მერე ხუთი ფეხბურთელის მონაწილის ბარათი გაიყოლეს თან შავოსნებმა. ორი ყვითელით გაძევებული სიონელი დავით სოლოლაშვილი სადისციპლინო კომიტეტმა ერთ მატჩიან დისკვალიფიკაციას და 50-ლარიან ჯარიმას დააჯერა, გვერდითი მსაჯის გინებისთვის ვიტელ ჯაბა მუჯირს და ედიკ საჯაიას კი სამ-სამ მატჩიანი და 150-150 ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს.

მსაჯებს აგინეს ფოთშიც „კოლხეთი“ — „მერანის“ მატჩის შემდეგ. ონელი ავთანდილ ორდინიძე „კოლხეთის“ ყოფილ მწვრთნელ გია ტყებუჩავას და ფოთის ყოფილ გამომძიებელ ალექსანდრე წულაიას გამოულანძღავთ, შედეგად კოლხებს 200-ლარიანი ჯარიმა გამოუცხვეს, ამავე მატჩში გაძევებული მერანელი იოსებ დევიძე კი ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარით შეითხელებს ჯიბეს, ისევე როგორც დინამოელი თორნიკე მაისურაძე.

სხდომის ბოლოს სადისციპლინო კომიტეტმა პირველი ლიგისთვისაც მოიცალა და „მეტალურგი“ — „ზუგდიდის“ მატჩში მომხდარი ინციდენტი განიხილა. ზუგდიდელმა ანზორ ჯიქიამ ბურთი ესროლა შეხვედრის არბიტრს. ეს ფიზიკური შეურაცხყოფის ტოლფასიაო დაასკვნეს დისციპლინარებმა და ზუგდიდელი ფეხბურთელი 200 ლარით და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

**ბააჩა ქვანტალიანი**

# მებაჟეები ლადო ახალაიასაც ერჩიან

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც იტალიის ქალაქ რიმინიში იმყოფება შეკრებაზე, პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა აპენინებზე — შოთა ჭეიშვილის ბიჭებმა სანმარინოელ თანატოლებს 2:0 სძლიეს. გოლები ალექსანდრე ჩივაძემ და ბესიკ ქარდავამ გაიტანეს.

მომდევნო მატჩი ჩვენს გუნდს ვატიკანის ნაკრებთან აქვს, ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის კი 18 ნოემბერს ავტობუსით გაემგზავრება.

უცნაური მიზეზის გამო რიმინიში ჩასვლა ჯერაც ვერ მოახერხა ნაკრების ლეგიონერმა ლადო ახალაიამ, რომელიც მოლდოვური კიშინიოვის „ზიმბრუს“ წევრია.

ახალაია კიშინიოვ — ბუდაპეშტ — მილანის ავიარეისით აპირებდა იტალიაში ჩასვლას, მაგრამ ბუდაპეშტის აეროპორტის სატრანზიტო ზონაში უნგრელმა მებაჟეებმა არ გაატარეს — ჩვენებურს პასპორტი დაუწუნეს და ლადო ახალაიაც მოლდოვაში გაბრუნდა.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, საქმეს მაინც მოევლება. ფეხბურთელი თბილისში ჩამოვა, საპასპორტო პრობლემებს მოაგვარებს და აქედან პირდაპირ ხორვატიაში შეუერთდება გუნდს.

გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ ავსტრია — სლოვაკეთის საზღვარზე მებაჟეებმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელ ზაზა ჯანაშიას შეუქმნეს საპასპორტო პრობლემები, რომლის ფოტოც თურმე აღარ ჰგავდა ცხვირმოტეხილ და ნაოპერაციევ ჯანაშიას.

**დავით თავართქილაძე**

# ჰუტნიკიდან ხაშურში, ხაშურიდან საით?

**ბოლო დროს** უცხოეთიდან შინ მობრუნებულ მოთამაშეებზე ტაციაობაა. ქართულ კლუბთა მოწინავე ნაწილი ასეთ შემთხვევას ხელიდან არ უშვებს. აგერ, თელ ავივის „მაკაბისგან“ დაწუნებულმა გივი დიდავამ „დინამო“ ირჩია, ასევე უნაყოფოდ ისრაელმოვლილმა ექსტორპედოელმა გიორგი გოგიაშვილმა კი „კოლხეთი“...

ეროვნული ჩემპიონატის მოწინავე ექვსეულის თავკაცთა საყურადღებოდ ერთი ინფორმაციის გავრცელებაც გვიწევს.

ზაზა ლაცაბიძე გახსოვთ?

ადრე ხაშურის „ივერიას“, მერე ზუგდიდური „ოდიშის“ ფეხბურთელს დაცვასა და ნახევარდაცვაში თამაში ერთნაირად კარგად ეხერხება.

ლაცაბიძე ბოლო წლებში პოლონეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოასპარეზე კრაკოვის „ჰუტნიკში“ თამაშობდა. წლეულს „ჰუტნიკი“ დაქვეითდა და მისი და ქართველი ნახევარმცველის გზები გაიყარა.

ექსჰუტნიკელი ახლა უგუნდოდაა და შინ, ხაშურში იმყოფება, მისთვის მისაღები წინადადების მოლოდინში.

„ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „დინამო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“ და „ვიტ ჯორჯია“ — ამათგან ერთ-ერთი ალბათ მოახერხებს ფეხბურთელთან მოლაპარაკებას.

ასეთი საქმეები, მოგეხსენებათ, დასწრებაზეა.

**დათო დანელია**



ზაზა ლაცაბიძე

# რექტორის წერილი პრეზიდენტს

— **სრულ** გაუგებრობად და სამარცხვინოდ მიგვაჩნია წლების მანძილზე ჩვენი გუნდის იგნორირება, თუნდაც მსაჯების დამოკიდებულება ჩვენი გუნდისადმი. ამის მაგალითია 11 ნოემბერს „ბათუმთან“ არაკვალიფიციური, მიკერძოებული მსაჯობა, რამაც საგრძნობლად იმოქმედა მატჩის საბოლოო შედეგზე — ეს გახლავთ ნაწყვეტი იმ წერილიდან, რომელიც გუშინ მისწერა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა.

უნივერსიტეტის რექტორი თსუ — „ბათუმის“ მატჩის მსაჯობას გამოუყვანია მოთმინებიდან და მერაბ ჟორდანიას იმასაც ატყობინებს, თუ სათანადო რეაგირებას არ მოახდენთ რადიკალურ ზომებს მივმართავთო.

მერაბ ჟორდანია უცხოეთში გახლავთ და ორშაბათამდე ვერ დაბრუნდება სამსახურში, ამიტომ მის ნაცვლად ამ წერილს მოკლე კომენტარი სფფ-ს პრესსამსახურმა დაურთო:

— ჩვენი ინფორმაციით როინ მეტრეველი საერთოდ არ ყოფილა თსუ — „ბათუმის“ მატჩზე და თსუ-ც არასდროს არავის დაუჩაგრავს, ფედერაცია კი ულტიმატუმებით საუბრის უფლებას არავის მისცემს — ასეთია სფფ-ს პოზიცია.

გასაკვირი კია პრეს-სამსახურის ნათქვამი: ესწრებოდა თუ არა, როინ მეტრეველი თსუ — „ბათუმის“ მატჩს, რა მნიშვნელობა აქვს.

**ბააჩა ქვანტალიანი**



როინ მეტრეველი ვლადიმერ უგრეხელიძესთან ერთად „არმაზის“ წმინდა სტუმარია

# დასავლელი ვეტერანები: მინუს ოცი წუთი და პლუს აღმოსავლეთი?

**როგორც** იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეგიონულ ფედერაციებსაც აერთიანებს. აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, თბილისის, კახეთის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ფედერაციები თავის მხრივ რეგიონული ლიგის ზონებს და სხვადასხვა ასაკის მოზარდთა ტურნირებს კურირებენ, მაგრამ იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია მარტო ამ საქმიანობას არ დასჯერდა და მეტად კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

იმერეთის რეგიონული ფედერაციის თავკაც გურამ ფილიპაშვილს აზრად მოსვლია ვეტერანთა ჩემპიონატის ჩატარება და ჩანაფიქრი რეალობად უქცევია. შედეგად უკვე ორი ტური გალია დასავლეთ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა პირველმა ჩემპიონატმა.

რვაგუნდიან ჩემპიონატში ბათუმელი, ქუთაისელი, ფოთელი, ზუგდიდელი, ხონელი, ტყიბულელი, ზესტაფონელი და ქობულეთელი ვეტერანები მონაწილეობენ. 340 ვეტერანი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ჩემპიონატს. წლობით უნახავებმა ერთმანეთი მოიკითხეს, ძველი დრო და საქმიანობა გაიხსენეს და დიდი მონდომებით ჩაებნენ ჩემპიონატში. და დღეს ისევ თამაშობენ ჯუმბერ ხაჟალია, ნოდარ სარჯველაძე, იუზა ლოსაბერიძე, ჯემალ ხერხაძე, ვალერიან ჩხარტიშვილი, ასლან ბალაძე და სხვანი და სხვანი.

ვეტერანთა ჩემპიონატის მატჩები 35-წუთიანი ტაიმებისგან შედგება, ორი ტურის შემდეგ კი 6-6 ქულით ფოთის „კოლხეთი“ და „ზუგდიდი“ ლიდერობენ. იმერეთის რეგიონული ფედერაციის წამოწყებას აღმოსავლეთ საქართველოდანაც გამოეხმაურნენ. თბილისის, რუსთავის და ხაშურის ვეტერანებსაც ჰქონიათ ჩემპიონატში ჩაბმის სურვილი და მომავალი წლიდან გუნდების რაოდენობაც გაიზრდება.

**ბააჩა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფედერაციას ასე ჰგონია: მალტაზე ინგლისზე წინ

## ქართველ მწვრთნელთა განათლება ბოსკამპის მოწაფე გეგუჩაძეს ანდეს



გოჩა ფოლადიშვილის ფოტო

გია გეგუჩაძე

** არცთუ** ისე დიდი დროა მას შემდეგ გასული, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელთა მომზადების ცენტრის შექმნა, უფრო სწორად მივიწყებული საქმის გახსენება გადაწყვიტა. მისი გახსნა 2001 წლის იანვარში არის დაგეგმილი. ცენტრს ბუნებრივია ხელმძღვანელი სჭირდება და სფფ-მ ეს მისია „დინამოს" ყოფილ მწვრთნელის თანაშემწეს გია გეგუჩაძეს ანდო.

„გეგუჩაძეს ბოლო დროს ჩატარებულ მწვრთნელთა ყველა სემინარში აქვს მონაწილეობა მიღებული, იგი ამასწინათ ბელგიაშიც გახლდათ ბოსკამპთან ერთი თვით და ვფიქრობთ ამ საპასუხისმგებლო მისიას პირნათლად შეასრულებს" — ასე ფიქრობენ ფედერაციაში.

ახლა კი იმ ინფორმაციას გაგაცნობთ, რომელიც სფფ-ს პრეს-სამსახურმა მოგვაწოდა:

„20-იდან 24 ნოემბრამდე მალტაში გაიმართება მწვრთნელთა მასწავლებლების კურსები, რომელსაც უეფას ბელგიელი კოორდინატორი მიშელ საბლონი წარუძღვება. საქართველოდან ამ სემინარზე გია გეგუჩაძე მიემგზავრება, რომელსაც თან მიაქვს ჩვენში მწვრთნელთა მომზადების პროგრამა, რომელსაც უეფა ალბათ გარკვეულ კორექტივებს გაუკეთებს და დაამტკიცებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელს მოვაწერთ კონვენციას და საქართველოში ლიცენზიამიღებულ მწვრთნელს უფლება ექნება იმუშაოს ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მაღალ დონეზე.

მალტის სემინარის შემდეგ დაგეგმილია მიშელ საბლონის ვიზიტი თბილისში, სადაც იგი აქაურ სიტუაციას გაეცნობა და სემინარს ჩაატარებს."

აი, ასეთია სფფ-ის პრეს-სამსახურის ინფორმაცია და ღმერთმა ქნას ყველაფერი ისე იყოს, როგორც მასშია ნათქვამი. რეალობა კი ასეთი გახლავთ: უეფას მწვრთნელთა ლიცენზია სამ კატეგორიად აქვს დაყოფილი: პროფი, A და B კატეგორიები. B კატეგორის ლიცენზიანტს უფლება აქვს უმცროსი ასაკის გუნდებში იმუშაოს, A კატეგორიის მფლობელი უფლებამოსილია უფროსი ასაკის გუნდებში იმუშაოს, ხოლო რაც შეეხება პროფი, იგი მწვრთნელს ევროპის ნებისმიერი ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბში მოღვაწეობის საშუალებას აძლევს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ პროფი ლიცენზიის გაცემის უფლება გასულ წლამდე მხოლოდ ექვს ქვეყანას ჰქონდა მინიჭებული — გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, ჰოლანდიას და დანიას. შარშან მათ რიცხვს ფინეთი, ავსტრია და შვეიცარიაც მიემატნენ.

ინგლისშიც კი მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული მხოლოდ A კატეგორიას თუ მიიღებს. ასეთ დროს მგონი, სასაცილოც კია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველ ლიცენზიანტს ევროპაში სამუშაო გარანტირებული ექნება.

ამ მხრივ სამი წლის წინ, ახალკაცის სიცოცხლეში უდავოდ კარგად გვქონდა საქმე, საქართველო A კატეგორიის მიღების მიჯნაზე იმყოფებოდა, მაგრამ ეს პროცესი მაშინ აღარ გაგრძელებულა. ფაქტობრივად სამი წელი გაცდა. ეს კი ამ საქმისთვის უზარმაზარი ვაკუუმია და ყოველივე თავიდანაა დასაწყები.

კონვენციაზე ხელმოსაწერად კი მარტო შთამბეჭდავი პროგრამა არ კმარა. უეფა უნდა დარწმუნდეს ელემენტარულად იმაში, თუ რამდენად განხორციელებადი იქნება იგი ჩვენში, ამ პროცესს კი დრო და შესაძლებლობები, პირველ რიგში პროფესიონალი ლექტორები სჭირდება, ასე რომ თბილისში ლიცენზიამიღებული მწვრთნელის ინგლისში, გერმანიაში, თუნდაც ნორვეგიაში უმაღლეს დონეზე მოღვაწეობისთვის ჯერაც ხანგრძლივი გზაა გასავლელი.

**ბაადა ძგანტალიანი**





ლევან ქებაძე: ექსირაკლისელი „იანინადან"

# ქებაძეს ირაკლისი აფერხებ...

**თავის** დროზე „ჭაბუკიანის", მერე და მერე „მარგვეთის", „ტორპედოს", „გორდას", „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ფორვარდი ლევან ქებაძე, ალბათ გახსოვთ, ახლა საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ბერძნებმა, უეფას თასის „ლოკომოტივ" — პაოკ-ის თბილისური მატჩის დროს შენიშნეს და იქაურმა „ირაკლისმაც" თავისთან მიიწვია.

ქებაძეს „ირაკლისის" მაისურით ბევრი მატჩიც არ უთამაშია, გოლიც მხოლოდ 4 გაიტანა, მაგრამ ჩვენებურის ბოლო მონაგარი ბერძნული კლუბისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა.

უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლ „ირაკლისს" სწორედ ლევანის გოლმა მოაგებინა გადათამაშება და „ირაკლისმაც" უეფაზე ითამაშა.

ვერ გეტყვით რა ჩაიფიქრეს ბერძნებმა, მაგრამ ფაქტი ერთია, ქებაძე „ირაკლისმა" უმაღლესი ლიგის „იანინაში" გაანათხოვრა.

დაიწყო ახალი ცხოვრება. „იანინა" საბერძნეთის თექვსმეტგუნდა ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზეა, ხოლო ქებაძე მის შეუცვლელ მოთამაშედ იქცა.

სულ თორმეტი მატჩი ითამაშა ლევანმა ახალ გუნდში, 6 სათასო და ექვსიც ჩემპიონატის. 4 მატჩში ჩვენებური „იანინას" ცენტრალური თავდამსხმ... იყო, მერე მწვრთნელმა მარცხენა ფლ... ნგი ჩააბარა და თავისი საუკეთესო მ... ტჩიც ნახევარდაცვის ფლანგზე ჩაატ... რა ჩვენებურმა.

„იანინა" — „პანათინაიკოსის" და... რისპირება სტუმართა გამარჯვებით და... სრულდა, არადა მასპინძლები 84-ე წ... თამდე 1:0-ს იგებდნენ. დარჩენილ ექვ... წუთში კი ორი გოლი გაუშვეს. სწო... რედ იმ მატჩში მიიღო უმაღლესი შ... ფასება ლევანმა. ჩვენმა ბერძენმა კოლ... გებმა ქებაძის ნაშრომი ათიანით შ... ფასეს.

ახალ გუნდში ლევანს 3 გოლი აქ... გატანილი და სამივე სათასო თამაშ... ბში. „ირაკლისი" კი რატომღაც უც... ურად იქცევა, ჯერ არ გასწორებია ქ... რთულ მხარეს, არადა, ათი თვეა ქარ... თველი ფეხბურთელი საბერძნეთში თა... მაშობს.

არ არის გამორიცხული, „ირაკლის... მა" ქებაძე დეკემბერშივე დაიბრუნო... თუ არა და გაზაფხულზე აუცილებლ... დო...

ამასობაში ქართველით ომარ თეთრა... ძის პაოკ-ი და ჩემპიონთა ლიგის მეორ... ჯგუფურ ეტაპზე გასული ათენის „პა... ნათინაიკოსიც" დაინტერესდნენ. ვნახო... რას მოიფიქრებს „ირაკლისი".

**დათო დანელი...**

# აი, ამხანაგური!..

**წუხელ** ევროპაში 14 ამხანაგური მატჩი შედგა. ერთი ასეთი შეხვედრა ჩვენშიაც გამართეს, ოღონდ...

ფოთში გამართულ ბურთაობას მხოლოდ ამხანაგური არ ეთქმის. იქაური „კოლხეთისა" და აფხაზეთის ნაკრების მატჩს სხვა დატვირთვაც ჰქონდა, ქველმოქმედება, გახსენება, მოფერება...

როგორ ფიქრობთ, შეხვედრა რა შედეგით უნდა დასრულებულიყო? ცხადია, ფრედ არა? ასეცაა. „კოლხეთი" — აფხაზეთის ნაკრები 2:2 მორჩა.

ამჟამად „ლოკომოტივი 3"-ში მოთამაშე და რკინიგზელთა ძირითადი გუნდის განაცხადში შეყვანილმა დავით ნაროუშვილმა ანგარიში მაშინ გაათანაბრა, როცა მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი იწურებოდა.

მანამდე თავი ჯერ ლევან შავგულიძემ გამოიჩინა, რომელსაც დინამოელმა თენგიზ სიჭინავამ უპასუხა, ცხადია საჯარიმო დარტყმით... „კოლხეთი" ნიჭიერმა ახალწვეულმა დავით კვირკველიამ დააწინაურა. ნაროუშვილის მეორედ გათანაბრებულზე კი ზემოთაც გითხარით.

კოლხთა თავკაც სოსო ფილიას გუშინდელ შეხვედრაში ძირითადად ახალგაზრდები გამოუცდია, თუმცა მეორე ტაიმში რამდენიმე „ძველგვარდიელსაც" უხმო.

აი, აფხაზეთის ნაკრების მწვრთნელი ბონდო კაკუბავა კი თბილისის „დინამოსთან" მარცხნაწვნევ ქუთაისის „ტორპედოს" დაულალატებია, რომელსაც ვალტერ გუჩუა, ბადრი ახვლედიანი და ჯონი შალამბერიძე არ გაუშვია, „ბათუმთან" უპრინციპულესი მატჩი გვაქვს და გვიჯობს ჩვენთან დარჩნენო.

კაკუბავასაც რა უნდა ექნა, სასწრაფოდ მეორელიგელ „ზუგდიდში" მოთამაშე ზაზა ღურწკაია და ლაშა ყოლბაია გამოიძახა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მურად ანჯაფარიძემ ჩინებული მასპინძლობისთვის ფოთელებს დიდი მადლობა უთხრა. განსაკუთრებით „კოლხეთის" პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა გამოჰყო. და რა ქნეს ინაიშვილ-ქოიავამ? რა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სახელზე 2 500 ლარი გადარიცხეს. ეს თანხა სოხუმის „ცხუმსა" და დევნილ ბავშვთა ფეხბურთს მოხმარდება.

**გიორგი ბუზაძიძე**



მამუკა დარჩიას ფოტო

აფხაზეთის ნაკრებს დაუბრუნდა ტორპედოელი ვალტერ გუჩუა

# არსენალი — ხიზანიშვილი: შაბათიდან შაბათამდე

**თბილისის** „ლოკომოტივის" მცველ ზურაბ ხიზანიშვილს, რამდენიმე დღ... ლონდონის „არსენალში" რომ ვარჯიშობდა და ინგლისელებმა უკანვე გამოი... ტუმრეს, ალბათ მოგეხსენებათ, სიტყვაც გამოატანეს, ჩვენი მთავარი სკაუ... სტივ როული უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვა, შენს თამაშს ეროვნულ... ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში დააკვირდება და საბოლოო პასუხსაც ამის შემდ... გეტყვითო.

პირვანდელი ინფორმაციით როული ხიზანიშვილის საქმეში სანახავად, წინ... კვირას უნდა ჩამოსულიყო და რუსთავში „გორდა" — „ლოკომოტივის" შეხვე... დრას დასწრებოდა, მაგრამ აქამდეც გამცნეთ, ინგლისელებმა თავიანთი გეგ... შეცვალეს. აი, გუშინწინ კი შემოთვალეს, თუ რამ გაუთვალისწინებელი ა... მოხდა, როული 18 ნოემბრის დილას გესტუმრებათო. სწორედ შაბათს „ლოკომო... ტივი" თსუ-ს მასპინძლობს.

„არსენალის" სკაუტი თბილისში თუ ჩამოვა, არა გვგონია, მხოლოდ იმიტო... რომ ხიზანიშვილის თამაში ნახოს. ბოლოს და ბოლოს თავად არსენ ვენგერი ა... დაესწრო იტალია — საქართველოს შესარჩევ მატჩს?..

როულის თბილისში ჩემოსვლის უმთავრესი მიზეზი, ვფიქრობთ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებთან ხიზანიშვილის ტრანსფერის პირობებზე შეთანხმება უნდ... იყოს.

გამორიცხული კი არც ის გახლავთ, როული არც ამ შაბათს ჩამოფრინდეს...

**ლუკა თალაკვაძ...**

# ვიმეგობროთ!
# ასე უფრო იოლია სიკვდილი



მსაჯები ფიზიკურად და მწვრთნელ-ფეხბურთელებთან სამეგობროდ ემზადებიან

ყველა საქმეს ცოდნა უნდა — ჭე-მარიტი ნათქვამია, მაგრამ ჩვენში, სა-ერთო ყოფიდან გამომდინარე, საქმის ...თებას დაბრკოლებები უშლის ხელს. მსაჯობას, როგორც ხელობას, ჯერ ...სად აქვს პროფესიონალური სტა-...უსი. ამ თემაზე ფიფა-უეფაშიც მიმ-...ინარეობს სჯა-ბაასი, მაგრამ ჯერჯე-...ობით ყოველივე ძველებურადაა და, ...ობათ, ასეც უნდა იყოს. ქართველი ...საჯები დღევანდელი გაჭირვების კვა-...ობაზე საკმაოდ ნორმალურ ანაზღა-...რებას იღებენ, მაგრამ აქვთ კი მათ ...ვა ცხოვრებისეული სახსარი? ერთი-...ორი გამონაკლისის გარდა, ქართველი ...ავონნები მხოლოდ მსაჯობით თუ ირ-...ენ თავს და შესაბამისად, დამოკი-...ებულნი არიან იმათზე, ვინც მათ ქი-...აობს და სამუშაო ადგილს აძლევს. ...ცალსახად ძნელია ამის დაჟინებით ...ტკიცება, მაგრამ ჩვენი არბიტრები მა-...ნც გარკვეულ ხალხსა და გარემოე-...ბს ემორჩილებიან. ალბათ, ამიტომაც ...რიდებიან ფიფა-უეფაში მსაჯებისთვის ...როფესიონალური სტატუსის მინიჭე-...ს. პიერლუიჯი კოლინასა თუ მა-...კუს მერკს, უეჭველია, ექნებათ სხვა ...რანაკლებ სოლიდური შემოსავლის ...ყარო და მატჩებსაც გაცილებით ლა-...ად, თავისუფლად უძღვებიან, ვიდრე, ...თქვათ, მათი ქართველი კოლეგები.

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა ...უნდა, მხოლოდ ერთი მხარეა ამ მე-...ად საპასუხისმგებლო საქმეში, მა-...რამ ჩვენი თანამედროვე ყოფაც რომ ...ვერ რამეს განაპირობებს, ეს ცხადზე ...ცხადია.

არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ ...ჩვენი მსაჯები ფრთოსნები არ არიან. ...სხვა საქმეა, რომ შავოსნებს ხშირად ...უსამართლოდ აკრიტიკებენ, ლანძღა-...ენ და ფიზიკურ შეურაცხობასაც აყე-...ნებენ.

გუნდების ოსტატობასა და კლასზე ...ა მოგახსენოთ, მაგრამ XII ეროვნუ-...ლი რომ დაძაბულად და საინტერესოდ ...მდინარეობს, წყალი არ გაუვა. ბუნე-...რივია, ასეთ სიტუაციაში მსაჯებს ...უფრო დიდი ჯაფა დაადგათ და ამ ...ბოლო დროს ისეთი ტენდენცია შეი-...ქმნა, რომ გუნდის პრეზიდენტი, მწვრ-...თნელი თუ ფეხბურთელი, ყველა მსა-...ჯებისკენ იშვერს ხელს.

მე-13 ტურის ექვსი მატჩიდან ხუ-...თში შავოსნების მიმართ კვლავ დიდი ...პრეტენზიები გამოითქვა. ზოგს ლო-...ობა დააბრალეს, ზოგს — მიკერძოე-...ა, ზოგს ქვები დაუშინეს...

გუშინ ეროვნულზე მორიგი მეცა-...დინეობა ჰქონდათ მსაჯებს ფიზმომზა-დებაში. ჩვენს შავოსნებს საკუთარი ჯი-ბიდან გაუღიათ თანხა, რათა სპეცია-ლისტს ეხელმძღვანელა ამ პროცესი-სთვის — ვეტერანმა მძლეოსანმა ერ-მალო ურუშაძემ მართლაც გვარიანად ადინა ოფლი არბიტრებს, რომლებმაც ამის შემდეგ თავად მოინდომეს ჩვე-ნთან, ჟურნალისტებთან გასაუბრება.

მსაჯები დაუცველნი ვართ, ჩვენი გა-მომქომაგებელი არავინაა, პოლიცია ხან ძალიან ინერტულად ირჯება, ხან — სულაც გულგრილად, როცა მავანი ჩვენს ფიზიკურ შეურაცხყოფას ლა-მობსო. მაგალითისთვის ის ამბავიც გა-იხსენეს, როცა ალექსანდრე მეშკოვი ხობში „კოლხეთ“ — „იბერიას“ შარ-შანდელი მატჩისას უმოწყალოდ სცემეს.

დაახლოებით ერთი თვის წინ კი ხო-ბშივე პოლიციის პოლკოვნიკი სფფ-ის ინსპექტორად გამწესებულ მალხაზ კობიაშვილის ოთახში შეიჭრა და ცე-მით დაემუქრა მას. ერთი სიტყვით, მსა-ჯთა კორპუსი მეტად განაწყენებულია წესრიგის დამცველზე (თუმც ამ საკი-თხის მოსაგვარებლად სფფ-მ ოფიცია-ლურად მიმართა პოლიციას, რომელმაც მსაჯთა დაცვა და საერთოდ, ეროვნუ-ლი ჩემპიონატის მატჩებზე წესრიგის დამყარება პოლკოვნიკ ლევან ხოზრევა-ნიძეს მიანდო).

მასმედიას ვთხოვთ, ისეთ ფონს ნუ შექმნის, ყველაფერი მსაჯებს გვბრა-ლდებოდეს და განტევების ვაცებად გა-მოვდიოდეთ, ამაში პრესას არცთუ უმ-ნიშვნელო როლი აკისრია და მისი დი-დად გვეიმედებაო.

სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კო-მიტეტის ხელმძღვანელმა ანატოლი მი-ლჩენკომ და საექსპერტო-საკვალიფიკა-ციო კომიტეტის უფროსმა კარლო ყრუ-აშვილმა ცალკე მოიხმეს ახალდაფრ-თიანებული მსაჯები. ამ ხალხს განსა-კუთრებით მიგვიხედეთ, სტიმული მი-ეცით, რადგან ეს ბიჭები მთელს სულსა და გულს დებენ საქმეშიო, გვითხრეს ჟურნალისტებს და კარლო ყრუაშვი-ლმა თავისი შეგირდები გააფრთხილა კიდეც, ოღონდ ისე ნუ იზამთ, რომ აკ-აკი წერეთლის გამზრდელივით თავი მოსაკლავი გაგვიხდესო.

გუნდების ხელმძღვანელებსა და მწ-ვრთნელებზეც ითქვა, უცოდველნი არც ისინი არიანო. მაგალითად, როცა წინა ჩემპიონატში მეორე ეტაპისთვის რვა საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, ისინი, ვინც ევროტურნირებისთვის არ იბრ-ძოდნენ, უხვად არიგებდნენ ქულებს და არაა გამორიცხული, რომ მსგავსი [illegible] ლაც განმეორდესო. შავოსნებ[illegible] ლიგასაც გადასწვდნენ — ზოგიერთმა გუნდმა უკვე დაიბევა ექვსეულში მო-ხვედრა, მაგრამ ყველა როდი მიილტვის უმაღლესი ლიგისკენ და ქულებს, ალ-ბათ, ისინიც ბლომად გასცემენო. ხელ-მოცარული მწვრთნელები კი გუნდე-ბის პრეზიდენტებთან თავს მხოლოდ იმით იმართლებენ, რომ მსაჯებმა „და-წვეს“.

მსაჯებმა ფეხბურთელებზეც თქვეს ერთი-ორი სიტყვა. ზურაბ ანიაშვილმა, რომელსაც რუსთაველებმა ნასვამ მდ-გომარეობაში მსაჯობა დააბრალეს, გა-ნაცხადა, „გორდას“ ფეხბურთელებს, ალბათ, იმიტომ მოვეჩვენე შეზარხო-შებული, რომ მასპინძლებს არანაირი შეღავათი არ გავუწიე და ყვითელი ბარათებიც უხვად ვუფრიალეო.

ტურის ცენტრალური მატჩი იმსა-ჯა მერაბ მალალურაძემ და ასეთი ამ-ბავიც გვიამბო:

— როცა ცუდ ფიზიკურ ფორმაში ვიყავი, კუს ტბაზე დავრბოდი. იქ ხში-რად ვარჯიშობდა ერთ-ერთი დინამოე-ლი, რომელმაც „ტორპედო“ — „დინა-მოს“ მატჩისას მითხრა, ჩვენ არაქათი გამოგვეცალა, შენ კი რა, კიდევ კუს ტბაზე დარბიხარო. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ დინამოელები ფიზიკუ-რად მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ. საერთო ჯამში კი მინდა, გითხრათ, ამ ბოლო დროს მსაჯების წინააღმდეგ კა-მპანიის გააქტიურება იმის ბრალია, რომ ჩვენი მბრალდებელნი თვითონ ვერ დგა-ნან სათანადო დონეზე.

ფაქტობრივად, იგივე აზრისა გახლ-დათ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტე-ტის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გუნთაძე:

— ფეხბურთელებს და კიდევ ვი-ლაც-ვილაცეებს მსაჯები ყველაფერში ვჯობნივართ. კერძოდ, ფეხბურთისადმი, საქმისადმი მიდგომაში, ჩვენ ყველაფერს უფრო დიდი პასუხისმგებლობით ვეკი-დებით. შეცდომები, რა თქმა უნდა, გვა-ქვს, მაგრამ მსაჯიც ხომ ადამიანია.

მსაჯებს აგრესიულობას ვერ შეამ-ჩნევდით, არც ვინმესთვის გულის აჩუ-ყება უცდიათ.

ბანალურად კი ჟღერს, მაგრამ ეს მაინც საქმიანი საუბარი იყო და ჩვენს ფეხბურთში წარმოჩენილი პრობლემე-ბიც არ არის მხოლოდ მსაჯების ბრა-ლი. ტყუილუბრალოდ როდი მოიშვე-ლია ანატოლი მილჩენკომ ვასილ შუ-კშინის სიტყვები: „ვიმეგობროთ, ასე უფრო იოლია სიკვდილი“.

**დავით თავართქილაძე**

# ზურაბ ანიაშვილი:
# თვენახევარია, წვეთი არ დამილევია!



შაბათის „გორდა“ — „ლოკომოტივი“ 0:1. ზურაბ ანიაშვილი: წინ სათადარიგო არბიტრი, უკან პოლიციელი

— **მსაჯი** მთვრალია — გაისმა შაბათს „ფოლადზე“, „გორდა“ — „ლო-კომოტივის“ შეხვედრისას.

გორელ არბიტრ ზურაბ ანიაშვილს სერიოზული ბრალდება წაუყენა მატჩის სტუმარ-მასპინძელმა. ორივე გუნდის ფეხბურთელები და „გორდას“ მწვრთ-ნელები შესვენებაზე და მატჩის მერეც ამბობდნენ, რომ გორელი არბიტრი მთ-ვრალი იყო. ამის დამტკიცება ვერავინ შეძლო, რადგან სიმთვრალის ტესტი არც არავის ჩაუტარებია.

მომხდართან დაკავშირებით გუშინ ზურაბ ანიაშვილს და „გორდა“ — „ლო-კომოტივის“ მატჩის ინსპექტორს კარ-ლო ყრუაშვილს დავუკავშირდით.

**ზურაბ ანიაშვილი:**

— ეს ცილისწამებაა, აბსურდულია იმის მტკიცება, რომ მთვრალი ვიყავი. სულ ცოტა, თვენახევარია ერთი წვეთიც კი არ დამილევია. თითოეული მატჩის წინ საგულდაგულოდ ვემზადები და ას-ეთ დროს სასმელს როგორ მივეკარე-ბოდი. გაოცებული დავრჩი მომხდარით, ეს პროვოკაცია იყო და მათ სინდისზე იყოს.

**— მატჩის შემდეგ შემოწმებას გი-პირებდნენ მასპინძლები, რატომ გადა-იფიქრეს?**

— რეგლამენტი ამას არ ითვალის-წინებს, მაგრამ შემოწმებაზე მაინც და-ვთანხმდებოდი და ჩემს სიმართლეს და-ვამტკიცებდი. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ და ალბათ ამიტომაც „მიივიწყეს“ ყველაფერი.

**კარლო ყრუაშვილი:**

— პირველი ტაიმის შემდეგ პოლი-ციელთა რაზმის ხელმძღვანელმა და „გორდას“ მწვრთნელებმა მითხრეს, მსა-ჯი მთვრალიაო, გავოცდი. ასეთი რამ ნამდვილად არ გამომეპარებოდა. ზურაბი პროფესიონალია და ამის უფლებას თა-ვის თავს არ მისცემდა. მის სიმართ-ლეში რომ დავრწმუნდი, მასპინძელთა წარმომადგენელი ვიხმე გასახდელში. ავუხსენი მათი პრეტენზიის აბსურდუ-ლობა და როგორც ჩანს, დავაჯერე, რადგან შემდეგ ამ თემაზე აღარაფერი თქმულა.

**— ოქმში თუ დააფიქსირეთ მომხ-დარი?**

— ოქმში დავაფიქსირე, რომ მატჩის დროს იყო გინება მსაჯების მისამარ-თით.

**— ის თუ დააფიქსირეთ, რომ ანიაშვი-ლს უსამართლო ბრალდება წაუყენეს?**

— არა, ამის შესახებ არაფერი და-მიწერია...

**— რატომ?**

— რა ვიცი, არ ჩავთვალეთ საჭიროდ...

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსის ანატოლი მილჩენკოს კომენტარიც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

**ანატოლი მილჩენკო:**

— ანიაშვილს სავსებით ვენდობი. იგი საქმეში ულალატოა და მჯერა, რომ უბრალოა. აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მსაჯის ლაბორატორიუ-ლი შემოწმების მცდელობა იყო. ამგ-ვარი რამ ფიფა-უეფას რეგლამენტითაც კი დაუშვებელია. თანაც ერთი ნიუან-სიცაა გასათვალისწინებელი. არსად არ არის მითითებული, რომ მატჩის წინ სასმელის მიღება აკრძალულია მსაჯი-სთვის. მსაჯი უბრალოდ მთვრალი არ უნდა იყოს, მთვრალს და ნასვამს შო-რის კი დიდი სხვაობაა.

ქართველ მსაჯთა დამმოძლვრავს ვე-რაფრით დავეთანხმებით. მსაჯებს აკრ-ძალული აქვთ თუ არა, მთვრალია, თუნ-დაც ნასვამიაო, ამის თქმის საბაბი არა-ვის უნდა მისცენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# მაგას აღარავინ დაელაპარაკება



ბოლო თვეა, „ვესტ ჰემის“ ახირებული იტალიელი ფორვარდი პაოლო დი კანიო საკუთარ გუნდს მისდგა. ჯერ იყო და მწვრთნელ ჰარი რედნაპზე თქვა, მეტისმეტად თავისნათქვამა კაცია და არაფერს მიჯერებსო, ამ დღეებში კი გამოაცხადა, ჩემი 22 წლის თანაგუნდელი რიო ფერდინანდი ვერაფერიშვილი მოთამაშეა და ამხელა სახელი რატომ შეუქმნეს, ვერ მივხვდიო. „არც რიო და არც ჯო კოული ჯერ ნაკრებში თამაშის ღირსნი არ არიან, მათ შესახებ კი უკვე ზღაპრებს თხზავენ, თითქოს ვარსკვლავები იყვნენ“ — თქვა დი კანიომ.

ამ ნათქვამმა აღაშფოთა „ვესტ ჰემის“ მენეჯერი ჰარი რედნაპი: „ბოლო ხანია, პაოლო რალაცეებს ამბობს. ის ბევრს ილებს საკუთარ თავზე. მე ყოველთვის ალტაცებული ვიყავი მისი თამაშით და როგორც ფეხბურთელი, ახლაც ძალიან მომწონს, თუმცა ასე რატომ იქცევა, ვერ გამიგია. ვიცი, რომ მისმა ნათქვამმა რიოს გული ატკინა. პაოლო ისე ირჯება, თითქოს მხოლოდ თვითონ თამაშობდეს ფეხბურთს. ვგრძნობ, პირდაპირი საუბარის დრო დგება. გულახდილად ვილაპარაკებთ და მერე გამოჩნდება. ასე თუ გაგრძელდა, მას გუნდში აღარავინ დაელაპარაკება და ეს აღარ უნდა ეწყინოს. „ვესტ ჰემში“ კარგი გულის ბიჭები თამაშობენ და ჩვენ საუცხოო გუნდური სული გვაქვს. ისინი მხოლოდ გუნდელები კი არა, მეგობრებიც არიან და მე ვერ დავუშვებ, რომ ვილაცამ წყალი აამღვრიოს“.

ამის მიუხედავად, რედნაპს არ უნდა უკიდურესი ზომების მიღება და იტალიელის გაყიდვა, თუმცა თუ სხვა გზა არ ექნა...

**ირაკლი გამყრელიძე**

# მართალი არსენა

## ტორპედო-ანჟის მსაჯს გადაწყვეტილება მოუწონეს

„ვერ წარმოვიდგენდი, თუ მოსკოვში ასეთი განუკითხაობა იყო. სტადიონზე ამდენი პატივცემული ხალხი შეიკრიბა და მათ თვალში ნაცარი შეაყარეს. საინტერესოა, ვისთვის ვთამაშობთ ფეხბურთს, მსაჯებისთვის? საფეხბურთო კავშირში პროტესტი შევიტანეთ და ვეცდებით, სიმართლე დავამტკიცოთ, თუმცა წარმატების ნაკლებად გვჯერა“ — იცოდა, რასაც ამბობდა მახაჩყალის „ანჟის“ ვიცე-პრეზიდენტი აივაზ კაზიახმედოკი: რსკ-ს სადისციპლინო კომიტეტმა დაღესტნელთა ჩივილი არაფრად ჩააგდო. უფრო მეტიც, 10 ათასი რუბლით დააჯარიმა მატჩის დროს არასპორტული საქციელის გამო. ამდენივეს გადახდა მოუწევს მოსკოვის „ტორპედოსაც“, ოლონდ მაყურებელთა ცუდი ქცევის საკომპენსაციოდ.

სამსაჯო-საექსპერტო კომისიამ კი დაადგინა: როსტოველი მსაჯი იური კლუჩნიკოვი სწორად მოიქცა, როცა „ანჟის“ კარში პენალტი დანიშნა, შესაბამისად, მახაჩყალელთა პრეტენზიები გაუმართლებელიაო.

შეგახსენებთ, რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტორპედო“ „ანჟის“ მასპინძლობდა. ამ მატჩს ბრინჯაოს მედალოსნის ვინაობა უნდა გაერკვია. მოსკოველებს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდათ, მახაჩყალელებს კი ფრეც ჰყოფნიდათ. თამაში მთავრდებოდა, ანგარიში კი 1:1 იყო. მესამე წამატებულ წუთზე (ანჟელთა ვერსიით, მეოთხეზე) მსაჯმა სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, მცველ არსენ აკაევს ბურთი ხელზე მოხვდაო. ანჟელები აღშფოთდნენ და თამაშის მიტოვებასაც აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს პენალტიც დაირტყა და ბრინჯაოც „ტორპედოს“ დარჩა.

აკაევმა კავკასიური გულუბრყვილობით მაშინვე თქვა, დედას გეფიცებით, ხელზე არ მომხვედრიაო. თანაგუნდელებიც კვერს უკრავენ, ჯერ ერთი, კაცმა დაიფიცა და მეორეც, ხელზე რომ მოხვედროდა, გასახდელში მაინც აუცილებლად გვეტყოდაო. მაგრამ ულვაშის ნამუსიანობის და ფულისა, აბა ვილას სწამს.

„ანჟის“ მთავარ მწვრთნელ გაჯი გაჯიევს კი, რომელმაც შაბათს, მატჩის წინა დღეს თავი შეუძლოდ იგრძნო და საავადმყოფოში დააწვინეს, ოთხშაბათს გულის შეტევა მოუვიდა და რამდენიმე კვირას კლინიკაში გაატარებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# დელ ბოსკე ელგერას არიგებს



დელ ბოსკე: სიტყვის თავისუფლება კარგია, მაგრამ...

სამშაბათს ვწერდით, რომ ივან ელგერამ უკმაყოფილება გამოთქვა „რეალის“ ხელმძღვანელობისა და კერძოდ ვისენტე დელ ბოსკეს მიმართ. საგაზეთო ინტერვიუში ის ამბობს: „სასტარტო შემადგენლობაში ფაქტობრივად არ მაყენებენ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი ხელს არ მაძლევს. ყოველ ტურში მინდა თამაში და „რეალში“ თუ არ მომცემენ ამის საშუალებას...“

ელგერას განცხადებაზე კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ კომენტარის გაკეთება არ ისურვა და დაამატა, ამ საკითხზე არც ფეხბურთელთან ვაპირებ საუბარსო და შეფასება დელ ბოსკეს გადააბარა.

გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მწვრთნელი ამბობს: „ის, რომ ელგერას სასტარტო შემადგენლობაში სურს ყოფნა, გასაგებია და მისაღები — უამბიციო ფეხბურთელი ვერაფერს მიაღწევს და „რეალსაც“ არ სჭირდება. არც ისაა საკამათო, რომ ნებისმიერ ადამიანს საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმის უფლება აქვს, მაგრამ საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ: როცა ელგერა ასეთ მოთხოვნას გვიყენებს, უნდა ხვდებოდეს, რომ მწვრთნელსაც და თანაგუნდელებსაც შეურაცხყოფას აყენებს. რა, ათვალწუნებული მყავს და ამიტომ არ ვათამაშებ? მასთან მუდამ საუკეთესო ურთიერთობა მქონდა და ახლაც ასეა. საერთოდ კი შემადგენლობას მარტო მე არ ვირჩევ, სამწვრთნელო შტაბის რჩევებს ვითვალისწინებ. ამასთანავე, ელგერას სიტყვებიდან გამოდის, რომ მასზე ნაკლებად ღირსეულ ფეხბურთელებს ვათამაშებთ და განა ეს გუნდში დაძაბულობას არ გამოიწვევს? ამიტომ საკუთარი ინტერესების დასაცავად არც კლუბის ინტერესების ხელყოფა შეიძლება და არც მეგობრების მომდურება ღირს“.

**გიორგი დარჯანია**




ფრანგული „სტრასბურის“ მწვრთნელის პოსტს პრაღის „სპარტას“ თავკაც ივან ჰაშეკს სთავაზობენ. სტრასბურული კლუბი ამჟამად კრიზისშია, 15 ტურში 12 ქულა დააგროვა და ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება. იმასაც ამბობენ, რომ მწვრთნელი რობერ ლე რუა, შესაძლოა, გადადგეს. ჰაშეკმა კი „სპარტა“ ზედიზედ ორჯერ გახადა ჩეხეთის ჩემპიონი, თანაც, ბოლო ორი სეზონი პრაღელები ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ, თუმცა სულ ახლახან ლიგის გათამაშებას გამოეთიშნენ და ვერც უეფას თასზე გავიდნენ.

**კამერუნელმა მოდესტე მბამიმ „სედანთან“ კონტრაქტი გააფორმა. 18 წლის ფეხბურთელი სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანია, მან ბრაზილიას მეოთხედფინალში „ოქროს გოლი“ გაუტანა. კამერუნელი ფრანგულ კლუბში 2004 წლამდე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ მბამიმ სარეზერვო გუნდში ერთი შეხვედრა უკვე ჩაატარა, თუმცა უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს.**

ინგლისელმა მცველმა სოლ კემპბელმა ტრავმა მოიშუშა და რამდენიმე დღეში ვარჯიშს განაახლებს. იმედოვნებენ, რომ ნაკრების მცველი „ტოტენჰემში“ დეკემბრის დასაწყისიდან ითამაშებს. „ამ სეზონში საკმარისი დრო დარჩენილი. უთამაშებლობა მომწყინდა. ერთი სული მაქვს, მინდორზე როდის გავალ. ვიმედოვნებ, რომ საშობაოდ სრულ ფორმაში ჩავდგები“ — განაცხადა კემპბელმა.

**შვედი მეკარის მაგნუს ჰედმანის შეძენა „არსენალმა“ განიზრახა. სააგენტოების ცნობით, ლონდონური კლუბი თანახმაა, „ქოვენთრის“ მის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ჰედმანი შვედეთის წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამჟამად იგი ტრავმირებულია, „ქოვენთრის“ კარს კი 19 წლის კრის კირკლენდი იცავს. ისიც აღვნიშნოთ, რომ არსენ ვენგერი ცოტა ხნის წინ „ფეიენოორდის“ პოლონელ გოლკიპერს, ირჟი დუდეკს იწვევდა.**

დანიური „ფრამის“ ზოგიერთი მოთამაშე ევროპის სხვადასხვა კლუბში ისინჯება. ერთ-ერთი მათგანი კევინ სტურ ელეგაარდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოხვდა. დანიის 18-წლამდელთა ნაკრების მეკარემ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდში ორჯერ ივარჯიშა და არ გამორიცხავენ, რომ იგი ბრიტანეთში დარჩეს. აღსანიშნავია, რომ კევინს ადრე „ჩარლტონში“ იწვევდნენ.

**არგენტინელმა ნახევარმცველმა ხავიერ ძანეტიმ მუხლის ტრავმა მოირჩინა და შაბათს „პერუჯას“ წინააღმდეგ ალბათ ითამაშებს, „ინტერის“ იუგოსლავიელმა ნახევარმცველმა ვლადიმირ იუგოვიჩმა კი მუხლის ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ ორ კვირას გააცდენს.**

ტაილანდის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ინგლისელ მწვრთნელ პიტერ უაიტს კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა. „ასტონ ვილას“ ყოფილმა თავდამსხმელმა ტაილანდის ნაკრები ორი წლის წინ ჩაიბარა და ტაილანდელთა ეროვნული გმირი გახდა: ნაკრებს ბრუნეიში გამართულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშები მოაგებინა, აზიური თამაშების ფინალში გაიყვანა და ლიბანში ახლახან დასრულებულ აზიის თასის ფინალში ათამაშა. უაიტი პასუხისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და ამბობს, ინგლისში რალაც პრობლემები მაქვს მოსაგვარებელი და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებო.

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

ფიფა — კოკა კოლას გუშინ გამოქვეყნებულ მორიგ რეიტინგს სათავეში კვლავ ბრაზილიის ნაკრები უდგას. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, გასულ თვეში იტალიასთან მარცხმა ის მხოლოდ ორი საფეხურით ჩამოაქვეითა და ახლა ჩვენი ეროვნული გუნდი 62-ე ადგილზეა.

| ადგილი | ადგილი წინა თვეში | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 818 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 801 |
| 3 | 3 | არგენტინა | 762 |
| 4 | 4 | ჩეხეთი | 748 |
| 5 | 6 | იტალია | 746 |
| 6 | 5 | ესპანეთი | 742 |
| 7 | 7 | პორტუგალია | 740 |
| 8 | 8 | გერმანია | 715 |
| 9 | 10 | იუგოსლავია | 712 |
| 10 | 9 | ჰოლანდია | 711 |
| 11 | 11 | მექსიკა | 696 |
| 12 | 14 | პარაგვაი | 694 |
| 13 | 13 | რუმინეთი | 685 |
| 14 | 12 | ნორვეგია | 684 |
| 15 | 16 | კოლუმბია | 674 |
| 16 | 15 | ინგლისი | 667 |
| 16 | 17 | ხორვატია | 667 |
| 18 | 18 | აშშ | 648 |
| 19 | 19 | ჩილე | 642 |
| 20 | 25 | შოტლანდია | 637 |
| 21 | 23 | რუსეთი | 636 |
| 22 | 21 | შვედეთი | 632 |
| 23 | 22 | სამხრეთ აფრიკა | 631 |
| 24 | 20 | დანია | 625 |
| 25 | 26 | ტუნისი | 613 |
| 26 | 23 | ბელგია | 611 |
| 27 | 28 | სლოვაკეთი | 608 |
| 28 | 28 | მაროკო | 606 |
| 28 | 30 | თურქეთი | 606 |
| 30 | | ტრინიდადი და ტობაგო | 597 |
| 64 | 62 | საქართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰაიკო და სანგიტა



BILD

28 ოქტომბერი. დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი 1:2. ჰერლიხმა ბურთი ვერ დაინახა და ფეხი ააცილა. ამის გამო ქომაგებმა გვარიანად გამოლანძღეს

# ცრემლიანი სიჩუმე

## ითამაშეთ ჩემთვის, სთხოვს ჰერლიხი თანაგუნდელებს

„დღეს თუ საკადრისად ვერ ვითამაშეთ, ნუ დაგვძრახავთ, რადგან გუნდს არც ხასიათი აქვს და არც სულისკვეთება. ყველანი ჩვენს მეგობარ ჰაიკო ჰერლიხზე ვფიქრობთ და ვწუხვართ" — კოპენჰაგენში ჩასულმა რუდი ფიოლერმა ეს სიტყვები დანიისა და გერმანიის ეროვნული გუნდების ამხანაგური მატჩის წინ თქვა. ასეა, გერმანიაში კრისტოფ დაუმი თუ ული ჰიონესი და მათ გარშემო ამტყდარი სკანდალი ყველას დაავიწყდა. ახლა მთავარი სალაპარაკო თემა „დორტმუნდის" თავდამსხმელ ჰაიკო ჰერლიხის მძიმე დაავადება გახლავთ.

გუშინდელი „სარბიელიდანაც" შეიტყობდით, რომ 28 წლის ფეხბურთელს ორშაბათს ექიმებმა ძალიან ცუდი დიაგნოზი დაუსვეს — თავის ტვინის კიბო. ჰერლიხის სიცოცხლე საფრთხეშია.

„დორტმუნდის" ექიმებს თავდამსხმელის ჯანმრთელობაში ეჭვი პირველად გასულ პარასკევს შეეპარათ, როცა ბერლინის „ჰერტასთან" საშინაო მატჩის წინ ჰერლიხი უეცრად ცუდად გახდა, თვალები ასტკივდა და მხედველობა გაუუარესდა. ფეხბურთელი მეორე დღეს ოფთალმოლოგთან წაიყვანეს. იქ მას ვერაფერი დაუდგინეს, ამიტომ ნეიროლოგიის ინსტიტუტში გადაიყვანეს, სადაც გამოიკვლიეს და...

...28 ოქტომბერს „დორტმუნდი" შინ „კაიზერსლაუტერნს" დაუპირისპირდა და 1:2 წააგო. მასპინძლები „ვესტფალენშტადიონზე" შეკრებილმა ქომაგებმა სტვენით გააცილეს. გულშემატკივრებს რამდენჯერმე თავად ჰერლიხიც შემოელანძღათ. „კიკერმა" და „ბილდმაც" ყველაზე ცუდი შეფასება „5"-იანი დაუწერეს. ამის უმთავრესი მიზეზი ორი ასპროცენტიანი საგოლე მომენტის გაფუჭება იყო. მათგან პირველი მართლაც გასაოცარი იყო — კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილმა დორტმუნდელმა თავდამსხმელმა, ყველასათვის მოულოდნელად, ბურთს ფეხი ააცილა. „რაღაცამ თვალი მომჭრა და ბურთი ვერ დავინახე" — მოუბოდიშა თანაგუნდელებს და მწვრთნელებს ჰერლიხმა ნამატჩევს. ამ ფაქტისთვის მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია, მით უმეტეს, რამდენიმე დღეში „დორტმუნდმა" ქვეყნის თასზე სამოყვარულო „ვეენს" სწორედ ჰერლიხის გატანილი გოლით მოუგო. შემდეგ მატჩში, დორტმუნდელები მიუნხენში „ბაიერნთან" 2:6 რომ დამარცხდნენ, თავიდან მან გახსნა ანგარიში. ამის მერე, აბა, ვინ რას იფიქრებდა?

ახლა დორტმუნდელებს ახსენდებათ, რომ გასულ ხუთშაბათს, „ჰერტასთან" თამაშის წინადღეს, კლუბის ვარჯიშზე ჰერლიხი უჩვეულოდ გამოიყურებოდა. კერძოდ, სტანდარტული სიტუაციებისას და ჩაწოდებებზე ვარჯიშისას იგი ბევრ ბურთზე დარტყმას არც ცდილობდა. ან კი როგორ ეცდებოდა, როცა საწყალი თურმე ბურთსაც ვერ ხედავდა. ამის თაობაზე ჰერლიხს არავისთვის არაფერი უთქვამს. მან ეს ამბავი დამალა. „ჩავთვალეთ, რომ ჰაიკო ვარჯიშის იშტაზე არ იყო. ასეთ მდგომარეობაში მეც ვყოფილვარ, ამიტომ რაიმეს თქმა ზედმეტად ჩავთვალე, არ მინდოდა, თავი უხერხულად ეგრძნო და თავის გასამართლებელი მიზეზების ძებნა დაეწყო" — უთხრა ჟურნალისტებს კლუბის თავკაცმა მათიას ზამერმა, რომელიც უახლოეს წარსულში თავად იყო უდიდესი ფეხბურთელი და სპორტსმენის ფსიქოლოგია არ ესწავლება.

გამოკვლევის შედეგი ორშაბათს გახდა ცნობილი. თავად ფეხბურთელი, სხვა თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ბაზაზე არ იყო, შინ ისვენებდა. გუნდს კი ვარჯიში ახალდამთავრებული ჰქონდა, როცა ბაზაზე კლუბის ექიმი მიხაელ პროისი შოკირებული მივიდა. მან ჯერ კლუბის ხელმძღვანელობასთან ისაუბრა, მერე კი ფეხბურთელები შეკრიბა და ეს ამბავი ამცნო. ოთახში კარგა ხანს სამარისებული სიჩუმე იდგა, ზოგიერთ მათგანს კი თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

„მინდა, ბიჭებმა იცოდნენ, რომ დღეიდან ბრძოლას ვიწყებ, კიბო უნდა დავამარცხო. მათ არა აქვთ უფლება, შოკში ჩავარდნენ და ამაზე იფიქრონ. მათ უნდა ითამაშონ, ჩემთვის ითამაშონ" — ჰერლიხმა ეს სიტყვები იმ წერილში დაწერა, რომელიც კლუბის პრეზიდენტ გერდ ნიებაუმს გაუგზავნა. „შემეშვით, ეს ტრაგედია არ არის" — მოკლედ მოუჭრა ავადმყოფმა ფეხბურთელმა იმ ჟურნალისტებს, რომლებმაც მობილურ ტელეფონზე დაურეკეს და კომენტარი სთხოვეს.

ახლა ჰერლიხი დორტმუნდშია, თავის სახლში, სადაც მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. შვიდი წელია, სანგიტა მისი ცოლია, თუმცა შვილს დღემდე ამაოდ ელიან. ფეხბურთელის მეუღლე წარმოშობით ინდოელია. იგი „დორტმუნდის" ყველა საშინაო მატჩს ესწრებოდა და ქმარს თავგამოდებით ქომაგობდა. როგორც კი მათ თავისუფალი დრო გაუჩნდებოდათ, დასასვენებლად უმალ ტაილანდში, თავიანთ საყვარელ კურორტზე მიემგზავრებოდნენ. ახლა კი არავინ იცის, წავა თუ არა წყვილი კიდევ დასასვენებლად. ფეხბურთელს უპირველეს ყოვლისა ინტენსიური მკურნალობა სჭირდება. როდის გაუკეთდება ჰერლიხს ოპერაცია, ან გაუკეთდება თუ არა საერთოდ, ეს მას შემდეგ გადაწყდება, რაც მას დორტმუნდის ნეიროლოგიის ინსტიტუტში კიდევ ერთხელ გამოიკვლევენ.

„მე ქრისტიანი ვარ და მჯერა, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი ისე ხდება, როგორც ღმერთს სურს" — უთქვამს თავის დროზე ჰერლიხს, რომელიც ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მორწმუნე ფეხბურთელია. მას ღმერთის სიყვარული 1990 წელს ბრაზილიელმა ჟორჟინიომ ჩაუნერგა. მაშინ ორივე „ლევერკუზენში" თამაშობდა. ისინი ერთად კითხულობდნენ ბიბლიას და ყოველ ხუთშაბათს ეკლესიაში დადიოდნენ. ამ ტრადიციას ჰერლიხი ახლაც იცავს.

ფეხბურთელის კარიერა ჰერლიხმა „ფრაიბურგში" დაიწყო, რომლის ღირსებასაც ახლა სამი ქართველი მოთამაშე იცავს. 1986-89 წლებში იგი ამ გუნდში გამოდიოდა. 17 წლისა „ლევერკუზენში" გადავიდა, სადაც ოთხი წელი თამაშობდა. 1993-95 წლებში იყო „მიონხენგლადბახის" თავდამსხმელი, საიდანაც 11,5 მილიონი გერმანული მარკის სანაცვლოდ „დორტმუნდს" მიაშურა. ჰერლიხმა ბუნდესლიგაში 243 მატჩი ჩაატარა და 75 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში 26 შეხვედრა ითამაშა, ხუთჯერ კი ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო. სხვათა შორის, მისი ეროვნულ გუნდში დებიუტი თბილისში შედგა — 1995 წლის 28 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გერმანელებმა 2:0 დაგვამარცხეს. იმავე წელს იგი პირველი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მომავალ სეზონში ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა „დორტმუნდთან" ერთად. ამ კლუბთან ექვსწლიანი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს, ივნისში უმთავრდება, თუმცა „დორტმუნდი" ხელშეკრულების გაგრძელებას ახლავე აპირებს.

„ჰაიკო ბრწყინვალე ფეხბურთელია. მჯერა, იგი კიდევ შეძლებს მინდორზე გასვლას. ჩვენ ოპტიმისტურად უნდა ვიყოთ, სხვა რამის გაფიქრების უფლებაც კი არ გვაქვს. შეიძლება, მის ფეხბურთში დაბრუნებას გარკვეული დრო დასჭირდეს, მაგრამ მზად ვართ ლოდინისთვის" — გვერდზე დაუდგა ფეხბურთელს ნიებაუმი.

„ადამიანს რომ ასეთი დიაგნოზს დაგისვამენ, შიში შეგიპყრობს, მაგრამ ჰაიკო მებრძოლი სულის ადამიანია და დიდი ძალა აქვს იმისთვის, რომ სიმსივნე დაამარცხოს. იგივეს ფიქრობს თავადაც, რაც გამოჯანმრთელებაში მნიშვნელოვანად დაეხმარება. ჩვენც ეს აზრი გვასულდგმულებს" — თქვა ფეხბურთელის მამამ, ბერნდ ჰერლიხმა. „ჩემი შვილის ძლიერი ხასიათის იმედი მაქვს" — ამბობს ჰაიკოს დედა ერიკა, რომელიც ცდილობს, სასოწარკვეთილებას არ მიეცეს.

ასეთივე დღეშია სანგიტაც, ფეხბურთელის მეუღლე, რომელიც იმედს არ კარგავს, რომ მისი ქმარი ისევ დაესწრება ფორმულა 1-ის რბოლას, ისევ ისეირნებს პორშეთი, ისევ ივლის ჯინსებით და ტყავის ქურთუკით, ისევ მოუსმენს სტინგს და ისევ ეტყვის საყვარელ მეუღლეს: ტაილანდში ხომ არ წავსულიყავით?

**ვანო ოქროპირიძე**

# რუსებს ჩაგრავენ

ესპანური „სელტას" რუს ფეხბურთელ ვალერი კარპინს სასამართლოში აქვს საქმე. არა, მას არაფერი დაუშავებია, იქით სდებს ბრალს დისკრიმინაციაში. კარპინი თვლის, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია და კლუბი ჩაგრავს, როცა უცხოელად მოიხსენიებს.

აქვე აუცილებლად უნდა განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს ტერმინი „უცხოელი". ევროკავშირის 15 წევრი ქვეყნის მოქალაქეები ნებისმიერ ამ ქვეყანაში შინაურად ითვლება და უცხოელები მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში და დანარჩენი მსოფლიოს მოქალაქენი არიან. აი, მაგალითად, „ბარსელონაში" თერთმეტი არაესპანელი თამაშობს და მათგან უცხოელი მხოლოდ რივალდოა, ფინელი, პორტუგალიელი, ფრანგი და ჰოლანდიელი ფეხბურთელები კი უცხოელები არ არიან.

ესპანური კანონებით (სხვაგანაც ასეა), გუნდს განაცხადში ხუთი უცხოელის ყოლის უფლება აქვს და ამასთანავე მინდორზე ერთდროულად მხოლოდ სამი მათგანის გაყვანა შეუძლია.

„დისკრიმინაციული კანონია — ამბობს კარპინი — ფეხბურთელთა დაბადების ადგილის მიხედვით დაყოფა დაუშვებელია და შეურაცხმყოფელი". კარპინის სარჩელს სასამართლო 15 დღის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებას გამოიტანს.

## პორტუგალია

XI ტურის მატჩი

**ბოავიშტა 4:1 გიმარაეში**

1:0 ელპიდიუ სილვა (8), 2:0 პედრუ სანტუში (25), 3:0 ჟორჟე კოუტუ (31), 4:0 ჟორჟე სილვა (83), 4:1 ევანდუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 9 | 1 | 1 | 29:7 | 28 |
| სპორტინგი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:10 | 25 |
| ბრაგა | 11 | 7 | 2 | 2 | 20:13 | 23 |
| ბოავიშტა | 11 | 6 | 4 | 1 | 22:10 | 22 |
| ბელენენსეში | 11 | 6 | 4 | 1 | 14:7 | 22 |
| სალგეიროში | 11 | 7 | 0 | 4 | 15:15 | 21 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| ფერეირა | 11 | 5 | 2 | 4 | 18:11 | 17 |
| მარიტიმუ | 11 | 5 | 1 | 5 | 11:9 | 16 |
| ფარენსე | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| ლეირია | 11 | 3 | 5 | 3 | 11:17 | 14 |
| გიმარაეში | 11 | 3 | 3 | 5 | 17:19 | 12 |
| ბეირა მარი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:19 | 9 |
| ალვერკა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:20 | 9 |
| ავეში | 11 | 2 | 2 | 7 | 14:23 | 8 |
| კამპომაიორენსე | 11 | 1 | 5 | 5 | 7:19 | 8 |
| ამადორა | 11 | 1 | 1 | 9 | 8:21 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 0 | 3 | 8 | 5:18 | 3 |

## იუგოსლავია

მე-12 ტური: ცრვენა ზვეზდა — სარტიდი 5:1; ჩუკარიჩკი — ნაპრედაკი 2:0; ჟელეზნიკი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 2:0; მილიციონარი — ბუდუჩნოსტი 2:0; ზეტა — ობილიჩი 1:1; რადი — რადნიჩკი (ნიში) 3:1; სუტიესკა — ჰაიდუკი 1:0; ვოივოდინა — პარტიზანი 0:1; ოფკ — ზემუნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 11 | 8 | 3 | 0 | 26:5 | 27 |
| პარტიზანი | 11 | 9 | 0 | 2 | 29:9 | 27 |
| ოფკ | 12 | 7 | 2 | 3 | 18:10 | 23 |
| ობილიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:14 | 23 |
| მილიციონარი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:13 | 17 |
| ჟელეზნიკი | 12 | 5 | 2 | 5 | 28:21 | 17 |
| სარტიდი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:20 | 17 |
| ჰაიდუკი | 12 | 4 | 4 | 4 | 20:10 | 16 |
| ჩუკარიჩკი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:15 | 16 |
| სუტიესკა | 12 | 5 | 1 | 6 | 13:23 | 16 |
| ვოივოდინა | 12 | 4 | 3 | 5 | 12:9 | 15 |
| ზეტა | 12 | 3 | 6 | 3 | 16:14 | 15 |
| რადი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:21 | 14 |
| ბუდუჩნოსტი | 12 | 4 | 1 | 7 | 10:14 | 13 |
| კრაგუევაჩი | 12 | 4 | 1 | 7 | 10:22 | 13 |
| ზემუნი | 12 | 2 | 6 | 4 | 13:15 | 12 |
| ნიში | 12 | 2 | 3 | 7 | 10:22 | 9 |
| ნაპრედაკი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:24 | 9 |

## არგენტინა

მე-14 ტური: ტალერესი — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:1; ესტუდიანტესი — ალმაგრო 3:2; უნიონი — კოლონი 2:2; როსარიო სენტრალი — არგენტინოს ხუნიორსი 1:0; ლოს ანდესი — სან ლორენსო 0:1. ურაკანი — ბელგრანო, ლანუსი — რასინგი, რივერ პლეიტი — ნიუელს ოლდ ბოიზი და ველეზ სარსფილდი — ხიმნასია ლა პლატა ძლიერი წვიმის გამო შეწყდა; ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი გადაიდო.

გადადებული მატჩი: ესტუდიანტესი — ნიუელს ოლდ ბოიზი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 9 | 5 | 0 | 30:14 | 32 |
| ტალერესი | 14 | 9 | 3 | 2 | 25:14 | 30 |
| ლა პლატა | 14 | 8 | 4 | 2 | 30:23 | 28 |
| სან ლორენსო | 14 | 8 | 2 | 4 | 26:15 | 26 |
| რივერ პლეიტი | 13 | 6 | 6 | 1 | 26:14 | 24 |
| ველეზი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:13 | 23 |
| ესტუდიანტესი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:14 | 23 |
| კოლონი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:16 | 22 |
| ურაკანი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 19 |
| ჩაკარიტა | 14 | 5 | 3 | 6 | 11:14 | 18 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:17 | 17 |
| უნიონი | 14 | 3 | 7 | 4 | 12:14 | 16 |
| ბელგრანო | 13 | 2 | 8 | 3 | 16:16 | 14 |
| როსარიო | 14 | 3 | 5 | 6 | 21:27 | 14 |
| ლოს ანდესი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:32 | 12 |
| არგ. ხუნიორსი | 14 | 1 | 8 | 5 | 11:18 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 2 | 4 | 7 | 11:17 | 10 |
| რასინგი | 13 | 1 | 7 | 5 | 9:17 | 10 |
| ლანუსი | 13 | 2 | 3 | 8 | 15:21 | 9 |
| ალმაგრო | 14 | 0 | 5 | 9 | 7:21 | 5 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

**აიაჩო 1:0 ნიმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 19 | 11 | 5 | 3 | 35:14 | 38 |
| მონპელიე | 19 | 10 | 7 | 2 | 29:16 | 37 |
| ლორიანი | 19 | 10 | 7 | 2 | 27:16 | 37 |
| ნიორი | 19 | 10 | 5 | 4 | 30:16 | 35 |
| ლავალი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:15 | 34 |
| შატორუ | 19 | 8 | 7 | 4 | 25:18 | 31 |
| ნანსი | 19 | 8 | 5 | 6 | 23:14 | 29 |
| ნიმი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:25 | 27 |
| ლე ავრი | 19 | 6 | 8 | 5 | 23:19 | 26 |
| კრეტეი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:19 | 25 |
| კაენი | 19 | 6 | 6 | 7 | 21:27 | 24 |
| ლე მანი | 19 | 4 | 9 | 6 | 18:19 | 21 |
| მარტიგი | 19 | 4 | 9 | 6 | 16:24 | 21 |
| ნიცა | 19 | 6 | 3 | 10 | 19:29 | 21 |
| ვასკეალი | 19 | 4 | 7 | 8 | 17:20 | 19 |
| გენიონი | 19 | 4 | 7 | 8 | 15:26 | 19 |
| ბოვე | 19 | 3 | 9 | 7 | 16:23 | 18 |
| აიაჩო | 19 | 4 | 4 | 11 | 11:25 | 16 |
| კანი | 19 | 3 | 6 | 10 | 23:34 | 15 |
| ანჟერი | 19 | 2 | 7 | 10 | 16:32 | 13 |

## უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-2 ტური: დუნაფერი — უიპეშტი 2:1; შოპრონი — მტკ 0:0; ვაშაში — ვიდეოტონი 0:2; ფერენცვაროში — დიოშ ეტო 2:0; ზალაეგერსეგი — დებრეცენი 3:2; ჰონვედი — ტატაბანია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 8 |
| დუნაფერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 8 |
| მტკ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 7 |
| ვაშაში | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 7 |
| ტატაბანია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| ვიდეოტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 6 |
| შოპრონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 5 |
| დიოშ ეტო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 5 |
| უიპეშტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 5 |
| ჰონვედი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 4 |
| ზალაეგერსეგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 4 |
| დებრეცენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 3 |

## უკრაინა

გადადებული მატჩები: მეტალურგი (ზაპოროჟიე) — შახტარი 2:3; მეტალურგი (დონეცკი) — დინამო 0:0; ტავრია — შახტარი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 12 | 8 | 3 | 1 | 34:13 | 27 |
| დნიპრო | 13 | 8 | 3 | 2 | 14:9 | 27 |
| დინამო | 12 | 8 | 3 | 1 | 22:9 | 27 |
| მეტალურგი | 13 | 6 | 5 | 2 | 15:12 | 23 |
| კარპატი | 13 | 7 | 0 | 6 | 23:18 | 21 |
| ცსკა | 13 | 5 | 6 | 2 | 16:9 | 21 |
| ტავრია | 13 | 4 | 7 | 2 | 14:11 | 19 |
| მარიუპოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| ზაპოროჟიე | 13 | 4 | 3 | 6 | 17:22 | 15 |
| მეტალისტი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:19 | 13 |
| კრივბასი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| ნივა | 13 | 2 | 3 | 8 | 15:27 | 9 |
| ვორსკლა | 13 | 2 | 2 | 9 | 6:18 | 8 |
| სტალი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:22 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდრეი ვორობეი (შახტარი) | 12 |
| გიორგი დემეტრაძე (დინამო) | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამდენი ფეხბურთი სასიკვდილოა

## რატომ ითამაშა რონალდომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში

გუშინ ვწერდით და სალამოსაც ვნახეთ, რომ ბრაზილიის ნაკრებს არ ჰყავდა ტრავმირებული რომარიო. ისიც ვთქვით, რომ 34 წლის ვარსკვლავი ვარჯიშზე დაშავდა. საზოგადოდ, ფეხბურთში ტრავმები ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ რომარიოსთან დაკავშირებით განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე — საუბარია იმ არაადამიანურ პირობებზე, რომლებშიც ფეხბურთელები არიან ბრაზილიაში.

დღეს არა მარტო ბრაზილიაში, მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ ზღვარგადასულ ფიზიკურ დატვირთვებზე. გამუდმებით წუწუნებენ ბობოლა ევროპული გუნდები, წელიწადში 75-80 თამაშის ჩასატარება გვიწევსო. აბა, ბრაზილიელებმა რაღა უნდა თქვან? როგორ ფიქრობთ, ბოლო 90 დღეში რამდენჯერ მოუხდა რომარიოს მინდორზე გასვლა? რამდენჯერ და 25-ჯერ.

თუნდაც წინა კვირის გრაფიკს გადავავლოთ თვალი: ოთხშაბათს რომარიოს „ვასკუ და გამა“ მერკოსურის თასზე არგენტინულ „რომარიო სენტრალს“ ხვდებოდა სტუმრად. რიოდან როსარიომდე ჩასვლას (აეროპორტში ლოდინის ჩათვლით) თერთმეტი საათი დასჭირდა. მერე თამაში და უკან იგივე მომქანცველი მგზავრობა. პარასკევს „ვასკუ“ უკვე სან პაულუში იყო და იქაურებს ჟოაო აველანჟის თასზე ეთამაშებოდა, ორი დღის შემდეგ კი რიოდეჟანეიროულ დერბიში „ბოტაფაგოს“ შეხვდა...

ასეთ დატვირთვას თუნდაც ჩინებულ ფორმაში მყოფი, მაგრამ მაინც ვეტერანი რომარიო კი არა, დაუღალავი რეალელი რობერტო კარლოსიც ვერ გაუძლებს.

რომარიო პირველად „ბოტაფაგოსთან“ მატჩში შეიქნა შეუძლოდ — უკვე 24-ე წუთზე არაქათი გამოეცალა და შესაცვლელი გახდა. სანაკრებო შეკრებაზე კი მსუბუქი ვარჯიშის დაწყებიდან ნახევარ საათში კუნთების აუტანელი ტკივილი იგრძნო.

„რომარიოს ტრავმის ერთადერთი მიზეზი არასწორი, გადამეტებული დატვირთვაა“ — თქვა ნაკრების ექიმმა ჟოზე ლუიშ რუნკომ. რომარიოს თანაგუნდელებიც ამას ფიქრობენ. „ეს საშინელი მარათონია“ — ამბობს პედრინიო.

აღნიშნული მიზეზის გამო „ვასკუ და გამა“ იძულებულია, ზოგიერთი შეხვედრა, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ჩაატაროს, მაგრამ რომარიოსთვის, ჟუნინიო პერნამბუკანოსა და ჟუნინიო პაულისტასთვის შეღავათი არ არსებობს — ისინი მუდამ მინდორზე არიან. „ყოველთვის უძლიერესი შემადგენლობის გაყვანა შეუძლებელია — წუხს „ვასკუს“ მწვრთნელი ოსვალდო დე ოლივეირა — მაგრამ ქომაგებს ეს არ ესმით და უპასუხისმგებლობაში გვადანაშაულებენ. არადა, ჩვენ რა შუაში ვართ? ყველაფერი უხეირო, მეტიც, დანაშაულებრივი კალენდრის ბრალია.“ ბრაზილიური გაზეთებიც ერთხმად გაიძახიან, კალენდარი ისე სულელურად არის შედგენილი, ფეხბურთელებს თამაშის ხალისს აკარგვინებს და რამდენიმე სეზონში აინვალიდებსო.

აქამდე მხოლოდ „ვასკუს“ პრობლემებზე ვსაუბრობდით და სხვა გუნდებსაც გადავწვდეთ.

„პალმეირასმა“ წინა კვირის ხუთ დღეში სამი მატჩი გამართა და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სამივე მოიგო. მაგრამ თამაშის ხარისხი? ძნელია, ამგვარ პირობებში ფეხბურთელებს ბოლომდე დახარჯვა მოსთხოვო. შედეგად ბრაზილიელმა ქომაგებმა სტადიონზე სიარულს თავი ანებეს. მაგალითისთვის სანპაულური დერბი გავიხსენოთ „კორინთიანსსა“ და „პალმეირასს“ შორის. ნორმალურ პირობებში ამ გუნდების ორთაბრძოლა სტადიონს ავსებდა, მათ ბოლო შეხვედრას კი ოთხი ათასი კაციც არ დასწრებია. ეს ჟოაო აველანჟის თასზე, ხოლო მერკოსურის თასზე (ტელევიზიისთვის მოგონილი ნაკლებპრესტიჟული ტურნირია) ამდენიც არ გროვდება. და ეს ყველაფერი ბრაზილიაში — ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებულთა ქვეყანაში.

ერთი პრობლემაც. სხვა ქვეყნებში ჩემპიონატის კალენდრების შედგენისას ეროვნული ნაკრების გრაფიკსაც ითვალისწინებენ. ბრაზილიაში ამგვარი რამ არ ხდება. გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბრაზილია კოლუმბიას შეხვდა. და როდისაა ჩემპიონატის მორიგი ტური? დღეს — სანაკრებო მატჩიდან 24 საათში. მეტიც, რამდენიმე თამაში გუშინვე გაიმართა.

რა გასაკვირია, რომ ბრაზილიური ფეხბურთის სატკივარით ქვეყნის პარლამენტიც დაინტერესდა და გამოძიება დაიწყო, რაზეც ამ ბოლო დროს ხშირად ვწერთ. მართალია, უპირველესი ყურადღება ფეხბურთის ფედერაციაში გამეფებულ კორუფციას ექცევა, მაგრამ სადაც კორუფციაა, ქაოსიც ხომ იქვეა.

პარლამენტის სპეციალურმა კომისიამ კი ამასობაში ახალი, სკანდალური ვერსია წამოაყენა. გეხსომებათ, როგორ უსუსურად ითამაშა რონალდომ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. ამის მიზეზიც ვიცით — მატჩის წინა დღეს ფეხბურთელს კრუნჩხვა დაემართა და თამაშამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე მომჯობინდა. თავად რონალდოც ამბობდა, არ შემიძლია თამაშიო, მაგრამ არავინ მოუსმინა და საბოლოოდ ყველაფერი ნაკრების მაშინდელ ექიმ ტოლედოს დაბრალდა, რომელმაც თქვა, რონალდო თამაშს შეძლებსო.

ახლა სკანდალურ ვერსიაზე. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა „ნაიკი“ ბრაზილიის ნაკრების სპონსორია, ხოლო რონალდოსთან ცალკე კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. ჰოდა ეჭვობენ, რომ რონალდო სწორედ „ნაიკის“ ზეწოლით ათამაშეს — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში „ნაიკის“ ფორმიანი რონალდო ხომ კომპანიისთვის საუკეთესო რეკლამაა. ოღონდ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ეჭვია და საკითხის გასარკვევად კომისია რონალდოს დაკითხვას აპირებს.

რონალდომდე კი კომისიის წინაშე წარდგა ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის“ მეკარე დიდა. საქმე ისაა, რომ მას ახლახან ყალბი პორტუგალიური პასპორტი აღმოუჩინეს. დასაკითხთა სიაში დგანან ჟორჟინიო, ყოფილი უდინეზელი ვარლეი, დორტმუნდელი დედე და კორინთიანსელი ედუ, რომლის ყალბი პასპორტის ამბავმა ყველაზე დიდი ხმაური გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელს „არსენალი“ ცხრა მილიონ დოლარად ყიდულობდა და ყალბი პასპორტი ლონდონში ჩასულს, „ჰითროუს“ აეროპორტში აღმოუჩინეს.

კომისიის წევრი ალდუ რებელუ ამბობს: „ბევრად ადვილია ევროპულ კლუბში გადასვლა, თუ ჯიბეში პორტუგალიური პასპორტი გიდევს. ამიტომ ყალბისმქნელობამ ტოტალური ხასიათი მიიღო. ცხადია, ამაში თავად ფეხბურთელები ყველაზე ნაკლებად არიან დამნაშავენი. ზოგი შესაძლოა, არც იყოს საქმის კურსში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი დაკითხვა დამნაშავეთა სინდიკატის გამოაშკარავებაში დაგვეხმარება.“

გაგრძელება იქნება.

**გიორგი დარჯანია**



რომარიოს ტრავმა ფედერაციის სინდისზეა



ეს რონალდოს ფოტოა თუ „ნაიკის“ რეკლამა?

*მის თამაშს „სან სირო“ ალტაცებაში მოჰყავდა — ასე დაახასიათა სილვიო ბერლუსკონიმ რობერტო დონადონი, „დიდი მილანის“ ერთ-ერთი წევრი, რომელსაც გუნდთან ერთად მრავალი ჯილდო მოუგია. არადა, დონადონის პრინციპულობა რომ არ გამოეჩინა, კარიერის საუკეთესო წლებს „იუვენტუსში“ გაატარებდა. ფეხბურთს გამოთხოვებული ნახევარმცველი დღეს ამაზე და სხვა ბევრ საინტერესო თემაზე საუბრობს.*



# კაცი დიდი გუნდიდან

**— გაიხსენეთ, „მილანში“ როგორ მოხვდით...**

— ყოველთვის „მილანს“ ვქომაგობდი. როცა „ატალანტაში“ ვთამაშობდი და მილანურმა კლუბმა ჩემი შეძენის სურვილი გამოთქვა, თითქოს სიზმარი ამიხდა. თუმცა „ატალანტა“ „იუვენტუსის“ პარტნიორი (სატელიტი) გუნდი იყო (ახლაც ასეა) და ბერგამოელთა მაშინდელი პრეზიდენტი ბორტოლოტი ცდილობდა, ტურინში გავეშვი. მაშინ „მილანი“ ვარჩიე. ბევრმა ჩათვალა, რომ ვიჩქარე და შევცდი. მაშინ „იუვენტუსი“ ძალიან ძლიერი გუნდი იყო, „მილანს“ კი ჩავარდნები ჰქონდა, თუმცა მალე ყველაფერი შეიცვალა.

**— „ატალანტაში“ გატარებულ დროზეც გვიამბეთ.**

— ბერგამოში გატარებულ წლებს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. გუნდში რომ ჩავირიცხე, სერია C-ში ვიყავით, თუმცა იმ სეზონში ერთხელაც არ მითამაშია. მერე სერია B-ში გადავედით, ხოლო საბოლოოდ უმაღლეს დივიზიონში მოვხვდით. „ატალანტას“ ხელმძღვანელებს ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი ვიხსენებ.

**— ვინ იყო მწვრთნელი, რომელიც თავიდან გენდოთ?**

— სერია A-ს სადებიუტო მატჩი სონეტის ხელმძღვანელობით ჩავატარე, მერე კი გუნდში ბიანკი მოვიდა.

**— ახლა „ატლანტა“ სერია A-ს ერთ-ერთი ლიდერია. ამაზე რა რეაქცია გაქვთ?**

— ეს ფაქტი, ცხადია, მახარებს. გუნდს ეტყობა, რომ მებრძოლი სული აქვს, ორგანიზაციაც კარგ დონეზეა და საქმეში ჩახედული, პრინციპული ხალხიც მუშაობს.

**— რა იგრძენით, როცა „მილანის“ მაისურით „ატალანტას“ წინააღმდეგ პირველად ითამაშეთ?**

— ამ წყვილის შეხვედრაში თამაში ჩემთვის განსაკუთრებული იყო. პირველად და შემდგომ წლებშიც სიამოვნებას განვიცდიდი.

**— „მილანში“ ჩატარებული პირველი სეზონიდან განსაკუთრებით რას გაიხსენებთ?**

— ის წელიწედი განსაკუთრებით წარმატებული არ ყოფილა, მწვრთნელ ნილს ლიდჰოლმისთვის კი ეს გუნდში გატარებული ბოლო სეზონი გამოდგა. საბოლოოდ „სამპდორიას“ პლეი ოფში მოვუგეთ და უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ.

**— მილანურ კარიერაზე და გუნდში ჩატარებულ საუკეთესო სეზონზეც გკითხავთ...**

— ვთვლი, რომ გამიმართლა და ჩინებული კარიერა მქონდა. „მილანში“ თამაშით არაერთ წარმატებას მივაღწიე. თავად არ მსურს იმის ხაზგასმა, რომ პირადად რომელიმე სეზონი ძლიერად ჩავატარე. მთავარი გუნდური მიღწევაა.

**— თქვენი ყველაზე საუკეთესო გამარჯვება...**

— ყველაზე სასიამოვნო მოგონება პირველი ტრიუმფია, ამიტომ საგანგებოდ გამოვყოფდი პირველ სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასის მოგებას.

**— პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ერთხელ ბრძანა, დონადონის თამაშით „სან სირო“ ალტაცებულიაო.**

— მისმა სიტყვებმა უზომოდ გამახარა. იშვიათად თუ მოისმენ მსგავს ქებას, თანაც პრეზიდენტისგან.

**— ვინ არის ახალი დონადონი სერია A-ში?**

— ბოლონიელი თომას ლოკატელი. ის ჩინებული ფეხბურთელია. თომასი ჩემ დროს „მილანში“ თამაშობდა და ერთმანეთის მიმართ რაღაც განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა გვქონდა. მსურს, რომ მასაც ისეთივე სიამოვნება მიანიჭოს თავისმა კარიერამ, როგორც მე. არის კიდევ ერთი მოთამაშე „ატალანტაში“ — ალექს პინარდი, ისიც ჩემს სტილში თამაშობს. მისი მინდორზე ყურება ძალიან სასიამოვნოა.

**— თვლით, რომ ათლეტური ფეხბურთი მის ხიბლსა და სანახაობრივ მხარეს კლავს?**

— ნაწილობრივ მართალია, თუმცა თანამედროვე ძალისმიერ ფეხბურთში ტექნიკა თავის გზას მაინც პოულობს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან ძნელია. ტექნიკურმა ფეხბურთელმა მინდორზე ბევრს უნდა გაუძლოს. მას ხშირად ეუხეშებიან და წამდაუწუმ აქცევენ.

**თარგმნა ნიკა შუგლაძემ**

# სასჯელად ესეც კმარაო

ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელები — ფილ ბები და მარკ კენედი ორშაბათს დუბლინის სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

შეგახსენებთ, რომ ლისაბონის „სპორტინგის“ მცველი ბები და „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელი კენედი აგვისტოს მიწურულს გამოიძახეს ნაკრებში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდიას უნდა შეხვედროდა. დუბლინში ჩასულმა ფეხბურთელებმა ქალაქის ცენტრალურ პარკში მარიხუანა გააბოლეს და იქვე მანქანაში მჯდომ ქალს გაეარშიყნენ, მერე მანქანაც დაულეწეს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ქალი პოლიციელი იყო და ფეხბურთელები განყოფილებაში მიაბრძანეს. იქ დიდხანს არ დაუყოვნებიათ — სასამართლომდე გაუშვეს, თუმცა ბების და კენედის ნაკრებიდან მოუხდათ წასვლა — მწვრთნელმა მიკ მაკკართიმ ისინი გარიცხა.

როგორც თავში ვთქვით, სასამართლო შედგა. მოსამართლის განაჩენში წერია, რომ დამნაშავეებისთვის სახალხოდ შერცხვენა და ნაკრებიდან გაგდება საკმარისი სასჯელია და დამატებით მხოლოდ ხუთ-ხუთი ათასი დოლარის გადახდა ეკისრებათ ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის.

...გაიგეთ? სახალხოდ შერცხვენა საკმარისი სასჯელიაო! არა, ნაღდად სხვა პლანეტაა, ძმებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# CROCO

## ქუთაისში

### ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

## ბათუმში

### კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 17 ნოემბერი 2000 №223 (1245) — ფასი 50 თეთრი


2

### შემოდგომის აჭნაური და ასტურიანი

იქ, სადაც პარალელები იკვეთებიან

4

### საკვირველი დაუკვირვებლობა

საქართველოს ნაკრები ალალია: მეტოქის დაზვერვას არ კადრულობს

5

### მილჩენკომ პოლიციაში უკვე დარეკა

მსაჯების შეფი მცხეთის „არმაზზე“ ექსცესებს უფრთხის

9

### დაუში სუფთაა?!



ამერიკულმა ტესტმა გერმანელს ვერაფერი აღმოუჩინა

12

### ამათ ყურისჭამას გაუმარჯოს!



მაიკლ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი რინგზე მესამედ შეიყრებიან

# რა კავშირი აქვს ევროკავშირს კახა კალაძესთან



საით წავა კახა კალაძე?

იტალიის „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ერთი ისეთი რამ განაცხადა, რაც ქართველ ქომაგთ უეჭველად დააინტერესებთ.

— სასწრაფოდ და რამენაირად „მილანის“ უკრაინელ თავდამხსმელ ანდრეი შევჩენკოს ევროკავშირის მოქალაქეობა უნდა მივაღებინოთ. ამით გუნდში არაევროკავშირელთათვის ერთი ადგილი გამოთავისუფლდება და ქართველ კახა კალაძესაც ჩამოვიყვანთ. ამ საქმის მოსაგვარებლად შევჩენკოს ყველანაირად ხელს შევუწყობთ.

ეს ადრიანო გალიანიმ მას შემდეგ თქვა, რაც „მილანმა“ ხორვატ ნახევარმცველ ზვონიმირ ბობანთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ალბათ მოგეხსენებათ, ბობანი „მილანის“ დატოვებას აპირებდა და ამის წინააღმდეგი არც კლუბი გახლდათ. იტალიელებს ბობანის წასვლის შემდეგ არაევროკავშირელთა, უფრო სწორად, კალაძის შესაძენად უთავისუფლდებოდათ ადგილი.

და ახლა, რაკი ბობანი სამი წლით კვლავაც „მილანში“ უნდა დარჩეს, კლუბის ხელმძღვანელებს შევჩენკოს „გაევროპელება“ გადაუწყვეტიათ.

გამორიცხული არც ის გახლავთ, კახა კალაძე მილანს უახლოეს ხანში ესტუმროს, ოღონდ, მხოლოდ ესტუმროს, რადგან ყველა შემთხვევაში იანვრამდე იტალიელები მის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანას ვერ მოახერხებენ — სატრანსფერო სეზონი იტალიაში სწორედ ნაახალწლევს იხსნება და კლუბებმაც რამდენიმე დღეში უნდა მოასწრონ ფეხბურთელთა დამატება.

წუხელ ერთი ამბავიც გავიგეთ და ვერ ვიტყვით, დაუჯერებელიაო. ადვილი შესაძლებელია, რომ კახა კალაძემ კარიერა გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელოს, „ბაიერნიდან“ „მილანში“ კი ევროკავშირელი იენს იერემისი გადაბარგდეს და „ბაიერნსა“ და „მილანს“ შორის ერთგვარი როქი მოხდეს.

სხვათა შორის, კალაძის „ბაიერნში“ გადასვლაზე სექტემბერში თვით ფრანც ბეკენბაუერი, ბუნდესლიგის ჩემპიონთა პრეზიდენტიც ლაპარაკობდა.

**ბოგა ინასარიძე**

# ვინ ინატრებს წვიმას?

ვერავინ დაიჩემებს, მეთოთხმეტე ტური მეთორმეტე ჩემპიონატისთვის გადამწყვეტიაო, მაგრამ მას ის გამოარჩევს, რასაც „ბათუმი“ — „ტორპედო“ ჰქვია. ამ ორი გუნდის დაპირისპირება მუდამ გამორჩეული იყო და არც მოულოდნელობები მოჰკლებია. ხან ბოლო წუთზე გატანილი გოლი წყვეტდა მატჩის ბედს, ხანაც კოკისპირული წვიმა დატბორავდა მინდორს და ფეხბურთელებიც მოედანზე გაუსვლელად შინ ბრუნდებოდნენ. ინტრიგა არც დღევანდელ დაპირისპირებას აკლია. „ბათუმს“ წაგება ვერაფერს დააკლებს, არავინ უსაყვედურებს ასლან ბალაძის ახალგაზრდულ გუნდს, ჩემპიონთან ფეხი რად დაგიცდაო. აი, სტუმართა მარცხისას დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ზედიზედ ორი წაგება ძნელად ასატანი იქნება კლუბის თავკაცებისთვის. ამიტომ ზოგიერთი შეიძლება კოკისპირულ წვიმასაც ნატრობს...

გამოსარჩევი „ვიტ ჯორჯია“ — „მერანის“ მცხეთური დაპირისპირებაც. დისკვალიფიკაციებით განახევრებული ვიტელები ბომბარდირის გარეშე დარჩენილ აგჭალელებს უპირებენ წაქცევას. სწორედ მცხეთაში შედგება აგჭალელთა ახალი მწვრთნელის, დავით ჯიშკარიანის დებიუტიც.

ხვალ უცხოელ სტუმარს ელიან „ეროვნულზე“. ლონდონის „არსენალის“ მთავარი სკაუტი სტივ როული ალბათ ჩვენებურ ზურაბ ხიზანიშვილს კიდევ ერთხელ დააკვირდება და, თუ მოწყალე თვალით შეხედა...

რას ერჩით, ძალიან ტური კი ყოფილა ეს მეთოთხმეტე.

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე

## 14 ტური

17 ნოემბერი, პარასკევი

კოლხეთი — გორდა
ვიტ ჯორჯია — მერანი
დილა — იბერია
დინამო — სიონი
ბათუმი — ტორპედო

18 ნოემბერი, შაბათი

ლოკომოტივი — თსუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 13 | 11 | 0 | 2 | 28:7 | 33 |
| ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 20:5 | 32 |
| დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 26:13 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 4 | 2 | 20:7 | 25 |
| კოლხეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 14:14 | 19 |
| ბათუმი | 13 | 6 | 1 | 6 | 17:15 | 19 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:12 | 15 |
| მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:16 | 15 |
| თსუ | 13 | 4 | 1 | 8 | 15:25 | 13 |
| გორდა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:20 | 11 |
| დილა | 13 | 2 | 3 | 8 | 8:22 | 9 |
| იბერია | 13 | 0 | 1 | 12 | 3:28 | 1 |



ილუზია ფხაკაძის ფოტო

„ბათუმი“ — „ტორპედო“ წლეულს ერთხელ უკვე გადაიდო. დღესაც იწვიმებს ბათუმში?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. ბუნდესლიგა. მე-13 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 001 | შტუტგარტი-მიუნხენ 1860 | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-აინტრახტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 003 | ბაიერნი-აინტრახტი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 004 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 005 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-ჰანზა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.30 | 007 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-შალკე | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 23.15 | 009 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 010 | უნტერჰახინგი-კოტბუსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.30 | 011 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-13 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 012 | მაინცი-ალემანია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 013 | ულმი-ნიურნბერგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 014 | ოსნაბრიუკი-ალენი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 015 | ფიურტი-კიკერსი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 016 | მიონხენგლადბახი-დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ზანქტ პაული | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 018 | ქემნიცი-როიტლინგენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 019 | ზაარბრიუკენი-ვალდჰოფი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.15 | 020 | ჰანოვერი-არმინია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. მე-14 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 15.30 | 021 | სიტი-მანჩესტერი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 19.00 | 022 | ჩარლტონი-ჩელსი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 023 | დერბი-ბრედფორდი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 024 | ევერტონი-არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 025 | ლიდსი-ვესტ ჰემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 026 | მიდლსბრო-ლესტერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 027 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 028 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 029 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 030 | ქოვენთრი-იფსვიჩი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | ინგლისი. I დივიზიონი. მე-19 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 031 | ბარნსლი-უენსდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 032 | ბირმინგემი-ბარნლი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 033 | ბლექბერნი-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 034 | ქრიუ-სტოკპორტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 035 | კრისტალ პალასი-ტრანმერი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 036 | ფულემი-პორტსმუთი | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 19.00 | 037 | ნორვიჩი-ბოლტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 038 | ნოტინგემი-უიმბლდონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 039 | ქუინზ პარკი-ჰადერსფილდი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 19.00 | 040 | შეფილდი-გრიმსბი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 041 | უოტფორდი-პრესტონი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 19.00 | 042 | ვესტ ბრომვიჩი-ჯილინგემი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-16 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.30 | 043 | მარსელი-მეცი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 044 | მონაკო-პსჟ | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 045 | გენგამი-ბასტია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 046 | ლანსი-სენტ ეტიენი | 1,75 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 047 | ლიონი-ლილი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 048 | ნანტი-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 049 | ტულუზი-სედანი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 050 | ოსერი-სტრასბური | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 051 | ბორდო-რენი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-20 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 052 | შატორუ-სოშო | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 053 | აიაჩო-ანჟე | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 054 | მარტიგი-ლე მანი | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 23.00 | 055 | ნიორი-კანი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 056 | ნიცა-გენიონი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 057 | ბოვუა-ლე ავრი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 058 | ნიმი-ლორიანი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 059 | კაენი-მონპელიე | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.00 | 060 | ლავალი-ნანსი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 061 | კრეტეი-ვასკეალი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| | | იტალია. სერია **A**. მე-7 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 062 | ინტერი-პერუჯა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 063 | ინტერი-პერუჯა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.30 | 064 | ლაციო-მილანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 065 | ბრეშა-იუვენტუსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 066 | ფიორენტინა-ვიჩენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 067 | ლეჩე-ბარი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 068 | ნაპოლი-ატალანტა | 2,4 | 2,9 | 2,7 |
| 18.00 | 069 | უდინეზე-რეჯინა | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 18.00 | 070 | ვერონა-რომა | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 23.30 | 071 | ბოლონია-პარმა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| | | იტალია. სერია **B**. მე-12 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 072 | ემპოლი-სიენა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 073 | ანკონა-ჯენოა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 074 | ჩიტადელა-ტრევიზო | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 075 | კოზენცა-სალერნიტანა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 076 | პისტოიეზე-პესკარა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 077 | რავენა-ტერნანა | 2,3 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 078 | სამპდორია-კიევო | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 079 | ტორინო-კროტონე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 080 | ვენეცია-კალიარი | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 081 | მონცა-პიაჩენცა | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| | | იტალია. სერია **C1**/ა. მე-11 ტური | | | |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 082 | ალბინოლეფე-სპალ | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 083 | ალესანდრია-ლუმეცანე | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 17.30 | 084 | ალძანო-ლეკო | 1,6 | 2,8 | 7,5 |
| 17.30 | 085 | კარარეზე-ვარეზე | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 17.30 | 086 | ჩეზენა-სპეცია | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 087 | კომო-მოდენა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 17.30 | 088 | ლივორნო-პიზა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 089 | ლუკეზე-არეცო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 090 | რეჯანა-ბრეშელო | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| | | იტალია. სერია **C1**/ბ. მე-11 ტური | | | |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 091 | ასკოლი-ფერმანა | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 17.30 | 092 | კატანია-ლოდიჯანი | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 17.30 | 093 | ფ.ანდრია-დი სანგრო | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 094 | მესინა-ბენევენტო | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 095 | ნოჩერინა-ატლეტიკო | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 17.30 | 096 | პალერმო-ტორესი | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 17.30 | 097 | პეზარო-აკილა | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 17.30 | 098 | ვიტერბეზე-ჯულიანოვა | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 099 | სავოია-აველინო | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი. მე-11 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 23.30 | 100 | ოსასუნა-დეპორტივო | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 23.45 | 101 | ვილიარეალი-რეალი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 24.00 | 102 | ალავესი-ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 01.00 | 103 | ლას პალმასი-მალიორკა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 104 | ოვიედო-ვალიადოლიდი | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 105 | რაიო ვალეკანო-მალაგა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 106 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 107 | სელტა-რასინგი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 108 | სოსიედადი-ნუმანსია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 109 | სარაგოსა-ბარსელონა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი. მე-13 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 110 | უნივერსიდადი-ტენერიფე | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 21.00 | 111 | ატლეტიკო-ეიბარი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 112 | უელვა-ალბასეტე | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 15.00 | 113 | ბეტისი-სევილია | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 15.00 | 114 | კორდობა-ესტრემადურა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 115 | ბადახოსი-მურსია | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 20.00 | 116 | ფეროლი-სალამანკა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.00 | 117 | კომპოსტელა-ლეიდა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 118 | ხაენი-ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 119 | ლევანტე-სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 120 | ელჩე-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | პორტუგალია. I ლიგა. მე-12 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 01.00 | 121 | ფარენსე-ბელენენსეში | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 01.30 | 122 | გიმარაეში-ბენფიკა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 123 | კამპომაიორენსე-ბრაგა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 124 | მარიტიმუ-ფერეირა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 125 | ალვერკა-ამადორა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 126 | ჟილ ვისენტე-ლეირია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 127 | სალგეირუში-ბეირა მარი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 23.00 | 128 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 01.00 | 129 | ავეში-პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | | პორტუგალია. II ლიგა. მე-12 ტური | | | |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 130 | ფელგეირაში-სეტუბალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 131 | ოვარენსე-ნასიონალი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 132 | ლეცა-სანტა კლარა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 133 | ვარზიმი-შავეში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 134 | ვარზიმი-შავეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 135 | ფრეამუნდე-მაია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 136 | ლამაში-ესპინიუ | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.30 | 137 | იმორტალი-რიუ ავე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 20.00 | 138 | აკადემიკა-ნავალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 139 | მარკუ-პენაფიელი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-14 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 140 | როდა-უტრეხტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 141 | ტილბურგი-ტვენტე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 142 | სიტარდი-ალკმაარი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 23.00 | 143 | ჰერენვენი-პსვ | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 23.00 | 144 | ვიტესი-როზენდალი | 1,25 | 3,6 | 9,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 145 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 17.30 | 146 | ბრედა-აიაქსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 17.30 | 147 | ვალვაიკი-გრააფსხაპი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-13 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 148 | იგლსი-დორდრეხტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 149 | ემენი-ჰაარლემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 150 | ემენი-ჰაარლემი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 151 | ტელსტარი-ვენლო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 152 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 153 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 154 | კამბური-ოსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 155 | ექსელსიორი-ჰერაკლესი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 22.00 | 156 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 157 | ვოლენდამი-ჰელმონდი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 17.30 | 158 | დენ ჰააგი-ზვოლე | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. მე-13 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 159 | შარლერუა-ბრიუგე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 160 | ბევერენი-მეხელენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 161 | ანდერლეხტი-ლუვიე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 162 | ანდერლეხტი-ლუვიე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 163 | ლიერსი-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 164 | გენკი-ლოკერენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 165 | გენტი-მუსკრონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 166 | ვესტერლო-აალსტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 167 | ანტვერპენი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 168 | ჰარელბეკე-სენტ ტრუიდენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | ბელგია. II დივიზიონი. მე-13 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 169 | მონსი-ტურნჰაუტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 170 | გეელი-ოსტენდე | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 23.00 | 171 | ლიეჟი-მოლენბეკი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.00 | 172 | ინგელმუნსტერი-ტინენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 173 | ლომელი-მაასლანდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 174 | ლომელი-მაასლანდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 175 | ჰეუსდენი-დაინცე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 176 | რუზელარე-დესელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 177 | სერკლი-ჰეკელგემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 178 | სტრომბეკი-დენდერლეუ | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | საბერძნეთი. მე-7 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 179 | პაოკ-პანათინაიკოსი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 180 | ოლიმპიაკოსი-პანაჰაიკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 181 | ოლიმპიაკოსი-პანაჰაიკი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 182 | ქსანთი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 19.00 | 183 | იანინა-იონიკოსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 184 | ირაკლისი-ოფი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 19.00 | 185 | პანიონიოსი-ეთნიკოსი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 186 | არისი-ათინაიკოსი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 21.00 | 187 | კალამატა-აეკ | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | ჩეხეთი. მე-15 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 19.30 | 188 | სიგმა-სპარტა | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 189 | სლავია-დრნოვიცე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 13.15 | 190 | ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 16.30 | 191 | პრჟიბრამი-ბანიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 16.30 | 192 | იაბლონეცი-პლზენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 16.30 | 193 | ბუდეიოვიცე-სიგოტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.30 | 194 | ტეპლიცე-ბლშანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.30 | 195 | ბრნო-ლიბერეცი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | პოლონეთი. მე-15 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 15.00 | 196 | გროცლინი-რუხი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 197 | რაძიონკოვი-პლოცკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.00 | 198 | პოგონი-სტომილი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 16.00 | 199 | ოდრა-პოლონია | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.30 | 200 | გურნიკი-კატოვიცე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 19.00 | 201 | ვიძევი-შლიონსკი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.15 | 202 | ლეგია-ამიცა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 203 | ზაგლებე-ვისლა | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| | | თურქეთი. მე-13 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 204 | ბეშიქთაში-ქოჯაელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 205 | ბეშიქთაში-ქოჯაელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 15.00 | 206 | რიზე-ერზურუმი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 15.00 | 207 | იეთფა-ისთანბული | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 15.30 | 208 | ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 21.00 | 209 | ადანა-გალათასარაი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 15.30 | 210 | ანთალია-ბურსა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 15.30 | 211 | იოზგათი-სამსუნი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 16.00 | 212 | დენიზლი-გენჩლერბირლიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 213 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | | შოტლანდია. მე-16 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 214 | სელტიკი-ჰართსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 215 | სელტიკი-ჰართსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 216 | დანდი-სენტ მირენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 217 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 19.00 | 218 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 219 | ჰიბერნიანი-აბერდინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 220 | მოზერუელი-კილმარნოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 221 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| | | ავსტრია. მე-20 ტური | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 222 | შტურმი-ლინცერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 223 | შტურმი-ლინცერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 224 | ადმირა-აუსტრია | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 18.30 | 225 | რიდი-გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.30 | 226 | ზალცბურგი-ბრეგენცი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 227 | ზალცბურგი-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 19.30 | 228 | რაპიდი-ტიროლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | შვეიცარია. **A** ჯგუფი. მე-19 ტური | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 229 | ლოზანა-ლუცერნი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 230 | ლოზანა-ლუცერნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.30 | 231 | სერვეტი-ივერდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 232 | არაუ-ქსამაქსი | 1,35 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 233 | ლუგანო-გრასჰოპერი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 234 | ციურიხი-სიონი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 19.15 | 235 | სენტ გალენი-ბაზელი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | შვეიცარია. **B** ჯგუფი. 21-ე ტური | | | |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 236 | ბელინცონა-კარუჟი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 17.30 | 237 | დელემონი-ვილი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 238 | კრინსი-ბადენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.30 | 239 | სოლოთურნი-თუნი | 4,4 | 3,3 | 1,5 |
| 17.30 | 240 | ვანგენი-ვინტერთური | 3,8 | 3,2 | 1,65 |
| 17.30 | 241 | იანგ ბოისი-ლოკარნო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 242 | იანგ ბოისი-ლოკარნო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | დანია. მე-17 ტური | | | |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 243 | ჰადერსლევი-ოდენსე | 3,8 | 3,3 | 1,7 |
| 18.00 | 244 | ჰერფიოლგე-მიდტიულანდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 245 | სილკებორგი-ლიუნგბიუ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 246 | ვიბორგი-ორჰუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.05 | 247 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 248 | აკადემისკი-კოპენჰაგენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | ინგლისი. თასის I ეტაპი | | | |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 249 | ჩელტენემი-შრიუსბერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 250 | კემბრიჯი-როჩდეილი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 251 | მაკლსფილდი-ოქსფორდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 252 | რექსემი-როტერჰემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 253 | ბორნმუთი-სუონსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 254 | ჩესტერფილდი-ბრისტოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 255 | უოლსოლი-ექსეტერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 256 | სკანთორპი-ჰარტლპული | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 257 | მენსფილდი-პიტერბრო | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 258 | ტორკი-საუთენდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 259 | კარდიფი-როვერსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | კალათბურთი | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 801 | ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.00 | 802 | ფილადელფია-მაიამი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 803 | ბოსტონი-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 804 | შარლოტი-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 805 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 806 | მილუოკი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 807 | ფინიქსი-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 808 | სიეტლი-დალასი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 809 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 810 | ატლანტა-მინესოტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 811 | მაიამი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 812 | ნიუ ჯერსი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.30 | 813 | ჰიუსტონი-ფინიქსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 06.00 | 814 | დენვერი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 815 | იუტა-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.00 | 816 | ტორონტო-მილუოკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 817 | ვანკუვერი-დალასი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 818 | კლიპერსი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 819 | დეტროიტი-შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 820 | ნიუ იორკი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 06.00 | 821 | ორლანდო-პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.30 | 822 | ლეიკერსი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 823 | ბოსტონი-ფილადელფია | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 04.00 | 824 | ტორონტო-შარლოტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 06.00 | 825 | იუტა-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.00 | 826 | ვანკუვერი-დენვერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.30 | 827 | კლიპერსი-ნიუ ჯერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | ჰოკეი | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 901 | ბუფალო-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 4,4 |
| 04.00 | 902 | ვაშინგტონი-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 903 | ტორონტო-ტამპა ბეი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 04.30 | 904 | ატლანტა-ფილადელფია | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 905 | დეტროიტი-დალასი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 906 | კოლუმბუსი-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 06.00 | 907 | ედმონტონი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 07.00 | 908 | ვანკუვერი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 909 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 01.00 | 910 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2,3 | 12,0 | 1,9 |
| 04.00 | 911 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,4 | 4,0 | 3,8 |
| 04.00 | 912 | ბოსტონი-მინესოტა | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.00 | 913 | მონრეალი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 914 | ოტავა-ფლორიდა | 1,4 | 4,0 | 3,8 |
| 04.30 | 915 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 05.00 | 917 | ნეშვილი-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 06.00 | 918 | ფინიქსი-ანაჰაიმი | 1,4 | 4,0 | 3,8 |
| 07.00 | 919 | კალგარი-რეინჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 920 | სან ხოსე-აილენდერსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 02.00 | 921 | ანაჰაიმი-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 922 | კოლუმბუსი-ვანკუვერი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.00 | 923 | ედმონტონი-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| | | 20 ნოემბერი | | | |
| 04.30 | 924 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 05.30 | 925 | დალასი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 3,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# ქუთაისში

**ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე**

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

# ბათუმში

**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრანახევარი საათი



ელენა დემენტიევა

**ნიუ იორკი. აშშ. „ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2 მილიონი $**

ლინდსი დევენპორტთან წინა ხუთ პირად შეხვედრაში ელენა დემენტიევას ერთი სეტიც კი არ ჰქონდა მოგებული. ბედის გალიმება ნამდვილად არ ჰქვია, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილს პირველივე მატჩში ყველაზე უსიამოვნო და უხერხული მეტოქე შეგხვდება, მაგრამ ამჯერად 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი დევენპორტისთვის არაფრის დათმობას არ აპირებდა. „რუსეთიდან აქამდე 9 საათნახევარი ვიმგზავრე, საშინლად დავიქანცე და ნამდვილად არ მინდოდა, ამდენი გაწამაწიის შემდეგ პირველივე წრეში წამეგო.“

დემენტიევას დამატებითი სტიმული ისედაც უამრავი ვარსკვლავის გარეშე დარჩენილ ტურნირის ორგანიზატორებს კიდევ ერთი ხმაურიანი სახელის დაკარგვად დაუჯდათ.

დევენპორტმა პირველი სეტი სულ იოლად, 22 წუთში მოიგო, თუმცა, მის მძიმე და ბრტყელ დარტყმებს რუსმა თანდათან აუღო ალღო. დემენტიევა უკვე თითქმის წინასწარ იცნობდა ამერიკელის ჩანაფიქრს, ბურთს მუდმივად საჭირო ადგილზე უხვდებოდა და მეტოქის დარტყმების ძალას მისსავე საწინააღმდეგოდ იყენებდა.

მეორე ხელის დაძაბულ ტაი-ბრეიკზე რუსმა 6:7-ზე რისკიანი ფორჰენდით მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მომდევნო ორი ქულაც აუღელვებლად მიითვალა და ანგარიში გაათანაბრა. აქედან მოყოლებული ლინდსიმ ცხვირი ჩამოუშვა და უპირატესობა მთლიანად მეტოქეს გადაულოცა.

მესამე სეტში უკვე ამერიკელს უხდებოდა თავგანწირულად და დიდხანს ბრძოლა საკუთარი მოწოდებების შესანარჩუნებლად, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ნერვებმა მასაც უმტყუნა: 4:4-ზე ორმაგ შეცდომას ერთი უნებლიეც მიაყოლა და თავი დაიღუპა — 3:6, 7:6 (9:7), 6:4 დემენტიევას სასარგებლოდ, დევენპორტი კი მეორე ჩემპიონი გახდა ტურნირის ისტორიაში, ვინც მომდევნო წელს პირველივე წრეში გავარდა (ეს 1998-ში იანა ნოვოტნამ მოახერხა).

„სეზონის ასე დასრულება კარგ გუნებაზე ნამდვილად ვერ დაგაყენებს. ახლა შოკში ვარ. ცუდად არ მითამაშია, მაგრამ მაინც ვერ მოვიგე, არადა, რამდენი შესაძლებლობა მქონდა. შევცდი, რომ სულ ერთფეროვნად ვირჯებოდი და ტემპი არ ვცვალე, სტრატეგიულად ცოტა უკეთ უნდა მემოქმედა — იმედგაცრუებული გახლდათ დევენპორტი — მაგრამ ის კარგი ჩოგბურთელია, მნიშვნელოვან მომენტებში უკან არ დაიხია და რამდენიმე შესანიშნავი გათამაშება მოიგო“.

დემენტიევა, რაღა თქმა უნდა, მეცხრე ცაზე ფრენდა: „მე მიყვარს ნიუ იორკი, ეს შესანიშნავი ქალაქია და მიხარია, რომ აქ ვარ. მიყვარს შემოდგომა, წელიწადის ეს დრო ნიუ იორკში განსაკუთრებით ლამაზია. ეს შესანიშნავი წელი იყო, რომელიც ასევე შესანიშნავად დასრულდა.“

ელენას სიხარულის მიზეზი არა ერთი და ორი აქვს. სულ რაღაც ორი წლის წინ თბილისის ღია პირველობიდან პირველივე წრეში გავარდა, აგვისტოში ერთი სპონსორიც კი არ ჰყავდა, ახლა კი გრძელფეხა, ქერა რუსის საქმეებს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამენეჯერო კომპანია „ოქტაგონი“ განაგებს და დოლარების წვიმაც კიდევ რამდენიმე წელი არ გადაიღებს.

**მერვედფინალი: მონიკა სელეში (3, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:3, 6:4; ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 6:2**

**მასტერსის სერია — პარიზი. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3 მილიონი $**

**მეორე წრე: მარატ საფინი (1, რუსეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 7:5, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:2, 6:4; ჯანლუკა პოცი (იტალია) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 6:2, 1:6, 7:6 (7:5); ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 6:7 (2:7), 6:3; მარკ ფილიპუსისი (13, ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 1:6, 7:6 (7:1), 7:6 (7:1); პატრიკ რაფტერი (15, ავსტარლია) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ხუან კარლოს ფერეირო (12, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:5, 3:6, 6:3**

# დოკიჩი ფესვებს დაუბრუნდა



ელენა დოკიჩი

**ავსტრალიურ** მასმედიაზე განაწყენებულმა დოკიჩების ოჯახმა ამ რამდენიმე დღის წინ მუქარა შეასრულა და როგორც ეტყობა, საბოლოოდ აქცია ზურგი მეორე სამშობლოს. ყოველ შემთხვევაში, ბელგრადული გაზეთის, „ვეჩერნიე ნოვოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია სწორედ ამას ადასტურებს.

„აქ იუგოსლავიური პასპორტისთვის ჩამოვედი. როდესაც ევროპაში ვითამაშებ, მინდა, ბელგრადში ვიცხოვრო. ავსტრალია მეტისმეტად შორსაა, იქიდან ტურნირებზე მუდმივად მგზავრობა ძნელია“ — განაცხადა 17 წლის ელენამ, რომლის ჯალაბობა 1991 წელს სისხლისმღვრელ ომს ხორვატიიდან სერბეთის ჩრდილოეთში მდებარე სომბორში გაექცა, 1994-ში კი — შორეულ მწვანე კონტინენტზე. სამშობლოში დაბრუნების მიზეზად ის იქცა, რომ ჩოგბურთელის ლოთ და შარისთავ მამას, დამირს ხშირად ესხმოდა თავს იქაური პრესა (ერთგან მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაწოლაც შესთავაზეს).

„ავსტრალიელების ძალიან მადლიერი ვარ, ისინი ბევრად დამეხმარნენ წარმატების მიღწევაში, მაგრამ მე ყოველთვის შინ დაბრუნება მსურდა. ჩემი ოცნება ასრულდა“ — დაუმატა უიმბლდონის ნახევარფინალისტმა. თუმცა ოზები ნიჭიერი ჩოგბურთელის ასე იოლად ხელიდან გაშვებას არ აპირებენ: ელენას და მამამისს უახლოეს ხანებში ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯეფ პოლარდი შეხვდება და შეეცდება, მათ აზრი შეაცვლევინოს.

# მოვა თავისთავადა

**ასე** თუ გაგრძელდა, ინგლისელ ტიმ ჰენმანს ლისაბონში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ორი მკვლელის დაქირავება შესაძლოა აღარც დასჭირდეს — სეზონის დამაგვირგვინებელ ტურნირამდე ორი კვირით ადრე ორ მოთამაშეს, რომლებმაც იქაური საგზური გაინაღდეს, სერიოზული ტრავმები აწუხებს.

ლეიტონ ჰიუიტმაც და ანდრე აგასიმაც კვირის დასაწყისში მასტერსის სერიის პარიზის პირველობაზე თამაში იუარეს. თუ აგასის რამდენიმე დღით ადრე ნატკენი ბარძაყი აწუხებს, ჰიუიტმა ისიც კი არ იცის, რა სჭირს: „სისხლის ანალიზებიც აიღეს, ხახაში კამერები ჩამთხარეს და ათასი უბედურება გამიკეთეს, მაგრამ მაინც ვერ მიხვდნენ, რა ხდება. იოლად ვიღლები, მუცელი მტკივა და სუნთქვა მიჭირს. ზოგადად მითხრეს, უცნაური ალერგია გაქვსო“.

**ავთანდილ სვანიძე**



მოამბამა! მაიკ ტაისონმა ევანდერ ჰოლიფილდს ყური

# ამათ შურისძიებას გაუმარჯოს!

— **მე** მას ველაპარაკე და უნდა გითხრათ, რომ არ შეცვლილა, კრივი ძველებურად სიამოვნებს. ამიტომაც, გამოვთქვამ იმედს, რომ რინგზე მომავალშიც ვიხილავთ — ეს სიტყვები შელი ფინკელს ეკუთვნის, მსოფლიოს ყოფილი მძიმეწონოსანი ჩემპიონის, მაიკ ტაისონის მენეჯერს.

ფინკელი ცხადია, „რკინის მაიკზე“ ლაპარაკობს. ის ცდილობდა გაექარვებინა ეჭვი, რომელიც პოლონელ ანჯეი გოლოტასთან ბრძოლის წინ დათესა თავად ტაისონმა. მაშინ მოკრივემ თქვა, ეს ჩემი უკანასკნელი ბრძოლა იქნებაო.

უკანასკნელი ბრძოლა? შეუძლებელია. დღეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სკანდალებით ცნობილ „კაციჭამიას“ საზოგადოება კვლავ იხილავს მეტოქესთან თვალში თვალგაყრილს.

ევანდერ ჰოლიფილდს და ლენოქს ლუისსაც სწორედ ეს უნდათ.

ბოლოს ტაისონი ხალხს 31 ოქტომბერს, „გრენდ სენტრალ სტეიშენში“ დაენახა, სადაც ლუისი დავიდ ტუასთან საბრძოლველად ემზადებოდა. „რკინის მაიკმა“ ჩემპიონის ღია ვარჯიშს მიადევნა თვალი, შემდეგ კი ჟურნალისტებთან მის საუბარსაც დაესწრო.

ლუისისა და ტუას ბრძოლა, მოგეხსენებათ, 11 ნოემბერს ლას ვეგასში შედგა და ლუისის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ტაისონმა ამ სანახაობას ტელეეკრანზე უცქირა.

— მაიკი უკმაყოფილო გახლდათ იმით, რომ ტუამ მოწინააღმდეგეს ვერაფერი შესთავაზა, ლუისზე კი თქვა, მან ზუსტად იმდენი მოინდომა სამოელის ცემას რომ ეყოფოდა, მეტად კი თავი არ შეუწუხებიაო — უამბო დაინტერესებულთ ფინკელმა.

შემდეგ მენეჯერმა მომავალზე ილაპარაკა:

— ჩემი სურვილია ტაისონი ჯერ ჰოლიფილდს შეებრძოლოს, შემდეგ კი ლუისს.

როგორც ამბობენ, ორივე ბრძოლა გაისად გაიმართება. მანამდე კი, თითქოს, „რკინის მაიკს“ წასავარჯიშებლად მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში უნდა ეჩხუბა. ამ ბრძოლის თარიღს ზუსტად ვერ ასახელებდნენ, თუმცა იანვარზე იყო ლაპარაკი, ამის შესახებ „სარბიელიც“ წერდა, მაგრამ — ეს ამბავი მოკვდა — კატეგორიულად განაცხადა ფინკელმა.

ისე, ტაისონისა და ჰოლიფილდის მესამე დაპირისპირება საინტერესო სანახავი უნდა იყოს. გეხსომებათ, მეორედ რომ შეხვდნენ ერთმანეთს, ტაისონმა მოწინააღმდეგეს ყურზე უკბინა, რის გამოც დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამიტომაც, მათი მორიგი ბრძოლა კომერციული თვალსაზრისით უეჭველად მომგებიანი გამოვა. ცხადია, ტელევიზიით მას კრივის მოყვარულთა გარდა სხვა უამრავი ადამიანიც ნახავს. გარდა ამისა, მას მერე, რაც WBA-მ თავისი ტიტული ლენოქს ლუისს სასამართლოს ძალით ჩამოართვა, მის მფლობელი, იურიდიულად, ჰოლიფილდი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ტაისონი ჰოლიფილდს დაამარცხებს, ლუისთან უკვე სხვა პოზიციიდან გამართავს მოლაპარაკებას.

თუმცა, ამას „თუ“ არ სჭირდება, ტაისონი ჰოლიფილდს რომ აჯობებს აშკარაა. ჰოლიფილდი ხომ დიდი ხანია აღარაა ის კაცი, „რკინის მაიკს“ ორჯერ რომ აგემა მარცხი. ბოლო ბრძოლაში ჯონ რუისთან მართალია ქულებით გაიმარჯვა, მაგრამ ერთობ უსახურად მოქმედებდა. ისე კი, ამაყი კაცია და რინგზე გასვლას თავს არ აარიდებს. განა ტაისონთან პირველ ბრძოლას მხოლოდ იმიტომ არ დაყაბულდა, რომ იმის წინ შერკინებაში დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა?

**ტუტა სიხარულიძე**



# ლომუს ნაცვალის ფრანგი ბებია

**ევროპაში** ტურნედ მყოფმა ახალი ზელანდიის ნაკრებმა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სახელგანთქმული წევრი მოისაკლისა. საფრანგეთთან პირველ ტესტში დაშავებული ჯონა ლომუ შაბათს მარსელში „მამლებთან“ ველარ ითამაშებს. იგი შინ გაემგზავრა და სავარაუდოდ, შეიძლება საოპერაციოც გახდეს. 25 წლის მთაკაცს „შავების“ კვართი 46 ტესტში მოურგია და 29 ლელოც გაუტანია.



ჯონა ლომუ

კვირას ახალზელანდიელთა მთავარი მწვრთნელი უეინ სმიტი კი აცხადებდა, ლომუ ექიმებმა შეამოწმეს და საშიში არაფერიაო, მაგრამ იგი თურმე ცდებოდა. „ჯონა შინ ბრუნდება, რადგან განმეორებითი შემოწმების შემდეგ ექიმებმა ქირურგიული ჩარევა აუცილებლად მიიჩნიეს. თუმცა ოპერაცია გაკეთდება თუ არა, ეს მხოლოდ ახალ ზელანდიაში გადაწყდება“ — განუცხადა სააგენტო „ფრანს პრესს“ „ოლ ბლექსის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

უეინ სმიტმა ლომუს შემცვლელად ჯერ 23 წლის კალებ რალფი შეიგულა, მაგრამ ბოლოს ძირითადში ბრიუს რეიჰანას დაყენება გადაწყვიტა. „მამლების“ ყოფილი დამრიგებელი ჟან-კლოდ სკრელა რომ არა, სავსებით შესაძლებელი იყო, რეიჰანას მარსელის ტესტში ახალზელანდიელებისთვის მარჯვენა ფრთიდან შეეტია.

ალბათ, ცოტა დაიბენით, მაგრამ ახლავე აგიხსნით. საქმე ისაა, რომ შარშან მსოფლიოს თასისთვის მზადებისას რეიჰანას „ოლ ბლექსში“ მოხვედრის შანსი ჰქონდა, თუმცა იგი ბოლო მომენტში ნაკრებს მიღმა დატოვეს. იმედგაცრუებულმა მორაგბემაც თავისი გენეალოგიის კვლევა დაიწყო და გამოიძია, რომ ბებია წარმოშობით ფრანგი ჰყოლია. ჰოდა, რეიჰანამ საფრანგეთის რაგბის კავშირს სამსოფლიოო თასოდ ნაკრებში აყვანა სთხოვა, ჟან-კლოდ სკრელამ კი მისი დახმარება არ ისურვა. თუ რამდენად სწორად მოიქცა სკრელა, შაბათს გამოჩნდება, როცა ბრიუს რეიჰანა „შავების“ შემადგენლობაში პირველ მატჩს ჩაატარებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



რიჩარდ უილიამსს შვილიც უყვარს და მისი ფულებიც

# ფული მიყვარს ძალიან

**ჩვენში** ყველასთვის კარგად ცნობილი ანდაზა — მადა ჭამაში მოდის, ოკეანის გალმაც არანაკლებ ჭრის. რიჩარდ უილიამსმა თავის ქალიშვილებს ჩოგბურთის თამაში მაშინ დააწყებინა, როცა ტელევიზორში ქალთა ტურნირის მავანი გამარჯვებულის მიერ მიღებული საპრიზოების რაოდენობა — 30 ათასი დოლარი იხილა.

დღესდღეობით უილიამსებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ოფიციალური მულტიმილიონერებიც არიან, მაგრამ მწვანეებდაჭაშნიკებული ოჯახის მამას ეს აღარ აკმაყოფილებს: „სადაც უნდა გამოჩნდენ სერენა და ვინუსი ყველგან ანშლაგია, თუნდაც წყვილების მატჩი იყოს. მათ გამო ქალთა ჩოგბურთის სატელევიზიო რეიტინგებიც შესამჩნევად ამაღლდა. ჩვენ სხვებს გამდიდრებაში ვეხმარებით, დროა, ფული გავინაწილოთ“.

ექსცენტრულმა (თუ შერეკილმა არა) რიჩარდმა თავისი ბრძნული იდეების გადმოსაფრქვევად ისევ გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ არჩია, სადაც ორიოდ თვის წინ მარტინა ჰინგისს ფეხების მოხერხვა და ახლების მიბმა ურჩია. უილიამსმა WTA ტურს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მოგების წილში ჩაჯდომა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ულტიმატუმიც წაუყენა, ჩემს ოქროგოგოებს კიდევ უფრო ცოტა ტურნირზე ვათამაშებო.

რიჩარდს არც ამჯერად გაუშვია ხელიდან შესაძლებლობა, ქალიშვილების მთავარი კონკურენტებისთვის კბილი გაეკრა: „WTA-ს პოპულარობის ზრდა ვინუსის, სერენასა და ანა კურნიკოვას დამსახურებაა. მათ გარეშე ქალთა ჩოგბურთი ისევ ჩაიძირება ჭაობში. მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები — მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი არაფრის მაქნისები არიან. მე ლინდსი მომწონს, მაგრამ მისი სპონსორი „ნაიკიც“ კი დაგიდასტურებთ, რომ ეს გოგო ვერაფერს ყიდის. იგივეს თქმა შეიძლება ჰინგისზეც“.

უილიამსთა კლანის უფროსის მოთხოვნები ამით არ ამოიწურება. მას სურს, კლასიფიკაცია მოთამაშეთა მხოლოდ 12 საუკეთესო შედეგის ჯამი იყოს და არა 18-ის, როგორც ამჟამად. ამით ტრავმების რაოდენობა შემცირდება, ამბობს რიჩარდი, თუმცა სინამდვილეში ცდილობს, ქალიშვილებს ზედმეტი გარჯის გარეშე გაუკვალოს გზა პირველი ჩოგნობისკენ — ჰინგისიც და დევენპორტიც ხომ მათზე გაცილებით მეტს თამაშობენ.

„მინდოდა ყველაფერ ამაზე WTA-ს თავკაცს ბარტ მაკგუაიერს ჯერ კიდევ აშშ-ის ღია პირველობაზე გავსაუბრებოდი, მაგრამ ის ისე მოიქცა, თითქოს ვერ გაიგო, რას ვითხოვდი და სიტყვა ბანზე ამიგდო“ — დაამატა უილიამსმა, რომლის ქალიშვილებმა ბოლო ორ წელიწადში დაახლოებით 10-10 მილიონი მიითვალეს.

თუ რიჩარდის გამოხტომებს აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ, ქალთა ჩოგბურთის თავკაცებს ამჯერად აღარ წაუყრუებიათ.

„WTA ტურის ყველა მოთამაშე თანაბრად ინაწილებს ჩვენს მოგებას. სპონსორებიდან და სატელევიზიო უფლებებიდან მიღებულ თანხებს ისევ ტურნირებს ვახმართ და ვითხოვთ მათ საპრიზო ფონდები გაზარდონ. ამ ფულის მოგება ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია. რაც შემეხება მე, ყოველთვის მზად ვარ, ჩოგბურთელებს, მათ მშობლებს თუ წარმომადგენლებს შევხვდე და ვესაუბრო სპორტულ თუ სხვა პრობლემებზე“ — განაცხადა გუშინ მაკგუაიერმა.

ტურის თავკაცმა არც სხვა განცხადებები დატოვა უპასუხოდ: „მოთამაშეთა საჭიროება უკვე გავითვალისწინეთ და გაისიდან სეზონი ორი კვირით შევამცირეთ. არა მგონია, უახლოეს წარსულში სპორტის რომელიმე სახეობაში მსგავსი რამ გაეკეთებინოთ“.

# ჰენმანი ქილერებს ეძებს

ნიუ იორკი. აშშ.
„ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი“.
დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2 მილიონი $

ტრავმირებული დები უილიამსების (თუმცა რიჩარდის ზემოხსენებული განცხადებების შემდეგ ამაში დაეჭვებაც შეიძლება), მარი პირსისა და ანკე ჰუბერის გარეშე დარჩენილ მსოფლიოს ჩემპიონატს ბოლო წუთს კიდევ ერთმა ვარსკვლავმა — ამელი მორესმომ უგანა. ლესბოსელმა ფრანგმა ფეხის ტრავმა მოიმიზეზა და თავისი ადგილი რუს ელენა ლიხოვცევას დაუთმო, რომელმაც თავის მხრივ წინა კვირაში ზურგის ტკივილის გამო ფილადელფიაში ვერ ითამაშა.

პირველ წრეში დამარცხებულისთვის განკუთვნილი 30 ათასი დოლარი ლიხოვცევასთვის შესანიშნავი ტკივილგამაყუჩებელი გამოდგა. ის კი არა, რუსმა ლამის მეოთხედ განთესილი კონჩიტა მარტინესიც იმსხვერპლა, მაგრამ 6:2, 4:2-ით დაწინაურებულს კიდევ მეტი ფულის შოვნის შესაძლებლობამ თავგზა აუბნია და საბოლოოდ ესპანელმა იმარჯვა 2:6, 6:4, 6:3.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა მერვედფინალში იოლად სძლია ფრანგ ჟული ალარს 6:2, 6:3. 30 წლის ვეტერანისთვის ეს კარიერის უკანასკნელი მატჩი გახლდათ, პრესკონფერენციაზე მან ჟურნალისტებს პენსიაზე გასვლის გეგმები გაანდო: „უკვე 14 წელია პროფესიონალი ვარ და, ეს საკმარისია. წლეულს არცთუ ურიგოდ ვითამაშე, ვიცი, გაგრძელებაც შემიძლია, მაგრამ გული აღარ მიმიწევს. მინდა, პირად ცხოვრებას, მეუღლეს მივხედო“.

ყველაზე დიდ ინტერსს ყოფილი ვუნდერკინდების, ჯენიფერ კაპრიატისა და ახლანდელი სექსსიმბოლოს, ანა კურნიკოვას შეხვედრა იწვევდა. შეცდომებითა და ბრეიკებით სავსე მატჩი არცთუ დაძაბული გამოდგა — მნიშვნელოვან მომენტებში ამერიკელს ხელი უკანკალებდა, ბურთს კორტში ვერ აჩვედრებდა და შედეგად 19 წლის რუსი კარიერაში პირველად გასცდა ჩემპიონატის პირველ წრეს 6:4, 6:1.

**მერვედფინალი: კიმ კლაისტერსი (ბელგია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) 7:5, 6:4; ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 6:2, 6:1**

მასტერსის სერია — პარიზი. საფრანგეთი.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 3 მილიონი $

ტიმ ჰენმანი საბოლოოდ გამოაკლდა კაცების მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურების კანდიდატთა რიცხვს. ინგლისელმა მეორე წრეში ესპანელ ალბერტ კოსტასთან წააგო 4:6, 4:6 და მართებულად შენიშნა, ახლა ორი მკვლელის დაქირავებაღა თუ მიშველისო. სწორედ ამდენი კაცის, უპირველესად კი ალექს კორეჩასა და ტომას ენკვისტის „მოშორება“ გაუხსნიდა ბრიტს გზას ლისაბონის „მასტერსის თასისკენ“.

**პირველი წრე: ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 7:6 (7:5), 7:5; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 4:6, 6:2, 6:2.**

**მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 7:6 (7:0); უეინ ფერეირა (10, სამხრეთ აფრიკა) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 2:6, 6:4; მარკ როსე (შვეიცარია) — სედრიკ პიოლინი (14, საფრანგეთი) 7:5, 7:5; ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



ჟული ალარმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა



## კრივალოსანი

# ლუისმა მუჰამედთან პური გატეხა



**ლენოქს ლუისმა** 11 ნოემბერს ახალზელანდიელი დავიდ ტუას დამარცხებით, მძიმე წონაში WBC-სა და IBF-ის ჩემპიონობა შეინარჩუნა და დიდძალი ჰონორარის გარდა დიდი პატივიც ერგო. კერძოდ, სამშაბათს, 14 ნოემბერს იგი სადილად თვით მუჰამედ ალიმ დაპატიჟა. სადილი ლოს ანჯელესში შედგა. ალიმ ბრიტანელი ჩემპიონი უშუალოდ თავის მაგიდასთან მიიპატიჟა.

აღსანიშნავია, რომ 1988 წლის ოლიმპიური ოქროს მფლობელი ლენოქს ლუისი იმ თაობის კაცია, დიდი მუჰამედ ალის ზეობის ხანაში მის მაგალითზე რომ იზრდებოდა.

**2 დეკემბერს** ლას ვეგასის გახმაურებულ სასტუმრო-კაზინო „მენდალი ბეიში“ დიდი სეირის მომასწავებელი ბრძოლა გაიმართება: პირველ საშუალო წონაში (69,9 კგ) WBA-ს ჩემპიონი, პუერტო-რიკოელი ფელიქს ტრინიდადი IBF-ის ჩემპიონს, ამერიკელ ფერნანდო ვარგასს უნდა შეხვდეს. ტრინიდადი, რომელსაც კარიერაში ოცდათვრამეტივე ბრძოლა აქვს მოგებული, დარწმუნებულია, რომ იმ საღამოს მისი მუშტების ფოიერვერკი გაიმართება, მაგრამ, ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ ვარგასს (20 ბრძოლიდან ყველა გამარჯვება) სერიოზულად არ აღიქვამს.

„მე ვარგასზე ძლიერი მოკრივე ვარ, მაგრამ მას სწამს, რომ გამარჯვების ღირსია და ამის დამტკიცებას ეცდება. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ის ჩემთან შედარებით ბავშვია. გამორიცხულია, რომ გამლახოს. მითხრას ერთი ვინმემ, რა გაუკეთებია ვარგასს ისეთი, ჩემი ცემა რომ შეძლოს. მე მას უბრალოდ დავანოკაუტებ და ეს ასეც იქნება, გპირდებით“ — განაცხადა ტრინიდადმა.



დონ კინგი

**მსოფლიოს** საკრივო საბჭოს (WBC) საშუალოწონოსანმა ჩემპიონმა კიტ ჰოლმსმა, ცნობილ პრომოუტერს დონ კინგს კონტრაქტის პირობების დარღვევაში დასდო ბრალი და ზარალის ანაზღაურებაზეც ალაპარაკდა.

ბრალდება ოფიციალურად უილმინგტონში, აშშ-ის სამხარეო სასამართლოში გაფორმდა და მის თანახმად 28 წლის მერილენდელი მოკრივე ორგანიზაცია „კინგ პროდაქშენს“ 1997 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების იმ პუნქტის შეუსრულებლობას ედავება, რომლის თანახმადაც „კინგ პროდაქშენს“ მისთვის ყოველწლიურად სამი ბრძოლა უნდა მოეწყო.

კინგმა პირველ და მეორე წელიწადს შეძლო ჰოლმსისთვის მიცემული პირობის შესრულება, მესამე წელიწადს კი ხელი მოეცარა. 1999 წლის მაისიდან 2000 წლის მაისამდე ერთადერთი ბრძოლა, რომელიც ფირმამ ჩემპიონისთვის გაახერხა, 1999 წლის 24 სექტემბერს შედგა. იგი ვაშინგტონში ჩატარდა და ჰოლმსმა ენდრიუ კაუნსილი დაამარცხა.

აქ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში ერთმა გარემოებამ: 2000 წლის 29 აპრილს კიტ ჰოლმსმა ლონდონშიც დაიცვა ტიტული, რობერტ მაკკრეკენი დაამარცხა, მაგრამ როგორც საბუთებიდან ირკვევა, ეს ბრძოლა „კინგ პროდაქშენს“ არ მოუწყვია.

ამრიგად, საშუალო წონის ქამრის მფლობელი აღშფოთებულია და თვლის, რომ კინგის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევამ მას, ჯერ ერთი, მატერიალური ზარალი მიაყენა, მეორეც ფორმიდან ამოაგდო და მესამეც, მისი სახელი გულშემატკივარს გადააავიწყა.

გარდა ამისა, ჰოლმსი სასამართლოსგან ითხოვს: როგორც კი „კინგ პროდაქშენის“ მხრიდან ხელშეკრულების დარღვევა დადასტურდება, იგი ამ ფირმასთან ყოველგვარი ვალდებულებებისგან განთავისუფლებულად სცნონ. წესით, მოკრივისა და კინგის კონტრაქტი 2001 წლის 27 მაისამდეა ძალაში.

„კინგ პროდაქშენი“ ტერიტორიულად ფლორიდაში, დრიფილდ ბიჩში მდებარეობს და მას ჰოლმსის საქმესთან დაკავშირებით ჯერ სიტყვაც არ უთქვამს.

**ტელეკომპანია** „შოუთაიმი“ პოლონელ მძიმეწონოსან ანჯეი გოლოტას 20 ოქტომბერს მაიკ ტაისონთან ბრძოლისთვის (თუ ცრუ ბრძოლისთვის?) შეპირებულ 2 მილიონ დოლარს სრულად არ გადაუხდის. „შოუთაიმს“ ტაისონისგან მეორე რაუნდის შემდეგ გაქცეული მოკრივისთვის 400 ათასის ჩამოკლება განუზრახავს და ამბობს, თანხას ჩვეულებრივი წესით, პროფესიული რეიტინგის შესაბამისად მივცემო. ეს კი, როგორც მოგახსენეთ, 1,6 დოლარია.

კომპანიის გადაწყვეტილებას გოლოტა და მისი მეუღლე, ცხადია, აპროტესტებენ, თუმცა მათაც ვაჭრობის წესებს მიმართეს და თავის მხრივ 2 მილიონის ნაცვლად უკვე 1,75 მილიონს ითხოვენ.

საბოლოოდ რა მოხდება, დრო გამოაჩენს, თუმცა ფაქტი ერთია: 20 ოქტომბრის ბრძოლის ადრიანად შეწყვეტამ ჩიკაგოში მცხოვრებ პოლონელს სერიოზულად შეურყია სახელი და, მისცემენ თუ არა კრივის მამები თავის გამოჩენის ახალ შანსს, ჯერ საკითხავია.

საშუალოწონის WBA-ს ყოფილ ჩემპიონს, ხორხე კასტროს მშობლიურ ქალაქ კალეტა ოლივიაში პირობით 3 წლის პატიმრობა მიუსაჯეს და მართვის უფლება 8 წლით ჩამოართვეს. კასტროს დანაშაული ის გახლდათ, რომ მთვრალმა 169 კმ/სთ სიჩქარით გააქროლა მანქანა და საბარგოს შეასკდა, რის შედეგად გვერდით მჯდომი, 18 წლის სულმა დუარტე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მგზავრი ხუან აკოსტას თავის ქალა გაუტყდა.

33 წლის მოკრივემ დაზარალებულთა ოჯახებს ბოდიში მოუხადა, მათ კი კასტროს სასამართლოში უჩივლეს. ამიერიდან, 4 წლის განმავლობაში, კასტრომ რაიმე სხვა დანაშაულიც რომ ჩაიდინოს, საპყრობილეში ორივე სასჯელის ერთად მოხდა მოუწევს.

**ტუტა სიხარულიძე**

# სერიამდე აფრიკა ვნახოთ

**ნოემბრის** ბოლოს შვიდკაცას მსოფლიოს სერია იწყება, რომელშიც სხვა ბობოლა სარაგბო ქვეყნებთან ერთად საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. „ბორჯღალოსნები“ ხუთ ტურნირზე არიან მიწვეულნი — დუბაიში, დურბანში, ლონდონში, ჰონკონგსა და პარიზში. პირველი შეჯიბრი 23-24 ნოემბერს დუბაიში გაიმართება.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჩვენებურები ტურნირის ორგანიზატორებმა მეცხრე ნომრად განთესეს და წილისყრამ A ჯგუფში მეტოქეებად ახალი ზელანდია, ინგლისი და მასპინძლები გვარგუნა. მეოთხედფინალში ორი საუკეთესო ნაკრები გავა. საქართველომ შარშან ამ ტურნირზე ნახევარფინალს უწია, ამჯერად ამის გაკეთება, ალბათ, გაუჭირდება, მაგრამ თუ ჩვენებურების ბოლოდროინდელ პროგრესს გავითვალისწინებთ, შეუძლებელი ნამდვილად არაფერია, მით უმეტეს, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასის სერიისთვის სამხრეთ აფრიკაში მოემზადება, სადაც 17-18 ნოემბერს გასამართ ორდღიან ტურნირში მოსინჯავს ძალას. „ბორჯღალოსნებს“, სავარაუდოდ, მუხლის ტრავმის გამო გუნდის კაპიტანი და ფრანგული „ტულონის“ მობურთალი გია ლაბაძე დააკლდება, სამაგიეროდ, გუშინწინ ლეგიონერებს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები შეუერთდნენ. ესენი არიან: გიორგი ტრაპაიძე (სტუ-„ყოჩები“), ირაკლი მაჩხანელი (აკადემია), ოთარ ელოშვილი („უნივერსიტეტი“), ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე (ორივე „აია“) და ირაკლი აბუსერიძე (ასკ).

**ბაჩო სვანიძე**

# კოენს ძმა, კოენს მამა მოუკლეს

**ინგლისის** მორაგბეთა ნაკრების ვარსკვლავი, 22 წლის ბენ კოენი ჟურნალისტებს მამის, პიტერის გამოჯანმრთელებაზე ესაუბრებოდა, როდესაც მწვრთნელმა კლაივ ვუდფორდმა გაიხმო.

მამა გარდაცვლილა.

ბენმა დაუყონებლივ დატოვა ბანაკი და შინისკენ, მოლტონისკენ გაეშურა, სადაც დედა, 57 წლის ლანა და 26 წლის ძმა ჯასტინი ეგულებოდა.

...მკვლელობა გამოდის. ოთხი კაცი დაპატიმრებულიცაა. თავად განსაჯეთ, 58 წლის პიტერ კოენი ღამის კლუბში კარისკაცად მუშაობდა, თუმცა იმ დღეს მისი მორიგეობა არ იყო, უფროს ვაჟთან ერთად ისე მივიდა „ეტერნიტიში“. და, როგორც ირკვევა, იქ ვიღაც ხულიგნები ქეიფობდნენ. კარისკაცი საქმეში ჩაერია, ატყდა ჩხუბი, რის შედეგადაც რაგბის ვარსკვლავის მამა თავის ქალის დაზიანებით საავადმყოფოში მოხვდა, იქ კი სამი კვირის მანძილზე ებრძოდა სიკვდილს.

აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილი ფეხბურთში 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, ჯორჯ კოენის ღვიძლი ძმა გახლდათ.

ბუნებრივია, ბენ კოენი შაბათს, ავსტრალიასთან ტესტ — მატჩში ვერ ითამაშებს, თუმცა იქით კვირაში, არგენტინის წინააღმდეგ ალბათ, მოედანზე იქნება.



პიტერ და ბენ კოენები

**ტესტი**

სენ დენი. 11 ნოემბერი

80 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | **26 (12)** |
| **ახალი ზელანდია** | **39 (15)** |

**საფრანგეთი:** გარბაჟოზა, ლომბარი (ბერნა — სალი 52), კომბა, დურთი, ბორი, ლამეზონი, გალტიეჲ მანი, ჟუიჲ მონი (ბეტსენი 62), პელუ (კაპ.), ორადუ (ბრუზე 75), კალიფანო (დე ვილიე 62), ლანდრო, მარკონე
2ლ — ბერნა-სალი (78), პელუ (80); 2გ. და 4ს — ლამეზონი (4, 9, 10, 23)
**ახალი ზელანდია:** კალენი, ჰოულეტი, უმაგა, გიბსონი, ლომუ, მერთენსი, მარშალი, რობერტსონი, კრიბი, ტორნი, მაქსველი (ფლეიველი 41), ბლეკედერი (კაპ.), სომერვილი (სლეიტერი 72), ოლივერი, ფიიკი
2ლ — ჰოულეტი (49), კალენი (69); 1გ — მერთენსი (49); 9ს — მერთენსი (6, 16, 21, 24, 33, 42, 50, 61, 74)
**მსაჯი:** ერიკსონი (ავსტრალია)

# რევანშისტული თამაში
## ქურციკებმა ფერი იცვალეს

ახალმა ზელანდიამ შარშან მსოფლიოს თასის ნახევარფინალში დამარცხებისთვის შური იძია. „შავები“ ამისთვის უკვე კარგა ხანია ემზადებოდნენ და მიზნის მისაღწევად არაფერი დაიშურეს.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი ხშირად არღვევდა თამაშის წესებს, ამიტომაც ბევრი საჯარიმო დაინიშნა და დამრტყმელებმაც არ შეირცხვინეს თავი. ავსტრალიასთან ერთი კვირის წინ გამართული ტესტისგან განსხვავებით, კრისტოფ ლამეზონი ამჯერად უშეცდომოდ ურტყამდა, ენდრიუ მერთენსის გაცუდებული საჯარიმო ხომ საერთოდ იშვიათია. ვინაიდან სტუმრებმა ერთით მეტი საჯარიმო შეასრულეს, ამიტომაც შესვენებისას წინ სწორედ ისინი იყვნენ — 15:12.

დაიწყო თუ არა მეორე ორმოცწუთეული, მერთენსს კიდევ ერთხელ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება და მანაც მორიგი სამი ქულა მოუტანა თავისიანებს. მერე კი ლელოს დროც მოვიდა. ჯასტინ მარშალმა ფრანგთა დაცვის წამიერი უყურადღებობით ისარგებლა და შეტევა თავისი ნახევრიდან წამოიწყო. მერე ბურთი კრისტიან კალენს მიუვიდა, რომელმაც კარაქივით იოლად გაჭრა „მამლების“ დაცვის ხაზი და ტანა უმაგას უპასა. ამ უკანასკნელმა კი ჰოულეტს დაადებინა ბურთი საფრანგეთის ძელებს შორის. მერთენსმა იოლ გარდასახვას ერთი საჯარიმოც დაურთო და 50-ე წუთისთვის სტუმრები საკმაოდ დაწინაურდნენ — 28:12.

ფრანგებს ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ შეუძლებელი არ იყო. მათ რიგიანად კი შეუტიეს, მაგრამ ბოლო მომენტებში სცოდავდნენ. „შავები“ კი თითქმის ყველა შანსს იყენებდნენ ანგარიშში სხვაობის გაზრდისა. ჯერ ისევ მერთენსმა ივარგა, მერე კი სამხრეთელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა კალენის ლელოთი დაგვირგვინდა, თუმცა ვიდეოფირზე აშკარად ჩანდა, რომ იერიშისას ჯონა ლომუმ წინ გააკეთა პასი. ყოველ შემთხვევაში, მსაჯებმა წესების დარღვევა ვერ დააფიქსირეს. 74-ე წუთზე მერთენსმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და 39:12.

მასპინძლებმა მატჩის მიწურულსღა იფეთქეს და ფილიპ ბერნა-სალისა და ფაბიენ პელუს (კალენის მსგავსად საეჭვო) ლელოების წყალობით გამანადგურებელ ანგარიშს თავი დააღწიეს.

„სტად დე ფრანსის“ ტრიბუნებზე კი ახალზელანდიელ ქომაგებს ამაყად აეფრიალებინათ ტრანსპარანტი, რომელზეც revenge (რევანში) ეწერა. ფრანგებს სამაგიეროს გადახდა ამ შაბათს შეეძლებათ, როცა „ოლ ბლექსს“ მარსელის „ველოდრომზე“ შეხვდებიან მეორე ტესტში.



არგენტინელებმა ლისანდრო არბიზუმ (მარცხნივ) და გონსალო ლონგომ ტონუს დელპორტი ჰაერშივე შებოჭეს



ჯონა ლომუმ (ბურთით) ფრანკ კომბა არ გაიკარა

**ტესტი**

ბუენოს აირესი. 12 ნოემბერი

60 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **არგენტინა** | **33 (16)** |
| **სამხრეთ აფრიკა** | **37 (24)** |

**არგენტინა:** კორლეტო, ბარტოლუჩი (კონტეპომი 14), ორენგო, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე (სიმონე 43), კესადა, პიჩოტი, მარტინი, ლონგო, ფელანი (დიურანი 40), ფერნანდეს ლობე, ალუბი, რეჯიარდო (გრაუ 67), მენდესი, აბანი (ლედესმა 79)
3ლ — ორენგო (14), კონტეპომი (73), სიმონე (79); 3გ. და 4ს — კესადა (1, 39, 40, 43)
**სამხრეთ აფრიკა:** დელპორტი, პოლსე, ქატერპოიზენი (ფან სტრაატენი 32), ფლეკი, უილიამსი (როსოუ 41), მონტგომერი, ფან დერ ვესტჰოიზენი, ფოსი, ფენტერი, კრიხე, ენდრიუსი, ფან დენ ბერხი, მეიერი, სმიტი (მარე 41), კემპსონი (ლე რუ 67)
5ლ — პოლსე (7, 11), ენდრიუსი (27), ფან სტრაატენი (34), ფლეკი (52); 3გ — მონტგომერი (11, 27, 52); 2ს — ფან სტრაატენი (75, 80)
**მსაჯი:** იანგი (ავსტრალია)

განახლებულ სამხრეთ აფრიკას, რომელიც ევროპამდე არგენტინას ეწვია, სამხრეთ ამერიკაში საკმაოდ უჭირს. ჯერ იყო და ჰარი ფილხოენის გაწვრთნილებმა „პუმების“ სათადარიგო ნაკრების ძლევას დიდი ოფლისღვრა მოანდომეს, ახლა კი ტესტშიც გაჭირვებით გაიმარჯვეს. მიუხედავად ამისა, ფილხოენი აცხადებს, რომ თავისიანების თამაშით სავსებით კმაყოფილია და მალე უკეთეს შედეგებს მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში, „ქურციკთა“ ახალი დამრიგებელი ახალწვეულების შინ გაგზავნას ჯერჯერობით არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ორიოდ თვის წინ დანიშნულმა ფილხოენმა თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით შავკანიან მორაგბეებს დიდი ნდობა გამოუცხადა და ტურნეში რვა ზანგი იახლა, რომელთაგან „ქურციკობას“ ნაჩვევი მხოლოდ პოლსე და უილიამსი იყვნენ. სწორედ პოლსემ გაიტანა შარშანდელი მსოფლიოს თასის მცირე ფინალის ერთადერთი ლელო, რომლის წყალობითაც სამხრეთ აფრიკამ ახალ ზელანდიას მესამე ადგილი არ დაანება.

ასე თუ ისე, ფილხოენის გუნდმა არგენტინაში დაგეგმილი ერთადერთი ტესტი მოიგო და ჩვენც მის შესახებ მოგითხრობთ. კვირას ბუენოს აირესის სტადიონ „მონუმენტალზე“, სადაც ჩვეულებისამებრ საფეხბურთო კლუბი „რივერ პლეიტი“ მართავს საშინაო შეხვედრებს, მისულმა 60 ათასმა მაყურებელმა 80-ის ნაცვლად მთელი 98 წუთი ადევნა თვალი „პუმებსა“ და „ქურციკების“ დაპირისპირებას. სწორედ 18 წუთი დაამატა ავსტრალიელმა მსაჯმა მატჩის ძირითად დროს და მის მიერ წამატებულ დროში ბევრი რამეც მოხდა...

მატჩის დასაწყისიდანვე სტუმრებმა ხელით თამაშის, რაც ასე მოსწონს ფილხოენს, სურვილი გამოავლინეს. და თუ ისინი პირველივე წუთზე დაჯარიმდნენ, რითაც კესადას ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მისცეს, სამაგიეროდ, მათმა ტაქტიკამ სასურველი შედეგიც მალე გამოიღო და პირველ ტაიმში ოთხი ლელოც გაიტანეს. მე-7 წუთზე ფლეკის გარღვევის შემდეგ პოლსემ მარჯვნიდან გაიტანა ლელო, ოთხ წუთში კი მანვე კრიხეს პასის შემდეგ ბურთი ძელებს შორის დადო.

მალე არგენტინელებმაც გაიხარეს. პიჩოტმა ორენგოს გაატანინა ლელო და კესადას გარდასახვის შემდეგ სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. თუმცა სტუმრებმა შესვენებამდე კიდევ 12 ქულა მოიხვეჭეს და 14 ქულით დაწინაურდნენ. თითქოს ტაიმიც ამ ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ ექვს წუთში კესადამ ამდენივე ქულა მოაგროვა 16:24.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „პუმების“ დამრტყმელმა კიდევ ერთი საჯარიმო შეასრულა ზუსტად, ოღონდ ეს სამი ქულა ალბანეზეს ორ კბილად დაუჯდა — დელპორტი მისი შებოჭვისას დაჯარიმდა, რომლის დროსაც არგენტინელს ორი წინა კბილი ჩაემტვრა.

ამის მერე უპირატესობა ისევ სამხრეთაფრიკელთა მხარეს გადავიდა და მათაც რამდენიმე წუთით მოწინააღმდეგე მისსავე სალელოე მოედანს მიაჯაჭვეს „პუმებმა“ რამდენიმე შეტევა კი ჩაუშალეს „ქურციკებს“, მაგრამ მათი დაცვითი ჯებირები 52-ე წუთზე მაინც გაირღვა. იერიში, რომლის დროსაც ბურთს ათიოდე აფრიკელი შეეხო, ფლეკის ლელოთი დაგვირგვინდა და მონტგომერიმაც ზუსტად გარდასახა — 19:31.

თითქოს მატჩის ბედი აქ გადაწყდა და მასპინძლები ველარაფერს შეძლებდნენ. თუმცა საკუთარი ქომაგების მიერ გამხნევებულმა არგენტინელებმა მეტოქეს გააფთრებით შეუტიეს და... კესადას წამოწყებული იერიში 73-ე წუთზე კონტეპომის ლელოთი დასრულდა. გარე ნახევარმცველმა გარდასახვა არ გააცუდა და ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა. აქამდე მშვიდად მოთამაშე „ქურციკებს“ აღელვება დაეტყოთ, რაც ცოტათი ფან სტრაატენის საჯარიმომ გაანელა. თუმცა დროებით.

79-ე წუთზე პიჩოტისა და კორლეტოს მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ სიმონემ ბურთიანად „ქურციკების“ სალელოე მოედანს უწია, კესადაც ისევ ზუსტი იყო და ანგარიში 33:34 გახდა. ყველაფერი ერთ საჯარიმოს ან არეკნს შეეძლო გადაეწყვიტა.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში ძირითადად სტუმრები უტევდნენ, მაგრამ გამარჯვების შანსი არგენტინელებსაც ჰქონდათ. ოღონდ, მათ მეტოქის იერიშებს ბოლომდე ვერ გაუძლეს და დაჯარიმდნენ. ფან სტრაატენმა თავისიანებს სამი ქულა მოუტანა, მაგრამ თამაში არც ამით დამთავრებულა. საფინალო სასტვენამდე მსაჯმა კიდევ კარგა ხანს მოიცადა და, ამ დროში გუნდებმა თითო რეალური მომენტი შექმნეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**გაიოზ თალაკვაძე**

ტუკუმანი. 8 ნოემბერი

**არგენტინა A 21:32 სამხრეთ აფრიკა**

**არგენტინა:** 2ლ — გრაუ, დიურანი; 1გ. და 2ს — კონტეპონი; 1ა — ფერნანდეს მირანდა
**სამხრეთ აფრიკა:** 4ლ — ტერბლანში (3); კოიზერი; 3გ. და 2ს — ფან სტრაატენი.

ედინბურგი. 14 ნოემბერი

**შოტლანდია A 37:24 სამოა**

**შოტლანდია:** 5ლ — ჯოინერი, კრეიგი, ატერსონი (2), საჯარიმო; 3გ. და 2ს — მაკკენზი
**სამოა:** 2ლ — ფაასუა, ტონე; 1გ — სანფტი; 3ს — ბარნსი, ტოლეაფოა, სანფტი; 1ა — ბარნსი

# მადლობის დღე

**თბილოდა გუშინ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ნონა გაფრინდაშვილის კაბინეტში შემოდგომის ულონო მზისა და გათბობის რომელიღაც მოწყობილობის წყალობით; მოჭადრაკეთა პოსტოლიმპიური პრესკონფერენციაც სწორედ იქ ჩატარდა, რადგან სააქტო დარბაზში ძალიან ციოდა. და რაკი სრული ანშლაგი იყო, ზოგიერთები ფეხზეც იდგნენ. დარბაზში გამეფებული სიცივის მიზეზი ნათელია. იგი ქვეყანაში მძვინვარე ენერგოკრიზისს უკავშირდება, ისევე, როგორც ვაკეში მოწყობილი სახალხო პიკეტი, თქვენი მონა-მორჩილი რომ შეაყოვნა და ათი წუთის დაგვიანებით მიიყვანა დანიშნულების ადგილას.**

**შესავალ** სიტყვაში ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა სტამბოლის ამბებზე ისაუბრა და ქართველი ვაჟებიცა და ქალებიც ერთობ შეაქო, ახალგაზრდობა საერთოდ გამოარჩია და მათთვის საგანგებო სახელმწიფო პროგრამის შემუშავების აუცილებლობა დაასკვნა. მხოლოდ მაია ჩიბურდანიძეზე ითქვა, ფორმაში ვერ იყოო. ისე, ჩვენი ექსჩემპიონი პრესკონფერენციაზე ვერ შევნიშნე (კიდევ ზურაბ სტურუას ვერ მოვკარი თვალი). გაფრინდაშვილმა შემდეგ საგანგებოდ ახსენა კომპანია „მაგთი" და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა, რასაც თანაპრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილის პატარა ხუმრობა („მაგთის" 1 500 ლარი მაქვს გადასახდელიო) და ქალბატონ ნონასგან ესტაფეტის აღება მოჰყვა. აზმაიფარაშვილმა დროის მეტი წილი ფიდეს 71-ე კონგრესს დაუთმო, რომელზეც პირველი საკითხი ფილიპინების ჭადრაკის ფედერაციაში აღმოცენებული ორხელისუფლებიანობა ყოფილა. ოპოზიციას, დიდოსტატ ეუგენიო ტორეს ხელმძღვანელობით, ცალკე ფედერაცია შეუქმნია და ჩვენთვის ნაცნობი ეს სიუჟეტი თურმე სტამბოლში იმით დასრულდა, რომ ფიდემ მოკვეთა ძველი და ცნო ახალი ფედერაცია. მიზეზი: ძველებს საერთაშორისო საჭადრაკო ინსტიტუტთან ლაპარაკი არ მოსურვებიათ, თუმცა ფიდეს ხალხი კარგა სამი დღითაც სწვევია მანილას.

მეორე და უმთავრესი საკითხი კონგრესზე მსოფლიო პირველობების ახალი ფორმატი იყოო, განაგრძო აზმაიფარაშვილმა. „ჩვენ დავასკვენით — თქვა მან — რომ „ნოკაუტ" სისტემამ თავისი მისია (ალბათ უკვე ისტორიული) შეასრულა და იგი შესაცვლელია". ახალი ფორმატი, რომლის დამკვიდრება უკვე 2001-02 წლების ციკლისთვისაა განზრახული, ასე გამოიყურება: ჩატარდება კონტინენტების ჩემპიონატები, იქაური რჩეულები მსოფლიო თასს გაითამაშებენ (64 კაცი), მერე 32 „გრან პრის" ეტაპზე გავა და ბოლოს, 4 საუკეთესო ჩემპიონის ტიტულს ფინალში გაითამაშებს. ამ საქმეებისთვის საჭირო ფულის ძიება ფირმა „ფიდე კომერსს" უკისრია, რომელიც კირსან ილუმჟინოვის ხელქვეითი ორგანიზაციაა.

მოკლედ აზმაიფარაშვილის მიერ კონგრესის შესახებ გადმოცემულ სხვა სასიამოვნო ამბებზეც: მარგალიტა თანდაშვილი საერთაშორისო არბიტრად აღაზევეს, ხოლო დასკვნით სხდომაზე კონგრესის საპატიო სტუმარი ასლან აბაშიძე იყო, რომელსაც ჭადრაკისადმი გაწეული ღვაწლისთვის დიდი პატივი სცეს და ფიდეს საპატიო წევრად აირჩიეს. თავად აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის მმართველი ორგანოს წევრი გამხდარა, ოღონდ ეს ამბავი ფიდეს კონგრესზე კი არა, კავშირის ასამბლეაზე გადაწყვეტილა.


გურამ [illegible] ფოტო

სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადის ქართველი მონაწილეები შედეგით კმაყოფილნი არიან

ამდენი თავყრილობების შემდეგ აზმაიფარაშვილი რიგიანად თამაშსაც რომ აზერხებდა (ოლიმპიადა პირველ დაფაზე +2-ით დაასრულა), გასაკვირია.

საამო ამბებზე საუბარი დაასრულა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით გურგენიძემ, ოღონდ ის-ის იყო, ლაპარაკი დაიწყო, რომ ქალბატონმა ნონამ საჩქაროდ ახსენა ბათუმელი ძმები დავით და მიხეილ ქანთარიები, რომელთაც ნაკრებთა ბოლო, ბათუმური შეკრების ყველა ხარჯები უკისრიათ, ამ გულისხმიერი ადამიანების მოუხსენებლობა არაფრით იქნებოდაო. მერე გურგენიძემ განაგრძო. მან მადლიერებით მოიხსენია თბილისის მერიის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა, მწვრთნელები — ხვიჩა სუპატაშვილი და გოგი მაჭარაშვილი, რომელთაც ოლიმპიადაზე ფრიადი „შავი სამუშაო" შეუსრულებიათ და სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული თეიმურაზ შარაშენიძე სულ ჩვენთან იყოო, აღნიშნა გურგენიძემ, ექსკურსიაც მოგვიწყო იმ დიდებულ ქალაქშიო.

თვის ბოლოს ინდოეთში მსოფლიოს პირველობა იწყება. გურგენიძემ ამაზეც თქვა და გავიგეთ: დელიში ვაჟთაგან მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილი ითამაშებს. იგი შეჯიბრში მეორე წრიდან ჩაერთვება, ისევე როგორც მაია ჩიბურდანიძე, სიუ ჟუნი და ალისა გალიამოვა (ფავორიტთა ტრიო) ქალებში. მანდილოსნებიდან ჩემპიონატზე საქართველოს აგრეთვე წარადგენენ ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, რუსუდან გოლეთიანი, ლელა ჯავახიშვილი, ინგა ხურცილავა, ნინო გურიელი, ნინო ხურციძე და სოფო ტყეშელაშვილი, ხოლო მათთან ერთად ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ილუმჟინოვმა მიიწვია.

პრესკონფერენციის ნათელ ცაზე ცოტათი მაშინ მოიღრუბლა, როცა ერთმა მასმედიელმა იკითხა, თავიდან ვაჟთა სუსტი თამაშის მიზეზი ის ხომ არ იყო, პირველ ტურში გიორგაძეს და სტურუას აზმაიფარაშვილის გვერდით დაფასთან ჯდომაზე რომ უარი უთქვამთ და მეორეში პირიქითო? ამაზე მოჭადრაკეებმა გაიცინეს, გაფრინდაშვილმა კი ინტრიგა უცებ ჩააქრო. მან ეს ოლიმპიადის არასწორი ორგანიზაციით ახსნა და, საერთოდ იქაური ყოფითი სიტუაციაც დაიწუნა, სასტუმროში ოთახები პატარა იყო და იოსელიანთან საერთოდ ფანჯარა ვერ გავაღეთო.

შემდეგ იყო სალაღობო ნაწილი, შეკითხვები თემაზე, მოჭადრაკეებს სტამბოლის ქართული დიასპორის წევრები თუ სტუმრობდნენ. აზმაიფარაშვილმა უსინათლოთა ნაკრებთან პირველ ტურში შეხვედრის პერიპეტიები გაიხსენა. სერიოზული საუბრის განახლებისას საინტერესო საკითხი წამოიჭრა: ბოლოს და ბოლოს ქართული ჭადრაკია ქალთა მსოფლიო ლიდერი, თუ ჩინური. ჩვენმა ქალებმა ის კი თქვეს, რომ მილიარდნახევრიან ჩინეთში ჭადრაკის ბუმია და ყველა დიდ ქალაქში ჭადრაკის ინსტიტუტებია გახსნილი, რომ იქ სპეციალური სამთავრობო პროგამაც ჭადრაკის სამსახურშია, მაგრამ: „დღესაც არ მგონია, რომ ისინი ჩვენზე კარგად თამაშობენ" — თქვა ნანა იოსელიანმა, თუმცა დაამატა, რომ სტამბოლში უკრაინასთან წაგების მერე პირველ ადგილზე აღარავინ ფიქრობდა.

ჟურნალისტთაგან შეკითხვების ნაკლებობა იყო, ამიტომ პრესკონფერენცია ამით დასრულდა. ავიყარენით და ყველამ ჩვენს გზას მივაშურეთ. ვაკეში პიკეტი გრძელდებოდა. უშუქობით გაწამებულ ხალხს ორიოდე პლაკატიც გამოეტანა.

**დავით გულუა**



# ფიცარნაგიდან ზოოპარკში

## მუხრან გოგიამ ბავშვობის ოცნება აისრულა: აბორიგენები ნახა

***სიდნეიში დარჩენილი ოთხი ქართველი ოლიმპიელიდან ორის ავსტრალიური ოდისეა დასრულდა — ძალოსნები მუხრან გოგია და ვალერი სარავა საქართველოში დაბრუნდნენ. ამ უკანასკნელმა ჩამოსვლისთანავე ქუთაისს მიაშურა. ზუგდიდელი მუხრან გოგია კი თბილისში შეყოვნდა...***

**— მუხრან, ავსტრალიაში გვეგონეთ და მოულოდნელად თბილისში აღმოჩნდით. რა მოხდა?**

— არაოფიციალურად ჩასულისთვის იქ გაჩერება ძნელია. იქაური წესები თავიდან არ ვიცოდი. ისეთი ვითარება შეიქმნა, წამოსვლა ვარჩიეთ.

**— დროებით, თუ?..**

— ალბათ, სამუდამოდ. დარჩენა უაზროდ რომ მივიჩნიეთ, უკან იმიტომ დავბრუნდით.

**— ამბობენ, რომ დარჩენა წასვლამდე გადაწყვიტეთ.**

— არა, ასე არ ვფიქრობდი. სიდნეის ოლიმპიადაზე დიდი იმედებით წავედი. არ მეგონა, უმედლოდ თუ დავბრუნდებოდი. უშუალოდ შეჯიბრების მსვლელობისას გამოჩნდა, რომ საპრიზო ადგილის დაკავება მართლაც შემეძლო.

**— აბა, როდის გადაწყვიტეთ?**

— უმედლოდ რომ დავრჩი, ჩემი მდგომარეობა გავაანალიზე. აქაური პირობები თქვენც იცით და მაშინ გადავწყვიტე დარჩენა. ვიფიქრე, ცოტას წავიმუშავებ, ფულს დავაგროვებ და მერე ათენის ოლიმპიადისთვის უკეთესად მოვემზადები-მეთქი. ვთქვი კიდეც ეს ბიჭებთან და სარავამაც მაშინ გამოთქვა სურვილი. მოგვიანებით მჭედლიძემ და ცერცვაძემაც იგივე გააკეთეს.

**— ხელმძღვანელობას რატომ არ გაუმხილეთ?**

— პირდაპირ გეტყვით — მომერიდა. თან ხომ გითხარით, თავიდან გადაწყვეტილიც არ მქონდა, გული მაინც აქეთ მიწევდა, ბოლოს, როცა სხვებმაც გადაწყვიტეს დარჩენა, ვერც გაფრთხილებას ვასწრებდით, მეხათრებოდა კიდეც და ამიტომ მეგობრებს ვთხოვე ამ ამბის გახმაურება.

**— დარჩენის მერე როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

— აქედან ჩასულებს ცოტა ხნით საკუთარი თავის სარჩენი ფული გვქონდა. თან სამუშაოსაც ვეძებდით. როგორც ქართველები, ცხადია, უფრო იოლს. თავის დიდად დატვირთვა არ გვინდოდა. როცა ასეთი ვერ ვნახეთ, წამოვედით. ჩვენს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ არალეგალურად ვიყავით იქ და მთელი ცხოვრება შავ მუშებად უნდა დავრჩენილიყავით. ეს კი არ გვსურდა.

**— მახსოვს, როცა თბილისიდან დაგიკავშირდნენ, თქვით, რომ უკვე მუშაობდით რესტორნის დაცვაში, თან აგრძელებდით ვარჯიშს და გქონდათ საუკეთესო პირობები. იცრუეთ?**

— არა, მთლად ასე არ არის. მაშინ მართლაც შემოგვთავაზეს რესტორნის დაცვაში მუშაობა. იქ ერთი ქართველი გავიცანით, რომელიც ავსტრალიაში დიდი ხანია ცხოვრობს და საკუთარი ფირმაც აქვს. ერთხელ ჩვენი ოთხეული პარკში ვისხედით და ვსაუბრობდით. ამ კაცმა ქართული ლაპარაკი რომ გაიგონა, გამოგვეცნაურა და დახმარებაც აღგვითქვა. მაგრამ არ მოგვეწონა მისი პირობები. მაშინ დაგვაკავშირა თავის მეგობრებთან, რომლებმაც შემოგვთავაზეს დაცვაში მუშაობა. დაახლოებით ერთ საათში თბილისიდანაც დაგვირეკეს და რაც მაშინ ვიცოდით, ის ვუთხარი. მერე, როცა ადგილზე მივედით და საკუთარი თვალით ვნახეთ ყველაფერი, არც ის მოგვეწონა.

**— მაინც რა პირობებს გთავაზობდნენ ასეთს, საქართველოდან ჩასულებმაც რომ დაიწუნეთ?**

— ეკონომიკურად ცუდი ვარიანტი ნამდვილად არ იყო. საათში 15 დოლარი შემოგვთავაზეს, დღე-ღამეში კი 10 საათი უნდა გვემუშავა. ეს ცოტა თანხა არ იყო, მაგრამ თვითონ სამუშაოს სპეციფიკა არ მოგვეწონა. ავსტრალიაში დაცვაში მუშაობა გაცილებით რისკიანია, ვიდრე საქართველოში. იქ საქმის გარჩევა ან ამგვარი არ იციან. ყველაფერს ფიზიკური ძალა წყვეტს. ამის მერე გული ამიცრუვდა და სხვა სამუშაო არც მიძებნია. როგორც შევატყვე, იქ მხოლოდ მუშაობის და ძილის დრო თუ მექნებოდა, ახალგაზრდა კაცს კი ასეთი ცხოვრება ხელს არ მომცემს.


გურამ [illegible] ფოტო

**— მუშაობა თუ არ გინდოდათ, მაშინ გამოდის, ტურისტად წასულხართ. თუ დაათვალიერეთ მაინც ეს ჩვენთვის რომანტიული ქვეყანა?**

— საბოლოოდ მართლაც ტურისტები გამოვდექით. დრო თავზესაყრელი გვქონდა და გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება, მეტი გვენახა. ვიყავით მელბურნშიც, დავათვალიერეთ ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობები ზოოპარკის ჩათვლით, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც იქაურმა ბუნებამ მოახდინა. ეს ზღაპრული რამ იყო. სიდნეიდან მელბურნში მიმავალი გზის დიდი ნაწილი უსიერ ტყეში გადის. იქ გავლისას ნაირნაირი ცხოველებიც გვხვდებოდნენ. ძალიან მაინტერესებდა აბორიგენთა ნახვაც. ეს სურვილი იქ გაცნობილი ქართველის წყალობით ავისრულე, რომელმაც მათ ერთ-ერთ დასახლებაში მიგვიყვანა. საინტერესო იყო, ძალიან მომეწონა. ასე ამიხდა ბავშვობის ოცნება. აბორიგენები სიდნეისთან ახლოს ცხოვრობენ და ეტყობა, თეთრკანიანებთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ. ამიტომ ჩვენი მისვლა დიდად არ გაჰკვირვებიათ, თუმცა, როგორც გვითხრეს, მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. ტელევიზორში რომ ვუცქერდი, ბოლომდე არც კი მჯეროდა, ასეთი ხალხი დღესაც თუ არსებობდა, საკუთარი თვალით ნანახს კი სხვა ფასი აქვს. მათი ნიანგის, სირაქლემასა თუ სხვათა ტყავებით მოფენილი კარვების, დასვირინგებული სხეულისა და ყოფა-ცხოვრების ცოცხლად ნახვა განუმეორებელი შთაბეჭდილებაა.

**— მჭედლიძე და ცერცვაძე რატომ დარჩნენ, იშოვეს სამუშაო?**

— ისინი ჩვენს წამოსვლამდე ორი კვირით ადრე მელბურნში წავიდნენ, სადაც მათ მეგობარი აღმოაჩნდათ. მერე ერთხელ კი შემეხმიანნენ, მაგრამ წამოსვლა მქონდა გადაწყვეტილი. როგორც მითხრეს, არ მუშაობდნენ, თუმცა რამდენიმე ვარიანტი ჰქონდათ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ სიდნეიში სხვა ქვეყნებიდანაც ბევრნი დარჩნენ, მაგრამ იქაური პრესა რატომღაც მხოლოდ ჩვენზე წერდა, წასვლა იუარეს და ავსტრალია ძალიან მოეწონათო. არადა, ჩვენთან არავინ მოსულა და აზრი არ უკითხავს. რატომ იქცეოდნენ ასე, ვერ გეტყვით.

**— ახლა რას აპირებთ?**

— რადგან სიდნეიში ხელი მომეცარა, დავრჩები სპორტში და გავაგრძელებ მზადებას ათენის ოლიმპიადისთვის. ღმერთი სამობითააო და მესამე ოლიმპიადასაც ვცდი. ნატკენი ხელი სიდნეიშივე მოვირჩინე და ახლა მთელი ძალით ვვარჯიშობ. არ მინდა, სპორტიდან დამარცხებული წავიდე. ატლანტაშიც და სიდნეიშიც ხელის ტრავმამ დამაბრკოლა, მაგრამ სიდნეი მაინც ჩემი კარიერის ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა, რადგან ახლა ნამდვილად მზად ვიყავი მედლის მოსაპოვებლად.

**ირაკლი თავაძე**



ივ პარლემ ლიდერობა დაკარგა

# ცხრილი ერთი სჯობს ორს

VENDÉE GLOBE 2000 2001 LES SABLES D'OLONNE

**შედეგთა** ნაწილში იახტის გვერდით ფინიშამდე მანძილს ვწერთ ხოლმე, მაგრამ თუ გიფიქრიათ, ეს ფინიშამდე მანძილი რაღას უნდა ნიშნავდეს, როცა იახტები ვიწრო ლიანდაგზე კი არა, უკიდეგანო ოკეანეში მიდიან და მიმართულებას როგორც მოეპრიანებათ, ისე იცვლიან? აგერ, დაიწყო „ვენდი გლოუბის" ცალკაცა იახტების შეჯიბრი, ცოტა ქვემოთ ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ივ პარლეს „აქუიტან ინოვასიონს" 22644 საზღვაო მილი დარჩა, მაგრამ მანძილის ასე ზუსტად დადგენის მეთოდებზე ვერას გეტყვით, ის დიფერენციალ-ინტეგრალებში კომპეტენტური ხალხის ხანგრძლივი ქექვის პროდუქტია და მკითხველის ინტერესის არეს სცილდება. მაგრამ აი, ხათაბალა: „ვენდი გლოუბის" მონაწილეთა დარჩენილ მილებს თურმე ორგვარად ითვლიან და როცა ცხრილები ჩავათვალიერეთ, გასაკვირი აღმოჩენა გავაკეთეთ: იმავე პარლეს თურმე 14 ნოემბერს ფინიშამდე 21445 მილი დარჩენოდა და 26 საათის შემდეგ — 22619 (?!). ცხადია, პარლე უკუსვლით არ მიდის, უბრალოდ, ცხრილები იყო განსხვავებული მეთოდებით შედგენილი და მომავალში დაბნეულობის აღმოსაფხვრელად მხოლოდ იმ მონაცემებს მოგაწვდით, რომელსაც რეგატის ოფიციოზი გადმოსცემს. მაშ, ასე — პარლე: 22644 მილი ფინიშამდე და 25 მილიანი ჩამორჩენა გალიდერებულ მიშელ დეჟუაიესთან, რომელმაც ჰიბრალტარის პარალელზე ქარის გაძლიერება თვისტომზე უკეთ გამოიყენა. მე-5 ადგილიდან საპრიზო მესამეზე გადაინაცვლა ფრანგმა მარკ თიერსელინმა, ხოლო ბრიტანელმა ელენ მაკარტურმა ხუთეულში შეაღწია. რეგატა აზორის კუნძულების მაღალი წნევის რაიონის საზღვარზე მიცურავს, ამიტომ ჩრდილოეთის ზურგქარის კიდევ უფრო გაძლიერებას ვარაუდობენ. მეტეოროლოგთა აზრით, ამგვარი სიტუაცია კვირის ბოლომდე გასტანს და რეგატას ფრიად დააჩქარებს.

**დავით გულუა**

15 ნოემბრის ვითარება (პირველი ხუთეული)

| | |
|---|---|
| 1. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) | 22619 |
| 2. ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს", საფრანგეთი) | 22644 |
| 3. მარკ თიერსელინი („ექტივ ვეარ", საფრანგეთი) | 22650 |
| 4. ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ", დიდი ბრიტანეთი) | 22656 |
| 5. თომა კოვილი („სოდებო", საფრანგეთი) | 22668 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში)*



# რუსმა რუსს უგანა

**თანამედროვე** ბიატლონში, ისევე როგორც სპორტის ბევრ სხვა სახეობაში, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ფიზიკურ მომზადებას. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც საბოლოო გამარჯვებისთვის მხოლოდ უზადო სროლა იყო საჭირო. არადა, მსოფლიოს თასის შარშანდელი გათამაშებისას რვა (!) გამარჯვება მოიპოვა ბიატლონისტმა, რომელმაც რბოლისას სულ ცოტა თითო სამიზნით ნაკლები მაინც დაამსხვრია მეორე პრიზიორთან შედარებით. აქედან ექვსჯერ პირველობა ნორვეგიელ ფროდე ანდრესენს ერგო. საბოლოოდ გიგანტმა ვიკინგმა სეზონში ყველაზე მეტი ეტაპი მოიგო, მაგრამ, მიუხედავად ამისა ანდრესენი მაინც პირველი სამეულის მიღმა დარჩა. ორჯერ ფროდემ კი იმდენი მოახერხა, რომ 77-ე და 83-ე ადგილებზე გავიდა.

გუშინწინ შვედეთის ქალაქ კირუნიაში მეორედ აილო სტარტი ბიატლონისტთა „ექვსი ერის ტურნირმა". პირველად სპორტსმენები გასულ შაბათს გაეჯიბრნენ ერთმანეთს და გამარჯვება ვეტერანმა რუსმა ვლადიმერ დრაჩოვმა მოიპოვა. მეორე ნორვეგიელი გიისე იყო, მესამე კი — ფრანგი პუარე. თუმცა კი რბოლის დაწყებამდე მომხდარ შემთხვევის გამო (როსტოვცევს ამუნიცია დაეკარგა) შეჯიბრების ორგანიზატორებმა რბოლის შედეგები გააუქმეს და გუშინ ხელმეორედ გამართეს.

სტარტი რუსმა როჟკოვმა მოიგო, რომელიც ასევე პირველი მივიდა სასროლეთზე, იქ კი ხუთიდან მხოლოდ ორი სამიზნე დაამსხვრია. ამით ისარგებლეს მისმა მდევრებმა და პირველი მონაკვეთის შემდეგ რბოლას სათავეში იტალიელი დაკანალი მოექცა. მთელი სამი მონაკვეთის განმავლობაში მოიკოჭლებდნენ როსტოვცევი, ანდრესენი და გერმანელი გროსი, რომლებმაც ექვს-ექვსი სროლა გააფუჭეს.

უკანასკნელ სასროლეთზე ლიდერთა სამეული ასე გამოიყურებოდა: დაკანალი, ლუკი და ჰაიმანი. იქ ლიდერებმა, თითქოს მოილაპარაკესო, ორ-ორი სროლა გააფუჭეს. საბოლოო გამარჯვება კი ყველასათვის მოულოდნელად, სლოვენიელმა იანის ოსბოლტმა მოიპოვა, რომელმაც ექვსი წამი მოუგო მეორეადგილოსან პუარეს. მესამეზე კი დიდი ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი გავიდა.


ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)




# რიგითი რაიანის გმირობა

14 ნოემბერი

**ვაშინგტონი — ფინიქსი 2:2**

0:0 0:1 2:1 0:0

0:1 რენიკი 28'39 (10); 1:1 დალინი 50'41 (4); 1:2 ტკაჩუკი 53'51 (9); 2:2 დალინი 59'38 (5)

**კოლუმბუსი — დალასი 3:2**

2:0 0:0 1:2

1:0 კუჩერა 7'39 (1); 2:0 ჰაინცი 15'10 (5); 3:0 ჰაინცი 43'08 (6); 3:1 ჰალი 45'55 (9); 3:2 ჰალი 56'17 (10)

**მონრეალი — ტამპა 0:1**

0:0 0:1 0:0

0:1 ლეკავალიე 28'12 (8)

**ნიუ ჯერსი — სან ხოსე 2:3**

2:0 0:1 0:2

1:0 ელიაში 7'29 (6); 2:0 მოგილნი 16'59 (6); 2:1 ჰაინსი 34'46 (2), 2:2 მარლო 45'48 (8), 2:3 რიჩი 49'00 (4)

**ედმონტონი — სენტ ლუისი 3:0**

2:0 0:0 1:0

1:0 რ. სმიტი 0'46 (10); 2:0 რ. სმიტი 15'04 (11); 3:0 რ. სმიტი 59'08 (12)

**ვანკუვერი — ჩიკაგო 4:2**

1:2 2:0 1:0

0:1 ჟამნოვი 8'13 (6); 1:1 კესელსი 15'44 (6); 1:2 სალივანი 19'24 (9); 2:2 დ. სედინი 30'57 (6), 3:2 ნესლუნდი 36'08 (10), 4:2 კლეტი 55'34 (3)

ედმონტონის ფორვარდმა რაიან სმიტმა სენტ ლუისს 10-მატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. „მენავთობეებმა" ჰეთ თრიქი პარტნიორთა დაუხმარებლად შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ლიგის ისტორიაში სულ ათმა ჰოკეისტმა შეძლო 3:0 დასრულებულ მატჩებში ყველა გოლის გატანა, სმიტი კი პირველია, რომელმაც ეს ორჯერ (!) მოახერხა და მწვრთნელის, კრეიგ მაკტავიშის ქება და ალტაცებაც სამართლიანად დაიმსახურა.

დებიუტანტი კოლუმბუსი ლიგას ჯერ მხოლოდ ეჩვევა, მაგრამ ნებისმიერი მეტოქე რომ უნდა უფრთხოდეს, ბოლო მატჩებმაც დაადასტურა. თასის ფინალისტმა დალასმა, ეტყობა, აინუნშიც არ ჩააგდო ის, რომ „ცისფერმა ჟაკეტებმა" წინა შეხვედრებში სან ხოსე და ფინიქსი დაამარცხეს, ამიტომაც დაისაჯა. მასპინძლებმა მრისხანე მოწინაალმდეგეს უყურადღებობა არ აპატიეს, სამჯერ გამოყენებული რიცხვმრავლობის ხარჯზე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და როცა დალასი გონს მოვიდა, უკვე გვიანღა იყო.

აი, ნიუ ჯერსიმ კი ზედიზედ მეექვსედ გააწბილა თაყვანისმცემლები. უფრო საწყენი ისაა, რომ „ეშმაკები" თავის თავს არ გვანან. არადა, ჯერ არავის სმენია, ამ გუნდს ორშაიბიანი უპირატესობა გაეფუჭლანგოს და მერე გადარჩენის შანსიც ვერ გამოეყენებინოს. შანსი კი მასპინძლებს დიდებული ჰქონდათ, მაგრამ მეკარის პირისპირ დარჩენილმა ერთბაშად ორმა ნიუჯერსელმა ისე უხეიროდ გაითამაშა შაიბა, რომ დარტყმაც ვერ მოახერხეს.

ჯერ კიდევ ათი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თასის 23-გზის მფლობელ მონრეალს საკუთარი ფანები უსტვენდნენ. კანადელები ბოლო სეზონების მუდმივ მაჩანჩალა ტამპასთან უნიათოდ დამარცხდნენ და ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის ზანგ მეკარე კევინ უიქსს, რომელმაც უკლებლივ ყველა, 34 დარტყმა მოიგერია. მონრეალი კვლავ თავისი დივიზიონის აუტსაიდერია, ხოლო ტამპა სამხრეთ-აღმოსავლეთის ლიდერი გახდა.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 17 | 9 | 4 | 0 | 4 | 5843 | 22 |
| ბუფალო | 15 | 9 | 1 | 1 | 4 | 44:35 | 20 |
| ტორონტო | 17 | 9 | 2 | 0 | 6 | 47:34 | 20 |
| ბოსტონი | 17 | 6 | 2 | 1 | 8 | 42:62 | 15 |
| მონრეალი | 18 | 5 | 2 | 0 | 11 | 44:55 | 12 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 17 | 9 | 2 | 1 | 5 | 54:48 | 21 |
| რეინჯერსი | 16 | 8 | 0 | 0 | 8 | 55:50 | 16 |
| ფილადელფია | 17 | 6 | 4 | 0 | 7 | 43:51 | 16 |
| აილენდერსი | 15 | 6 | 2 | 1 | 6 | 34:39 | 15 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 6 | 3 | 0 | 8 | 57:51 | 15 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 16 | 6 | 1 | 1 | 8 | 48:61 | 14 |
| კაროლინა | 16 | 5 | 3 | 0 | 8 | 40:50 | 13 |
| ვაშინგტონი | 18 | 3 | 6 | 1 | 8 | 41:54 | 13 |
| ატლანტა | 14 | 3 | 6 | 0 | 5 | 42:42 | 12 |
| ფლორიდა | 15 | 1 | 4 | 3 | 7 | 29:46 | 9 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 17 | 11 | 3 | 0 | 3 | 51:30 | 25 |
| დეტროიტი | 17 | 10 | 1 | 1 | 5 | 49:43 | 22 |
| ნეშვილი | 16 | 6 | 5 | 1 | 4 | 38:37 | 18 |
| კოლუმბუსი | 18 | 6 | 1 | 1 | 10 | 36:55 | 14 |
| ჩიკაგო | 18 | 5 | 1 | 2 | 10 | 43:57 | 13 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 18 | 13 | 3 | 0 | 2 | 55:32 | 29 |
| ედმონტონი | 21 | 11 | 2 | 0 | 8 | 60:55 | 24 |
| ვანკუვერი | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 61:51 | 22 |
| კალგარი | 19 | 5 | 3 | 2 | 9 | 41:51 | 15 |
| მინესოტა | 18 | 4 | 3 | 1 | 10 | 35:52 | 12 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 19 | 10 | 6 | 0 | 3 | 55:37 | 26 |
| სან ხოსე | 16 | 11 | 2 | 0 | 3 | 46:32 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 19 | 9 | 4 | 0 | 6 | 64:51 | 22 |
| დალასი | 16 | 8 | 2 | 1 | 5 | 43:36 | 19 |
| ანაჰაიმი | 19 | 6 | 3 | 2 | 8 | 51:66 | 17 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*



ჩიკაგოელი დინ მაკამონდი ვანკუვერელთა მეკარე ფელიქს პოტვინს კი გასცდა, მაგრამ შაიბა ცარიელ კარს ააცილა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# იუინგმა ბარკლი ჩამოაქვეითა

14 ნოემბერი

**კლივლენდი 96:86 გოლდენ სტეიტი**
კლივლენდი: მიურეი (24), მილერი (19 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (25 ქულა, 11 მოხსნა), ჰიუზი (17 ქულა, 5 ჩაჭრა)

**ატლანტა 99:97 პორტლენდი**
ატლანტა: რაიტი (20)
პორტლენდი: ვოლესი (25)

**მაიამი 89:86 შარლოტი**
(ძირითადი დრო 82:82)
მაიამი: ჯონსი (19), ჰარდევეი (17), მეისონი (16)
შარლოტი: მაშბურნი (31), ვესლი (25), კემპბელი (15 ქულა, 17 მოხსნა)

**საკრამენტო 96:82 ორლანდო**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27 ქულა, 11 მოხსნა), პოლარდი (22), დივაცი (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)
ორლანდო: არმსტრონგი (22), მაკგრეიდი (20)

**ჰიუსტონი 110:83 ჩიკაგო**
ჰიუსტონი: ფრენსისი (28), მობლი (20)
ჩიკაგო: ბრენდი (16)

**ლეიკერსი 119:103 დენვერი**
ლეიკერსი: ონილი (34 ქულა, 19 მოხსნა), ბრაიანტი (31)
დენვერი: მაკდაიესი (28), ვან ექსელი (17 ქულა, 11 პასი)

**სიეტლი 96:75 ნიუ იორკი**
სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა)
ნიუ იორკი: კემბი (20 ქულა, 17 მოხსნა)

**სან ანტონიო 86:79 იუტა**
სან ანტონიო: დანკანი (15 ქულა, 12 მოხსნა), ანდერსონი (15)
იუტა: მელოუნი (15 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

14 ნოემბერი მთლიანად მასპინძელთა დღე იყო. ამ დღეს გამართულ რვა შეხვედრაში სტუმრები ამაოდ ებრძოდნენ დამხვდურებს, წაგების მეტს ვერაფერს გამორჩნენ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამარჯვებულთა შორისაა „ატლანტა ჰოქსი" და ეს მაშინ, როდესაც მისი მეტოქე არა რომელიმე უხეირო გუნდი, არამედ თვით ჩემპიონობის მაძიებელი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" გახლდათ.

„პორტლენდს" დაუბრუნდა ოპერაციაგადატანილი ლიტველი, არვიდას საბონისი. მას ურიგოდ არ უთამაშია, თორმეტი ქულა მოიპოვა 13 წუთში. მწვრთნელი მაიკ დანლივი მოერიდა მის მეტად დატვირთვას. ისე სტუმართაგან, ბევრსაც არ გამოუდვია თავი. პორტლენდელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უსუსურ მეტოქეს ცალი ხელით მოუგებდნენ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ, უსუსურმა მოწინააღმდეგემ კლანჭები გამოაჩინა და სენსაციაც გამოცხვა.

ამ თამაშამდე „ატლანტა ჰოქსი" ლიგის 29 გუნდიდან ერთადერთი გაუხარელი გახლდათ. კიდევ ერთი რამ, რაც „ქორების" სახელს დიდ ლაქას სცხებდა, ეს სტარტზე ზედიზედ შვიდი წაგება იყო. ასეთი სირცხვილი კლუბის ლამის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს. და აი, ქორებმა მოიგეს. მათ მარწუხებში თვით „პორტლენდი" მოჰყვა. „ეს არის ნბა. რაკი პირველ შვიდ მატჩში დამარცხდნენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ გამარჯვება. სეზონში 82 თამაში არავის წაუგია. უბრალოდ, არავის უნდა უსუსურ გუნდთან პირველმა წააგოს. სამწუხაროდ, ასეთი ჩვენ აღვმოჩნდით" — ნამატჩევს პორტლენდელი დეილ დევისის სიტყვებმა თავის მართლებასავით გაიჟღერა. ისევე როგორც მისი თანაგუნდელის, დეიმონ სტუდემაიერისამ: „ჩვენ მათ დასაწყისშივე მოვუგეთ, მაგრამ არა ბოლომდე. ძალიან მოვტყუვდით, რომ თავს მოდუნების უფლება მივეცით და სხვაობა 50 ქულამდე არ გავზარდეთ. „ჰოქსი" ისეთ მდგომარეობაშია, ბოლომდე ბრძოლის გარდა სხვა არაფერი დარჩენია. ჩვენ შევცდით, როცა მას შანსი მივეცით, მათ კი ეს გამოიყენეს".

ეს შანსი მასპინძლებს მეორე ტაიმის დასაწყისში გაუჩნდათ. პირველ ნახევარში „პორტლენდი" ძალების უკიდურესი დაზოგვით თამაშობდა, სტუმრებს თავი არ მოუკლავთ. რვა ქულით ისე მოიგეს, ხეირიანად ოფლი არ მოუღვრიათ. მეორე ტაიმიც ასევე დაიწყეს და ამისთვის დაისაჯნენ. მასპინძლები გამოფხიზლებულიყვნენ და მწარედ იჩხვლიტებოდნენ, ხოლო როცა სტუმრებმა მოახლოვებული საფრთხე მთელი არსებით შეიგრძნეს, უკვე გვიან იყო. „ატლანტა" ბოლო მეოთხედში ხუთი ქულით დაწინაურდა. მატჩის დამთავრებამდე ცხრა წამით ადრე პორტლენდელმა რაშიდ ვოლესმა ჯეისონ ტერის ხელებს ზემოდან სამქულიანი ჩააგდო და 97:97 გაათანაბრა, მაგრამ ტერიმაც ივაჟკაცა, ვოლესს ხურდაც გვარიანი დაუბრუნა, როდესაც ორნახევარი წამით ადრე ნახტომში ჩააგდო.



პატრიკ იუინგი ლიგის ყველა დროის ბომბარდირებში მე-13 ადგილზე გადავიდა

უდიდესი ინტერესი გამოიწვია სიეტლურმა მატჩმა, სადაც ერთმანეთის წინაშე წარდგნენ პატრიკ იუინგის ახალი და ძველი გუნდები — „სიეტლი" და „ნიუ იორკი". მართალია, „სიეტლმა" დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ თავად პატრიკ იუინგმა, ისევე როგორც სეზონის ყველა სხვა თამაშში, ბევრი ვერაფერით გამოიჩინა თავი. გასული ათწლეულის ერთ-ერთმა უძლიერესმა ცენტრმა პირწმინდად წააგო დუელი ოდესღაც მის შემცვლელ, აწ კი „ნიქსის" ძირითად ცენტრად ქცეულ მარკუს კემბისთან. კემბიმ ზუსტად ორჯერ მეტი ქულა და მოხსნა დააგროვა, ვიდრე იუინგმა, მაგრამ ბებერ პატრიკს მაინც ჰქონდა სიხარულის საბაბი, თან არაერთი. თვითონ მას ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ „სიეტლმა" ხომ მოუგო „ნიუ იორკს" და, მისი აზრით, ესაა მთავარი. ამასთან მის მიერ კემბისთან ბრძოლაში გაჭირვებით მოპოვებული ათი ქულა საკმარისი აღმოჩნდა, რომ იუინგი ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მე-13 ადგილამდე აღზევებულიყო და ერთი საფეხურით ქვემოთ ჩამოენაცვლებინა მისი თაობის ჩარლზ ბარკლი. ამ თამაშის შემდეგ 38 წლის პატრიკს კარიერის თექვსმეტ სეზონში 23760 ქულა მოუგროვებია, აქედან 23665 „ნიუ იორკის" მაისურით თამაშისას.

დღის ყველაზე დაძაბული შეხვედრა მაიამიში გაიმართა იქაურ „ჰითსა" და „შარლოტ ჰორნეთსს" შორის. მასპინძლებმა მხოლოდ ოვერტაიმში იმარჯვეს ტიმ ჰარდევეის წყალობით. წინა სეზონში ულიმღამოდ მოთამაშე ჰარდევეი ახლა გამოფხიზლდა და ამ რეგულარულ ჩემპიონატში ისე ათამაშდა, ხალხს ის ძველი დრო გაახსენა, როდესაც იგი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე იყო. ამ შეხვედრაში ტიმს ბევრი არ ჩაუგდია, მაგრამ რაც ჩააგდო, ყველა მნიშვნელოვანი. მან მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე თორმეტი წამით ადრე ორი საჯარიმო ზუსტად სტყორცნა, გაათანაბრა ანგარიში — 82:82 და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებითი დროის ამოწურვამდე შვიდი წამით ადრე ამას სამქულიანიც მიაყოლა და თავისიანები აზეიმა.

„იუტას" და „სან ანტონიოს" შორის შეხვედრას არასდროს ჩაუვლია ბრძოლის გარეშე და გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში მოხდა. დაძაბულ მატჩში ორივე გუნდს უჭირდა ბურთის ჩაგდება, გუნდის ლიდერებიც — კარლ მელოუნი და ტიმ დანკანი სულ 15-15 ქულით შემოიფარგლნენ. დანკანისგან ამ სეზონში თუ მივეჩვიეთ მწირქულიანობას, მელოუნისგან ოდენ 15 ქულის მონაგრება ცოტა მოულოდნელი იყო. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მისი მეწყვილე ჯონ სტოქტონი ვერ ამარაგებდა პასებით. თავის მხრივ სტოქტონს მეურვე აივერი ჯონსონი უშლიდა ხელს თავისი საფირმო პასებით არ მოეკლო მელოუნისთვის.

ვეტერანი დევიდ რობინსონისგან და ჰაკიმ ოლაჯუონისგან ჩაგრულმა შაკილ ონილმა როგორც იქნა, მოახერხა განავარდება. წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ გამოიჭირა დენვერელი ახალგაზრდა და გამოუცდელი რიფ ლაფრენცი და ბებრებზე გაბრაზებულმა ჯავრი მასზე იყარა. საბოლოოდ ონილმა და კობი ბრაინტმა ერთობლივი ძალებით როგორც იქნა, დაამარცხეს „დენვერ ნაგითსი".

„საკრამენტოს" ლიდერი კრის ვებერი აკლდა, მაგრამ მისი როლი მშვენივრად შეასრულეს იუგოსლავიელებმა — პრედრაგ სტოაკოვიჩმა და ვლადე დივაცმა და „კინგზმა" ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## კვირის მოთამაშე
### სტივენ მარბერი
### • ნიუ ჯერსი •




გასულ კვირაში ყველაზე გამორჩეული „ნიუ ჯერსის" ლიდერი და გამთამაშებელი სტივენ მარბერი გახლდათ და სწორედ იგი აღიარეს კვირის მოთამაშედ. მართალია, „ნიუ ჯერსი" არათუ ლიდერთა შორის, არამედ საშუალო გუნდების მარაქაშიც კი არ არის გარეული, მაგრამ ამას მარბერისთვის ხელი არ შეუშლია, ეს მცირე ტიტული ღირსეულად მოეპოვებინა.

გასულ კვირაში „ნიუ ჯერსიმ" სამი მატჩიდან ორში იმარჯვა და ამაში ლომის წილი მარბერიმ დაიდო. „ნეთსისთვის" კვირა „ვაშინგტონთან" შეხვედრით დაიწყო. მარბერიმ 15 სროლიდან 11 ჩააგდო და თავის გუნდს 31 ქულით შეეწია, რისი წყალობითაც „ნეთსმა" 102:86 სძლია მეტოქეს. „ნიუ ჯერსის" „დეტროიტთან" შინაურ შეხვედრაში მოეცხო ლაქა. აქ კვირის რჩეულმა თავის გუნდს 32 ქულა და 11 პასი შეაშველა, მაგრამ საბოლოოდ ვერ იხსნა. „ნეთსი" 94:108 დამარცხდა. სამაგიეროდ, ნიუჯერსელმა „ბადეებმა" ჯავრი „სიეტლზე" იყარეს და ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას ყოფილი გუნდი პირწმინდად გააცამტვერეს — 126:91. ამ მატჩში მარბერი თავის ამპლუაში ლიგის საუკეთესო მოთამაშეს, გერი პეიტონს დაუპირისპირდა და აშკარად დაჩაგრა. კვირის ლაურეატმა 41 ქულა მოაგროვა, მაშინ, როცა მას დაცვის დიდოსტატი პეიტონი მეურვეობდა და ამ პატარა გმირობის ჩადენას სულ რაღაც 29 წუთი მოანდომა. სამ შეხვედრაში მარბერიმ გუნდს საშუალოდ 34,7 ქულა და 9,0 პასი მოუტანა. ამით მან სეზონში საშუალოდ მატჩში 29,0 ქულა მოაგროვა და სადღეისოდ ლიგის ბომბარდირთა სიაში პირველ საფეხურზეა.

კვირის სხვა გამორჩეული მოთამაშეები იყვნენ ღენი ფორტსონი (გოლდენ სტეიტი), რეჯი მილერი (ინდიანა), ბრაიან გრანტი (მაიამი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), ერიკ სნოუ (ფილადელფია), ჯეისონ კიდი, შონ მარიონი (ორივე ფინიქსი), ვინს კარტერი, ანტონიო დევისი (ორივე ტორონტო) და კრის ვებერი (საკრამენტო).

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 7 | 0 | 100 |
| ნიუ იორკი | 5 | 3 | 62,5 |
| მაიამი | 4 | 3 | 57,1 |
| ორლანდო | 4 | 5 | 44,4 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 4 | 42,9 |
| ბოსტონი | 2 | 4 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 2 | 6 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| კლივლენდი | 6 | 1 | 85,7 |
| ინდიანა | 4 | 2 | 66,7 |
| ტორონტო | 4 | 3 | 57,1 |
| შარლოტი | 4 | 4 | 50,0 |
| დეტროიტი | 3 | 5 | 37,5 |
| მილუოკი | 1 | 5 | 16,7 |
| ჩიკაგო | 1 | 6 | 14,3 |
| ატლანტა | 1 | 7 | 12,5 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 6 | 2 | 75,0 |
| იუტა | 5 | 2 | 71,4 |
| დალასი | 5 | 3 | 62,5 |
| ვანკუვერი | 4 | 3 | 57,1 |
| მინესოტა | 3 | 4 | 42,9 |
| დენვერი | 3 | 5 | 37,5 |
| ჰიუსტონი | 3 | 5 | 37,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ფინიქსი | 6 | 1 | 85,7 |
| საკრამენტო | 7 | 2 | 77,8 |
| ლეიკერსი | 5 | 3 | 62,5 |
| პორტლენდი | 5 | 4 | 55,6 |
| სიეტლი | 3 | 6 | 33,3 |
| კლიპერსი | 2 | 6 | 25,0 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 6 | 14,3 |

საქართველოს ჩემპიონატი

ტურის საუკეთესო მოთამაშე

# დიდიე დაჩუმი

მაკაბი



**ალმავლობის** გზაზე შემდგარი თსუ, რა თქმა უნდა, „მაკაბის" წინააღმდეგაც მოსაგებად გავიდა მოედანზე, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდა მეტოქე, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

ძირითადად მდევრის როლში მყოფი თსუ სულაც არ აპირებდა ბედთან შეგუებას, მონდომებას არ აკლებდა, რათა გარდატეხა შეეტანა თამაშში, მაგრამ როცა ძალა აღმართს ხნავს, მაშინ...

კარგად მოთამაშე მაკაბელთა შორის სასტარტო ხუთეულის კალათბურთელები — გოჩა წოწელია, ჟოლივეტ ტუჯანი, დავით სარიშვილი, ირაკლი შანიძე და დიდიე დაჩუმი გამოირჩეოდნენ. ტურის საუკეთესო კალათბურთელად კი კამერუნელი ცენტრი დიდიე დაჩუმი დავასახელეთ. ერთი შეხედვით მოუქნელი აფრიკელი გადაულახავ ბარიერად ექცათ გულივერ ახალკაცს და შოთა მაჭარაძეს. თსუ-ს ხელმძღვანელობამ შედარებით გამოცდილ ცენტრებს ახალგაზრდა კოლეგა ზურაბ სანიკიძეც შეაშველა, მაგრამ მეშვიდე ტური დაჩუმის იყო. კამერუნელ კალათბურთელს ყველაფერი გამოსდიოდა. მოხსნებსა და დაფარებაში გაწაფულმა, თსუ-სთან შეხვედრაში შეღევიანობითაც გამოიჩინა თავი, ათი საჯარიმოდან ყველა ჩააგდო, ფარქვეშიდანაც რამდენჯერმე იყოჩაღა და თანაგუნდელებს მთლიანობაში ოცი ქულით შეეწია.

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი მეოთხედის ბოლო წუთებზე „მაკაბი" დაწინაურდა. ორწუთიანი შესვენების შემდეგ გამოფხიზლებულმა თსუ-მ მალე გაათანაბრა, წინ გასვლასაც მონდომებით ლამობდა, მაგრამ მეტოქემ არ დაანება. სტუდენტების უკანახაზელებს ვერაფრით აუბეს მხარი ცენტრებმა, რადგან დაჩუმი უცხოთაგან ფარს არავის აკარებდა. „მაკაბი" კი აუღელვებლად არბევდა ემოციებს აყოლილი თსუ-ს დაცვას. დაჩუმი მარტო საკუთარი ფარის გამაგრებით არ შემოიფარგლა. მისი უზუსტესი პასები ბევრჯერ გამოიყენეს მეტოქის ფარზე დაგეშილებმა, ჟოლივეტ ტუჯანიმ და ირაკლი შანიძემ.

ცნობისთვის: დიდიე დაჩუმი პირველი ლეგიონერია, რომელიც „სარბიელის" ვერსიით ტურის მოთამაშედ დასახელდა. „მაკაბიში" მისვლამდე იგი სომხეთში, კონკრეტულად კი ერევნის „ადისში" თამაშობდა.

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 15 ნოემბერი

**A ჯგუფი**

რაანანა 77:84 სპლიტი
სიენა 74:83 ცეპტერი

**B ჯგუფი**

ოსტენდე 83:77 ირაკლისი

# საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 14-15 ნოემბერი

**A ჯგუფი**

მარუსი (საბერძნეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 98:82, პამესა (ესპანეთი) — ქარშიაქა (თურქეთი) 95:93, პივოვარნა (სლოვენია) — შალონი (საფრანგეთი) 75:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შალონი | 5 | 4 | 1 | 362:341 | 9 |
| მარუსი | 5 | 4 | 1 | 428:404 | 9 |
| პამესა | 5 | 3 | 2 | 433:435 | 8 |
| პივოვარნა | 5 | 2 | 3 | 400:403 | 7 |
| ჰაპოელი | 5 | 1 | 4 | 416:439 | 6 |
| ქარშიაქა | 5 | 1 | 4 | 421:438 | 6 |

**B ჯგუფი**

არისი (საბერძნეთი) — არკადია (ავსტრია) 112:96, ბეშიქთაში (თურქეთი) — ზაგრები (ხორვატია) 20:0, უნიქსი (რუსეთი) — პორტუ (პორტუგალია) 97:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 5 | 4 | 1 | 374:337 | 9 |
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 333:301 | 9 |
| უნიქსი | 5 | 3 | 2 | 343:260 | 8 |
| ბეშიქთაში | 5 | 3 | 2 | 314:319 | 8 |
| არკადია | 5 | 1 | 4 | 331:378 | 6 |
| ზაგრები | 5 | 0 | 5 | 0:100 | 0 |

**C ჯგუფი**

კრავნოსი (კვიპროსი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 92:90, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — საკალაი (ლიტვა) 69:68, რასინგი (საფრანგეთი) — ტელეკომი (გერმანია) 87:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 5 | 3 | 2 | 387:383 | 8 |
| კრავნოსი | 5 | 3 | 2 | 397:414 | 8 |
| ტელეკომი | 5 | 3 | 2 | 439:404 | 8 |
| ცრვენა ზვეზდა | 5 | 3 | 2 | 389:392 | 8 |
| სან ფერნანდო | 5 | 2 | 3 | 427:433 | 7 |
| საკალაი | 5 | 1 | 4 | 395:408 | 6 |

**D ჯგუფი**

ანვილი (პოლონეთი) — ლუპტა (ფინეთი) 91:76, იმოლა (იტალია) — ბორაცი (ბოსნია) 80:83, ანტვერპენი (ბელგია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 90:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 5 | 5 | 0 | 442:408 | 10 |
| ანტვერპენი | 5 | 3 | 2 | 421:407 | 8 |
| ბორაცი | 5 | 3 | 2 | 455:414 | 8 |
| სლოვაკოფარმა | 5 | 2 | 3 | 410:416 | 7 |
| იმოლა | 5 | 1 | 4 | 428:425 | 6 |
| ლუპტა | 5 | 1 | 4 | 389:475 | 6 |

*მეექვსე ტური გაიმართება 5 დეკემბერს*



ცრვენა ზვეზდა — საკალაი. ევალდას პრიუდოკასი (№5) მასპინძელ სლობოდან სლივანჩანინს დაეხსნა


გერმანული ფირმის OTTO

OTTO SCHWAB VERSAND

ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ

კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de


# ავეირუსთავი

## პორტუგალიაში მოთამაშე გოგობერიშვილი საქართველოს ჩემპიონობაზე ოცნებობს

*სამი კვირის წინ რუსთაველი კალათბურთელები — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე პორტუგალიას გაემგზავრნენ და იქაურ „ავეირუში“ ჩაირიცხნენ. მშობლიურ „აზოტთან“ ერთად საქართველოში მუდამ ჩემპიონობისთვის მებრძოლ ჩვენებურებს პორტუგალიაში ურთულესი მისია დაეკისრათ, მათი „ავეირუ“ იქაურ თოთხმეტგუნდმა ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა და კლუბის ხელმძღვანელობამაც მხნელად ქართველები შეიგულა. რას მისცემს „ავეირუს“ ახალი შენაძენი, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჩვენთვის კი ის უფრო მთავარია, რომ გოგობერიშვილმა და ჯაფარიძემ სისტემატურად ითამაშონ უცხოურ კლუბში და კიდევ უფრო აიმაღლონ კლასი, რაც მთლიანობაში საქართველოს ნაკრებს წაადგება. ეს ბიჭები ხომ ეროვნული გუნდის წევრებიც არიან.*

*ირაკლი ჯაფარიძემ, მოგეხსენებათ, წინა სეზონიც პორტუგალიაში გაატარა. იგი, მართალია, სხვა კლუბში თამაშობდა, მაგრამ იქაურობას, ასეა თუ ისე, ნაჩვევია. ახალ გარემოსთან შეგუება, წესით, არც რამაზ გოგობერიშვილს უნდა გასჭირვებოდა, რადგან უახლოეს მეგობართან ერთად ცხოვრება მნიშვნელოვნად აიოლებს ადაპტაციას. ესეც რომ არა, რამაზს ისედაც ჰქონდა უცხოეთში თამაშის გამოცდილება...*

*მას შემდეგ, რაც გოგობერიშვილი და ჯაფარიძე პორტუგალიაში გადაბარგდნენ მათთან საუბრის სურვილი არ გაგვნელებია. არ ავჩქარდით, ბიჭებს დაბინავება, ახალ კლუბში თამაში ვაცდროვეთ და მერეღა დავუკავშირდით. ჩვენთვის საინტერესო კითხვებს გოგობერიშვილი პასუხობდა; თუმც შიგადაშიგ ჯაფარიძეც ეხმარებოდა წვრილმან დეტალებში ბოლომდე გაურკვეველ თანაგუნდელს...*

**— რამაზ, თქვენი პორტუგალიაში გამგზავრება წინასწარ იყო დაგეგმილი?**

— ასე რომ ყოფილიყო, სეზონის დაწყებამდე ჩავიდოდით და მოსამზადებელ პერიოდსაც „ავეირუში“ გავივლიდით. პორტუგალიური ვარიანტი დაახლოებით ერთი თვის წინ გამოგვიჩნდა, ირაკლის აქაური ნაცნობი აგენტი დაუკავშირდა და „ავეირუს“ პირობები გააცნო, თან უთხრა, შენს ქვეყანაში ისეთი უკანახაზელი ხომ არ გეგულება, ჩვენთანაც რომ ივარგოსო. „ჯაფარამ“ დაუფიქრებლად ჩემზე უთხრა პორტუგალიელს.

**— მაშ, ჯაფარიძეს სიტყვაზე ენდნენ...**

— მთლად ასეც არაა, იმ მენეჯერს ჩემი თამაშიც უნახავს ნაკრებში. ირაკლისგან გვარი რომ გაიგო, მაშინვე გამიხსენა და უთქვამს, მოხარულები ვიქნებით, თუ მაგ ბიჭსაც ჩამოგვიყვანო. ირაკლიმ იმავე დღეს საქმეს კურსში ჩამაყენა, მეც დავფიქრდი და ისე გადავწყვიტე პორტუგალიაში წასვლა.

**— „ავეირუმ“ თავდაპირველად გასასინჯად მიგიწვიათ?**

— პორტუგალიელებმა ჩემსგანაც და ირაკლისგანაც თანხმობა რომ მიიღეს, მაშინვე კონტრაქტები გამოგვიგზავნეს. ჩვენ ვათარგმნინეთ ეს ხელშეკრულება, კიდევ ერთხელ გავეცანით პირობებს და რადგან ყოველივე ჩვენთვის მისაღები აღმოჩნდა, საქართველოშივე მოვაწერეთ კონტრაქტებზე ხელი. ასე რომ, სანამ წავიდოდით, უკვე „ავეირუს“ სრულუფლებიანი წევრები ვიყავით.

**— როდემდე გაქვთ გაფორმებული კონტრაქტები ახალ კლუბთან?**

— ჯერჯერობით ხუთ თვეზე შევთანხმდით. თუ „ავეირუ“ პლეი ოფში გავა, კიდევ გავახანგრძლივებთ ხელშეკრულებას. ერთი სიტყვით, სეზონის ბოლომდე ამ გუნდის საკუთრება ვართ.

**— როგორ შეგხვდნენ „ავეირუში“?**

— მშვენივრად, პრობლემა არ შეგვქმნია. წავედით თუ არა, კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდით, შემდეგ მთავარ მწვრთნელს, ჟოან მაუტინიოს გავესაუბრეთ და დასაბინავებლად წაგვიყვანეს. ავეირუში, რომელი ქალაქის სახელიც ჩვენს კლუბს ჰქვია, ყველაფრით კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა გამოგვიყვეს. გარდა ამისა, „სიტროენის“ ფირმის ავტომობილიც გადმოგვცეს. მოკლედ, ბედს არ ვუჩივით.

**— მაუტინიოს გუნდის სამომავლო გეგმებზე არაფერი უთქვამს?**

— „ავეირუს“ მიზანი პლეი ოფში მოხვედრააო, გვითხრა და იმედი გამოთქვა, რომ გუნდს ამაში ჩვენც დავეხმარებით. სადღეისოდ ბოლო, მეთოთხმეტე ადგილზე ვართ, პლეი ოფში კი რვა გუნდი გადის. დამეთანხმებით, ერთობ სავალალო დღეში ვართ, თუმც წინ კიდევ ბევრი მატჩია და არაფერია დაკარგული. მეც და ირაკლიც ყველაფერს გავიღებთ, რომ „ავეირუს“ მიზნის მიღწევაში შევეშველოთ.

**— თქვენ რომ ჩახვედით, გუნდს ხუთიდან ხუთივე წაგებული ჰქონდა. წარუმატებლობის მიზეზი რით ახსნა მწვრთნელმა?**

— ფარქვეშ დიდი პრობლემები ჰქონდა „ავეირუს“, ცუდი სტარტის მიზეზი სწორედ ეს გახლავთ. ამერიკელი, რომელიც გუნდის ძირითად ცენტრად ითვლება, დაშავებული იყო და ახლაღა შეუდგა ვარჯიშს, დანარჩენებმა კი ვერ გაამართლეს მწვრთნელის იმედი.

**— ლეგიონერები სულ რამდენნი ხართ?**

— ჩვენს გარდა სამნი არიან, ორი ამერიკელი და ერთი ესპანელი. თავად პორტუგალიელებსაც არაუშავთ, პერსპექტიული ბიჭები არიან და, ვფიქრობ, ნელ-ნელა მოვუხშირებთ მოგებებს.

**— სადღეისოდ ცხრა თამაშიდან მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს „ავეირუს“. ისიც მას შემდეგ მოიპოვა, რაც თქვენ ჩაირიცხეთ მაგ კლუბში...**

— ასეა. რაც აქ ვართ, ოთხი მატჩი გამართა „ავეირუმ“ და აქედან ორი მოიგო. რაკი მანამდე გუნდს მოგება არ ჰქონდა, აქაურები იმედიანად განეწყვნენ და გვითხრეს, ქართველებს მომავალში უფრო მეტხანს მოგიწევთ მოედანზე ყოფნაო.



**— პირადად თქვენ სამ თამაშში დაგასაქმათ მაუტინიომ. პირველ შეხვედრაში რატომ არ გამოგცადათ, არაფერი უთქვამს?**

— მატჩის დაწყებამდე გამაფრთხილა, მოედანზე შესასვლელად მუდამ მზად იყავიო. შემდეგ თამაში ისეთი სცენარით წარიმართა, რომ მწვრთნელმა ველარ გარისკა ჩემი შეყვანა, რისთვისაც მერე მომიბოდიშა კიდეც. დანარჩენ შეხვედრებს რაც შეეხება, ვფიქრობ, თავი არ შემირცხვენია, ერთხელ 9 ქულაც გავაკეთე. მერე და მერე, გუნდთან უკეთ რომ შევთამაშდები, ამას აღარ ვიკმარ.

**— რა ფუნქციები დაგაკისრათ მაუტინიომ?**

— ჩემს ამპლუაში, მსროლელად მათამაშა. ერთ-ორჯერ ფრთაზეც გამამწესა.

**— თქვენს პოზიციაზე დიდი კონკურენციაა „ავეირუში“?**

— საკმაოდ, ჩემიანად ხუთნი ვართ, ვისაც ძირითად ხუთეულში თამაშის პრეტენზია გვაქვს. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მწვრთნელი ჩემს სიძლიერეში დავარწმუნო, რომ ხშირად მომიწიოს თამაშმა. მთავარია სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდეს.

**— სამი კვირაა მანდ ხართ და პორტუგალიურ კალათბურთზეც, ალბათ, უკვე შეიქმენით აზრი. დიდად განსხვავდება მანდაური ჩემპიონატი ჩვენისგან?**

— განსხვავება მართლაც თვალში საცემია. პორტუგალიელებს ბევრად მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ, რაშიც ამ მოკლე ხანში დავრწმუნდი. ეს არც არის გასაკვირი, აქ გაცილებით კარგი პირობებია კალათბურთის სათამაშოდ. აქაური ჩემპიონატის სიძლიერეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ლეგიონერთა სიუხვეც.

**— მაგალითისთვის რომ ვთქვათ, „აზოტს“ თქვენიანად რა შანსი ექნებოდა პორტუგალიის ჩემპიონატში?**

— ნუ მიწყენენ ჩემი რუსთაველი თანაგუნდელები და მეგობრები, მაგრამ „აზოტი“ აქ ხელშესახებს ვერაფერს მიაღწევდა. სიმართლე თუ გაინტერესებთ, ესაა.

**— რამაზ, აქ ყველა ალიარებს, რომ უთქვენოდ ძალიან გაუჭირდება „აზოტს“. თქვენი წასვლის შემდეგ რუსთაულ გუნდს ერთიორად შეუმცირდა გაჩემპიონების შანსი...**

— ეგ ჩვენც ძალიან გვაფიქრებს, „აზოტს“ რომ თამაში აქვს, იმ დღეს მეც და ირაკლიც განსაკუთრებულად ვღელავთ სანამ ოჯახის წევრებისგან ანგარიშს არ შევიტყობთ. ჯაფარაზე ვერ გეტყვით რას გადაწყვეტს ფედერაცია, პირადად მე კი, აქ რომ სეზონი დამთავრდება, ვაპირებ, ჩამოვიდე და პლეი ოფში მაინც შევეშველო „აზოტს“. პორტუგალიაში გამომგზავრებამდე ამ საკითხზე ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძესთან მქონდა საუბარი. დამპირდა, რომ ჩამოხვალ, თამაშის ნებას აუცილებლად დაგრთავო, რასაც, ალბათ, შეასრულებს კიდეც. მართალია, ახლა უცხოეთში ვარ, მაგრამ მსურს, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც „აზოტთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვო. ეროვნული ნაკრების წარმატებასთან ერთად სწორედ ესაა ჩემი ოცნება.

**გიორგი ბიძაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბერლინიდან

# იქნებ მოიცალოს

*ეს კაცი გერმანიის ტრანსპორტის მინისტრი, სოციალ-დემოკრატი რაინჰარდ კლიმტია. როგორც ხედავთ, 1999 წლის 30 სექტემბერს იგი თავის ბერლინურ კაბინეტში გატაცებით ბურთაობდა. საბურთაოდ ჰქონდა საქმე და იმიტომ. მერე კი ცხოვრება აერია, ქალაქ ტრირის სასამართლომ რაღაც-რაღაც დარღვევებისთვის 27 ათასი მარკის გადახდა დააკისრა, მანაც, გადავიხდიო და ამან ოპოზიცია გადარია.*

*თუ მოხსნიან, მერე, ალბათ, ჩვეულებრივ მოედანზე თამაშისთვისაც მოიცლის.*

# როგორ გაძლოს ნეტავ ამ ცის ქვეშ...

რაც ჩვენთან იმერეთია, ის არგენტინაში კორდობაა. ეს კი დიეგო მარადონაა, ნაკრების ფორმა რომ აცვია და გოლს ზეიმობს. კორდობელებმა ბენეფისი მოუწყვეს და...



# მალაძეც, იგარიოკ!



REUTERS ბრიუსელიდან

ნეტავ რამდენი იგორ ნიკიტინია დედამიწის ზურგზე? ალბათ, ძალიან ბევრი. ასეთები იქნებიან მოსკოვშიც, პეტერბურგშიც, უფაშიც, ვლადივოსტოკშიც და ხურუმ პაულშიც, თუმცა ის ერთი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, ბელგიელია და თავის ნიჭს ფრიად სარფიან საქმეს ახმარს. ნიკიტინი სპორტის სხვადასხვა სახეობას სამაგიდო გართობად აქცევს. აქ თქვენს წინაშეა მისი ფეხბურთი, რომლის მოთამაშემაც ბურთის გასაკონტროლებლად ყველა თოჯინა უნდა მართოს მეკარის გარდა. მეკარის მოძრაობას მაგნიტი არეგულირებს.

ბელგიელ ნიკიტინს კრივი და ჰოკეიც აქვს ჩამაგიდებული.

# ტაი დედის ტაიგერი გაპროფესორდა



REUTERS ბანგკოკიდან

ამერიკელ მეგოლფე ტაიგერ ვუდსს ტაილანდელი დედა ჰყოლია, იცოდით? და ტაილანდში ბანკოკის კასეტსარტის უნივერსიტეტზე გსმენიათ რამე? და ამ უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი ფაიტონ ინგკასუვანი რომ იყო, ეს ხომ მაინც იცოდით? და მას ტაიგერ ვუდსისთვის საპატიო დოქტორობის მოწმობა რომ გადაუცია, ფოტოთი ხომ მიხვდით? და დოქტორობა რატომ მიუციათ, არ იკითხავთ? თურმე ეს დიადი მეგოლფე ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, შინაგანი და ჰარმონიული ნიჭის ინტეგრირების წყალობით იმარჯვებს, რა არა?

და ტაიგერ ვუდსს იქვე „ნაიკის“ რეკლამირებაც რომ დაუწყია, მართლა არ იცოდით? და ამ დროს შენობასთან მუშებს საპროტესტო აქცია რომ მოუწყვიათ, ეს ხომ გაიგეთ? და არ იცოდით, რომ „ნაიკმა“ ტაილანდში თავისი ფაბრიკა ისე დახურა, რომ მუშებს საკომპენსაციოდ კაპიკიც არ მისცა?

და დაეხმარება ტაიგერ ვუდსი დედამისის თანამემამულე მუშებს?



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

## კუკის ნატერფალზე

# DUKE

## წყალში გადაგდებული შვილის ამბავი

**1962 წელს,** აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი როდესაც ჰავაის ეწვია, სამხედრო საჰაერო ძალების აეროდრომზე დაფრენის მერე მის შესაგებლად მომლოდინე პოლიტიკოსებს, მაღალჩინოსან სამხედროებსა და ცნობილ პიროვნებებს გვერდი აუარა, რათა დიად დიუკ კაჰანამოკუს მისალმებოდა.

კაპიტან კუკის ნატერფალზე, როცა სიდნეიში მენლის სანაპიროს ყოველ დილით მივუყვებოდი, დიუკ კაჰანამოკუს ღრმა ნაკვალევსა და მის უამრავ მიმდევარს ვხედავდი. ნაცვლად იმისა, რომ ისინი ოლიმპიური თამაშების ბილეთების უშველებელ რიგებში ჩამდგარიყვნენ, დაილლიავებული სერფინგებით სანაპიროსკენ გუნდგუნდად თუ ეულად მიიჩქაროდნენ და ტასმანიის ზღვის ტალღებს ეკვეთებოდნენ ხოლმე.

არა, მათ ოლიმპიური თამაშები სულაც არ აინტერესებდათ. სერფინგის ჭეშმარიტ მოყვარულს ოლიმპიური თამაშები კი არა, ყალყზე შემდგარი ტალღები ესიზმრება და როცა ზღვა ან ოკეანე თუნდაც ოდნავ შეტორტმანდება, გული საგულეს აღარ უდგება.

ჰოდა, მეც დილაუთენია ყოველდღე ვხედავდი სერფინგით ტალღებთან მებრძოლს თუ მასზე ვინდსერფინგით მოსრიალეს.

და როცა მათ ვხედავდი, დიუკ კაჰანამოკუ მახსენდებოდა. ახლა ამ ლეგენდარულ კაცს თქვენთვისაც გავიხსენებ, მით უმეტეს, რომ ცხონებულს იმ დღეებში ავსტრალიელი ჟურნალისტებიც იგონებდნენ და მათთან ერთად მსოფლიოს სპორტული თუ არასპორტული პრესაც.

მაინც, ვინ არის დიუკ კაჰანამოკუ?

მისი სრული გვარ-სახელია დიუკ ჰოა კაჰინუ მოკოე ჰულიკოჰოლა კაჰანამოკუ. იგი არის თანამედროვე სერფინგის მამა; იყო დიდი პოლიციელიც, პატარა ქურდიც და დიდი ოლიმპიელიც; იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი და მსახიობიც, ყველაზე დიდი სიკეთე კი, რაც გაუკეთებია, ალბათ ის იყო, რომ დასახრჩობად განწირული რვა კაცი გადაარჩინა, მაგრამ ამაზე ქვემოთ, სიდნეიში კი დიუკ კაჰანამოკუს სახელი მაინცდამაინც მისი პატარა ქურდობის გამო გაიხსენეს. საქმე ის იყო, რომ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მსოფლიოში უხუცესმა ოლიმპიურმა მედალოსანმა 103 წლის ამერიკელმა ჰარი პრისტმა 1920 წლის ანტვერპენის ოლიმპიურ თამაშებზე, ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში პირველად აფრიალებული ხუთრგოლიანი დროშა მოიპარა, 80 წლით საგულდაგულოდ გადამალა, სიდნეიში კი დააბრუნა. თან გაიხსენა, ოლიმპიური დროშა მე და ჩემმა მეგობარმა დიუკ კაჰანამოკუმ მოვიპარეთო. ისიც თქვა, ამ უკეთური საქმის მოთავე მე ვიყავიო.

მაშინ პრისტი ფლაგშტოკზე ამძვრალა და დროშა ჩამოუხსნია, დიუკი კი თურმე ქვემოთ უცდიდა. მერე ორივეს ერთად მოუკურცხლია და დადევნებული პოლიციელებისთვის თავი დაუღწევიათ.

— ჩვენ სულ ერთად ვიყავით და ათასგვარ ოინებს ვიგონებდით. ის დიდებული ბიჭი იყო, საუცხოო იუმორით აღსავსე — ასე გაიხსენა თავისი მეგობარი პრისტმა, რომელმაც ოლიმპიური დროშის ქურდობა მოინანია. იმ ისტორიის გამო ალბათ კაჰანამოკუც წუხდა, იგი წუხდა იმასაც, რომ მაშინ წყალში ხიფათში ჩავარდნილთაგან მეტი ვერ გადაარჩინა. იმ დროს ლოს ანჯელესიდან 80 კილომეტრით დაშორებულ კორონა დელ მარის სანაპიროზე რომ იყო, სათევზაო გემ „ტელმას" უზარმაზარი ტალღები თავს დაატყდა. გემის 29 მგზავრი აბობოქრებულ ტალღებში აღმოჩნდა. დიუკმა და მისმა მეგობარმა აზვირთებულ ზღვაში სერფებით რამდენჯერმე შეცურეს და 12 კაცი გადაარჩინეს. აქედან რვა კაცის სიცოცხლე დიუკმა იხსნა და დარდობდა, ჩვიდმეტს რომ ვეღარ უშველა.

ეს ამბავი 1925 წლის 14 ივნისს მოხდა. იმ დროს დიუკი აღიარებული სერფერი და მოცურავე იყო, თანაც ცურვაში სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ოთხგზის მსოფლიოს რეკორდსმენი.

პირველი ოლიმპიური ოქრო მან 1912 წელს სტოკჰოლმში მოიპოვა, როცა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1.03,4) იოლად გაიმარჯვა, თანაგუნდელ ამერიკელებთან ერთად კი 4X200 მეტრზე იმავე სახეობაში ვერცხლი მოიპოვა. მომდევნო ოლიმპიური თამაშები პირველი მსოფლიო ომის გამო ჩაიშალა, 1920 წლის თამაშებისას კი დიუკი უკვე 30 წლისა იყო და ამიტომ მისი წარმატებისა ბევრს აღარც სჯეროდა. მიუხედავად ამისა, მან იმავე სახეობაში უკეთ (1.01,4) იცურავა და 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით თანაგუნდელებთან ერთადაც გაიმარჯვა, ამასთან, ორივეგან მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

ამ ფენომენალურმა კაცმა 1924 წელს პარიზის ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზა და 100 მეტრზე იგივე შედეგი აჩვენა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას ოქროს მედალი წაგლიჯა თავისივე მემკვიდრემ, თანაგუნდელმა და მეგობარმა, ასევე ფენომენალურმა მოცურავემ და მსახიობმა, ტარზანის როლის შემსრულებელმა ჯონი ვაისმიულერმა, რომლის აღზევებაც სწორედ პარიზში დაიწყო. წლების მერე დიუკი ხუმრობდა, პარიზში ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლაში ტარზანმა დამამარცხაო.

დიუკმა არც 42 წლისამ მოისვენა და 1932 წელს თავის მეოთხე, ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზეც გამოვიდა, როგორც... წყალბურთელი და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

ისტორიას ახსოვს სხვებიც, რომლებსაც ამ ორ სახეობაში, ცურვასა და წყალბურთში, ოლიმპიური ჯილდოები მოუპოვებიათ. ცურვის ოლიმპიურ ისტორიას ახსოვს სხვა სამგზისა და მეტგზის ჩემპიონებიც, მსოფლიოს რეკორდსმენებიც, მაგრამ ამ სახეობის განვითარებაში ყველას ღრმა კვალი როდი დაუტოვებია.

წინათ მოცურავეები ფეხებს, როგორც გადაადგილების საშუალებას, არ იყენებდნენ. შემდეგ თანდათან ყურადღება მიაქციეს ფეხების მოძრაობის დიდ მნიშვნელობას და შედეგებმაც სწრაფი პროგრესი განიცადა. ამ საქმეში ნოვატორი გახლდათ დიუკ კაჰანამოკუ და მისი ძმა სემი, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ავსტრალიურ კროლს" მიმართავდნენ, რაც იმ დროისთვის ცურვის ტექნიკის დახვეწაში გიგანტური ნაბიჯი გახლდათ. ყოველივე ამის გამო დიუკ კაჰანამოკუ 1965 წელს სანტა მონიკაში თავის ძველ მეგობრებთან და მეტოქეებთან ჯონი ვაისმიულერთან და ბასტერ კრებთან ერთად მოცურავეთა დიდების დარბაზის წევრი გახდა.

იმავე წლის მიწურულს ოაჰუში, სანეტ ბიჩზე სერფინგში დიუკ კაჰანამოკუს სახელობის პირველი ჩემპიონატი გაიმართა. იმ დროისთვის დიუკი უკვე 75 წლისა იყო და მოცურავეთა თუ სერფერთა შეჯიბრებებს, რომელთაგან ბევრი მის საპატივცემულოდ იმართებოდა, მაყურებლის როლში ესწრებოდა. 75 წლისას, როცა ჯანმრთელობა შეერყა და ასაკმაც კვალი დაატყო, წუხდა, რომ ხმელეთზე იყო და არა წყალში, სადაც უკეთ გრძნობდა თავს. ხშირად ამბობდა, უწყლოდ არაფერი ვარო. ცოტაოდენ შვებას უცხოეთში მოგზაურობისას, იქ ცურვასა და სერფინგში საჩვენებელ გამოსვლებისას გრძნობდა.

დიუკ კაჰანამოკუ 1890 წლის 24 აგვისტოს შვიდშვილიან ოჯახში დაიბადა. სულ პატარა იყო, როცა მამამ ტრადიციული ჰავაური სტილით ცურვაასწავლა. ერთ მშვენიერ დღეს მამამ წყალზე ახლადფეხადგმული პატარა დიუკი თურმე კანოეთი ოკეანეში გაიყვანა და ტალღებში გადააგდო.

— მამის კანოესკენ მოვუსვი. არც კი ვიცი, ის ცურვა იყო თუ სხვა რამაც — ასე იხსენებდა კაჰანამოკუ უკიდეგანო ოკეანესთან პირველ შეხვედრას.

ჰავაიზე, ვაიკიკიკში რომ იზრდებოდა, ოკეანის სანაპირო, ცურვა და სერფინგი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ძლიერი აგებულების დიუკი თანდათან ჩამოყალიბდა 185 სანტიმეტრ სიმაღლისა და 86 კილოგრამიან საცურაო მანქანად, როგორც მას უწოდებდნენ. მისი თანამედროვენი იხსენებდნენ, დიუკი გარეგნულად ძალზე მიმზიდველი იყოო. „მას ხელების ნაცვლად ნიჩბები ჰქონდა, ტერფების ნაცვლად კი ფარფლები" — ამბობდნენ ისინი. როდესაც ამ ნიჩბებიანმა და ფარფლებიანმა „საცურაო მანქანამ" 1911 წელს 100 იარდზე თავისი პირველი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და მის მიერ ნაჩვენები შედეგი (55,4) ტელეგრაფით ნიუ იორკში ამერიკის ათლეტთა კავშირს (AAV) ამცნეს, იქ ეს ამბავი არავინ დაიჯერა, რადგან მსგავსი რამ წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ეს ის დრო იყო, როდესაც ჰავაი ამერიკის კოლონიალური ავანპოსტი გახლდათ. მართალია, ჰავაი 1898 წლიდან ამერიკის ტერიტორიის ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში მხოლოდ მაშინ შევიდა, როდესაც დიუკი 69 წლისა გახდა.

ასე იყო თუ ისე, რაკი ნიუ იორკში დიუკის შედეგი არ დაიჯერეს, ადგა და 1912 წელს ჰავაელი ბიჭი მატერიკზე გადავიდა, რათა ყველასთვის თვალნათლივ ეჩვენებინა თავისი შესაძლებლობები. მაისში პენსილვანიაში აშშ-ს მოცურავეთა შეჯიბრებაში ჩაება და სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. იქ და მომდევნო ოლიმპიადებზეც რაც გააკეთა, ეს უკვე იცით. ამიტომ ახლა იმაზე მოგითხრობთ, რამაც ეს კაცი მენლის სანაპიროზე გამახსენა.

დიუკ კაჰანამოკუ თანამედროვე სერფინგის მამაა, უკვე ვთქვით, და თუ ვინმეს უნდა რგებოდა ასეთი პატივი, იგი ჰავაელი უნდა ყოფილიყო. სერფინგის სამშობლო სწორედ იქაა — ჰავაის კუნძულებზე.

უცხოელმა მეზღვაურებმა და აღმომჩენებმა 1700 წელს სწორედ იქ ჰავაის კუნძულებზე ნახეს პირველად ტალღებზე გრძელი დაფებით მოსრიალე თავზეხელაღებული ადამიანები, რამაც ისინი ძალზე განაცვიფრა, თუმცა, უცნობია, თუ სერფინგით პირველად ვინ როდის მოარჯულა ტალღა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჰავაის კუნძულების კლდეებს ამშვენებს მოხატულობა, რომელიც ქრისტეს შობამდე მეხუთე ასწლეულით თარიღდება. მასზე სწორედ ტალღებზე სერფინგით სრიალია ასახული.

აღმოჩნდა, რომ ჰავაელები სერფინგის ორ სახეობას მისდევდნენ — ერთ სერფს, სამ მეტრზე გრძელსა და ათ კილოგრამზე მძიმეს, ოლაილას უწოდებდნენ და მას უბრალო ხალხი იყენებდა. დიდგვაროვანი ჰავაელები — ბელადები, უხუცესები და უფლისწულები მართლაც მეფური სერფინგით სრიალებდნენ. მათი სერფები, რასაც ილივილის უწოდებდნენ, თითქმის ათ მეტრამდე სიგრძისა იყო და ას კილოგრამამდე იწონიდა. მიუხედავად ასეთი ზომა-წონისა, ილივილით საათში 70 კილომეტრის სისწრაფით დაქროდნენ.

თანამედროვე სერფინგი დიდადაა დავალებული დიუკ კაჰანამოკუზე. სერფინგს სწორედ მან მოუტანა საერთაშორისო აღიარება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი მან აშშ-ს სანაპიროებზე, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ კალიფორნიაში გადადგა, როცა ჩანასახში მყოფი სერფინგის პოპულარიზაცია დაიწყო. სულ მალე, 1915 წელს დიუკ კაჰანამოკუ ავსტრალიაში ჩავიდა. იქ, სიდნეის ფრეშვოტერის სანაპიროზე მან თავისი სერფინგით საჩვენებელი გამოსვლები მოაწყო, რითაც ყველა გააოცა, აღაფრთოვანა და საფუძველი ჩაუყარა სპორტის ამ ახალ სახეობას. მაგრამ დიუკ კაჰანამოკუ რის დიუკ კაჰანამოკუ იქნებოდა, იმავე „ტურნეზე" ავსტრალიელთათვის თავისი საცურაო ოსტატობაც რომ არ ეჩვენებინა. აჩვენა კიდეც და მერე როგორ — სიდნეიში დომეინ ბათში 100 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (53,8). ყოველივე ამით იგი სიდნეიში და საერთოდ ავსტრალიაში ძალზე პოპულარული გახდა. მას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა ცურვასა და სერფინგშიც.

აი, კუკის ნატერფალზე სიარულისას ამიტომაც გამახსენდა დიუკ კაჰანამოკუ.

სხვათა შორის, ავსტრალიაში იმ „ტურნეზე" დიუკს თან არ ჰქონდა სერფინგის დაფა. ამიტომაც მან სერფინგი შაქრის ლერწმისგან გამოთალა, შინ კი, ცხადია, მას არაერთი სერფინგი ჰქონდა. ისტორიამ შემოგვინახა დიუკ კაჰანამოკუს ერთი ფოტო, რომელზეც „სერფინგის მამა" თავისივე ვეება 4,88 მეტრი სიგრძისა და 45 კილოგრამიანი სერფინგითაა აღბეჭდილი. მას ამშვენებს ემბლემა, რომელზეც ვხედავთ ტალღაზე სერფინგით მოსრიალე კაცის გამოსახულებას და წარწერას ჰონოლულუ, მის ზემოთ კი სერფინგის პატრონის სახელსაც ვკითხულობთ: „DUKE". იქნებ ეს სწორედ ის სერფინგია, რომლითაც კაჰანამოკუ თავის ისტორიულ ტალღას მოახტა. ის გიგანტური ტალღა 1917 წელს იაპონიაში მიწისძვრამ გამოიწვია და კუნძულ ოაჰუს უზარმაზარი კედელივით მოასკდა. და მაშინ, როცა შიშისგან სუნთქვაშეკრული ხალხი მას მისჩერებოდა, დიუკი თავისი სერფინგით ყალყზე შემდგარ ოკეანეში გადაეშვა, ყველაზე დიდ ტალღას მოაჯდა და მასთან ერთად დაუჯერებელი სამი მეოთხედი მილი ისრიალა.

მადლობელი ვარ, რომ ღმერთმა ის ტალღა გამომიგზავნაო, 50 წლის მერეც უთქვამს დიუკ კაჰანამოკუს.

შეუძლებელი იყო, რომ დიუკ კაჰანამოკუს უსაზღვრო პოპულარობასა და მის აღნაგობას ამერიკელ კინოპროდიუსერთა ყურადღება არ მიეპყრო და აკი მიიპყრო კიდეც. ჰოლივუდმა იგი 28 ფილმში გადაიღო. ძირითადად მას იღებდნენ აცტეკთა ბელადების, ინდიელთა უხუცესების, პოლინეზიელთა წინამძღოლისა და საერთოდ, როგორც თავად ამბობდა, ყველანაირ წინამძღოლებისა და მეთაურის როლში. 1932 წლის მერე, როცა, უცხოური ტურნეებიდან მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, აირჩიეს ქალაქისა და ჰონოლულუს საგრაფოს შერიფად, სადაც 26 წელიწადს იმსახურა, მოგვიანებით კი ქალაქის „ოფიციალურ მიმსალმებლად მსახურობდა. როცა ეს კაცი 75 წლის მოიყარა და გაზეთმა „THE HONOLULU ADVERTISER" -მა მისი ცხოვრების ეპიზოდები გაიხსენა, იგი ჰავაის ყველაზე ცნობილ მოქალაქედ მიიჩნია.

დიუკ კაჰანამოკუ 1968 წლის 22 იანვარს 77 წლისა აღესრულა. მისი სახელი ლეგენდად დარჩა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**სიდნეი-თბილისი**






დიუკ კაჰანამოკუ და მისი სიდნეელი მიმდევრები



# ატლანტიკური სამკუთხედი

ერთი ოკეანის ფარგლებში სამი არმადა მიცურავს: „BT ჩელენჯი" ატლანტიკის სამხრეთ დასავლეთში, „თაიმს კლიპერი" კოლუმბის ნაკვალევზე და „ვენდი გლოუბი" კანარის კუნძულების სიახლოვეს. პირველი ორი წყნარ ოკეანეში გასვლას ეშურება, მესამე ინდოეთისაში გასაღწევად სამხრეთისკენ მიემართება და სხვებისგან იმითაც განსხვავდება, რომ ყოველ იახტაზე თითო აფროსანია გამწესებული. მეტიც, ამ ხალხმა დედამიწას წრე მიწაზე ფეხდაუდგმელად უნდა დაარტყას. ჯერ რთული საქმის მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა: ფრანგული ლე საბლ დოლონიდან გასულმა იახტებმა კანარის კუნძულებს შორის გაიარეს და საცაა აფრიკის დასავლეთ ნაპირს ნახავენ. ეს უმრავლესობას ეხება, ხოლო ერთი ვინმე, ბრიტანელი მაიკ გოლდინგი, რომელიც ანძამ დაალალატა და საწყის პუნქტშივე დაბრუნდა, დაახლოებით ამ წუთებში მთავარსა და გენუის იალქნებს ახალ ანძაზე ამაგრებს და ბისკაის ყურეში გადის. გოლდინგს წინგაჭრილთა დაწევის იმედი აქვს, რომელიც ახლა მყიფე ჩანს, მაგრამ 25 ათასი საზღვაო მილიდან რეგატის „პელოტონმა" ჯერ მერვედიც ვერ გალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ლიდერი გამოიკვეთა. ძლიერი ზურგქარით მიშელ დეჟუაიემ კარგად ისარგებლა და ახლო მდევართა ოთხკაციან ჯგუფს 50-ოდე მილით დაუსხლტა. მეორე ადგილიც დაკარგა ივ პარლემ, რომელსაც ბოლო 24 საათში ძლიერ ენერგიულად მცურავმა თომა კოვილმა გაუსწრო. კოვილი მეხუთედან მეორე პოზიციაზე გადასკუპდა, მეოთხეობისთვის კი ელენ მაკარტური და მარკ ტირსლენი შეუპოვრად იბრძვიან. ახლა სპრინტი აქვთ გამართული და სულ ბოლო ცნობით, ბრიტანელი მანდილოსანი უნდა დაწინაურებულიყო, თუმცა ცხრილიდან ფრანგის მცირე უპირატესობა ჩანს.




ელენ მაკარტურმა სიჩქარეს უმატა

„BT ჩელენჯის" მონაწილე ზღვის მგლებმა თითქმის მონტევიდეოს უწიეს და ლა პლატას უბეში გადამწყვეტი ქიშპისთვის ემზადებიან. 10 იახტის ტაქტიკა უცვლელია, ისინი უმოკლესი გზით, ნაპირ-ნაპირ მიიწევენ ფინიშისკენ, მესამედ მავალმა „ლოჯიკემ" და აქამდე უიმედო „ნორვიჩ იუნიონმა" კი გეზი ღია ოკეანისკენ აიღეს. პირველის რისკიანი ქცევა ეტაპის მოგების დიდი სურვილით აიხსნება, მეორისა — ფაქტით, რომ ბოლო ადგილი მაინც არსად გაიქცევა. „ნორვიჩმა" პირველი მოსამკალი უკვე მოიმკო, კარგი ქარი შეხვდა და მე-11 „სერკოს" 6 მილამდე დაუახლოვდა.

ელვის სისწრაფით შეიცვალა სიტუაცია „თაიმს კლიპერის" მონაწილეთა განლაგებაში. სტატუს-ქვო გეხსომებათ: „ლონდონი" და „გლაზგო" სამხრეთით, სხვები კი სულ ზევით და ზევით. შემდეგ „პლიმუთმა", „პორტსმუთმა" და „ლიდსმაც" სამხრეთისკენ ჩაუხვიეს, დანარჩენებმა და ლიდერმა „ბრისტოლმაც" მათ შორის ჩრდილოეთით დარჩენა არჩიეს, რაც ძვირად დაუჯდათ. ბოლო ორი დღე სამხრეთ დაჯგუფებისა იყო. „გლაზგომ" და „ლონდონმა" 12 საათში 92 და 91 მილი გალიეს, შემატებულებმა მათზე ცოტა ნაკლები და ამგვარი ტემპით ცურვამ ბაჰამის კურძულებიდან ასიოდე მილზე ის მოიტანა, რომ „ბრისტოლი" უკვე მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა და სკოტები ერთი ადგილის წართმევასაც უპირებენ, ხოლო პირველ ეტაპზე მისგან დაჩაგრული „პლიმუთი" მოწინავე პოზიციაზე მიცურავს. საცაა, ალბათ, სწორედ მავანი კორნუოლელი შეჰყვირებს, მიწაო და რთული ტაქტიკური ბრძოლა უფრო გართულდება. იახტებს ბაჰამის კუნძულებს შორის გავლა უწევთ, ერთი რომ გადაწყვიტოს მავანმა შკიპერმა, კუნძულს აქედან კი არა, იქიდან უნდა შემოვუაროთო, ამან ვინძლო ეტაპის ბედიც გადაწყვიტოს. „სამხრეთელებს" ბოლო დღეების მონაპოვართა დასაცავად ბრძოლა კიდევ მოუწევთ.

**დავით გულუა**

VENDEE GLOBE
2000 2001
LES SABLES D'OLONNE

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**
16 ნოემბრის ვითარება
პირველი ხუთეული

1. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) 22336 საზღვაო მილი ფინიშამდე;
2. თომა კოვილი („სოდებო", საფრანგეთი) +44;
3. ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს", საფრანგეთი) +47;
4. მარკ ტირსლენი („აქტივ ვეარ", საფრანგეთი) +59;
5. ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ", დიდი ბრიტანეთი)

THE TIMES
Clipper 2000

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**
II ეტაპი. ვილამურა — ჰავანა
16 ნოემბრის ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „პლიმუთი" | 1245 | 0 |
| 2. | „პორტსმუთი" | 1283 | 39 |
| 3. | „ლონდონი" | 1287 | 42 |
| 4. | „ლიდსი" | 1298 | 53 |
| 5. | „ბრისტოლი" | 1339 | 94 |
| 6. | „ჯერსი" | 1366 | 121 |
| 7. | „გლაზგო" | 1411 | 166 |
| 8. | „ლივერპული" | 1437 | 192 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**
II ეტაპი. ბოსტონი — ბუენოს აირესი
16 ნოემბრის ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „LG ფლატრონ" | 182 | 0 |
| 2. | „სპირიტ ოფ ჰონკონგ" | 297 | 115 |
| 3. | „ლოჯიკე" | 331 | 149 |
| 4. | „ოლიმპიკ გრუპ" | 356 | 174 |
| 5. | „კომპაქი" | 359 | 177 |
| 6. | BP | 372 | 190 |
| 7. | ქუადსტოუნი" | 379 | 197 |
| 8. | „აილ ოფ მენ" | 393 | 211 |
| 9. | „ვირიტას" | 401 | 219 |
| 10. | „ტიიმ სპირიტ" | 403 | 221 |
| 11. | „სერკო" | 486 | 304 |
| 12. | „ნორვიჩ იუნიონ" | 492 | 310 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*



# დეიდები, ბიძიები და მაიკლი

FINA SWIMMING WORLD CUP 2000 2001

მერილენდის შტატის საუნივერსიტეტო ქალაქ კოლეჯ-პარკში მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი გაიმართა. ტურნირის გმირი შეიქნა სლოვაკი მარტინა მორავცოვა, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე თავის ქვეყანას პირველი მედალი მოუპოვა, ამჯერად კი სამი გაცურვა მოიგო: ორი თავისუფალი სტილით 200 და 50 მეტრზე, 100 კი ბატერფლაით. დუბლი ამერიკელმა ედ მოზესმა გააზერხა, რომელიც კომბინირებულ ცურვაში სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი და 100 მეტრზე ბრასში ვიცე-ჩემპიონია. ამჯერად მას 50 და 100-მეტრიანი დისტანციების ბრასით გაცურვაში არ ჰყავდა ბადალი. „ოლიმპიადის შემდეგ ჩემმა მეტოქეებმა ხანგრძლივი შვებულება აიღეს — უთხრა მოზესმა ჟურნალისტებს — მაგრამ მე სერიოზული წვრთნის გაგრძელება მირჩევნია, მინდა, ზაფხულში ფუკუოკას მსოფლიოს პირველობაზე რიგიანად გამოვიდე." მეორე დუბლის ავტორი რიო დე ჟანეიროში თასის პირველ ეტაპზეც თავგამოჩენილი გერმანელი, იირკა ლეტცენი გახდა, ხოლო ამერიკელი მაიკლ ფელპსის 200 მეტრზე ბატერფლაით წარმატება იმიტომაა საყურადღებო, რომ ეს მოცურავე 15 წლისაა.

**ცურვა. მსოფლიოს თასი.**
II ეტაპი

ქალები

*200 მ. თავისუფალი.* მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 1:56,14; *100 მ. ბრასი.* ემი ბალკერზაკი (აშშ) 1:07,10; *100 მ. ბატერფლაი.* მორავცოვა 58,46; *50 მ. გულაღმა.* სიუზი კეტერსონი (აშშ) 28,63; *200 მ. კომპლექსური.* ჟან ჩუ (ჩინეთი) 2:14,71; *50 მ. თავისუფალი.* მორავცოვა 24,81; *800 მ. თავისუფალი.* კარა ლეინი (აშშ) 8:32,60; *200 მ. გულაღმა.* ჯენიფერ მიჰალიკი (აშშ) 2:13,84.

ვაჟები

*100 მ. თავისუფალი.* დევიდ ჯენკინსი (ავსტრალია) 49,37; *50 მ. ბრასი.* ედ მოზესი (აშშ) 27,63; იირკა ლეტცენი (გერმანია) 4:19,03; *100 მ. გულაღმა.* ბო მანიქსი (ავსტრალია) 53,83; *200 მ. ბატერფლაი.* მაიკლ ფელპსი (აშშ) 1:55,98; *400 მ. თავისუფალი.* ფრედერიკ ვიიდი (ესპანეთი) 3:53,40; *200 მ. ბრასი.* მოზესი 2:11,54; *100 მ. კომპლექსური.* ლეტცენი 55,18; *50 მ. ბატერფლაი.* რაფაელ თუიმი (ბრაზილია) 23,98.



მარტინა მორავცოვა



# მეი ბოროტმ... ჩაენერა

15 ნოემბერი

**კაროლინა — ფლორიდა 1:4**
0:0 0:3 1:1
0:1 ადამსი 26'04 (1); 0:2 შვიდკი 36'33 (1); 0:3 ნილსონი 37'49 (2); 1:3 ფრენსისი 42'29 (5); 1:4 ნილსონი 59'52 (3)

**ტორონტო — ფილადელფია 1:2**
1:1 0:0 0:0 0:1
1:0 ტაკერი 17'50 (4); 1:1 ფედოტენკო 18'02 (3); 1:2 რეკი 63'26 (1)

**დეტროიტი — სან ხოსე 4:1**
2:0 1:1 1:0
1:0 დანდენო 6'14 (1); 2:0 მოლტბი 14'24 (6); 2:1 დამფუსი 21'26 (3); 3:1 დანდენი 33'33 (2); 4:1 შენაჰანი 55'26 (8)

**ატლანტა — ნეშვილი 1:0**
0:0 1:0 0:0
1:0 ტრამბლე 35'02 (2)

**ბუფალო — დალასი 2:2**
1:1 0:0 1:1 0:0
1:0 კ. ბრაუნი 8'10 (3); 1:1 კინი 12'49 (4); 2:1 გრეტონი 54'16 (5); 2:2 ჰალი 53'02 (11)

**ანაჰაიმი — კოლორადო 0:3**
0:2 0:1 0:0
0:1 ფუტი 2'30 (2); 0:2 ჰეიდუკი 14'29 (10); 0:3 საკიკი 23'38 (8)

**მინესოტა — რეინჯერსი 2:3**
0:0 2:3 0:0
1:0 ნურმინენი 2'18 (1); 1:1 ფლერი 35'25 (14); 1:2 ნედვედი 37'02 (4); 1:3 ლიჩი 37'54 (5); 2:3 სეკენაში 38'37 (4)

ბუფალოელ ქომაგს ჯერ არ დავიწყებია 1999 წლის სტენლის თასის ფინალის ბოლო, მეექვსე მატჩი, რომელშიც ყველაფერი ბრეტ ჰალის გატანილმა შაიბამ გადაწყვიტა. და აი, „ოქროს ბრეტმა" კვლავ შეახსენა თავი HSBC Arena-ზე შეკრებილ მაყურებელს. იერე ლეჰტინენის დიაგონალური პასის შემდეგ მან ძლიერად დაარტყა და დალასს ქულა მოუტანა. თუმცა ხელცარიელი ბუფალოც არ დარჩენილა — დღესდღეობით იგი იმ სამ გუნდს შორისაა, ვისაც შინ არ წაუგ...

ყველაფერი აირია სამხრეთ-აღმოს... ვლეთში. ამ დივიზიონის ფავორიტ... მიჩნეული სამეულის უხეირობა ... მპამ და ატლანტამ კარგად გამოიყე... და, მრავალწლიანი მაჩანჩალა და ... რშანდელი დებიუტანტი ამჟამად ... რველ-მეორე ადგილებზე იმყოფებია...

რაც შეეხება ფავორიტთა სამეულ... მისი ორი წარმომადგენლის — კარ... ლინასა და ფლორიდას შეხვედრამ ც... დყო, რომ ამ გუნდების ლიდერები ჯ... რჯერობით ჩვეულ ფორმაში არ არ... ან. „პანტერებს" კი მოგება ახალწვ... ლებმა — დენის შვიდკმა და მარკ... ნილსონმა გაუნაღდეს.

როგორც ჩანს, ფილადელფიელებ... ბოლოოდ შეეგუენ იმ ფაქტს, რო... ერიკ ლინდროსის იმედი აღარ უნ... ჰქონდეთ. ჰოკეისტმა უარი თქვა „მ... რინავების" თავკაცებთან მოლაპარაკ... ბაზე და განაცხადა, რომ აღარ დაბრ... ნდება გუნდში, რომლის გენერალუ... მენეჯერიც ბობი კლარკია. ფილადელ... ფიის ლიდერი კი, ალბათ, მარკ რე... გახდება, რომელმაც გამოჯანმრთელ... ბა ტორონტოს კარში გატანილი ... დამწყვეტი შაიბით აღნიშ...

მორიგი გამარჯვება იზეიმეს დე... როიტმა და კოლორადომ. დეტროიტ... ლთაგან მცველი მეტიუ დანდენო ... მოირჩა, ხოლო კოლორადოელებს მ... რიგი ორი ქულა პატრიკ რუამ (41 მ... გერიება და 50-ე შატაუტი) და ჯ... საკიკმა (1+1) მოუტანეს.

ფინიქსელმა ბრედ მეიმ კი ლიგ... ყველაზე ხანგრძლივი დისკვალიფიკ... ციების სია გადაახალისა. კოლუმბ... სელ სტივ ჰაინცთან უხეშობისთვ... ლიგამ იგი 20 შეხვედრის გამოტო... ბით დასაჯა. მეი ამ „საპატიო" ნუსხ... ში მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფ... თუმცა იგი საგრძნობლად ჩამორჩე... მარტი მაკსორლის, რომლის 23-მა... ჩიანი დისკვალიფიკაციაც ლიგის კ... მისიონერმა გერი ბეტმენმა ახლახ... ერთ წლამდე გაზარდა.

**სამველ ლარიბიან...**




დალასელმა ბრეტ ჰალმა (16) დომინიკ ჰაშეკს გაუტანა

**სატურნირო ვითარება**

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 17 | 9 | 4 | 0 | 4 | 58:43 | 22 |
| ბუფალო | 16 | 9 | 2 | 1 | 4 | 46:37 | 21 |
| ტორონტო | 18 | 9 | 2 | 1 | 6 | 48:36 | 21 |
| ბოსტონი | 17 | 6 | 2 | 1 | 8 | 42:62 | 15 |
| მონრეალი | 18 | 5 | 2 | 0 | 1 | 44:55 | 12 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 17 | 9 | 2 | 1 | 5 | 54:48 | 21 |
| რეინჯერსი | 17 | 9 | 0 | 0 | 8 | 58:52 | 18 |
| ფილადელფია | 18 | 7 | 4 | 0 | 7 | 45:52 | 18 |
| აილენდერსი | 15 | 6 | 2 | 1 | 6 | 34:39 | 15 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 6 | 3 | 0 | 8 | 57:51 | 15 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 16 | 6 | 1 | 1 | 8 | 48:61 | 14 |
| ატლანტა | 15 | 4 | 6 | 0 | 5 | 43:42 | 14 |
| კაროლინა | 17 | 5 | 3 | 0 | 9 | 41:54 | 13 |
| ვაშინგტონი | 18 | 3 | 6 | 1 | 8 | 41:54 | 13 |
| ფლორიდა | 16 | 2 | 4 | 3 | 7 | 33:47 | 11 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 17 | 11 | 3 | 0 | 3 | 51:30 | 25 |
| დეტროიტი | 18 | 11 | 1 | 1 | 5 | 53:44 | 24 |
| ნეშვილი | 17 | 6 | 5 | 1 | 5 | 38:38 | 18 |
| კოლუმბუსი | 18 | 6 | 1 | 1 | 10 | 36:55 | 14 |
| ჩიკაგო | 18 | 5 | 1 | 2 | 10 | 43:57 | 13 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 19 | 14 | 3 | 0 | 2 | 58:32 | 31 |
| ედმონტონი | 21 | 11 | 2 | 0 | 8 | 60:55 | 24 |
| ვანკუვერი | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 61:51 | 22 |
| კალგარი | 19 | 5 | 3 | 2 | 9 | 41:51 | 15 |
| მინესოტა | 19 | 4 | 3 | 1 | 11 | 37:55 | 12 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 19 | 10 | 6 | 0 | 3 | 55:37 | 26 |
| სან ხოსე | 17 | 11 | 2 | 0 | 4 | 47:36 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 19 | 9 | 4 | 0 | 6 | 64:51 | 22 |
| დალასი | 17 | 8 | 3 | 1 | 5 | 45:38 | 20 |
| ანაჰაიმი | 20 | 6 | 3 | 2 | 9 | 51:69 | 17 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 16 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ვილერბანი 74:71 ალბა
ცსკა 83:88 ულქერი
პანათინაიკოსი 104:83 ლიეტუვოს რიტასი

**B ჯგუფი**

სკავოლინი 90:68 კრკა
პლანია 81:90 პარტიზანი
ეფესი 88:76 პო ორტეზი
ბაიერი 98:100 (88:88) მაკაბი

# კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 15 ნოემბერი

**A ჯგუფი**

შლასკი (პოლონეთი) — პროკომი (პოლონეთი) 84:72, ოპავა (ჩეხეთი) — რიკო (ჰოლანდია) 82:76

**B ჯგუფი**

შახტიორი (რუსეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 94:96, სპარტაკი (რუსეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 84:89

**C ჯგუფი**

დარუშაფაკა (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი) 110:87, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ხიმკი (რუსეთი) 77:65

**D ჯგუფი**

ჰემოფარმი (იუგოსლავია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 96:72, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 68:64

**E ჯგუფი**

მონტეკატინი (იტალია) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 70:81, ოლიმპიკი (შვეიცარია) — სოლნოკი (უნგრეთი) 97:87

**F ჯგუფი**

ტრიესტი (იტალია) — ვიოლა (იტალია) 78:81, ოლიმპიკი (შვეიცარია) — სოლნოკი (უნგრეთი) 97:87

**G ჯგუფი**

ტელეკომი (პორტუგალია) — დიჟონი (საფრანგეთი) 81:76, კასერესი (ესპანეთი) — ბინგოლი (ბელგია) 89:84

**H ჯგუფი**

ოსტენდე (ბელგია) — უნიკახა (ესპანეთი) 88:84, ლე მანი (საფრანგეთი) — სტრასბური (საფრანგეთი) 74:73

*მეორე ტური გაიმართება 6 დეკემბერს*

## ევროკალათა

ესპანეთის „ბარსელონა" დღედღეზე გააგდებს ლიბანელ ცენტრ რონი საიკლის, რომელსაც თავის დროზე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშიც უთამაშია. მას მწვრთნელ აიტო გარსია რენესესთან აქვს უთანხმოება. საიკლი მოედანზე დიდხანს, დაახლოებით 35 წუთით ყოფნას ითხოვდა, მწვრთნელი კი დიდად არ ენდობოდა და ცოტას ათამაშებდა.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში გაბრაზებული საიკლი არ გაჰყვა „ბარსელონას" ვიტორიაში, „ტაუს" წინააღმდეგ სათამაშოდ. ამით მან გუნდში დარჩენის ბოლო შანსი მოისპო. მოგვიანებით კალათბურთელმა მოინანია და თქვა: „მიყვარს „ბარსელონა". ეს დიდი კლუბია და მინდა აქ ვიყო." საეჭვოა, ამ სიტყვებმა საიკლის უშველოს: „ბარსელონამ" უკვე გამოაცხადა, რომ ახალ ცენტრს ეძებს.

ცოტა ხნის წინ საიკლის ამერიკიდან შეეხმიანნენ: „მაიამი ჰითმა" მას ავადმყოფი ალონზო მორნინგის შემცვლელობა შესთავაზა.

## საქართველოს ჩემპიონატი. VIII ტურის საუკეთესო მოთამაშე

### არჩილ ჟღენტი

აზოტი



**წლეულს** ამბიციაშემატებული თსუ შაბათს „მაკაბისთან" მარცხის შემდეგ ხასიათის გამოკეთებას მეორე დღეს ვიცე-ჩემპიონ „აზოტის" ძლევით გეგმავდა. ზაზა ზამთარაძის გუნდი ყოველმხრივ მობილიზებული შეხვდა მატჩს, სტუდენტობა არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეს, პირველ ტაიმში აჯობა კიდეც ხმელიძის გუნდს და გამარჯვებასაც წაეპოტინა, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგეზე ერთიორად ნაცადი „აზოტიც" გამოერკვა, მატჩი თავისათვის სასურველი სცენარით წარმართა და სასურველივე შედეგით დაასრულა.

რუსთაველთაგან რომელიმე კალათბურთელის გამორჩევა ცოტა არ იყოს, ჭირს, რადგან შესვენების შემდეგ „აზოტის" ყველა მოთამაშე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. თსუ-სთან გამარჯვებაში უკლებლივ ყველამ, ვისაც ხმელიძე დაეყრდნო, თანაბარი წილი დაიდო, მაგრამ ჩვენ მაინც არჩილ ჟღენტისკენ გადავიხრებით, რადგან გუნდისთვის კრიტიკულ მომენტში ძალიან ბევრია დამოკიდებული გამთამაშებელზე. „აზოტში" ამ ფუნქციას ჟღენტი ასრულებდა და აჩიკომაც ჩინებულად გაართვა თავი მწვრთნელის დავალებას. ერთი შეხედვით ჩრდილში მყოფი ჟღენტი მთელი ძალით სწორედ მაშინ ამოქმედდა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა თავის გუნდს: მან მატჩის სადავეები იგდო ხელთ, ტემპი დაარეგულირა, როცა საჭირო იყო,ააჩქარა თამაში, ზუსტი და დროული პასით პარტნიორები არაერთხელ დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, თავადაც შედეგიანად შეუტია და ყოველივე ამან „აზოტის" მოგება განაპირობა.

მესამე მეოთხედში ერთხანს 15 ქულით ჩამორჩენილ „აზოტს" გაბისონიას და კოკოლიშვილის სამქულიანებმა შეხვედრის გადარჩენის იმედი ჩაუსახა. თსუ იოლად არაფერს თმობდა და უპირატესობის შესანარჩუნებლად თავს არ ზოგავდა. სწორედ აქ გაიბრწყინა არჩილ ჟღენტმა — მან შორიდან დალაშქრა მეტოქის ფარი, რასაც უსწრაფესი გარღვევა მოაყოლა და ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირა. მოგვიანებით კი აჩიკომ მეტად საჭირო ბურთი აიღო დაცვაში, ის შეტევა თავადვე დაავგვირგვინა და მისი „აზოტი" თსუ-ს ორ ქულამდე მიუახლოვდა.

მეოთხე, დასკვნით მეოთხედშიც, როცა რუსთაველთა უპირატესობა აშკარა გახდა, ოსტატურად მოქმედებდა მათი გამთამაშებელი აჩიკო ჟღენტი. იგი კარგად მართავდა თავისიანებს, ბურთს უფრთხილდებოდა, ძვირფას წამებს იგებდა და შეტევებს მერელა ახორციელებდა...

მესამე სეზონია, ჟღენტი „აზოტის" ღირსებას იცავს. მანამდე აჩიკო თსუ-ში თამაშობდა, სწორედ იმ გუნდში, რომლის წინააღმდეგაც კვირას ყველაფერი გაიღო. „მართვე", „კაქტუსი", „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი"– ამ კლუბებშიც მოუსინჯავს ძალა მერვე ტურში „სარბიელისგან" გამორჩეულ ჟღენტს.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ფილადელფიის ისტორია

15 ნოემბერი

**ფილადელფია 107:98 კლივლენდი**

ფილადელფია: ლინჩი (23), აივერსონი (22)
კლივლენდი: ვეზერსპუნი (24), ტრეილორი (17), ილგაუსკასი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**კლიპერსი 78:74 ნიუ იორკი**

კლიპერსი: ოდომი (16)
ნიუ იორკი: ჯონსონი (20), ჰიუსტონი (17)

**ფინიქსი 99:78 დალასი**

ფინიქსი: მარიონი (19 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა), როჯერსი (19)
დალასი: ნეში (19)

**ნიუ ჯერსი 93:91 მაიამი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (31 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)
მაიამი: ჰარდევეი (26), მეისონი (20 ქულა, 14 მოხსნა)

**მინესოტა 92:90 გოლდენ სტეიტი**

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 10 მოხსნა), პილერი 22)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (22 ქულა, 7 ჩაჭრა), ბლეილოკი (19)

**მილუოკი 84:74 ატლანტა**

მილუოკი: რობინსონი (21), ალენი (17)
ატლანტა: ჯეკსონი (15)

**დეტროიტი 88:94 ინდიანა**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (29), სებალოსი (19)
ინდიანა: მილერი (30), ბესტი (22)

**ბოსტონი 116:109 ვაშინგტონი**

ბოსტონი: სტიტი (29), უოლკერი (26 ქულა, 13 მოხსნა), პირსი (20 ქულა, 10 მოხსნა)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (28), სტრიკლენდი (26), ჰოვარდი (25)

„ფილადელფია სიქსერზს" (იგივე ფილადელფია 76) ერთობ მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. ერთ დროს იგი ლიგის ყველაზე ცუდი გუნდი გახლდათ, 1972-73 წლების სეზონში 82 თამაშიდან სულ 9 მოიგო და ასოციაციას ყველა დროის ანტირეკორდის ავტორი გახდა. ამ არასახარბიელო შედეგის საპირისპიროდ „სიქსერზი" თავს იწონებს ჩემპიონის ორი ტიტულით, რომლებიც 1967 და 1983 წლებში მოიპოვა. ამ გუნდში უთამაშიათ ისეთ ლეგენდებს, როგორებიც არიან უილტ ჩემბერლენი, ჯულიუს ირვინგი, მოზეს მელოუნი და ჩარლზ ბარკლი, მაგრამ „ფილადელფია სიქსერზს" სეზონის სტარტზე ზედიზედ რვა თამაში აქამდე არასდროს მოუგია. „ფილადელფიას" გაუჭირდება, ჩემპიონი გახდეს, მაგრამ ეს სეზონი კლუბის ისტორიაში ნათელ ფურცლად ჩაიწერება, რადგან „სიქსერზმა" რეგულარულ ჩემპიონატში საწყისი რვა თამაში მოიგო. ამასთან ლიგას ერთადერთი შემორჩა, ვისაც მიმდინარე სეზონში მარცხს არ უგემია.

ნაადრევია იმის თქმა, თუ როგორ გააგრძელებს სეზონს „ფილადელფია", მაგრამ მისი თამაშის ხარისხი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ფილადელფიელები აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოგვევლინებიან. მათ კარგად ეხერხებათ როგორც თავდაცვა, ასევე შეტევა, აქვთ საბრძოლო სულისკვეთება, სურთ გამარჯვება და ჰყავთ ალენ აივერსონი.

ამ სეზონში აივერსონი იმდენ ბურთს ვერ (ან არ) აგდებს, რამდენსაც უწინ და ესეც გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. იგი ახლა გუნდურ თამაშს მეტ პატივს სცემს და იქნებ ამით სეზონის ბომბარდირის წოდებაზე ავტომატურად უარს ამბობს. აივერსონს ყოველ თამაშში აღარ უგროვდება ყველა თანაგუნდელზე მეტი ქულა, სხვებმაც გამოიღეს ხელი და ესეც საერთო ინტერესისთვის. ჯერ ერიკ სნოუმ გამოიდო თავი, შეტევების ორგანიზებას თავი ანება და მათ დაგვირგვინებას მიჰყო ხელი. ახლა დაცვის სპეციალისტის, ჯორჯ ლინჩის ჯერიც დადგა. „კლივლენდთან" მატჩში მან თავისიანთაგან ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა. შეტევაში აქცენტის სხვა მოთამაშეებზე გაკეთებაც საბოლოოდ „სიქსერზის" წისქვილზე ასხამს წყალს. ასე იყო ამ შეხვედრაშიც.

„კლივლენდი" ურიგო გუნდი არ ჩანს, ყველასთვის მოულოდნელად ცენტრალური დივიზიონის ცხრილის სათავეში მოკალათებულა და ახლა მას მეტოქეები მეტ პატივს სცემენ. „კავალიერზი" ფილადელფიაში იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული, რაღა თქმა უნდა, არ ჩასულა, მაგრამ მის თამაშში არც განწირულება გამოსჭვიოდა. სტუმრებმა თავიდანვე კარგად დაიწყეს და საწყისი მეოთხედი 31:24 მოიგეს, მაგრამ მეორე მეოთხედში აირივნენ, როცა აივერსონის წინააღმდეგ სათამაშოდ გაწყობილებმა აღმოაჩინეს, რომ ალენის ნაცვლად მათ კალათს ჯორჯ ლინჩი ბომბავდა. ხოლო როცა მესამე თორმეტწუთეულში მასთან ერთად აივერსონიც ათამაშდა და მასპინძლებმა ერთი მონაკვეთი 18:0 მოიგეს, ცხადი გახდა, რომ „კლივლენდი" მატჩის ბედის შეტრიალებას ველარ შეძლებდა.





REUTERS

**ფილადელფია — კლივლენდი. ჯორჯ ლინჩი (№9) კლივლენდელი კლარენს ვეზერსპუნის წინააღმდეგ**

დღეს „ფილადელფია" ლიგის ერთადერთი დაუმარცხებელი არ იქნებოდა, „ფინიქსი" სეზონის პირველ შეხვედრაში უხეირო „გოლდენ სტეიტთან" რომ არ შერცხვენილიყო. იმ გაუთვალისწინებელი წაგების შემდეგ „სანზმა" არც ერთი მეტოქე არ გაახარა და ზედიზედ შვიდი უპასუხო მოგება მიითვალა. და ეს მაშინ, როდესაც ორი წამყვანი კალათბურთელი ანფერნი ჰარდევეი და ტომ გულიოტა არ ჰყავს. ამ ორი მძლავრი კალათბურთელის არყოფნით დაიმედებული „სანზის" მეტოქეები მას არცთუ ძლიერ გუნდად აღიქვამენ, მაგრამ „ფინიქსის" ყველა ძლეულს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. შონ მარიონი მეორე სეზონს ატარებს ნბა-ში. შარშან იგი არაფრით გამორჩეული კალათბურთელი იყო, ახლა კი მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მარიონი რისხვად ევლინება მეტოქეებს და თუკი „ფინიქსი" თამაშს თამაშზე იგებს, ჯეისონ კიდთან ერთად ამ პირტიტველა ბიჭის დამსახურებაცაა. მასზე საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. „შონის სიმაღლე სულ ორი მეტრია და აფარებს ისე, როგორც ბრედლი (229-სმ), თან ეს სიმაღლე ხელს არ უშლის, ბურთები ჩაჭრას, როგორც ბლეილოკი აკეთებს. იგი უნივერსალია და, ჩემი აზრით, დასავლეთში საუკეთესო მსუბუქი ფორვარდია (ფრთა). ვის არ უნდა, ასეთი პარტნიორი ჰყავდეს მოედანზე" — ამბობს მარიონის თანაგუნდელი მარიოელი. „იგი ცას სწვდება" — ორაზროვნად აცხადებს მისი დამრიგებელი სკოტ სკაილზი.

„დალასთან" შეხვედრაში, ისევე როგორც ყველა სხვაში, მარიონი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ვინ იცის, როგორ სურდა ექსფინიქსელ, აწ კი „დალასის" ლიდერს მაიკლ ფინლის, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თავი გამოეჩინა, მაგრამ იგი მხოლოდ შვიდ ქულას რომ დასჯერდა, მარიონის დამსახურებაა. მარიონს ერთი პასი არ გაუკეთებია, მაგრამ ყველა დანარჩენ საკალათბურთო კომპონენტში გამოიჩინა თავი. ამასთანავე მისი 19 მოხსნა პირად კარიერაში საუკეთესოა.

„ფინიქსის" ერთადერთი მძლეველი „გოლდენ სტეიტი" კი სულ ჩაიძირა. მას იმ გამარჯვების შემდეგ ზედიზედ შვიდი მარცხი მოუგროვდა და ახლა წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილის ფსკერის მყარი ბინადარია. სამაგიეროდ, სამყაროს თავი შეახსენა ამავე დივიზიონის კიდევ ერთმა აუტსაიდერმა, „ლოს ანჯელეს კლიპერსმა". ბოლო ორი სეზონის ყველაზე უხეირო გუნდმა სრულიად მოულოდნელად „ნიუ იორკს" კლანჭები გამოუჩინა და შეარცხვინა.

პატ რაილი ოდესღაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" წვრთნიდა, ბაირონ სკოტი კი მეჯიქ ჯონსონთან, ქარიმ აბდულ-ჯაბართან და სხვებთან ერთად მისი შეგირდი გახლდათ. დღეს რაილი „მაიამიში" განაგრძობს მოღვაწეობას, სკოტი კი ახლა იწყებს სამწვრთნელო კარიერას, მას სულ ერთი თვის წინ „ნიუ ჯერსი" ჩააბარეს. მაგრამ მწვრთნელობაში ახალბედა სკოტს გამოუცდელობამ ხელი ვერ შეუშალა, მასწავლებლისთვის ეჯობნა. „ნიუ ჯერსიმ" შინ დაამარცხა „მაიამი". თავი, რა თქმა უნდა, წინა კვირის საუკეთესო მოთამაშემ, სტივენ მარბერიმ გამოიჩინა, „მაიამის" 31 ქულა ჩაუგდო და 9-9 მოხსნა-პასიც მიითვალა.

15 ნოემბერს ძველ ნაცნობთა კიდევ ერთი შეხვედრა შედგა. ცამეტი წლის განმავლობაში „დეტროიტის" ერთგული და ორი ჩემპიონობის მომტანი აიზია ტომასი თავის ყოფილ გუნდს დაუპირისპირდა. მისი „ინდიანა" „დეტროიტს" სტუმრობდა და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. „აიზიას დეტროიტში პირველი ჩამოსვლა ძალიან ჰგავდა ლარი ბერდის ბოსტონში სტუმრობას. არც ლარი და არც აიზია არ იმჩნევდნენ, რომ ძალიან ღელავდნენ, მაგრამ ბიჭები თვალებზე ვატყობდით, რომ ეს მათთვის რიგითი თამაშები არ იყო. და მათთვის ეს შეხვედრები მოვიგეთ" — ამბობდა ნამატჩევს „ინდიანას" ლიდერი რეჯი მილერი. იგი ტომასზე სულ რამდენიმე წლით არის უმცროსი და მისი მეგობარი უფროა, ვიდრე შეგირდი. ჰოდა, მილერმაც ტომასს მეგობრული სამსახური გაუწია, მის ყოფილ გუნდს 30 ქულა ჩაუგდო. ეს გამარჯვება „ინდიანასთვის" ზედიზედ მეხუთეა.

**ირაკლი ფირცხალავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევანი შენ და...



REUTERS ათენიდან

როგორც გენებოთ: ზოგი ამ თვალებს ჩააცქერდით, ზოგიც მონეტებს. მონეტები, რომლებიც მხოლოდ ნუმიზმატებს დააინტერესებთ, საბერძნეთის ბანკმა 2004 წლის ათენის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გამოუშვა. ერთ მხარეზე ოლიმპიადის ლოგო და მონეტის ღირებულებაა აღნიშნული (500 დრაჰმა), მეორეზე კი ოლიმპოს მთაზე ცეცხლის ანთების სცენაა ამოტვიფრული. რაც შეეხება თვალებს, ის, ალბათ, უფრო მეტს დააინტერესებს, მაგრამ მათზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, ვერც იმას, რა ჰქვია ბანკის ამ თანამშრომელ ქალს და ვერც იმას, ქვევით სხეულის როგორი ნაწილები მოსდევს.

სხვა, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ასეთი მონეტა 24 მილიონი ცალი ჩამოჰყარეს.



REUTERS ლისაბონიდან

## პერსპექტივა

— იქ, სადღაც ჩვენი ქვეყნების ნათელ მომავალს ვხედავ.

— მომავალს კი არა, ტაბლოს შეხედე, ტაბლოს.

ფეხბურთელთა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევში. გვატემალამ კოსტა რიკას უმასპინძლა და 2:1 მოუგო. შეხვედრას, რომელიც დედაქალაქიდან 100 კილომეტრში მდებარე ქალაქ მასატენანგოს „კარლოს სალასარ იხოს" სტადიონზე გაიმართა, ქვეყნების პრეზიდენტები, კოსტარიკელი მიგელ ანხელ როდრიგესი და გვატემალელი ალფონსო პორტილიო დაესწრნენ.



REUTERS მასატენანგოდან

## თბილისელთა საყურადღებოდ!

*ფეხბურთის მოყვარული ხალხი ვართ და ამიტომ გეუბნებით: ქურაში 2004 წლის ზაფხულამდე თუ გავჩერდებით, უეჭველად მივიღებთ ღამის დღეს. ე. ი. ევროპის მომავალ ჩემპიონატს ვნახავთ. ის პორტუგალიაში ჩატარდება, თან აი, ასეთ ადგილებში ზევით ავეიროს, ქვევით კი ლეირიას სტადიონების მაკეტებია გამოსახული. ამ მაკეტების სინამდვილედ ქცევა პორტუგალიის მთავრობას 100 მილიარდი ესკუდო დაუჯდება (432 მილიონი ამერიკული დოლარი), კლუბებს და სპონსორებს კი, როგორც ამბობენ, უფრო მეტი.*



REUTERS ლონდონიდან

## შიშველი უცხოელი

*აი, ინგლისელმა ჯივარმა, პროფესიული სპორტისგან ინვალიდად დარჩენილი ძმების სიყვარულით გაიხადა ყველაფერი. ჯივარს ლორენს დალალიო ჰქვია, მორაგბეა და იმედი აქვს, რომ 2001 წლის კალენდარში შეტანილ ამ შავ-თეთრ ფოტოს ბევრი მყიდველი გამოუჩნდება, ფულს კი ინვალიდ ძმებს ჩაახუტებენ. მის გარდა სხვა მორაგბეებსაც ჩაუხდიათ.*

*P.S. ქართველი გოგოებისთვის ამ ფოტოს 2 წამზე დიდხანს თვალიერება სასტიკად აკრძალულია.*




## ტაში, სულელი...

ეს რა კარგი ტრადიცია აქვთ ბრიტანეთის კუნძულებზე: შუა თამაშში მოედანზე ტიტველი მაყურებელი გაიკუნტრუშებს ხოლმე. დუბლინშიც ასე მოხდა, ირლანდიისა და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრებების ამხანაგური შეხვედრის დროს (ირლანდიამ მოიგო 3:0) მავანმა იქაურმა ბედნიერი სახით გაირბინა ჯეისონ მაკატირის (№13) წინ და თქვენს წინაშე წარდგომის პატივიც ხვდა წილად. რა კარგი ნიფხავი აცვია, არა?

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ზურაბ მეძველია
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

# შემოდგომის აზნაური და ასტურიანი

**რატომ** არ ღირს „დინამოს“ საშინაო მატჩის ხილვა აგვისტოში, ანაც „ტორპედოს“ სტადიონზე ქუთაისელთა ქომაგობა სექტემბერში? იმიტომ, რომ ეს გუნდები საკუთარ კედლებს სწორედ ამ თვეებში სუდრავენ ყველაზე ხშირად.

ვინ აგებს ჩვენში შინ ყველაზე იშვიათად? ცხადია, ამჟამინდელი და ყოფილი ჩემპიონები — „დინამო“ და „ტორპედო“.

რა დაუშავა წლეულს მარიამობის წინა დღეს თბილისში 3:0 ძლევით „ტორპედომ“ „დინამოს“?

რისი სამაგიერო გადაუხადა წინა შაბათს ექსჩემპიონმა მოქმედს?

ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა სტატისტიკას შეუძლია. მეცნიერების ეს დარგი კი, მოგეხსენებათ, ფეხბურთს თავიდანვე სდევს და ვინც ციფრთა პოეზიის მკითხველ-მოყვარულია, მისი ინტერესის განუყოფელი საგანია.

რა იქნებოდა ფეხბურთი უსტატისტიკოდ? რას დაკარგავდა სტატისტიკა ფეხბურთის გარეშე? ამის გარკვევა შეუძლებელიცაა და არც ჩვენი მიზანია.

ჩვენ იმ მტვერწაყრილი ციფრების გახსენება და გამომზეურება გვსურს, რომელთა მიღმა ორი უპოპულარესი ქართული გუნდის ათწლიანი ისტორია იმალება.

ისტორია სავსეა პარალელებით და არამარტო პარალელებით. „დინამოს“ და „ტორპედოს“ გზა არაერთხელ გადაკვეთილა, მაგრამ, როგორც წლეულს, ისე არასდროს.

როგორ ფიქრობთ, რა იქნებოდა 27 აგვისტოს რევაზ არველაძის „დინამოს“ უყიფიანო „ტორპედოსთან“ 0:3 რომ არ შეეწყვიტა 6-წლიანი წაუგებელი სერია? პირველ რიგში, „დინამოს“ დღესაც იქნებოდა შინ დიდი ანგარიშით დაუმარცხებელი გუნდი და არანაკლებიც: თბილისელები ასმატჩიან საშინაო სერიას შეასრულებდნენ.

აქვე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ორივე ჩემპიონის ყველა საშინაო მარცხის ნუსხა სადაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის შინწაგებული მატჩებია ჩამოწერილი. თარიღის, მეტოქისა და ანგარიშის გარდა ცხრილებში ერთი სვეტიცაა. სწორედ იმ გრაფაში „დინამოს“ ბოლო მარცხის გასწვრივ 99 წერია.

სხვათა შორის „დინამოს“ ეს სერია ასტურიანია, მაგრამ 27-ე ტურის მატჩი სტუმარ ლანჩხუთის „გურიას“ გამოუცხადებლობის გამო არ ჩატარებულა. მიუხედავად „ტორპედოსთან“ ასე უდროო დროს ნაწვნევი მარცხისა, „დინამოს“ სერია საუკეთესოა და ეროვნული ჩემპიონატის რეკორდია.

მეორე მაჩვენებელი, „დინამოსაზე“ თითქმის სამესამედოდ ნაკლები „ტორპედოს“ ეკუთვნის, თუმცა მთლად უწყვეტი არც ისაა. ქუთაისელთა წაუგებელი სერიის 22-ე მატჩი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წაგებულადაა ნაცნობი და ეს იმის მიუხედავად, რომ „ტორპედომ“ 11:4 მოიგო.

ამ ამბის დეტალურად გახსენებამ ეგებ შორს და ღრმად გაგვწიოს წარსულში, მაგრამ ორიოდ სიტყვით კი ღირს იმაზე თქმა, რის გამოც „ტორპედოს“ სერიას 22-ე მატჩზე არ ვწყვეტთ.

მეექვსე ჩემპიონატის ბოლო ტურში ორი უცნაური მატჩი შედგა. „ტორპედომ“ ქუთაისში 11:4 მოუგო უკვე გავარდნილ „საპოვნელას“, „კოლხეთმა“ კი ფოთში 10:5 თერჯოლელებსმიყოლილ „სამგურალს“.

ასეთი არასაფეხბურთო ანგარიში ეროვნულ ჩემპიონატში, ცხადია, არც ისე ხშირია, მაგრამ სხვაც არაერთი ყოფილა. მაგალითისთვის, უხვგოლიანობის ქართული რეკორდის გახსენებაც ღირს: „დინამო“ — „გორდა“ 12:4, რომელიც საეჭვოდ არავის მიუჩნევია. ფოთურ-ქუთაისურ მატჩებს კი მაშინდელმა ფედერაციამ ალმაცერად შეხედა: აქაოდა, ამ შეხვედრების შედეგები წინასწარ გარიგებული იყოო, ოთხივე გუნდს წაგება ჩაეთვალა, გოლები უკლებლივ ჩამოერთვა, 0:3 კი არც ერთს დაეწერა. მთავარი, რამაც ფედერაციის ეჭვი შვა, წინაა:

თითოეულ მატჩში 9-9 გოლის ავტორთა, უამათოდაც 26-გოლიანი კოლხი გიორგი დარასელიას და 25-გოლიანი ტორპედოელი მამუკა ხუნდაძის ცხრაპირი ოფლისწვრა ხომ წყალს გაატანეს. ბომბარდირად 24-ჯერ გამტანი დინამოელი ალექსანდრე იაშვილი გამოაცხადეს. უფრო უკუღმართი გადაწყვეტილების მოფიქრება, ალბათ დაგვეთანხმებით, ძნელი იქნებოდა.

ერთი სიტყვით, „ტორპედოს“ თუკი გოლი არ გაუშვია ვერც წააგებდა. არც წაუგია. ტექნიკური მარცხი კი სათვალავში ჩასაგდები მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ალტერნატივა არ გააჩნია. მაგალითისთვის „ტორპედოსვე“ საშინაო მარცხი გამოდგება თბილისის „იბერიასთან“.

1991 წლის 26 აგვისტოს ჩემპიონის სტუმრობა ძალიან ძვირად დაუჯდათ ქუთაისელებს. 89-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:2 იყო, მატჩის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა და შეწყდა. მასპინძელი ქომაგები სადავო პენალტის დანიშვნამ და თერთმეტმეტრიანიდან კახა კაჭარავას ზუსტად დარტყმულმა ალაშფოთა და მსაჯს და სტუმრებს ქვები დაუშინეს.

ეს არ იყო ქუთაისელ ქომაგთაგან გამოჩენილი უდისციპლინობის პირველი შემთხვევა. ზუსტად ორი თვის წინ ნეიტრალურ მოედანზე „ცხუმთან“ 1:3 წაგება, 84-ე წუთზე ჩაშლილი ათიდღისწინანდელი მატჩის გადათამაშება გახლდათ. მაშინ, როცა ცხუმელმა გოჩა გოგრიჭიანმა და ქუთაისელმა მამუკა ხუნდაძემ ხელდახელ იჩხუბეს, გამზავებელ არბიტრ მურთაზ მირცხულავას მეტი მოხვდა, მსაჯობა ველარ გააგრძელა და არეულმა ქომაგობამაც მატჩი ჩაშალა.

ასე მოხვდა „ტორპედოს“ საშინაო წაგებათა სიაში ნეიტრალურ მოედანზე განცდილი პირველი მარცხი. „იბერიასთან“ ჩათვლილ 0:3-ს კი ასევე ნეიტრალურზე წაგება-მოგებები მოჰყვა. თუმცა, ცხადია, ისინიც შინაურ მაჩტებს მიეთვალა.

300-ზე მეტმატჩიანთა ხუთეულში შინ უიშვიათესად წამგებებს შორის პირველი, რა თქმა უნდა, 8-მარცხიანი „დინამოა“, მეორე ათით მეტჯერ წაგებული „ტორპედო“. მესამე „ბათუმია“ 22 მარცხით, მეოთხე „კოლხეთი“ 31-ით, მეხუთე კი „გორდა“ 42-ით.

„ტორპედოს“ მეთვრამეტე მარცხი „დინამომ“ გამოჭედა შაბათს ქუთაისში 1:0 რომ სძლია ჩემპიონს.

თბილისელებმა უკვე მეხუთედ შეწყვიტეს ქუთაისელთა წაუგებელი სერია.

თავშივე ვთქვით, დინამოელთათვის დათარსული თვე აგვისტოა. რვიდან სამჯერ სწორედ აგვისტოში წააგო „დინამომ“, ბოლოჯერ ასე მწარედ, 99 მატჩის მერე. ტორპედოელები კი სექტემბერში ძლიერ ჰგვანან იმერულ შემოდგომის აზნაურებს — 18-იდან ექსჯერ ამ თვეში დარჩნენ მშრალზე.

და კიდევ ქუთაისელებმა ორი საშინაო მარცხი ჩემპიონატის ფინიშზე, ბოლო ტურში იწვნიეს, მათ თბილისელ კოლეგებს კი მეორე წრეში სულ ორადორჯერ, ისიც პირველ, გაზაფხულის — შემოდგომის პრინციპით გამართულ სეზონში წაუგიათ მეორე წრეში — არცერთი წაგება გაზაფხულზე.

რატომაა ყველაზე ხელხვავიანი ქართული გუნდებისთვის ასე უბარაქო შემოდგომა?...

**ვახტანგ ჭუბაძე**



წლევანდელი „დინამო“ — „ტორპედო“ 0:3. თბილისელთა ექვსწლიანი საშინაო სიჯიუტე გიორგი ანჩაბაძის პენალტის მოგერიებით ტორპედოელთა მეკარე ირაკლი ზოიძემ გატეხა



წლევანდელი „ტორპედო“ — „დინამო“ 0:1. ქუთაისელთა ბოლო საშინაო მარცხი



თბილისური მატჩის გმირმა ვალტერ გუჩუამ (№19) ქუთაისური გამოტოვა

**საქართველოს ჩემპიონთა ყველა საშინაო მარცხი**

**დინამო**

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03.90 | კოლხეთი | 0:1 | 0 |
| 09.08.90 | გორდა | 0:1 | 10 |
| 30.08.91 | კოლხეთი | 0:1 | 18 |
| 09.12.92 | მრეტები | 1:2 | 26 |
| 05.11.93 | ერქვანი | 1:2 | 11 |
| 16.12.93 | საპოვნელა | 1:2 | 3 |
| 05.11.94 | სამტრედია | 1:2 | 13 |
| 27.08.00 | ტორპედო | 0:3 | 99 |

**ტორპედო**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.05.90 | იბერია | 0:2 | 5 |
| 01.06.90 | ივერია | 0:1 | 0 |
| 18.10.90 | კოლხეთი | 1:2 | 6 |
| 28.06.91 | ცხუმი | 1:3 | 10 |
| 26.08.91 | იბერია | 0:3* | 2 |
| 22.09.91 | ცხუმი | 1:3 | 1 |
| 04.05.92 | გორდა | 0:1 | 9 |
| 21.09.92 | შევარდენი | 1:2 | 6 |
| 31.08.93 | ბათუმი | 1:2 | 14 |
| 10.09.93 | ოდიში | 1:2 | 0 |
| 29.03.94 | სამტრედია | 0:1 | 4 |
| 08.04.96 | დინამო | 0:1 | 32 |
| 15.09.96 | დინამო | 2:4 | 7 |
| 28.09.96 | კოლხეთი | 1:4 | 0 |
| 04.09.97 | დინამო | 1:4 | 12 |
| 22.05.98 | მაღაროელი | 1:2 | 11 |
| 30.03.99 | ვიტ ჯორჯია | 0:1 | 9 |
| 11.11.00 | დინამო | 0:1 | 25 |

* - მატჩი 1:2-ზე, 89-ე წუთზე შეწყდა და „ტორპედოს“ წაგება ჩაეთვალა

**ჰოლანდია**

თასი

ნაიმეგენი 3:1 სპარტა

**დანია**

თასი

მიდტიულანდი 3:0 ჰერფიოლგე

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ სამძიმარს უცხადებს გუნდის ფეხბურთელს სულიკო დავითაშვილს დედის გარდაცვალების გამო

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი წრე
**14 ტური** ანონსი

# თქვენ გელით...

## ბევრი აფხაზეთისთვის, სამი კი ტორპედოსთვის



მეთერთმეტე ეროვნულის „ბათუმი“ — „ტორპედო“: მასპინძელ შალვა აფხაზავას (მარჯვნივ) სტუმარი ვახტანგ თურმანიძე გადაელობა

**ხუთი** ტურია, „ბათუმს“ თამაში არ მოუგია. ზედიზედ სამჯერ ვერ მოიგო „ტორპედომ“ და ლიდერობაც „ლოკომოტივს“ გადააბარა. დღეს ბათუმში დიდი თამაშია, „ბათუმი“ — „ტორპედო“. მეთოთხმეტე ტური იწყება.

საინტერესო და დაძაბული თამაშები გველის. თითოეული ქულა ძვირფასია და არც უკან დამხევი გვეგულება ვინმე. ექვსი მასპინძელი ექვს სტუმარს მიიღებს, მაგრამ რკინიგზელები განსაკუთრებულ სამზადისში არიან. ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, თბილისს ლონდონური „არსენალის“ მთავარი სკაუტი სტივ როული უნდა ესტუმროს. იქნებ დაადგეს საშველი ზურაბ ხიზანიშვილის გაწელილ ტრანსფერს.

კი მაგრამ, რომ არ ჩამოვიდნენ? ახლა თუ არა, ოდესღაც მაინც გამოჩნდებიან, ასე ადვილად არ შეელევიან თავიანთ რჩეულს.

იმედი გვაქვს, ტური მშვიდობიანად ჩაივლის, არავის ექნება რამე საპრეტენზიო მსაჯების მიმართ და ძლიერსაც მხოლოდ დაძაბული ბრძოლა გამოავლენს.

დროა, ცენტრალურ თამაშს დავუბრუნდეთ. ბათუმში საინტერესო, სანახაობრივ და დაძაბულ მატჩს მოველით. ბოლო ორი სეზონის მანძილზე „ტორპედო“ სჯობს „ბათუმს“, მაგრამ რიონისპირელთა უპირატესობა მხოლოდ საშინაო მატჩებში მეტოქის იოლად დამარცხებაში აისახება.

დიდი ხანია, „ტორპედოს“ ბათუმში არ მოუგია. ბოლოს ეს ხუთი წლის წინ მოახერხა. მერე ქუთაისელთა საუკეთესო შედეგი ფრე თუ იყო.

მეთერთმეტე ჩემპიონატში ქუთაისელებმა ორივე საშინაო მატჩში დაამარცხეს ბათუმელები, ხოლო ამდენივე გასვლით შეხვედრაში ქულასლა დასჯერდნენ. წლეულს, პირველ წრეში, „ტორპედომ“ 2:0 მოუგო ჯერ კიდევ ჯანი კარნევალის „ბათუმს“, ახლა სტუმრობის ჯერია.

ერთადერთი, ვისაც მასპინძელთა თავკაცი ასლან ბალაძე ვერ ათამაშებს, დისკვალიფიცირებული მჟავანაძეა. დანარჩენი ყველა მწყობრში ჰყავს მწვრთნელს და ამაღლებული განწყობით ელის მეტოქეს.

„ტორპედოში“ არავინაა ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული. კაპიტანი დავით ჯანაშიაც მოფერიანდა, გასულ ტურში შეცვლაზეც ითამაშა, დღეს, ალბათ, ძირითადში იქნება.

სალორიის ბაზაზე მოვარჯიშე „ტორპედომ“ ფოთში ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ჩასულ აფხაზეთის ნაკრებს გუჩუა, შალამბერიძე და აზვლედიანი არ დაახმარა. ესეც ქუთაისელთა წინასამატჩო სერიოზულ განწყობაზე მეტყველებს.

რახან სხვა სიახლე არაფერია, ჩვენს მოკრძალებულ პროგნოზსაც შემოგთავაზებთ. „ბათუმი“ სწორედ ახლაა ფორმაში, „ტორპედოს“ დროებითი ჩავარდნა აწუხებს. ეს მხედველობაში მისაღები ფაქტია, მაგრამ ბევრს არაფერს წყვეტს. არ არის ქუთაისური კლუბი ზედიზედ ორი თამაშის წამგებიი, ამიტომ ყველაფრის გათვალისწინებით ასე დავასკვნით, ფრე სტუმრის უპირატესობით. ამას ბუქმეიქერულ ჟარგონზე „იქს დვას“ ეძახიან.

ეს „იქსი“ კიდევ ერთ მატჩში შეიძლება გავარდეს, დანარჩენი ოთხი კი მკვდარი ერთიანია. თანმიმდევრულად მივყვეთ და მცხეთის „არმაზს“ ვეწვიოთ. თუ ვინმე დაიჩივლებს, პრობლემები მომძალებიაო, პირველი მათგანი „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი ვლადიმერ ხაჩიძე იქნება. დისკვალიფიკაციის გამო ოთხ ფეხბურთელს მოისაკლისებს ვიცე-ჩემპიონი. ვეტერინარებს დაცვის ორივე ფლანგი გაუშიშვლდათ, ხოლო ნახევარდაცვისა და თავდასხმის ცენტრი გაუმეჩხერდათ. დეკანოსიძე, მელქაძე, საჯაია, მუჯირი დიდი ძალაა და მათი არყოფნა დაეტყობა „ვიტ ჯორჯიას“.

ზემოჩამოთვლილთა სანაცვლოდ ვინ ეგულება ხაჩიძეს? დაცვას, ალბათ, ინწკირველი დაემატება და ვიტელებიც სამი მცველით ითამაშებენ. საჯაიას ნაცვლად დავით დოლიძის გამოყენებაა სავარაუდო. მარჯვენა ფრთის კონტროლიც, ალბათ, მასვე დაევალება.

ნახევარდაცვის შუაგულში გიორგი ყიფიანის დაბრუნებაა მოსალოდნელი, თუმც არც ზვიად გვაზავას გამოჩენას გამოვრიცხავთ.

თავდასხმაში გიორგი ქორიძეს ვლადიმერ გოჩაშვილი შეეწყვილება. აქ არაფერია სხვა სავარაუდო და საჭოჭმანო. გოჩაშვილი მუდამ მზადაა.

რამდენი თავდამსხმელით ითამაშებს „მერანი“? ალბათ, ერთით. ავჭალელებს ვერაფრით დაეხმარება გუნდისა და ჯერჯერობით გათამაშების ბომბარდირი დავით გოდერძიშვილი. გარისკავს ჯიშკარიანი ბოლომდე მოუშუშებელი ფოცხვერიას გამოყვანას? მეტად რთული კითხვაა. „მერანს“ ჯანმრთელი ფორვარდი ორიც მოეძევება — მამუკა მინაშვილი და ლევან თოლორდავა. ამათგან ერთ-ერთი ძირითადში იქნება.

სხვა ცვლილებებს ავჭალელთა რიგებში არც მოველით. საქმე პროგნოზზე მიგვიდგა. მოკლედ მოვჭრით, მცხეთაში ფრეს მოველით, თუმც მცირე უპირატესობას მაინც მასპინძლებს ვანიჭებთ.

წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოდის თბილისში „სიონი“ და წარმატების არანაირი შანსი არ გააჩნია. სოლოლაშვილის დისკვალიფიკაციას ჯერაც მოუშუშებელი ტრავმები ემატება. „სიონმა“ ამას წინათ სათასო მატჩი წააგო „დინამოსთან“, დღეს ხომ ითამაშებს და მერე ოთხ დღეში ისევ სათასო შეხვედრაში ისტუმრებს „დინამოს“.

რევაზ არველაძემ სენსაციური სამი ქულა წამოიღო ქუთაისიდან, მერე „დინამოს“ ორი წამყვანი მოთამაშე — სიჭინავა და გადელია ფოთში აფხაზეთის ნაკრებს დაახმარა. პირობისამებრ ერთი ტაიმი ითამაშეს „ფაზისზე“ დინამოელებმა და იმ დღესვე თბილისისკენ გამოსწიეს. არა, დღეს, „დინამო“ მორიგ თამაშს მოიგებს.

ფოთში მიმავალი „გორდა“ ზურაბ ლაბაძესა და მჭედლიძეს ვერ დაუპირისპირებს „კოლხეთს“. ძნელი თამაში მოელით რუსთაველებს. ფოთელები შანსს არ გაუშვებენ ხელიდან და სამი ქულით გამდიდრდებიან კიდეც. კოლხებს რევანშის წყურვილიც ჰკლავთ, პირველ წრეში „ფოლადზე“ დამარცხება დღესაც მწარედ ახსოვთ.

სოსო ფილიას ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი ჰყავს, იასონ ალადაშვილის საფიქრალი ბურნაძის ტრავმა და კიტეიშვილის მტკივანი ფეხია, თუმც „გორდას“ ნახევარმცველი ბოლო დროს სულ ტრავმიანი თამაშობს.

ის დროც გვახსოვს, რუსთაველები გამარჯვებულები რომ ტოვებდნენ „ფაზისს“, მაგრამ მაშინ „გორდა“ მართლა გუნდი იყო, ახლა კი...

გორის „დილამ“ ბოლოს მესამე ტურში მოიგო და ეს „იბერიასთან“ გასვლით შეხვედრაში მოახერხა. მას აქეთ ათმა ტურმა ჩაიარა და გორელებს ჩინებული შანსი აქვთ გამარჯვების გემო გაიხსენონ, ისინი „იბერიას“ მასპინძლობენ.

„დილამ“ ახალი მწვრთნელის თავკაცობით თამაში გამოასწორა, თითქმის წარმოუდგენელი ქულაც წაიღო ავჭალიდან. დღეს ყველა გორელი ფეხბურთელი მწყობრშია, დისკვალიფიცირებულიც არავინ ჰყავს ხაჩირაშვილს.

„იბერია“... სახლი, პატრონი, სიკეთე, დისკვალიფიკაცია, ტრავმა არ არსებობს ახალგაზრდული გუნდისთვის. ისევ წააგებენ ალბათ სოსო ფრუიძის ბიჭები.

ბოლოს თენგიზ კაციას და თსუ-ს საწუხარზეც ვთქვათ. ალადაშვილი, ახალაძე, ერაძე, ხარებავა... დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ და ფაქტობრივად შეუცვლელებიც არიან თსუსთვის. მართალია, კაციას ტრავმამოშუშებული მეკარე მამარდაშვილი დაუბრუნდა, მაგრამ „ლოკომოტივთან“ მოპაექრე განახევრებული გუნდისთვის ეს ვერაფერი შეღავათია.

უდანაკარგო არც „ლოკომოტივია“. რევაზ ძოძუაშვილი თოდუას და რუსიას ვერ გამოიყვანს. მათ დასაშვებზე მეტი ყვითელი ბარათი დაგროვებიათ. თოდუას ალბათ გილაური შეენაცვლება, ანაც სულაც სამი მცველით ითამაშებენ რკინიგზელები. არც რუსიას ამპლუაშია პრობლემები, „ლოკომოტივს“ ხომ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს.

ისე, ხვალ „ეროვნულზე“ ამ დაპირისპირების საბოლოო შედეგი ცოტას თუ დააინტერესებს, სამაგიეროდ, ყურადღების ცენტრში იქნება ხიზანიშვილი და საპატიო სტუმართა ლოჟაში მჯდარი ინგლისელი. ჩამოვა თუ არა როული, ხიზანა მაინც ითამაშებს. ზურაბი იმედისმომცემი, ნიჭიერი და მონდომებული მოთამაშეა, შანსს, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებს.

სხვა რა გითხრათ, თამაშები ყველგან საინტერესო გელით, დანარჩენზე კი სამშაბათს ვილაპარაკოთ.

**მამუკა ძგანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 7 - იონანიძე | ტორპედო |
| 6 - ზ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ზირაქიშვილი | დინამო |
| აფხაზავა | ბათუმი |
| 5 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუტკარაძე | თსუ |
| 4 - მოსეშვილი | სიონი |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 13 | 11 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 33 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 13 | 15 | 7 | 6 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 20:5 | 15 | 32 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 9 | 16 |
| 3 დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 26:13 | 13 | 28 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 9 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 13 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 4 | 2 | 20:7 | 13 | 25 | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 4 | 12 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 9 | 13 |
| 5 კოლხეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 14:14 | 0 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | -3 | 6 |
| 6 ბათუმი | 13 | 6 | 1 | 6 | 17:15 | 2 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 7 სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:12 | -1 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 8 მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:16 | -4 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 9 თსუ | 13 | 4 | 1 | 8 | 15:25 | -10 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 7 |
| 10 გორდა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:20 | -10 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 2 |
| 11 დილა | 13 | 2 | 3 | 8 | 8:22 | -14 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | -10 | 4 |
| 12 იბერია | 13 | 0 | 1 | 12 | 3:28 | -25 | 1 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:15 | -14 | 1 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 0 |

თბილისი. „ეროვნული“. 17 ნოემბერი. 15 საათი

### დინამო — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: სოლოლაშვილი (სიონი)

გორი. „ცენტრალური“. 17 ნოემბერი. 15 საათი

### დილა — იბერია

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბათუმი. „დინამო“. 17 ნოემბერი. 15 საათი

### ბათუმი — ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამძარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: მჟავანაძე (ბათუმი)

მცხეთა. „არმაზი“. 17 ნოემბერი. 15 საათი

### ვიტ ჯორჯია — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: დეკანოსიძე, მელქაძე, ჯ. მუჯირი, საჯაია (ყველა ვიტ ჯორჯია); დ. გოდერძიშვილი (მერანი)

ფოთი. „ფაზისი“. 17 ნოემბერი. 15 საათი

### კოლხეთი — გორდა

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ზ. ლაბაძე, მჭედლიძე (გორდა)

თბილისი. „ეროვნული“. 18 ნოემბერი. 15 საათი

### ლოკომოტივი — თსუ

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. კრიჟაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კოშიაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: თოდუა, რუსია (ორივე ლოკომოტივი); ე. ალადაშვილი, ახალაძე, ერაძე, ხარებავა (ყველა თსუ)




გუშინწინდელ ტურინულ იტალია — ინგლისზე ქართველ დამკვირვებელს ვერსად ნახავდით

# საკვირველი დაუკვირვებლობა

## საქართველოს ნაკრები ალალია: მეტოქის დაზვერვას არ კადრულობს

**გუშინწინდელი** დღე ევროპაში ძირითადად ამხანაგური მატჩებისა იყო. მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი ეტაპის VIII ქვეჯგუფიდან მხოლოდ ორ ნაკრებს არ უთამაშია — ლიტვის და საქართველოს. ლიტველების ლიტველებმა იკითხონ, ჩვენ კი ჩვენსაზე ვთქვათ.

ალბათ, ორი აზრი არ არსებობს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საკონტროლო მატჩი კარგ სამსახურს გაუწევდა, მაგრამ გუშინწინდელი „ამხანაგური დღე" ჩვენი გუნდისთვის დაკარგული აღმოჩნდა, ამაში საკვირველი არაფერია, მსგავსი რომ აქამდეც ბევრჯერ ყოფილა და შემდეგშიც მოხდება. საკვირველი უფრო ის არის, რომ ლიტვაში მოგებით მადაგალვიძებულთ ელემენტარული, თითქმის დაკანონებული წესები ავიწყდებათ.

შეგახსენებთ, ჩვენი ეროვნული გუნდი მეტოქეებზე გვიან ჩაება შესარჩევ ტურნირში, ჩვენამდე რუმინეთი ლიტვას მასპინძლობდა, უნგრეთი კი იტალიას. მაშინ არავინ არ ჩათვალა საჭიროდ, უშუალო კონკურენტები საქმეში ენახა. ნაკრებს ორი მწვრთნელი ჰყავს, მათ კი თანაბრად შეეძლოთ ფუნქციების განაწილება, ანუ ერთი რუმინეთ-ლიტვის მატჩს დასწრებოდა, მეორე კი უნგრეთ-იტალიისას. დავით ყიფიანს და რევაზ ძოძუაშვილს რომ თავი დავანებოთ, მათ ზურგს მრავალწევრიანი მწვრთნელთა საბჭო უმაგრებს და დამკვირვებლის სტატუსს ნებისმიერი მათგანი სიხარულით შეითავსებდა, მაგრამ მაშინ სფფ-მ ან არ ჩათვალა საჭიროდ (მწვრთნელებთან კონსულტაციის შემდეგ) ამ ნაბიჯის გადადგმა, ანაც ამის განსახორციელებლად შესაძლებლობა არ ეყო. არის მესამე, ნაკლებ სარწმუნო ვარიანტიც — საქართველოს ნაკრების თავკაცები სრულ ინფორმაციას ფლობენ ქვეჯგუფის მეტოქეებზე. სხვა ნებისმიერი მიზეზის შემთხვევაშიც კი მეტოქისადმი ამგვარი უყურადღებობა გაუმართლებელია. თავის დროზე ამ ფაქტთან დაკავშირებით ბევრი ითქვა და დაიწერა, ნათქვამს წესით და რიგით რეაგირება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ...

გუშინწინ იტალიამ, რუმინეთმა და უნგრეთმა ითამაშეს. სამივე მათგანმა გაიმარჯვა. მართალია, უნგრელებს ნისლის გამო მაკედონიელებთან მატჩი არ ჩაუმთავრებიათ, მაგრამ პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ მოიგეს. ტურინში, ბუქარესტსა და სკოპიეშიც დამკვირვებლის სტატუსით საქართველოდან არავინ ყოფილა. და ეს მაშინ, როცა შესარჩევი ეტაპის გაგრძელებისთანავე პირველივე მატჩში რუმინელებს ვუმასპინძლებთ, შემდეგ კი იტალიელებს ვხვდებით. შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ მარტამდე დიდი დროა დარჩენილი და მეტოქის შესწავლა ჯერაც შესაძლებელია. გადახალისებული და გაახალგაზრდავებული რუმინეთის ნაკრების ნახვა სწორედ ამ ეტაპზე იყო საჭირო. მით უფრო, რომ ბალკანელებს მეტოქედ ამბიციური იუგოსლავიელები (თანაც სამხრეთული სტილის გუნდი) ჰყავდათ. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერით მეტოქის გაშიფვრას, რა მოგახსენოთ. მკითხველი დამეთანხმება, რომ გაცილებით ეფექტური და ნაყოფიერი მოწინააღმდეგის „ცოცხლად" შესწავლაა.

რამდენიმე დღის წინ სფფ-ში ხმა დაირხა, რომ იტალია — ინგლისის მატჩზე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გაემგზავრებოდა, ოღონდ კონკრეტულად ვინ, ამის შესახებ მის პრესცენტრშიც არაფერი იცოდნენ. ყოველივემ კი, ბუნებრივია, გვაფიქრებინა, რომ „სკუადრა აძურას" ტურინში ვერც ძოძუაშვილი ნახავდა, და ვერც ყიფიანი, რადგან მატჩამდე ორი დღე იყო დარჩენილი და ასეთ შემთხვევაში იტალიაში წამსვლელის ვინაობა წესით და რიგით ცნობილი უნდა ყოფილიყო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, დავუშვათ გარკვეული მიზეზების გამო ვერც ყიფიანი გაემგზავრა აპენინებზე („ტორპედოს" ჩავარდნა აქვს) და ვერც ძოძუაშვილი (საჩემპიონოდ შემართული „ლოკომოტივი" ყურადღებას ვერ მოადუნებს) და სფფ-საც საშუალება არ გამოუჩნდა სხვა ვინმეს გასაგზავნად, მაგრამ იტალია — ინგლისის მატჩის დღეს ხომ რიმინიში იმყოფებოდა სფფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაცი ლევან ყიფიანი. იგი დღესაც იტალიაშია, თვრამეტწლამდელთა ნაკრებს ახლავს თან. ნუთუ არ შეიძლებოდა მისი დამკვირვებლად გამოყენება. სფფ-ს ელემენტარულად უნდა ეზრუნა ამაზე. არა მგონია, უმცროსი ყიფიანი საჭირო ცნობების გარეშე დაბრუნებულიყო იტალიიდან, მაგრამ მისთვის ასეთი დავალება არავის მიუცია და, ბუნებრივია, ლევან ყიფიანისთვის რიმინიდან ტურინამდე 435 კილომეტრის გავლაზე და „დელეალპიზე" მოსახვედრი სათანადო აკრედიტაციის მოპოვებაზე ადვილი ნახევარი საათის სავალზე სან მარინოში მოხვედრა იყო. უმცროსი ყიფიანიც სან მარინო — ლატვიის მატჩს დაესწრო. „დელე ალპიზე" კი იტალიამ ინგლისი დაამარცხა.

ბოლოს კი სფფ-ს ცნობისთვის ჩვენი უახლოესი მეტოქის, რუმინეთის ამხანაგური მატჩების გრაფიკს ვთავაზობთ, იქნებ როგორმე დავაკვირდეთ მეტოქეს, თანაც გუნდს სტუმრად უწევს თამაში (ისევე როგორც თბილისში) ალჟირის ნაკრებთან. ალჟირი შორს კი არის, მაგრამ ბალკანელები აფრიკის ჩრდილოეთს ოთხ დეკემბერს ესტუმრებიან და 5 და 8 დეკემბერს ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან. თებერვალში კი რუმინელებს, ჩვენგან განსხვავებით, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა აქვთ დაგეგმილი. კვიპროსი კი ალჟირზე ახლოსაა.

**ბაადა ძვანტალიანი**

# ლატვიას ქართველი მოაკლდა

**ლატვიის** „პოლიციასის" ფორვარდი ვალერი გაგუა საქართველოში დაბრუნდა და თბილისის „ლოკომოტივში" ითამაშებს.

გაგუა რკინიგზელებს ჯერ საჩემპიონატოდ არ განუცხადებიათ, მაგრამ როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ეს პრობლემა არ არის და ვალერი საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩშიც ითამაშებს ლანჩხუთის „გურიას" წინააღმდეგ.

ვალერი გაგუა ლატვიაში შარშან გადაბარგდა. თავიდან ის ქვეყნის ჩემპიონ „სკონტოში" ვარჯიშობდა, მაგრამ შემდეგ კლუბის უფროსობამ ერთ-ერთ აუტსაიდერ „პოლიციასში" გაანათხოვრა. ლატვიის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში ჩვენებურმა თავდამსხმელმა სულ ერთი გოლი გაიტანა. გუნდი კი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა, 8-გუნდიან ჩემპიონატში „პოლიციასი" მე-7 გახლდათ. ლატვიაში კი, ალბათ მოგეხსენებათ, უძლიერესთა ლიგას ერთი გუნდი ტოვებს.

თბილისის „ლოკომოტივს" ვალერი გაგუა თურქეთის „ერზურუმში" განათხოვრებული მერაბ ძოძუაშვილის შემცვლელად ეგულება. ადრე კი ის „თბილისში" თამაშობდა.

**კობა ინასარიძე**

# თურქებმა ძოძუაშვილი ექვსი თვით ითხოვეს

**საქართველოს** ჩემპიონატის ლიდერმა თბილისის „ლოკომოტივმა" თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი ექვსი თვით თურქეთის უმაღლესი დივიზიონის „ერზურუმში" გაანათხოვრა.

ქართველი ფეხბურთელი უკვე თურქეთშია, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ერთ-ორ მატჩს სათადარიგოებში ითამაშებს და დეკემბერში ალბათ, ძირითად შემადგენლობას შეუერთდება. ყოველ შემთხვევაში, „ერზურუმის" ხელმძღვანელობას ძოძუაშვილისა თურმე ძალიან ეიმედება, თუმცა ისიც უთქვამს, ფიზიკურად უკეთ მომზადება გჭირდებაო. „ერზურუმი" ახლა თურქეთის 18-გუნდიან ჩემპიონატში 8 ქულით მე-16 ადგილზეა, ზემოთა მეზობელს ერთი ქულით ჩამორჩება, ქვემოთას კი ოთხით უსწრებს.

შეგახსენებთ, მერაბ ძოძუაშვილი ადრეც გახლდათ ამ კლუბში, რამდენიმე კვირას ვარჯიშობდა კიდეთც, მაგრამ მაშინ მისი თურქეთში დარჩენა ვერ მოხერხდა. ის თურქებს ახლა გაახსენდათ და ფეხბურთელის მოგვარე „ლოკომოტივის" მწვრთნელსაც შემოუთვალეს, თავდამსხმელი ეგებ მაისამდე გვათხოვოთ, მერე კი გამორიცხული არ არის, ხანგრძლივი კონტრაქტიც გავუფორმოთო.

**კობა ინასარიძე**



მერაბ ძოძუაშვილი

# მილჩენკომ პოლიციაში უკვე დარეკა



**ამ** ბოლო დროს მსაჯების თემა ერთობ აქტუალურია და ჩვენს შავოსნებს მორიგი გამოცდა დღესაც ელით, მე-14 ტურის მატჩებში.

დაუცველნი ვართო, დაიჩივლეს ქართველმა მსაჯებმა და ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა — პოლიციის პოლკოვნიკ ლევან ხოზრევანიძეს შევეხმიანეთ, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა და ეროვნული ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებზე წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს.

— არც ჩემი თანამშრომლებისგან, არც სფფ-სგან და მსაჯებისგან არანაირი ოფიციალური შეტყობინება არ მიმიღია არბიტრების ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე, თუმცა ანატოლი მილჩენკომ ამ რამდენიმე დღის წინ დამირეკა და მითხრა, სიტუაცია დაიძაბაო. ბატონმა მილჩენკომ კონკრეტულად გამოყო „ვიტ ჯორჯია" — „მერანის" მატჩი და მეც საქმის კურსში ჩავაყენე მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე შალვა ქევხიშვილი — გვითხრა ლევან ხოზრევანიძემ.

როგორც ხედავთ, მსაჯთა შეფი განსაკუთრებულად უფრთხის მცხეთის „არმაზს" და ამ სარბიელზე მოთამაშე გუნდებს. „ვიტ ჯორჯია" — „მერანის" წყვილი ტურში მართლაც საინტერესოდ და დამაინტრიგებლად გამოიყურება. ამიტომაც ავთანდილ შალამბერიძის ბრიგადაზე ზრუნვა მილჩენკოს წმიდათაწმიდა მოვალეობად გაუხდია — ამ გუნდებსა და მსაჯებს შორის ხომ შავმა კატამ მეთორმეტე ეროვნულში უკვე გაირბინა.

**დავით თავართქილაძე**



„დინამოს“ ყოფილი მწვრთნელები: ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი და გია გეგუჩაძე

# ბოსკამპი გულდაწყვეტილია

## გეგუჩაძეს კი მწვრთნელობა სწყურია

*რამდენიმე დღეა, რაც გია გეგუჩაძე ბელგიიდან შინ დაბრუნდა. ჩვენებური ახალგაზრდა მწვრთნელი იოჰან ბოსკამპის მიწვევით სამკვირიან სტაჟირებაზე იმყოფებოდა „გენკში“, რომელსაც ახლა საქართველოს ეროვნული გუნდისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ჰოლანდიელი დამრიგებელი წვრთნის. გახსოვთ, ალბათ, რომ მაშინ ბოსკამპის თანაშემწე გია გეგუჩაძე გახლდათ, რომელმაც გუშინ ბელგიური შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.*

**— როგორ გიმასპინძლათ ბოსკამპმა?**

— ისე, რომ სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. გენკში ჩასვლისთანავე კლუბის ხელმძღვანელობამ ქალაქის ცენტრში მდებარე თავის აპარტამენტებში დამაბინავა და მანქანაც კი გამოიყო („ფორდ ფოკუსი“). დავესწარი „გენკის“ ვარჯიშებს, ხოლო მისი მეორე გუნდის სამწვრთნელო პროცესში უშუალო მონაწილეობა მივიღე და რამდენიმე საჩვენებელი ვარჯიშიც კი ჩავატარე. მიმიწვიეს „გენკის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში და გამაცნეს მისი ინფრასტრუქტურა. „გენკის“ ყველა თამაში რომ მენახა, კლუბის ხელმძღვანელობამ ბილეთებითაც მომამარაგა, მათი ხელგაშლილობის წყალობით მოვხვდი ჩემპიონთა ლიგის მატჩებზეც: „ანდერლეხტი“ — „დინამო“ და „ანდერლეხტი“ — „მანჩესტერი“. კიეველებთან შეხვედრას ბოსკამპთან ერთად ვადევნებდი თვალს ტრიბუნიდან, მეორე თამაშს კი ის ვერ დაესწრო, რადგან მისი „გგენკი“ უეფას თასზე „ვერდერს“ ხვდებოდა.

**— და ბოსკამპის გაწვრთნილები პირწმინდად შერცხვნენ გერმანელებთან — სტუმრად 1:4, შინ 2:5...**

— მინდა, გითხრათ, რომ „გენკი“ ძალიან კარგი გუნდია. შემადგენლობის, მოთამაშეთა შერჩევის მხრივ ის ბელგიაში მხოლოდ „ანდერლეხტს“ თუ ჩამოუვარდება. უბრალოდ, მაშინ გუნდს ჩავარდნა ჰქონდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბოსკამპის მეუღლე მძიმედ იყო ავად და საავადმყოფოში იწვა. ამის გამო ბოსკამპი ხშირად გუნდის ვარჯიშებზეც კი ვერ ცხადდებოდა. „ვერდერთან“ საშინაო მატჩისთვის ის მხოლოდ თამაშის წინა დღეს მივიდა გუნდთან.

**— ისე, როგორ მოგეჩვენათ — ბოსკამპი იქაც ისე მუშაობდა, როგორც საქართველოში?**

— ბოსკამპი ჭკვიანი კაცია და იცის, რომ სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. საქართველოში ყოფნისას ის ყველაფერს ითვალისწინებდა. ისე კი, ბოსკამპს, როგორც მწვრთნელს, სადაც უნდა იყოს იგი, საქართველოში, ბელგიაში თუ სხვაგან, ფეხბურთზე შეხედულება არ შეეცვლება. უშუალოდ სამწვრთნელო პროცესში დიდი განსხვავება ვერ დავინახე, თუმც ბელგიაში უფრო უადვილდება ბოსკამპს მუშაობა, რადგან იქაურმა ფეხბურთელებმა თავიანთი საქმე იციან, დისციპლინის მოყვარულნი არიან. ამით მე სულაც არ მინდა ვთქვა, რომ ქართველები მოუწესრიგებლები ვართ, უბრალოდ, უფრო თავისუფალი და გულღია, სულ სხვა მენტალიტეტის ხალხი ვართ. პირადად მე ბოსკამპთან მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა, ბევრი რამ ახლებურად დამანახა და ამით კმაყოფილი ვარ.

**— თავად ჰოლანდიელი როგორ იხსენებს საქართველოში გატარებულ დროს?**

— ძალიან გულდაწყვეტილია, რომ არ მიეცა ჩვენთან უფრო დიდი ხნით მუშაობის საშუალება, თუმც ამაში არავის ადანაშაულებს და ყველას ძალიან თბილად იხსენებს.

რა თქმა უნდა, მწვრთნელის მუშაობა, პირველ ყოვლისა, შედეგით განისაზღვრება და ბოსკამპის ჩვენს ეროვნულ გუნდში და „დინამოში“ მოღვაწეობასაც დადებითად ვერ შევაფასებთ. მაგრამ მე, როგორც საქმეში უშუალოდ ჩახედული კაცი, ბოსკამპს არ ვკიცხავ. ფაქტია, მისი ხელმძღვანელობით ნაკრები ადრინდელზე უკეთ თამაშობდა, მაგრამ ფორტუნამ აშკარად ზურგი შეგვაქცია. „დინამოს“ კი გაიხსენეთ, ბოსკამპი მოსამზადებელი პერიოდისთვის ჩაუდგა სათავეში და ოფიციალური დებიუტიც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე ჰქონდა „ზიმბრუსთან“. მთლიანობაში ვთვლი, რომ ბოსკამპისეული გზა მისაღები იყო და უნდა გაგრძელებულიყო.

**— ბოსკამპის წასვლიდან რამდენიმე თვეში თქვენც დატოვეთ „დინამო“...**

— ოთარ კორღალიძე და მე „დინამოდან“ საკუთარი ნებით წამოვედით. მას სადავეები არ გააჩნდა — ფეხბურთელს ჯერ პირობები უნდა შეუსრულო და მერე მოსთხოვო. ძალიან მიხარია, რომ „დინამო“ ახლა პროგრესის გზას ადგას. რევაზ არველაძემ ჩვენგან ცუდი მემკვიდრეობა ჩაიბარა, მაგრამ ახლა, ალბათ, აქვს რაღაც ფინანსური მხარდაჭერა. „დინამოსთვის“ მეორე ან მესამე ადგილზე ყოფნა მიუღებელია, მან მხოლოდ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს.

**— თქვენ რას აპირებთ?**

— სფფ-მ გადაწყვიტა, ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელებს ლიცენზირება ჩაუტაროს და სამისო პროგრამა უკვე შევიმუშავეთ. 19 ნოემბერს მალტაში მივემგზავრები, სადაც უეფას მწვრთნელთა და განათლების კომიტეტმა ეს პროგრამა უნდა დაამტკიცოს. რა თქმა უნდა, ეს ფრიად საპასუხისმგებლო და საინტერესო საქმეა, მაგრამ ვთვლი, რომ მოწოდებით მწვრთნელი ვარ — უკვე დროა, რომელიმე გუნდი დამოუკიდებლად გავწვრთნა.

**დავით თავართქილაძე**

# მწირი მარაგით, დიდი იმედით

## ქართველები რიმინი-ზაგრების გზას ავტობუსით გაივლიან

**ხვალ** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ავტობუსით დაადგება ზაგრების გზას. სამი დღის შემდეგ ქართველი თვრამეტწლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფერხულში ჩაებმებიან. 20 ნოემბერს ზაგრებში ქართველები მასპინძელ ხორვატებს დაუპირისპირდებიან. ისე, ასეთი მატჩების წინ თვრამეტწლამდელებს ავტობუსით მგზავრობა კარგად არა აქვთ დაცდილი, მაგრამ ჭეიშვილის გუნდი ნამდვილად ვერაფერზე დაიწუწუნებს — ახალგაზრდები თითქმის ერთი კვირაა, იტალიაში, ქალაქ რიმინიში ემზადებიან მნიშვნელოვანი ტურნირის წინ.

როგორც გაცნობეთ, რამინიში ქართველი თვრამეტწლამდელები სან მარინოს ნაკრებს შეხვდნენ და 2:0 იმარჯვეს. ნაკრებს მეორე თამაში გუშინწინ უნდა ჩაეტარებინა ვატიკანის ნაკრებთან, მაგრამ უამინდობის გამო ეს შეხვედრა არ გამართულა. შოთა ჭეიშვილს იმედად გუშინდელი მატჩი რჩებოდა. ქვედალიგელ „რიმინი-იუნაიტედთან“, მაგრამ ამაოდ, კოკისპირულმა წვიმებმა სათამაშო მოედნები დატბორა და არათუ თამაში, ნაკრებს საწვრთნელ პროცესშიც ხელი შეეშალა. გუშინ იტალიაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს, სფფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაცს, ლევან ყიფიანს დავუკავშირდით და რიმინული ამბები გამოვკითხეთ.

„მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ჯანი კარნევალისადმი. ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთი პირობები შეგვიქმნა სინიორ ჯანიმ. აქ ყველა იმას ცდილობს, რაც შეიძლება კმაყოფილები დავრჩეთ. კვებით დაწყებული, სავარჯიშო პირობებით დამთავრებული, ყველაფერი იდეალურია, უკეთესს რომ ვერ ინატრებს ადამიანი, მაგრამ ეს არის, ამინდმა დაგვალალატა, გადაუღებელი წვიმებია, სწორედ ამის გამო დავრჩით ერთადერთი საკონტროლო მატჩის ამარა. თუმცა ზაგრებში მაინც იმედიანად მივემგზავრებით, იქ ლადო ახალაიაც შემოგვიერთდება და დიდ ბრძოლას გავუმართავთ ხორვატებსა და ესპანელებს“ — გვითხრა ლევან ყიფიანმა.

**ბაატა ძვანტალიანი**

# თურანის მარგალიტები გორდას უნდა

**დღესაც** ვერ აუხსნიათ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს ის ფაქტი, რომ ძმები ვარლამ და გიორგი კილასონიები თაუზის „თურანში“ თამაშობენ. „რატომ გადაწყვიტეთ აქ ჩამოსვლა“? — გაოცებული ეკითხებიან ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები თითქმის ყოველი ტურის შემდეგ რუსთაველ ძმებს.

აზერბაიჯანული პრესა კილასონიების თამაშს საკმაოდ დიდ შეფასებას აძლევს „თურანს“ კი ძმების გარეშე გავარდნას უწინასწარმეტყველებს. არადა, შორს არ არის ის დღე, კილასონიები აზერბაიჯანის ამ პროვინციულ კლუბს რომ დატოვებენ. მათით პირველ რიგში XII ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი რუსთავის „გორდაა“ დაინტერესებული. ბუნებრივიცაა, რუსთაველები ფინანსურად მოღონიერდნენ და გუნდის გაძლიერება გადაწყვიტეს. ამასთან დაკავშირებით „გორდას“ პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილი ამას წინათ პირადად ჩავიდა აზერბაიჯანში და „თურანის“ ერთ-ერთ მატჩს დაესწრო. ქართველი სტუმარი გაოცებული დარჩა ძმების თამაშით. იმ მატჩში გიორგი კილასონიამ ორი ბურთი გაიტანა და ახლა, რვა გოლით ერთპიროვნულად ლიდერობს ბომბარდირთა დავაში. ბუილიშვილი დაუყოვნებლივ შეეცადა ძმების გადმობირებას და ამასთან დაკავშირებით „თურანის“ ხელმძღვანელობას მიმართა, მათ კი შორს დაიჭირეს, ჩვენი მარგალიტების ფასი ვიცით და კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ძმებს ვერსად გავუშვებთო. ეს ვადა ჩვენში მეორე ეტაპის დაწყებამდე იწურება და კილასონიებიც სათანადო პირობების შესრულების შემთხვევაში „გორდაში“ დაბრუნდებიან. მათი გადმობირება ჩვენი პირველი საზრუნავია“ — გვითხრა ბუილიშვილმა.

ასე რომ, სავარაუდოდ აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორე ეტაპს „თურანი“ უქართველებოდ შეხვდება, რადგან რამდენიმე დღის წინ თაუზის გუნდი ჯაბა წიკლაურმა დატოვა.

„გორდას“ ეს პრობლემა დღეს არ ექნებოდა, თავის დროზე კილასონიებისთვის ელემენტარული პირობები რომ შეექმნა. მაშინ ძმები არც კი გაიხედავდნენ აზერბაიჯანისაკენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# არის ჯეოსელი!

**21 ნოემბერს** „ჯეოსელი“ პრეზენტაციას მართავს რუსთავში და დიდი შოუ კონცერტის მოწყობას აპირებს. იკითხავთ, რა კავშირი აქვს ამას ფეხბურთთანო და მოგახსენებთ, ამიერიდან „ჯეოსელი“ რუსთავის „გორდას“ პარტნიორიცაა. „გორდას“ პრეზიდენტის თემურ ბუილიშვილის თქმით, შეთანხმება მიღწეულია, რაც კლუბს გრანდიოზული პროექტის განხორციელების საშუალებას მისცემს. თემურ ბუილიშვილთან ინტერვიუს „სარბიელის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ, დღეს კი 21 ნოემბრის ამბებზე ვთქვათ.

მოგეხსენებათ, ამ დღეს საქართველოს თასის საპასუხო მატჩები გაიმართება. პირველ შეხვედრაში გორში 0:2-ით დამარცხებული „გორდა“ „ფოლადზე“ „დილას“ უმასპინძლებს და უეჭველად ამაღლებული განწყობილებით შეხვდება ამ მატჩს. ფეხბურთელებს „ჯეოსელის“ წარმომადგენლები გაამხნევებენ, მატჩის შემდეგ კი თავში ნახსენები შოუ კონცერტი სწორედ „ფოლადზე“ გაიმართება.

„დიდი ზეიმი და საჩუქარი იქნება რუსთაველებისთვის. იმედია, გუნდიც გაგვახარებს და საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს“ — გვითხრა ბუილიშვილმა.

**ბაატა ძვანტალიანი**



ნუკრი მარშანიას ფოტო

თემურ ბუილიშვილი: ყველაფერი რიგზეა


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა

## X ტური

### ჩილე 0:2 არგენტინა

0:1 ორტეგა (27), 0:2 ხუსაინი (90)
ჩილე: ტაპია, რეიესი, რ. როხასი, კონტრერასი (ნავია 79), გალდამესი, მალდონადო (ვილიაროელი 74), ფ. როხასი, დ. პიზარო, ესტაი (ვალენსა 64), სალასი, სამორანო
არგენტინა: ბურგოსი (ბონანო 74), ვივასი, რ. აიალა, სამუელი, ალმეიდა, ხუსაინი, სორინი, ვერონი (აიმარი 52), კილი გონსალესი, ხულიო კრუზი (ბერიზო 84), ორტეგა
მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)
40 000 მაყურებელი

...ჩილელებმა კუთხური ჩააწოდეს, პაბლო კონტრერასმა თავური დაარტყა, არგენტინელმა მეკარე ხერმან ბურგოსმა კი მოასწრო და ბურთი მისი ხელიდან ხარიხას მოხვდა. ეს 43-ე წუთზე მომხდარი ეპიზოდია, იქამდე კი ბურგოსს საქმე ფაქტობრივად არ ჰქონია. არც არგენტინელები აწუხებდნენ ხშირად ნელსონ ტაპიას, თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს მატჩი უინტერესო იყო.

ორიოდე მხრიდან გამუდმებულ იერიშებს შედეგი რომ არ მოჰყოლოდა, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. არგენტინელებს არ ჰყავდათ ტრავმირებული კლაუდიო ლოპესი, გაბრიელ ბატისტუტა, ერნან კრესპო და დისკვალიფიცირებული დიეგო სიმეონე. ურუგვაელებს ნაკლებად საპატიო მიზეზი ჰქონდათ — ნახევარმცველებს სალასამდე და სამორანომდე ბურთის მიტანა უჭირდათ (განსაკუთრებით მეორე ტაიმში).

ლიდერთა არყოფნაში გაიბრწყინა არიელ ორტეგამ. ორივე გოლი მისი გარჯის შედეგია: პირველ ტაიმში ის მასპინძელთა დაცვის შუაგულში შეიჭრა, სამი მეურვე ჩამოიცილა და ტაპიას ქვემოდან გაუძვრინა, წამატებულ დროში კი ისევ გაუსხლტა დაცვას და მისი პასით ხუსაინმა კარის ზედა კუთხეში გაიტანა.

ალსანიშნავია, რომ თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა და ფეხბურთელები დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს კოჭებში. უხეშობას პარაგვაელმა მსაჯმაც შეუწყო ხელი, რომლის ზედმეტად ლმობიერებამ მოთამაშეები გაალალა.

განსაკუთრებული დაძაბულობა, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გასაკვირი არცაა — ჩილელებს წინა ორი შეხვედრა წაეგოთ და კორეაიაპონიას საკმაოდ დაშორებულიყვნენ. ახლა რაღა ეთქმით?

### პარაგვაი 5:1 პერუ

1:0 სანტა კრუზი (15), 2:0 დელ სოლარი (25), 3:0 კარდოზო (44), 4:0 პარედესი (65), 4:1 გარსია (78), 5:1 ჩილავერტი (84პ)
პარაგვაი: ჩილავერტი, არსე, სარაბია, ს. აიალა, კანისა, პარედესი, ენსისო, აკუნია, კარდოზო (ბრისუელა 76), ალვარენგა (კამპოსი 86), სანტა კრუზი (ფერეირა 70)
პერუ: იბანიესი, სევალოსი (გარსია 60), პაულო (ველასკესი 16), რებოსიო, სორია, ბერნალესი, დელ სოლარი, პერედა (ლობატონი 46), პალასიოსი, მუჩოტრიგო, ალვა
მსაჯი: დანიელ ხიმენესი (არგენტინა)
30 000 მაყურებელი

პირველ ტაიმში პერუელებმა — დარიო მუჩოტრიგომ და რობერტო პალასიოსმა რამდენჯერმე აიძულეს ხოსე ლუის ჩილავერტი, რთული ბურთები მოეგერიებინა. გარდა ამისა, მუჩოტროგომ და სოლარმა ორჯერ ძელს გაარტყეს, ხოლო პალასიოსის გოლი ოფსაიდის გამო არ ჩაითვალა. მიუხედავად ამისა, ტაიმი მასპინძელთა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა.

სტუმართა განადგურება როკე სანტა კრუზმა დაიწყო, რომელიც პერუელთა კარს იმ ფლანგიდან მიუახლოვდა, რომლის მეთვალყურეობაც წინა ეპიზოდში დაშავებულ ხუან პახუელოს ევალებოდა, და ახლო მანძილიდან გაიტანა. მერე ხოსე დელ სოლარმა საკუთარი კარი დალაშქრა — ხოსე კარდოზოს დარტყმული ბურთი მეკარე ოსკარ იბანესმა მოიგერია, სოლარს მოხვდა და ბადეში შეგორდა. რამდენიმე წუთში სოლარს შეცდომის გამოსწორება შეეძლო, მაგრამ როგორც თავში ვთქვით, მისი დარტყმული ძელს მოხვდა. ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ჩილავერტმა საკუთარი ნახევრიდან საჯარიმოს შესრულება ითავა, ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო და ხოსე კარდოზოს დარტყმის გარდა არაფერი დარჩენოდა.

შესვენების შემდეგ მეტოქეებმა ჯერ თითო-თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს, ბოლო წუთებზე კი პერუელთა კარში პენალტი დაინიშნა. ბურთთან, ცხადია, ჩილავერტი მივიდა და, რა თქმა უნდა, გაიტანა. თუმცა პარაგვაელი მეკარის გოლზე ბევრი ლაპარაკი არც ღირს — მას უკვე იმდენი გაუტანია, ყოველი მორიგი გოლი ჩვეულებრივ ამბად აღიქმება.

### ვენესუელა 1:2 ეკვადორი

0:1 კავიედესი (4), 0:2 სანჩესი (21), 1:2 არანგო (65)
ვენესუელა: ანგელუჩი, დე ორნელასი, ალვარადო, გონსალესი, ვალენილია (რ. პერესი 86), მეა (ლუზარდო 46), ფარიასი, ურდანეტა, არანგო, კასტელინი (ჯ. პერესი 64), ხ. გარსია
ეკვადორი: სებალიოსი, დე ლა კრუზი, პორისო, ურტადო, გუერინი, ბურბანო, კალა, მენდესი (ზამორა 72), ვ. სანჩესი, კავიედესი (ფერნანდესი 67), დელგადო
მსაჯი: ედუარდო ბეტანკურტი (პერუ)
11 000 მაყურებელი

ვენესუელა და ეკვადორი ის ქვეყნებია, რომლებიც არასდროს მოხვედრილან მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ვენესუელელები ამას ალბათ ვერასდროს ეღირსებიან, აი, ეკვადორს კი მცირედი შანსი გაუჩნდა.

მცირედი იმიტომ, რომ ეკვადორელთა ამჟამინდელი მეოთხე ადგილი ბევრს არაფერს ნიშნავს და ყოვლად უსუსური ვენესუელას დამარცხება დიდი ვერაფერი პატივია. ამ გუნდს მთავარი ბრძოლები წინ ელის და საეჭვოა, მის წინ თუ უკან მყოფმა გუნდებმა რამე დაუთმონ.

სტუმრები მე-4 წუთზე დაწინაურდნენ: მასპინძელთა კარში საჯარიმო დარტყმა დანიშნა. ცოცხალ კედლად აღმართულ ვენესუელელებს ივან კავიედესის მეთვალყურეობა დაავიწყდათ, რომელსაც ჩაწოდებული ბურთი უპრობლემოდ მიაღებინეს. ჩვიდმეტი წუთის შემდეგველინგტონ სანჩესმა მასპინძელთა მეკარის ხილბერტო ანგელუჩის ბურთი ხელებში გაუძვრინა და სხვაობა ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმში ხუან არანგოს ერთი საპასუხო გოლი მხოლოდ პრესტიჟისა იყო...

თუმცა სად ვენესუელა და სად პრესტიჟი.

### ბრაზილია 1:0 კოლუმბია

1:0 როკე ჟუნიორი (90)
ბრაზილია: როჟერიო, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, ვამპეტა (ჟუნინიო პერმანბუკანო 71), რივალდო, ჟუნინიო პაულისტა, ფრანცა (ადრიანო 79), ედმუნდო (მარკეში 67)
კოლუმბია: კალერო, მარტინესი, დინასი, იეპესი, ბედოია, ბოლანო, სერნა, ვივეროსი, არისტისაბალი, ანხელი (ბონილია 67), კასტილიო
გაძევება: კასტილიო (86)
მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
50 000 მაყურებელი

— ალო, ემერსონ, რა ვქნა?
— ედმუნდო მომაცილე. ჩემს მტერს ჰქონდეს მაგის იმედი, კიდევ წითელ ბარათს მიიღებს.
— ემერსონ, ახლა რა ვქნა?
— ვამპეტაც გამოცვალე, გინდ ყოფილა, გინდ არა.
— ფრანცა არ შევცვალო?
— შეცვალე, შეცვალე.
— ახლა რა ვქნა?
— რაღა უნდა ქნა, საცაა, დაუსტვენს მსაჯი. მოიცა... გოოოლ!

ასეთი, ან დაახლოებით ასეთი სატელეფონო საუბარი მიდიოდა მთელი 90, უფრო სწორად 95 წუთი სან პაულუში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელსა და მის თანაშემწეს შორის, რომელმაც ადგილობრივ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიას ოციოდე რიალი, ხოლო ემერსონ ლეაოს პირველი გამარჯვება მოუტანა. ლეაომ ჯერ კიდევ ნაკრების მწვრთნელად დანიშვნამდე მიიღო ოცდღიანი დისკვალიფიკაცია და მატჩს ტელეკომენტატორთა კაბინიდან ადევნებდა თვალს.

თამაში ვერ გამოდგა ისეთი, როგორსაც ბრაზილიისგან საზოგადოდ ელიან ხოლმე — მატჩის ყველაზე ობიექტური შედეგი ფრე იქნებოდა.

წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კოლუმბიელებმა მკვეთრად შეცვალეს სათამაშო სტილი. ამ შესარჩევ ეტაპზე ისინი დაცვით, კონტრიერიშებზე აგებულ ფეხბურთს თამაშობენ და მოედნის ცარიელ სივრცეებს საგულდაგულოდ კეტავენ. ასე იყო ახლაც და, მოგეხსენებათ, ბრაზილიელებს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება თუ წაართვი, ძალიან უჭირთ. მით უმეტეს, რომ დღეს რიგი მიზეზების გამო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები გვარიანად შელახულები არიან.

რეალურ საგოლე მომენტებზე თუ ვისაუბრებთ, ასეთები ძალიან ცოტა იყო და ან დაგვირგვინება ჭირდა, ანაც სტუმართა მეკარე მიგელ კალერო ყოჩაღობდა. რაც შეეხება კოლუმბიელთა იშვიათ კონტრიერიშებს, ბრაზილიელი მცველები ძირითადად ჯარიმების საფასურად შლიდნენ, რისი დასტურიც ბლომად ყვითელი ბარათებია.

ბრაზილიას აშკარად აკლდა გოლის გამტანი კაცი. აი, რომარიო რომ ყოფილიყო, ალბათ 94-ე წუთიც არ იქნებოდა ასეთი დრამატული. ერთი საინტერესო ფაქტიც: მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ათ შეხვედრაში ბრაზილიამ 21 გოლი გაიტანა, აქედან თავდამსხმელთა ანგარიშზე მხოლოდ ცხრაა და ისიც რომარიოს წყალობით, რომელმაც ორ თამაშში შვიდჯერ აიღო მეტოქეთა კარი. ბრაზილიელებს გამარჯვება ახლაც მცველის გოლმა მოუტანა — ბოლო წამებზე კოლუმბიელებმა რაღაც უაზროდ მოიგერიეს ბურთი კუთხურზე, ჟუნინიო პაულისტას ჩაწოდებულს კი როკე ჟუნიორმა თავი დაუხვედრა.

გავიდა გოლი და მსაჯმაც თამაშის დასრულება ბრძანა. კოლუმბიელებმა მსაჯისკენ გაიწიეს (მისი რა ბრალი იყო?) და არბიტრი ცემას ჩაფხუტიანმა პოლიციელებმა გადაარჩინეს. ჩხუბი იქამდე მოხდა, რასაც 86-ე წუთზე კოლუმბიელი ხაირო კასტილიოს გაძევება მოჰყვა.

ტრიბუნებზე თავმოყრილი ხალხი, საბოლოო შედეგის მიუხედავად, უკმაყოფილო დარჩა. სურათი ასე იცვლებოდა: თავიდან ხალხი გაიძახოდა, „ოლე, ოლე“, მატჩის ბოლოსკენ კი მოედნისკენ რაღაც საგნების სროლა დაიწყო და არც შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს ერიდებოდნენ.

კიდევ დავუმატოთ, რომ სანაკრებო დებიუტი ჰქონდა 18 წლის თავდამსხმელ ადრიანოს, ხოლო კაფუმ ეროვნულ გუნდში მეასედ ითამაშა.

### ბოლივია 0:0 ურუგვაი

ბოლივია: სორია, ო. სანჩესი, სანდი, ხ. პასი (ვაკა 81), რიბეირო, კალუსტრო, რ. გარსია, ე. სანჩესი, კოლკე, მენაჩო, სუარესი (ლ. პასი 66)
ურუგვაი: კარინი, ვარელა, ლემბო, სორონდო, როდრიგესი, პ. გარსია, რომერო, კოელიო (ვალეხასი 64), რეგუერო, მაგალანეში (დარიო სილვა 56), ფრანკო (სედრესი 76)
გაძევება: რ. გარსია (85)
მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)
20 000 მაყურებელი

ამ მატჩისთვის ურუგვაელები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდნენ და ამიტომაც ალვარო რეკობა არ გამოიძახეს. უცნაურია, არა? განვმარტოთ.

ბოლივიასთან თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია, რადგან ისინი მეტოქეებს ლა პასში, ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე მასპინძლობენ. აკლიმატიზაციის გასავლელად ურუგვაის ნაკრებმა სამკვირიანი შეკრება გაიარა ანდებში, „ინტერი“ კი რეკობას ამდენი ხნით, აბა, როგორ გაუშვებდა?

ასეთი მზადების მიუხედავად, ურუგვაელები ლა პასიდან გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ, ისინი სამი ქულის წამოღებას გეგმავდნენ, თან მასპინძლებმა თამაში ათი კაცით ჩაამთავრეს.

თუმცა საკითხს მეორე მხრიდან თუ მივუდგებით, ურუგვაელები ფრით კმაყოფილებიც უნდა იყვნენ და თავის მეკარე ფაბიან კარინის მადლობაც უთხრან ჩინებული გარჯისთვის. ერთხელ ბოლივიელთა კაპიტანმა ერვინ სანჩესმა ძელსაც გაარტყა.



ბრაზილია — კოლუმბია 1:0. კაფუმ და ჟუნინიო პაულისტამ (№11) კოლუმბიელი ალეხანდრო ვივეროსი დასცეს



REUTERS

ბოლივია — ურუგვაი 0:0. უკნიდან ვარდნა: ურუგვაელი მარიო რეგუერო და მასპინძელი რონალდ გარსია (მარჯვნივ)

### გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 25 |
| ბრაზილია | 10 | 6 | 2 | 2 | 21:9 | 20 |
| პარაგვაი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | 20 |
| ეკვადორი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | 16 |
| ურუგვაი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:7 | 15 |
| კოლუმბია | 10 | 4 | 3 | 3 | 8:7 | 15 |
| ჩილე | 10 | 3 | 1 | 6 | 11:13 | 10 |
| ბოლივია | 10 | 2 | 3 | 5 | 5:14 | 9 |
| პერუ | 10 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |
| ვენესუელა | 10 | 1 | 0 | 9 | 6:28 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რომარიო (ბრაზილია) | 7 |
| რივალდო (ბრაზილია) | 5 |
| სამორანო (ჩილე) | 4 |
| ბატისტუტა (არგენტინა) | 4 |
| კრესპო (არგენტინა) | 4 |
| დელგადო (ეკვადორი) | 4 |



# რონალდოს მწვანე დაინახა

ბრაზილიელი ვარსკვლავი ლუის ნაზარიო და ლიმა ანუ რონალდო უმძიმესი ტრავმის შემდეგ ფეხბურთს 2001 წლის გაზაფხულამდე დაუბრუნდება. ბოლო დროს მასზე ამბობდნენ, აქტიურ სპორტს უნდა ჩამოშორდესო, მაგრამ...

„არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ რონალდო ფეხბურთიდან წავიდეს. პირიქით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ იგი მაქსიმუმ გაზაფხულზე კვლავ მინდორზე გამოჩნდება. მას თუ სურს, ხელს ვერაფერი შეუშლის“ — განაცხადა იტალიური „ინტერის“ თავდამსხმელის ექიმმა პატრიკ მიდლტონმა.

უკვე ორი კვირაა, რონალდო საფრანგეთის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქ კაპბერტონშია, სადაც გამოცდილი ფიზიოთერაპევტები დასტრიალებენ თავს და მის მუხლს მკურნალობენ. მიდლტონიც მათ შორისაა. ექიმები უკვე სრულიად დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ 23 წლის ფეხბურთელი, რომელმაც მცირე დროში მსოფლიოში უდიდესი სახელი მოიხვეჭა, ფეხბურთის თამაშს ისევ შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ რონალდო 1999 წლის ოქტომბერში სერიოზულად დაშავდა. ხუთ თვეში ტრავმა კი მოირჩინა, იტალიის თასის მატჩიც ითამაშა, მაგრამ მინდორზე სულ ექვსი წუთის შესული იყო, რომ ისევ დაიმტვრა და მას შემდეგ მკურნალობს. ერთი ხანობა მის საბოლოოდ გამოჯანმრთელებაში ეჭვიც კი ეპარებოდათ, მაგრამ ბოლო ოპერაციის შემდეგ მედიკოსებმა ბრაზილიელს მწვანე მინდვრისკენ მიმავალ გზაზე მწვანე აუნთეს.

აი, შეძლებს თუ არა ძველი და ჩვეული ფორმის დაბრუნებას, ეს სხვა საკითხია.

# რატომ ჩივის შავიერი?



პორტუგალიელი აბელ შავიერი თავის კლუბ „ევერტონის“ ხელმძღვანელებს დაუპირისპირდა. იმედგაცრუებული ვარ, ჩემი გუნდი მხარს რომ არ მჭერსო — ჩივის მცველი. საქმის არსში რომ გავერკვეთ, ურიგო არ იქნება განვმარტოთ, თუ რა მხარდაჭერას მოითხოვს ეგზოტიკური ვარცხნილობის მქონე მოთამაშე.

ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში საფრანგეთი — პორტუგალიის წყვილში გამარჯვებული დამატებითი ტაიმის ბოლო წუთებზე გამოვლინდა, როცა თავისივე კარის სიახლოვეს მყოფ შავიერს ბურთი ხელში მოხვდა და მსაჯმა გიუნტერ ბენკომ პენალტი დანიშნა. მანვე ცხარე კამათისთვის სამი პორტუგალიელი გააძევა, მათ შორის შავიერიც, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო ცხრა თვით ჩამოშორდა სანაკრებო ფეხბურთს.

პორტუგალიელმა აქამდე ორჯერ იჩივლა უეფაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — იგი 2001 წლამდეა დისკვალიფიცირებული. და რა შუაშია აქ „ევერტონი“? აი, რას ამბობს შავიერი: „ორშაბათს უეფაში გადაწყვეტილება გავასაჩივრე, დისკვალიფიკაციის შემცირება მოვითხოვე. მარტო მივედი, კლუბიდან არავინ მომყოლია, თავი ეულად ვიგრძენი. ამას არასდროს დავივიწყებ და „ევერტონსაც“ არ ვაპატიებ“.

„ევერტონის“ აღმასრულებელი შეფი მაიკლ დანფორდი კი გაოცებულია და საპირისპიროს ამტკიცებს: „აბელს შვეიცარიაში (უეფას შტაბ-ბინა იქ მდებარეობს) ადრეც ვახლდით, მეტიც, ადვოკატს თანხა კლუბმა გადაუხადა. მანვე გვირჩია, განხილვის დროს კლუბის წარმომადგენლის დასწრება აუცილებელი არ არისო. მისი ვერ გამიგია, გვაბრალებს, რომ მხარს არ ვუჭერთ. არადა, პირიქითაა“.

ცოტა ბნელით მოცული პროცესია, რომლის ვერდიქტსაც, ანუ შავიერის დისკვალიფიკაციის საბოლოო ვადას, უეფა ორ კვირაში გამოაცხადებს.

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## კონკაკაფი

### C ჯგუფი

**კანადა 0:0 მექსიკა**

**პანამა 0:1 ტრინიდადი და ტობაგო**

0:1 პიერი (15)
3 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრინიდადი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:7 | 15 |
| მექსიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 17:2 | 13 |
| კანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 1:8 | 5 |
| პანამა | 6 | 0 | 1 | 5 | 1:16 | 1 |

### D ჯგუფი

**სალვადორი 2:0 იამაიკა**

1:0 პადილია (17), 2:0 როდრიგესი (24)
3 000 მაყურებელი

**სენტ ვისენტი 0:7 ჰონდურასი**

0:1, 0:2 რამირესი (26, 31), 0:3 ველასკესი (46), 0:4 კ. სანტა მარია (52), 0:5 ლ. სანტა მარია (77), 0:6 კაბალიერო (85), 0:7 ბენგოჩე (89)
1 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰონდურასი | 6 | 5 | 0 | 1 | 25:5 | 15 |
| იამაიკა | 6 | 4 | 0 | 2 | 7:4 | 12 |
| სალვადორი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:13 | 9 |
| სენტ ვისენტი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:25 | 0 |

### E ჯგუფი

**ბარბადოსი 0:4 აშშ**

0:1 მატისი (63), 0:2 ე. სტიუარტი (73), 0:3 კობი ჯონსი (77), 0:4 რაზოვი (90)
4 000 მაყურებელი

**გვატემალა 2:1 კოსტა რიკა**

1:0 რუისი (53), 1:1 ფონსეკა (71), 2:1 რუისი (87)
12 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 3 | 2 | 1 | 14:3 | 11 |
| კოსტა რიკა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| გვატემალა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბარბადოსი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:20 | 3 |

*აშშ გავიდა მომდევნო შესარჩევ ეტაპზე, მეორის ვინაობას კოსტა რიკა და გვატემალა პლეი ოფში გაარკვევენ*

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა

### II ჯგუფი

**კვიპროსი 5:0 ანდორა**

1:0, 2:0 ოკასი (10, 18), 3:0 აგათოკლუსი (43), 4:0 ხრისტოდოლუ (73), 5:0 სპოლიარიჩი (903)
6 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |

### VI ჯგუფი

**სან მარინო 0:1 ლატვია**

0:1 ელისეევსი (9)
სან მარინო: გასპერონი, ჯენარი, მარანი, ვალენტინი, მატეონი, ბაჩოკე, მუკიოლი, ძონძონი (სელვა 84), მონტანა (დე ლუიჯი78), მანძაროლი (ბუგლი 74), კელვა
ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, ლაიზანსი, ბლაგონადეჟდინსი, ტროიკისი, ბლეიდელისი, პახარსი, რუბინსი (ვერპაკოვსკისი 66), ელისეევსი (ივანოვსი 84)
გაძევება: ბლეიდელისი (85)
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვაკეთი)
537 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?



იმანტას სტუმბრისი საკუთარ მანქანაში მოკლული ნახეს...

ლიტვურ ქალაქ პანევეჟისში მანქანაში გარდაცვლილი ნახეს მოსკოვის „ტორპედო-ზილისა“ და ლიტვის ნაკრების ნახევარმცველი იმანტას სტუმბრისი. იგი მშობლიურ ქალაქში ცოტა ხნის წინ დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც რუსეთში სეზონი დასრულდა, ხოლო მისმა კლუბმა უმაღლესი დივიზიონის საგზური მოიპოვა.

ლიტველი პოლიციელების განცხადებით, გარდაცვლილთან ახლოს ნაპოვნია პისტოლეტი, თუმცა დაზუსტებით ჯერ არ იციან, ფეხბურთელმა თავი მოიკლა თუ მოკლეს.

„ტორპედო-ზილში“ ჩარიცხვამდე სტუმბრისი სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ღირსებას იცავდა. მოსკოვში კი ცნობილმა მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა ჩაიყვანა, რომელიც „ტორპედო-ზილს“ ახლაც თავკაცობს. აქვე აღვნიშნოთ, რომ მოსკოვურ გუნდში ლიტველის მხარდამხარ ჩვენებური მიხეილ ჯიშკარიანიც თამაშობდა.

## ფეხბურთის რუპორი



ბრაზილიელ ნახევარმცველ ზე ელიასს ათთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ხოლო მისი კლუბი „ოლიმპიაკოსი“ 98 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ეს გადაწყვეტილება უეფამ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მომხდარი ინციდენტის გამო მიიღო. 7 ნოემბერს ფრანგული „ლიონისა“ და „ოლიმპიაკოსის“ მატჩის დროს ბერძენმა მცველმა პარასკევას ანცასმა მსაჯ გიუნტერ ბენკოს ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენა, თანაგუნდელს ზე ელიასიც გამოესარჩლა და არბიტრს ხელი ჰკრა. ცხადია, ანცასიც დაისაჯა — ბერძენი მცველი უეფას ეგიდით ჩატარებულ ოთხ საკლუბო მატჩს გამოტოვებს.

**ფრანგ მწვრთნელ ლუის ფერნანდესთან მოლაპარაკებებს „მარსელი“ აწარმოებს. „გარკვეული შეთანხმებები უკვე მიღწეულია. მოლაპარაკებები საბოლოო ფაზაში შედის“ — იუწყება ერთ-ერთი სააგენტო. კლუბის მსხვილი მეპატრონე რობერ ლუი დრეიფუსი დღეს გულშემატკივრებთან აპირებს შეხვედრას და მოსალოდნელია, მათ ფერნანდესის დანიშვნის შესახებ ამცნოს. შეგახსენებთ, რომ ეს სპეციალისტი „პარი სენ ჟერმენს“, ხოლო ბოლოს ბილბაოს „ატლეტიკს“ წვრთნიდა.**

რუსეთის ჩემპიონმა „სპარტაკმა“ შესაძლოა კიდევ ორი ბრაზილიელი შეიმატოს. რამდენიმე დღეში მოსკოვს 22 წლის ნახევარმცველი დირსეუ შავიერი და 21 წლის ცენტრალური მცველი ჟოაო კარლოს დე ოლივეირა ეწვევა. ორივე ბრაზილიურ „ჟუვენტუდში“ თამაშობს. დირსეუ მანამდე „ფლუმინენსეს“ ღირსებას იცავდა, ხოლო ჟოაო კარლოსი ორჯერ გახდა სან პაულუს შტატის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. „სპარტაკის“ დირექტორის ცნობით, ბრაზილიელები ამჟამად რუსეთის ვიზებს აფორმებენ.

**ჩილელი ფორვარდის ივან სამორანოს შეძენა „რაიო ვალეკანოს“ სურს. ყველაფერი შეიძლება დეკემბრის ბოლოს გადაწყდეს, როცა ესპანეთში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. იმასაც იუწყებიან, რომ „ინტერი“ სამორანოს სანაცვლოდ დაახლოებით 8 მილიონ დოლარს ითხოვს. მილანიდან კიდევ ერთი სიახლე: „ინტერმა“ არგენტინელი პაბლო აიმარის ყიდვა განიზრახა, თუმც „რივერ პლეიტი“ სანაცვლოდ ერთობ დიდ თანხას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ აიმარი რამდენიმე ხნის წინ არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მისი შეძენა „მილანს“ და „ბარსელონასაც“ სურდათ.**

გერმანიის მოქალაქეობამიღებულმა ბრაზილიელმა რობერტო პაულო რინკმა, შესაძლოა, კარიერა ესპანურ „სარაგოსაში“ გააგრძელოს. ლევერკუზენის „ბაიერის“ ფორვარდს პრიმერადივიზიონში იწვევენ და სანაცვლოდ 5,6 მილიონ დოლარს იხდიან.

**რუმინული „რაპიდის“ პრეზიდენტი გეორგე დინუ ფინანსური მაქინაციისთვის კლუბს ექვსი თვით ჩამოაშორეს. 1996 წელს ბუქარესტულმა კლუბმა მეორედივიზიონური „კლუჟიდან“ მცველი კრისტიან დულკა შეიძინა. კონტრაქტის პირობით, თუ ფეხბურთელი შემდგომ გაიყიდებოდა, „კლუჟისთვის“ სატრანსფერო თანხის 35 პროცენტი უნდა გადაეხადათ (დულკამ შემდეგ რუმინეთის ნარებშიც ითამაშა და ეროვნულ გუნდს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლდა). 1999 წელს მცველი სამხრეთკორეულ „სტაილერსში“ გაყიდეს. „რაპიდმა“ განაცხადა, რომ სანაცვლოდ 120 ათასი დოლარი მიიღო. „რეალური სატრანსფერო თანხა თურმე 600 ათასი დოლარი იყო, „რაპიდმა“ კი თანხა დამალა, რათა ჩვენთვის ნაკლები გადაეხადა“ — იჩივლა „კლუჟის“ ხელმძღვანელობამ. კლუბმა ყოველივე თავისივე გზებით გამოიძია, თუმცა ბუქარესტული გუნდი აცხადებს, რომ დოკუმენტაცია არ გაუყალბებია და ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.**

შვედური აიკ-ის მწვრთნელად ნაკრების ყოფილი თავკაცი ოლე ნორდინი დაინიშნა, ვინც ამ პოსტზე შოტლანდიელი სტიუარტ ბაქსტერი შეცვალა. 50 წლის ნორდინი შვედეთის ეროვნულ გუნდს 1986 წლიდან ხელმძღვანელობდა, თუმცა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ მოხსნეს. მაშინ შვედებმა ფინალურ ეტაპზე სამივე ჯგუფური შეხვედრა წააგეს, მათ შორის კოსტა რიკასთან 1:2. ნორდინი „გიოტებორგსაც“ თავკაცობდა, შემდეგ ნორვეგიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, იმუშავა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშიც, 1997 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა და „ნორჩიოპინგი“ ჩაიბარა. მისი წინამორბედი, შოტლანდიელი ბაქსტერი კი აიკ-იდან იმის გამო დაითხოვეს, რომ ამბიციური სტოკჰოლმური გუნდი, რომელიც 1998 წელს ჩემპიონი გახდა, ხოლო შარშან მეორე ადგილზე გავიდა და თასი მოიპოვა, წლეულს მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

**იტალიური პოლიცია „ჩეკი გორის ჯგუფის“ შესაძლო კანონდარღვევას იძიებს. ცნობისთვის: ამ ჯგუფს „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი მართავს. კომპანიის ორი მენეჯერია ეჭვმიტანილი, რის გამოც ოთხშაბათს სამართალდამცავებმა „ფიორენტინას“ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საბუთი შეამოწმეს. თუმც კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ „ფიორენტინა“ და „ჩეკი გორის ჯგუფი“ სხვადასხვა კომპანიებია. თავად ვიტორიო ჩეკი გორის ოფიციალურად არაფერი განუცხადებია.**

ჩილელი ფორვარდი სებასტიან როზენტალი „მანჩესტერ სიტიში“ შემოწმებას გადიოდა, მაგრამ არ მოიწონეს და კვლავ გლაზგოს „რეინჯერსში“ დაბრუნდა. „როზენტალი კარგი ფეხბურთელია, თუმც ჩვენ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს“ — თქვა „სიტის“ თავკაცმა ჯო როილმა.

**ინგლისურ „მიდლსბროს“ პრემიერლიგის მორიგი ტურის წინ ორი ფეხბურთელი დაუბრუნდა. პოლ ინსმა და უგო ეჰიოგუმ ტრავმები მოირჩინეს და შესაძლოა, „ლესტერთან“ ითამაშონ. ინსმა, რომელმაც ეჰიოგუსთან ერთად სარეზერვო გუნდში ჩაატარა შეხვედრა, განაცხადა: „ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილი დავრჩი, თუმცა ძირითად შემადგენლობაში თამაში მაინც სხვაა.“**


გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იტალია 1:0 ინგლისი

1:0 გატუზო (58)
იტალია: ბუფონი, კანავარო, ნესტა (ადანი 67), მალდინი (ბერტოტო 75), დი ლივიო (დ. ძნონი 52), ალბერტინი (დი ბიაჯო 52), გატუზო, კოკო, ფიორე, დელვეკიო (ს. ინძაგი 61), ფ. ინძაგი (დელ პიერო 73)
ინგლისი: ჯეიმსი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, საუთგეიტი, პარლოუ (ანდერტონი 78), ბათი (კარაგერი 26), ბექჰემი, დაიერი (ფაულერი 83), ბერი (ს. ჯონსონი 73), ჰესკი (ფილიპსი 73), ბარმბი
მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)
22 714 მაყურებელი

...ხალხში მას „თვითმკვლელთა ხიდს" უწოდებენ. სწორედ მასზე იყო გაჩერებული 47 წლის ედუარდო ანიელის „ფიატ კრომა". მანქანა დაქოქილი იყო, თავად პატრონის გვამი კი გზიდან 80 მეტრში, მდინარე სტურას ნაპირზე იპოვეს. ეს ოთხშაბათს შუადღეს მოხდა. მოგვიანებით ანიელთა ოჯახის კუთვნილ „იუვენტუსის" სტადიონზე იტალიელმა და ინგლისელმა ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი „ფიატის" პატრიარქის ჯანი ანიელის ვაჟის ხსოვნას.

თავად მატჩის პირველი ტაიმი არაფრით იყო გამორჩეული. სტუმართა ექსპერიმენტულ შემადგენლობას ოციოდ წუთი დასჭირდა და მერე მასპინძლებზე უკეთ ათამაშდა, თუმცა 26-ე წუთზე პიტერ ტეილორს მორიგი დაშავებულის შეცვლა მოუხდა (ხუთი მოთამაშე თამაშამდე გამოაკლდა) — ნიკი ბათმა კოჭი იღრძო და ადგილი ჯეიმი კარაგერს დაუთმო.

მეორე ტაიმისა და მთლიანად მატჩის მშვენება ჯენარო გატუზოს 25-მეტრიანი გასროლა გამოდგა — ასეთ ბურთს ცხრა ჯეიმსი ვერ აიღებდა. „ამაზე უკეთესიც გამიტანია. მაგალითად, წინა სეზონში „ბოლონიასთან" — გაიხსენა მილანელმა ნახევარმცველმა.

მანამდეც და მერეც უფრო სახიფათოდ ინგლისელები უტევდნენ. მათგან ემილ ჰესკი გამოირჩეოდა, რომელიც ერთხელ პენალტსაც ითხოვდა, მაგრამ მსაჯმა ნესტას მოქმედებაში წესის დარღვევა ვერ შენიშნა. გატანა შეეძლო „ასტონ ვილას" ორივე გარეთს — ბერისა და საუთგეიტს, შეცვლაზე შესულ დებიუტანტ დერბელ სეტ ჯონსონს კი ისტორიაში შესვლა ბუფონმა ჩაუშალა: ქინქლაძის თანაგუნდელმა თავის პირველ საერთაშორისო შეხვედრაში ბურთის პირველივე შეხებით გოლის გატანა მოინდომა, მაგრამ „პარმას" მეკარემ ბრწყინვალედ მოიგერია.

ერთი კარგი ჯარიმა დელ პიერომაც შეასრულა, მაგრამ ჯეიმსის წყალობით ანგარიში უცვლელი დარჩა.

12 წუთის განმავლობაში, 61-ედან 73-ეს ჩათვლით, პირველად დიდ ფეხბურთში მოწინააღმდეგის კარს ერთად უტევდნენ ძმები ინძაგები.

და კიდევ: ინგლისმა ზედიზედ მესამე მატჩში ვერ გაიტანა, რაც 11 წელია, არ მომხდარა. გავიხსენოთ, რომ ამ სამ შეხვედრაში ინგლისელებს სამი სხვადასხვა მწვრთნელი ჰყავდათ — გერმანიასთან (0:1) კევინ კიგანი, ფინეთთან (0:0) ჰოვარდ უილკინსონი და გუშინწინ პიტერ ტეილორი, ვინც, შედეგის მიუხედავად, თამაშით კმაყოფილი დარჩა. სტუმრებს ახალგაზრდები ჯოვანი ტრაპატონიმაც შეუქო, თუმცა არც თავისი გუნდი დავიწყებია.

ცხადია, მატჩს ესწრებოდა სვენ გორან ერიქსონიც. „მას ბევრი ხალხი ახლდა და შეხვედრა ვერ მოვახერხე" — თქვა ლესტერში დაბრუნებულმა ტეილორმა.

აი, ყველაფერი საინტერესო, რაც გუშინწინ ტურინში მოხდა.

### ესპანეთი 1:2 ჰოლანდია

1:0 იერო (66), 1:1 ჰასელბაინკი (73), 1:2 დე ბური (85)
ესპანეთი: კასილიასი, პუიოლი (მანუელ პაბლო 55), აბელარდო, იერო, სერხი, ხავი, ბარახა (გუტი 46), მენდიეტა (ფარინოსი 46), ლუის ენრიკე (პაკო ხემესი 77), რაული (მუნიტისი 46), ურსაისი (კატანია 46)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ფ. დე ბური, ჰოფლანდი (პაუვე 46), ბოგარდი (მელხიოტი 72), კოკუ (ვან ბომელი 46), ბოსველტი, დავიდსი, კლუივერტი (მაკაი 46), ბრუგინკი (ზეედორფი 60), ჰასელბაინკი
გაძევება: იერო (74), ჰასელბაინკი (74)
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
50 000 მაყურებელი

მატჩის შემდეგ ხოსე ანტონიო კამაჩომ თქვა: „მთლიანობაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ერთი ყოვლად მიუტოვებელი შეცდომა დავუშვით — გოლი რომ გავიტანეთ, თამაში დამთავრებულად ჩავთვალეთ". ძნელია, ესპანელ მწვრთნელს არ დაეთანხმო.



REUTERS ტელეფოტოდან

იტალია — ინგლისი 1:0. დი ბიაჯო ამაოდ ელის ბურთს, მალდინისა და ფერდინანდს შორის რომ გაჩხერილა

პირველ ტაიმში ჰოლანდიელები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. შესაბამისად ესპანელები უტევდნენ და გაისკა მენდიეტა და რაული გვარიან პრობლემებს უქმნიდნენ სტუმრებს — ვალენსიელმა ძელსაც კი გაარტყა. მოედნის შუაგულში კარგად ირჯებოდა 20 წლის ბარსელონელი ხავი, რომელიც წინახაზელებსაც ზუსტი პასებით ამარაგებდა. ჰოლანდიელებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს შექმნეს ორიოდე მეტ-ნაკლებად ხეირიანი მომენტი — არნოლდ ბრუგინკმა და ფრანკ დე ბურმა ოდნავ ააცილეს მიზანს.

შესვენების მერე ტემპი დავარდა და ასე გაგრძელდა ოც წუთს, ანუ იეროს გოლამდე. კაპიტნის გოლი კი უზადო გამოდგა — ედვინ ვან დერ სარს იმ საჯარიმო დარტყმის მოგერიების შანსი ფაქტობრივად არ ჰქონდა.

გოლმა ლუის ვან გაალის ბიჭები გამოაცოცხლა, ხოლო ესპანელები, როგორც კამაჩოს სიტყვებიც მოწმობს, მოადუნა. შედეგმაც არ დააყოვნა — შეცვლაზე შესულმა როი მაკაიმ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ჩააწოდა და ყოფილმა ატლეტიკოელმა იერო მოატყუა და ანგარიშიც გაათანაბრა.

ამ გოლს ჩხუბი მოჰყვა. მატჩის შემდეგ ჰასელბაინკმა განმარტა: „იეროს ოდნავ მივარტყი, მან კი სახეში თავი ჩამცხო. სირცხვილია, ასეთ კაცს ესპანეთის ნაკრების კაპიტნობა როგორ უნდა ანდო". იერომ კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმცა თვალნათლივ ჩანდა, რომ მას ისე ძლიერად არ დაურტყამს, როგორც ჰასელბაინკმა გააფორმა. საბოლოოდ ორივე მეგოლე მოედნიდან მიაბრძანეს.

მატჩის ბედი ფრანკ დე ბურმა გადაწყვიტა. 85-ე წუთზე მისმა თავურმა მასპინძლებს რაიმეს გამოსწორების დრო აღარ დაუტოვა. დე ბურმა ერთი რეკორდიც დაამხო, რომელმაც მხოლოდ ოთხთვენახევარს გაძლო — ევრო 2000-ის ნახევარფინალში არონ ვინტერმა 84-ე მატჩი ჩაატარა ჰოლანდიის ნაკრებში, გუშინწინ კი დე ბურის 85-ე თამაში იყო.

### თურქეთი 0:4 საფრანგეთი

0:1 ტრეზეგე (15), 0:2 ვილტორდი (22), 0:3 მიკუ (44), 0:4 რობერი (74)
თურქეთი: რუშთუ (ომერი 46), ბიულენთი, ოგიუნი, ფათიჰ აკიელი, ემრე (ერგუნი 63), აჰმეთი, ოკანი (ტამერი 79), სუათი (ტაიფური 46), ფათიჰ თეკე (უმითი 46), იზეტი (მეჰმეთი 37), ჰაქან უნსალი
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (სანიოლი 79), ლებეფი, დესაი, კანდელა, ვიეირა (მაკელელე 31), პეტი (ჟეტუ 69), ვილტორდი (რობერი 57), ზიდანი (დეუ 63), მიკუ, ტრეზეგე (მარლე 82)
მსაჯი: გეორგიოს ბოროვილოსი (საბერძნეთი)
9 000 მაყურებელი

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთაგან თურქთა (თუნდაც სტამბოლში) ძლევა გასაკვირი სულაც არაა, მით უფრო, რომ მასპინძლებს ბლომად ახალი ფეხბურთელები გაუყვანიათ მინდორზე.

დავიდ ტრეზეგემ, სილვენ ვილტორდმა და იოან მიკუმ პირველ ტაიმშივე გაარკვიეს გამარჯვებულის ვინაობა. შესვენების შემდეგ ლორან რობერის მეოთხე გოლმა მხოლოდ განამტკიცა ფრანგთა ისედაც საგრძნობი უპირატესობა. მასპინძლებს მომენტები ფაქტობრივად არც ჰქონიათ — გამოცდილ ფრანგ მცველებს ჰაქან შუქურის გარეშე დარჩენილმა თურქმა თავდამსხმელებმა ვერაფერი დააკლეს.

შეხვედრის ანგარიშის მიუხედავად და მისი ამხანაგური ხასიათიდან გამომდინარე, თურქთა მწვრთნელი სენოლ გუნეში კმაყოფილი დარჩა: „მთავარი ისაა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წინაშე შიში არ ვგრძნობდით. ამასთანავე, ფრანგებისგან ტექნიკური ფეხბურთის დიდი გამოცდილება მივიღეთ."

თურქთა შექება არც როჟე ლემერმა დაიზარა: „თავიდან ცოტათი შეშინებულები ჩანდნენ, მერე კი ნელ-ნელა გამოასწორეს თამაში. რაც შეეხება შედეგს, ის ჩვენს ძლიერებაზე მეტყველებს და არა თურქთა სისუსტეზე. ეს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო, ყველაფერი გამოგვდიოდა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში."

### დანია 2:1 გერმანია

1:0, 2:0 რომედალი (56, 66), 2:1 შოლი (81)
დანია: სორენსენი, ჰაინცე (ნ. იენსენი 65), ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰელვეგი, იორგენსენი (მიქაელსენი 79), ტოფტინგი, გრავესენი, რომედალი (ბ. ნილსენი 87), ტომასონი (კ. იენსენი 46), სანდი (ნიგაარდი 46)
გერმანია: კანი, ჰაინრიხი (ბოდე 46), ჰერჩი, ნოვოტნი, რამელო, ლინკე (ვოში 69), ჰამანი, ციგე (ფ. ბაუმანი 46), შოლი, ბირჰოფი (იანკერი 74), ციკლერი (ნოივილი 81)
მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
17 664 მაყურებელი

გერმანიის ნაკრები ბოლოს ამ ზაფხულს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დამარცხდა, როცა 20 ივნისს პორტუგალიასთან 0:3 წააგო. მას მერე ექვსი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. უმთავრესად ის, რომ ეროვნული გუნდი რუდი ფიოლერმა ჩაიბარა. ფიოლერის მისვლის შემდეგ გერმანიის ნაკრები აღმავლობის გზაზე დადგა — 4:1 ესპანეთთან, 2:0 საბერძნეთთან, 1:0 „უემბლიზე" ინგლისთან...

ოთხშაბათს ფიოლერი მწვრთნელის სავარძელში („ლევერკუზენის" ჩათვლით) მეთერთმეტედ ჩაჯდა და წაგე... ლი პირველად ადგა. კოპენჰაგენში „რ... დი გოლიათმა" თუ „რუდი მეფემ", რო... გორც მას ბოლო დროს სამშობლო... შეარქვეს, წაგებას გემო გაუსინჯა... არა გვგონია, მოსწონებოდა.

„დღეს ჩვენი შესაძლებლობები ბო... ლომდე ვერ გამოვამჟღავნეთ, ნახე... რი ძალით კი დანიისნაირ ძლიერ გუ... დებს ვერ მოუგებ. კარგი იქნებოდ... თამაში 2:2 დასრულებულიყო და ზა... თარს წაუგებლები შევხვედროდით, მ... გრამ ჩვენ ეს არ დაგვიმსახურებია... — აღიარა ფიოლერმა ნამატჩევს.

გერმანელები კოპენჰაგენს მოსაგ... ბად ეწვივნენ, თუმცა დორტმუნდელ... ჰაიკო ჰერლიხის მძიმე ავადმყოფობ... ამბავმა ნაკრებს ხასიათი გაუფუჭა. „რო... ცა განწყობა ცუდია და თამაშისთვ... ველარ ემზადები, მოგება შეუძლებელია... — ეს სიტყვებიც ეროვნული გუნდი... თავკაცს ეკუთვნის.

ახლა თამაშზე ვთქვათ. მასპინძლე... ბმა სტუმრები აშკარად დაჩაგრეს — მო... მენტებიც უფრო მეტი შექმნეს და უპ... რატესობასაც ფლობდნენ. დანიელთ... მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსე... მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რო... შემტევი სტილის მიმდევარია და თავ... დანვე სამი თავდამსხმელი გამოიყვანა... რომედალი, სანდი, იორგენსენი. მატჩი... საუკეთესო მოთამაშე თომას გრავეს... ნიც უმეტესწილად შეტევაზე ფიქრობდ...

თავდასხმაზე ორიენტაციამ ნაყოფ... კინაღამ დებიუტშივე გამოიღო. მეორ... წუთზე „შალკეს" ლეგიონერმა ებე სა... დმა ვერ ივარგა, წუთის მერე კი რომე... დალის დარტყმული კანმა მოიგერია... მეკარემ გერმანელები პირველ ნახევა... რში კიდევ ორჯერ იხსნა, ტიოფტინგმა... კი მიზანს ააცილა. ამის საპასუხო... სტუმრებმა ორი მომენტი შექმნეს. ორი... ვეჯერ კაპიტან ოლივერ ბირჰოფ... შეეძლო გატანა — ერთხელ სორენსე... ნმა იმარჯვა, მეორედ ფორვარდს მიზა... ნმა უმტყუნა.

მეორე ნახევარი გერმანელებმა უფრ... აქტიურად ჩაატარეს, ფიოლერმა შე... ვლებიც საკმაო მოახდინა, თუმცა ტერი... ტორიული უპირატესობა მაინც მასპინ... ძლების მხარეს იყო. შოლისა და ბოდე... გაცუდებულ მომენტებს გოლი მოჰყვ... — 56-ე წუთზე გრავესენის გრძელ... და გამოზომილი პასი დენის რომედალ... მოუვიდა, რომელმაც ლინკე ჩამოიშორ... და ანგარიში გახსნა. ცხრა წუთში იორ... გენსენის საჯარიმოში ჩაწოდებულზ... ისევ რომედალმა იმარჯვა, „ეინდჰოვე... ნის" ფორვარდმა კვლავ ლინკეს აჯობ... და სხვაობა გაზარდა. გერმანელებმ... ერთი საპასუხო გოლის გატანაღა შე... ლეს — შოლმა ჯარიმიდან ლამაზა... ჩაახვია. მატჩის მიწურულს ფიოლერმა... თამაშის გადარჩენა სცადა, მინდორზე... იანკერი და ნოივილიც გამოიყვანა, მაგ... რამ ამით არაფერი შეცვლილა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემმა გუნდ... მა ბრწყინვალედ ითამაშა და უძლიე... რეს მოწინააღმდეგეს დიდი პრობლემებ... შეუქმნა" — გახარებული იყო დანიე... ლთა თავკაცი მორტენ ოლსენი.

რატომ წავაგეთ მატჩი? კითხულობ... გერმანული გაზეთი „ბილდი" და თავა... დვე პასუხობს: იმიტომ, რომ დანიელებ... ჩვენზე სწრაფები, კარგები და ჭკვია... ნები იყვნენ.



REUTERS ტელეფოტოდან

დანია — გერმანია 2:1. დენის რომედალს (№8) ოლივერ კანის კარში მეორე გოლი გააქვს

### ირლანდია 3:0 ფინეთი

1:0 ფინანი (14), 2:0 კილბეინი (85), 3:0 სტონტონი (90)

### ალბანეთი 3:0 მალტა

1:0 ვატა (45), 2:0, 3:0 ბოგდანი (70, 90)

### ესტონეთი 1:0 ყირგიზეთი

1:0 ანისტე (55)

### რუმინეთი 2:1 იუგოსლავია

1:0 სერბანი (3), 1:1 მიხაილოვიჩი (87), 2:1 ბარკ... უანი (90)

### შოტლანდია 0:2 ავსტრალია

0:1 ემერტონი (12), 0:2 ზდრილიჩი (66)

### მაკედონია 0:1 უნგრეთი

0:1 ფეჰერი (6)

### პორტუგალია 2:1 ისრაელი

1:0 ფიგუ (48), 2:0 ჟორჟე კოშტა (61), 2:1 ბენაი... ნი (85)

### ტუნისი 1:1 შვეიცარია

0:1 კანტალუპი (20), 1:1 ბუაზიზი (68)

### ალჟირი 1:2 ბულგარეთი

0:1 მ. პეტროვი (38), 1:1 მადუი (50), 1:2 იოვოვი (70)

### საბერძნეთი 0:2 სლოვაკეთი

0:1 შ. ნემეტი (18), 0:2 პ. ნემეტი (72)

### პოლონეთი 1:0 ისლანდია

1:0 ფრანკოვსკი (613)



*წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში კალაძისა და დემეტრაძის კიევის „დინამომ“ პირველი ჯგუფური ეტაპიდან ვერ გააღწია ქვეჯგუფში უკანასკნელი ადგილი დაიკავა და უეფას თასზეც ვერ გადაინაცვლა. ეს გუნდის ყველაზე ცუდი შედეგია ბოლო ოთხ წელიწადში, ანუ მას შემდეგ, რაც ვალერი ლობანოვსკი არაბეთიდან დაბრუნდა და უკრაინის საუკეთესო კლუბი კვლავ ჩაიბარა.*

*ლობანოვსკი არასოდეს გამოირჩეოდა პრესასთან იდეალური დამოკიდებულებით, თუმცა არც საქმიან საუბარს არიდებს ხოლმე თავს. აი, ახლაც, კონჩა-ზასპაში, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე, უკრაინელ ჟურნალისტებს შეხვდა და კიეველთა ჩავარდნის გამო ელაპარაკა.*

# ვალერი ლობანოვსკი: მანჩესტერში ჩურჩულითაც ვერავინ ამბობს, ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთო...

**— ვალერი ვასილიჩ, ამბობენ, კიევის „დინამოში“ დიდი ცვლილებები მოხდებაო.**

— რთული საკითხია. ცხოვრება თავისი გზით მიდის და როცა გუნდი რალაც შედეგს მიაღწევს, თუ არსებული დონე აღარ აკმაყოფილებს, ცვლილებები გარდაუვალია. სხვა საქმეა, როცა გუნდს უკეთ თამაში შეუძლია, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ ახერხებს. ამ დროს ცვლილებები აუცილებელია.

**— როგორ შეაფასებდით „დინამოს“ გამოსვლას ჩემპიონთა ლიგაში. წლეულს, ბოლო სეზონებთან შედარებით, აშკარად ცუდი შედეგი ვაჩვენეთ. თუ გჯერათ, რომ ეს დროებითი ჩავარდნაა?**

— პროგნოზებს არასოდეს ვაკეთებ. ჯერ ვერც კი გავრკვეულვარ, რა იყო ეს — დროებითი ჩავარდნა თუ მიღწევა. თუ გუნდი ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ეს უკვე მიღწევაა, იმიტომ, რომ კონკურენცია ერთობ გაიზარდა.

უკეთ გამოსვლა თუ შეგვეძლო? ალბათ. მაგრამ ამის ახსნისთვის საჭიროა არა პროგნოზები, არამედ სერიოზული და თანაც ობიექტური ანალიზი. ერთი ცხადია, ფეხბურთელები ძალიან გადაიღალნენ. თუ დღეს ორი სრულყოფილი შემადგენლობა არ გყავს, მთელი სეზონის მანძილზე კონკურენციას ვერ გაუძლებ. ჩემი სიტყვები არ გეგონოთ, არსენ ვენგერმა თქვა — ამბიციურ გუნდს 20 კვალიფიციური ფეხბურთელი მაინც უნდა ჰყავდესო.

მედიამ „დინამოს“ წლევანდელ ლიგაში გამოსვლა გააკრიტიკა. მაგრამ ასეთ რთულ სიტუაციაში ხომ არასოდეს ვყოფილვართ. აბა გაიხსენეთ, რამდენს თამაშობდნენ ბოლო დროს ჩვენი ფეხბურთელები: „მანჩესტერი“, ხუთ დღეში „ანდერლეხტი“, მეორე დღეს ქართველები საქართველოს ნაკრებში წავიდნენ, ბელარუსები ბელარუსისაში, ბოდნარი — უნგრეთისაში, კიეველთა ნაწილი კი უკრაინისაში. ამათ ურთულესი სანაკრებო მატჩები ჩაატარეს. 13 ოქტომბერს შევიკრიბეთ და 18-ში ისევ „ანდერლეხტთან“ ვითამაშეთ. არადა, ზოგჯერ ერთი სანაკრებო თამაში ჩემპიონთა ლიგის ორ მატჩს უტოლდება. ფეხბურთელები უპირველესად ფსიქოლოგიურად გადაიღალნენ. ხომ გსმენიათ, ადამიანს უნდა, მაგრამ აღარ შეუძლიაო...

ადრე ევროთასების მატჩებს შორის ინტერვალი 14 დღე იყო და ესეც გვეცოტავებოდა, რადგან სწრაფი თამაშისთვის ფეხბურთელის აღდგენა-მომზადებას არცთუ ცოტა დრო სჭირდება. საშუალო ტემპით კი ველარავის მოუგებ. ასეთი რამ დღეს მხოლოდ „ლაციოს“ გამოსდის „შახტართან“.

**— თქვენ ჯერ კიდევ გაზაფხულზე თქვით, მომავალი სეზონი გაცილებით რთული გვექნება და არც სერიოზულ ჩავარდნას გამოვრიცხავო. გამოდის, წინასწარ იცოდით ყველაფერი.**

— მაშინ ლიგის ოთხი მატჩიდან სამი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავამთავრეთ და სასწაულით ვერ გავედით მეოთხედფინალში. თამაშის ხარისხიც არ დაგვეწუნებოდა. მაგრამ ფეხბურთელებიც ცოცხალი არსებები არიან. მოგეხსენებათ, ყველა ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს ოდნავ გადამეტებულად აფასებს, ასეთია ბუნება. მოთამაშეების უმრავლესობამ იფიქრა, ჩვენ ვართ, რაც ვართო და ახალი სეზონის პირველივე მატჩში „დნიპროს“ ვერ მოუგეს. იცით, რატომ? ეგონათ, მოწინაალმდეგეს აუცილებლად აჯობებდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ეს იყო პირველი საგანგაშო სიგნალი. გავიმეორებ, ადამიანს თავი ყოველთვის იმაზე მეტი ჰგონია, ვიდრე სინამდვილეშია და წარუმატებლობის მიზეზს საკუთარ თავში ყველაზე ბოლოს ეძებს.

**— შეიძლება 1975, 86 და ახლანდელი კიევის „დინამოს“ შედარება?**

— არავითარ შემთხვევაში. 1996-2000 წლების „დინამომ“ იშვიათი სტაბილურობა გამოავლინა. როგორ შეიძლება ოთხი წლის მანძილზე ყველაფერს იგებდე და თან უკრაინის ნაკრებსაც წარმოადგენდე. ყველას ეგონა, რომ პირველი წარმატებული სეზონის შემდეგ გუნდი დაიშლებოდა, მაგრამ გავძელით და მეორე წელს ლიგის ნახევარფინალში გავედით.

აბა გაიხსენეთ, 1975 წელს კიევის „დინამომ“ თასების თასი და სუპერთასი მოიგო, თანაც მთლიანი შემადგენლობით საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც წარმოადგენდა. მერე რა მოხდა? მოვიდა 1976 და გუნდი აღარ არსებობდა. ახლა 1986 წელი გავიხსენოთ: მოვიგეთ თასების თასი და მაშინვე მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრეთ. ისტორია გამეორდა — 1987-ში სსრკ-ის ჩემპიონატზე მეათე ადგილი დავიკავეთ.

იცით, რატომ ხდებოდა ასე? ფეხბურთელები საკუთარ თავს უკვე ნაკლებს სთხოვდნენ და მიღწეული წარმატებებით ცხოვრობდნენ. ამიტომაცაა, რომ „მანჩესტერში“ ჩურჩულითაც ვერავინ ამბობს, ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთო. ამის მთქმელს დიდი ჯარიმა ელის...

**— ბოლო დროს უცხოელები მოგვიმრავლდა.**

— არის პერიოდები, როცა მაღალი კლასის მოთამაშეების ნაკლებობას განიცდი. ჰოლანდიელებმა 1974 წელს ფეხბურთში რევოლუცია მოახდინეს. მერე, 80-იანის დასაწყისში, დიდი ჩავარდნა ჰქონდათ, იმიტომ, რომ კვალიფიციური ფეხბურთელები არ ჰყოფნიდათ. მერე ისევ აღზევდნენ.

ამიტომ „დინამოს“ ინტერნაციონალურობას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამ. ამას წინათ ერთ ტელეგადაცემას ვუცქერდი, სადაც თქვეს, თითქოს „დინამოს“ წარუმატებლობის მიზეზი ისაა, რომ ლეგიონერებმა ქვეყნის ჰიმნი და უკრაინული ენა არ იციან. რა გამოდის, სანამ ბოდნარი ან ჩვენი ქართველები უკრაინულს არ ისწავლიან, წარმატებაზე არ უნდა ვიფიქროთ?

**— რატომ დაუკლეს შაცკიხმა და დემეტრაძემ?**

— შაცკიხმა? როგორც ვიცი, ის ერთ დროს უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე იყო. ახლა კი, აბა როგორ ითამაშებს კარგად, როცა რამდენიმე კვირა აზიის თასზე მონაწილეობდა და იქიდან დაღლილი დაგვიბრუნდა.

დემეტრაძე კი სპეციფიკური მოთამაშეა. როცა „დინამოში“ აგვყავდა, ის მიჩვეული იყო პარტნიორებისგან პასებით მომარაგებას. ახლა ვცდილობთ ვასწავლოთ, თვითონაც შეეძლოს სხვებისთვის საგოლე სიტუაციების შექმნა. მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გაგვიგო, რას ვითხოვთ მისგან. ამიტომ კრიტიკაც ბუნებრივია. თუმცა მასთან განშორება არც გვიფიქრია. თავდამსხმელების ასეთი უკმარისობის დროს დემეტრაძის გაშვება, უბრალოდ, არასწორი იქნებოდა.

**ს.ჰ. „დინამო“ კიევი**

# დაუმი სუფთაა?! ნუთუ ყველაფერი აფიორაა?



**აი, სენსაცია!** კრისტოფ დაუმი სუფთაა, იგი ნარკომანი არ არის, კოკაინს არ ეტრფის — ყოველივე ამერიკაში ჩატარებულმა ტესტირებამ დაამტკიცა. ეს ამბავი გუშინდელმა „ბილდმა“ გაავრცელა.

თვეზე მეტია, საფეხბურთო გერმანიას მოსვენება დაეკარგა. ჯერ იყო კრისტოფ დაუმისა და ეროვნული ნაკრების გარშემო სკანდალი, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, მერე „ჰამბურგის“ ყოფილი პრეზიდენტები გადასახადების მალვაში ამხილეს, ბოლოს ჰაიკო ჰერლიხის მძიმე ავადმყოფობამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

და აი, ისევ კრისტოფ დაუმი.

რაინერ, ნუ გამწირავ, ხომ იცი, სუფთა ვარ, მომეცი საშუალება, ჩემი სიმართლე დავამტკიცო — სთხოვა თავის დროზე დაუმმა „ლევერკუზენის“ მენეჯერ კალმუნდს. „სუფთა ვარ, სუფთა“ — იმეორებდა დაუმი. თუ მართლა ნარკომანი იყო, რატომ დასთანხმდა თმის ანალიზის გაკეთებას, უკვირდათ ოქტომბრის მიწურულს.

დღეს გერმანიაში ამას იხსენებენ და კითხულობენ — ნუთუ დაუმი მართალია, ნუთუ ყველაფერი მოგონილია, ნუთუ ეს სპექტაკლია?

მართლაც საოცარია — კრისტოფ დაუმს რას აღარ აბრალებდნენ, თითქოს სამხილი პოლიციასაც საკმარისი ჰქონდა. რაზეც გინდოდა, სულო და გულო: ნარკომანია, გადასახადების მალვა, ფინანსური მაქინაციები და სხვა. დაუმს ლამის დასაჭერად ჰქონდა საქმე. მერე კი...

გასულ კვირაში გერმანიის ნაკრები ფიოლერს 2002 წლის სექტემბრამდე ჩააბარეს, „ლევერკუზენში“ ბერტი ფოგტსი მივიდა. ჰოდა, დაუმიც ყველას დაავიწყდა, მათ შორის პოლიციასაც. იმდენი ბრალდებები თუ ბრალმდებელმოწმეებიც სადღაც გაქრნენ. საქმე ყველამ ჩაფარცხულად ჩათვალა... და აი, სკანდალი ხელახლა ღვივდება.

„სარბიელის“ მკითხველს გერმანულ გაზეთ „ბილდის“ კორესპონდენტ ვიმ ფომლანდისა და კრისტოფ დაუმს შორის ამერიკაში გამართული სატელეფონო საუბრის შესახებ უკვე მოეხსენება. ცოტა ხნის წინ ეს ორი პიროვნება პირისპირაც შეხვდა ერთმანეთს, რაც ძალიან გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოხდა. იმ შეხვედრაზე დაუმს მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ჟურნალისტი დაარწმუნა, რომ თავს მშვენივრად გრძნობს.

„ვიმ, ხომ ხედავ, კარგად ვარ. დროა, წახვიდე და ყველას უთხრა, რომ არაფერი მიჭირს, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ისიც თქვი, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა. მე დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს, ბევრი რამ მაქვს სალაპარაკო“ — უთხრა დაუმმა ძველ ნაცნობს 22-წუთიანი საუბრის დასასრულს, რომლის მანძილზეც კრისტოფმა სამი ღერი სიგარეტი მოწია.

„მშვენივრად გამოიყურება, თმები დაუმოკლებია, ცოტა გარუჯულა კიდეც, თან დასვენებული სახე აქვს“ — ასე აღუწერა ფომლანდმა საზოგადოებას ამერიკაში მყოფი მწვრთნელი. ჟურნალისტმა იქვე ეჭვიც გამოთქვა, დაუმმა საქმეზე კრინტიც არ დაძრა, ზოგადად მესაუბრებოდა, მაგრამ, მგონი, ხელმეორე ტესტირება აქვს გაკეთებულიო.

ასეც ყოფილა.

6 ნოემბერს „ლევერკუზენის“ ექსთავკაცს „ამერიქენ მედიქალ ლაბორატორისთვის“ მიუმართავს, სადაც კრისტოფს პასპორტი მოსთხოვეს, მერე თითის ანაბეჭდები აუღეს. ამის შემდეგ თავიდან რამდენიმე თმის ღერიც ამოაძრეს, პასუხზე კი ოთხ დღეში დაიბარეს. 10 ნოემბერს მისულ დაუმს ისეთი შედეგი დახვდა, როგორიც სურდა — უარყოფითი, მის თმაში კოკაინის კვალს ვერ მიაკვლიეს.

„შედეგს დიდად არ გავუხარებივარ, პასუხი ხომ წინასწარვე ვიცოდი. პირველი ანალიზის შედეგი მე არ მეკუთვნოდა. იგი გააყალბეს“ — უთხრა დაუმმა იმავე ვიმ ფობლანდს, რომელთანაც 24 წლის ნაცნობობა აკავშირებს.

გერმანიაში ეს ამბავი რომ შეიტყვეს, უმალ იმით დაინტერესდნენ, რამდენად სწორი იქნებოდა „რაღაც“ ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზი.

აღმოჩნდა, რომ „ამერიქენ მედიქალ ლაბორითი“ ამერიკაში, და არა მარტო იქ, ერთობ პრესტიჟული და აღიარებული ლაბორატორია ყოფილა. ოლიმპიადებზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან ტურნირებზე სპორტსმენთა დოპინგ-ტესტების ჩასატარებლად ექიმებს თურმე ამ ლაბორატორიიდან იწვევენ. მის პაციენტთა შორის მუჰამედ ალი, კარლ ლუისი, შაკილ ონილი, გრეგ ნორმანი და სხვა ცნობილი სპორტსმენები არიან.

როგორ ჩაუტარდა დაუმს ამერიკული ანალიზი, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ახლა ის ვთქვათ, როგორ აღმოჩნდა კრისტოფის თმის ღერები კიოლნის ლაბორატორიაში: დაუმისთვის თმა თურმე „ლევერკუზენის“ ოფისში (და არა ლაბორატორიაში) მოუჭრიათ, მერე ნოტარიუსთან წაუღიათ, რომელსაც თმის ღერები დაუმოწმებია, ამიტომაც კიოლნის ლაბორატორიაში მიღებული შედეგების სისწორეში უკვე ბევრს ეპარება ეჭვი.

„ძალიანაც კარგი. ხომ გამოჩნდა, რომ კრისტოფ დაუმი მართალია. ეს თანამემამულეთა შორის რეაბილიტაციაში დაეხმარება. იგი დარწმუნებულია, რომ მალე კვლავ შეუდგება თავის სამწვრთნელო საქმიანობას. დაუმი მომავალს უკვე იმედით შეჰყურებს, თანაც სხვადასხვა ფაქტებს აგროვებს, რათა გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ვილაცვილაცეებს პასუხი გასცეს“ — განუცხადა „ბილდს“ მწვრთნელის ადვოკატმა როლფ შტანკევიცმა.

„თუ კრისტოფ დაუმმა მეორე ანალიზი გაიკეთა და თავისთვის სასურველი შედეგი მიიღო, მაშინ ანგარიში 1:1 ყოფილა, მაგრამ გამარჯვება თუ უნდა, გადამწყვეტი გოლი გერმანიაში უნდა გაიტანოს“ — ნიშნის მოგებით თქვა „ლევერკუზენის“ მენეჯერმა, ერთ დროს დაუმის განუყრელმა მეგობარმა რაინერ კალმუნდმა.

გუშინ დილით ბევრმა გერმანელმა „ბილდი“ იყიდა, რომლის პირველ გვერდსაც კრისტოფ დაუმის ამერიკაში ახლახან გადაღებული ფოტო ამშვენებდა — მას გაბრწყინებული სახე აქვს, იცინის და ეტყობა, რომ კარგ ხასიათზეა...

**ვანო ოქროპირიძე**